

178

1969 / 2.



# სახვითა სამართალი

საქართველოს ახალგაზრდათა კომისიის გამომცემლობა

1969

5

# საბჭოთა სამართალი

# № 5



სექტემბერი—ოქტომბერი

1969 წელი

გამოცემის XVI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან დაკავშირებული იურიდიული კომისიის ორგანო  
**ორთვიური ქურონალი**

## შინაარსი

### 3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

ა. შუშანაშვილი — ვ. ი. ლენინი — სოციალისტური კანონიერების შექმნის ორგანიზატორი	3
შ. ჩიკვაშვილი — საბინაო უფლების წარმოშობის საფუძვლები	13
ლ. ბერეკაშვილი — სოციალისტური ქონების გატაცებისა და მისი ფორმების — მითვისებისა და ვაფლანგვის საერთო იურიდიული ცნების განსაზღვრის საკითხისათვის	21
ა. ბაქრაძე, გ. ქველიძე — გამოძიებისადმი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების ზოგიერთი საკითხის შესახებ	29
უ. კობიაშვილი — არასრულწლოვანის წამქეზებლობისათვის ან დანაშაულებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ	35
პ. ხვიჩია — საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის შექმნა	40
ზ. შველიძე — ფ. მახარაძე ვარშავის ციხეში	45

11093

### ქართული სამართლის ისტორია

ვ. აბრამიშვილი — მძევლობის ინსტიტუტი ხევსურეთში	49
ვ. ლაგაზიძე — ჩვეულებითი სამართალწარმოება თუშეთში	54

### მოწინავეთა პორტრეტები

მ. სილაგაძე — ნათელი გზით	61
მ. წერეთაშვილი — 26 წელი სასამართლო ორგანოებში	62

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. მერაბიშვილი — სასარგებლო ნაშრომი სასამართლო ფსიქოლოგიაში	64
შ. კუჭუხიძე — წიგნი ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	68

### რომანი

ა. ჩიეიზი — მოწმენი არ იქნებიან	72
ფეხბურთი და იურისპრუდენცია	38
არბიტრაჟის პრაქტიკა	91
მმაჩის ორგანოების პრაქტიკა	94



სს. სსრ სსრ



## СОДЕРЖАНИЕ

### К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ В. И. ЛЕНИНА

А. Шушанашвили — В. И. Ленин — организатор создания социалистической законности . . . . .	3
Ш. Чквашвили — Основы возникновения права на жилплощадь . . . . .	13
Л. Берекашвили — К вопросу об определении общего юридического понятия хищения социалистического имущества и его форм — присвоения и растраты . . . . .	20
А. Бакрадзе, Г. Квелидзе — О некоторых вопросах контроля и надзора над следствием . . . . .	29
У. Кобашивили — Об ответственности за подстрекательство и вовлечение несовершеннолетних в преступления . . . . .	35
П. Хвичиа — Создание рабоче-крестьянской милиции Грузии . . . . .	40
З. Швелидзе — Ф. Махарадзе в Варшавской тюрьме . . . . .	45

### ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

В. Абрамишвили — Институт заложника в Хевсуретии . . . . .	49
В. Лагазидзе — Обычное судопроизводство в Тушетии . . . . .	54

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

М. Силагадзе — Светлым путем . . . . .	61
М. Церуашвили — 26 лет в судебных органах . . . . .	62

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Мерабишвили — Полезный труд по судебной психологии . . . . .	64
Ш. Кучухидзе — Книга о борьбе с безнадзорностью подростков . . . . .	68

### РОМАН

Д. Чейз — Свидетелей не будет . . . . .	72
Футбол и юриспруденция . . . . .	88
Практика арбитража . . . . .	91
Практика органов ЗАГСа . . . . .	94

### სარედაქციო კოლეგია

შეგ. № 3366  
 ტირაჟი 15.100  
 შუგ 12210

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,  
 თ. ბაკურაძე, ბ. ხარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,  
 თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,  
 ვ. მაიხურაძე, თ. წერეთელი, ხ. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადეცა წარმოებას 12/XI-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-69 წ., ქალაქის ზომა 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



### ვ. ი. ლენინი—სოციალისტური კანონიერების შიშის ორგანიზატორი

ა. შუშანაშვილი,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე დაასაბუთა, რომ სამართლის, მტკიცე მართლწესრიგისა და კანონიერების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა, პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა დაცვა და განმტკიცება, საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა.

ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ წარმოებისა და ცხოვრების სოციალისტური წესი არ გამოირიცხავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას. სოციალიზმის დროს მოქმედებს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი, არსებობს ერთგვარი განსხვავება წარმოების პროდუქტების საზოგადოების წევრებს შორის განაწილების დარგში და, მასასადამე, აუცილებელია შრომისა და განაწილების ზომების სამართლებრივი რეგულირება, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის სავალდებულო წესების არსებობა და მათი დაცვა. „უტოპიზმში თუ არ შესტობე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლებელია იფიქრო, რომ, დაამხოვენ რა კაპიტალიზმს, ადამიანები ერთბაშად ისწავლიან საზოგადოებისათვის მუშაობას უფლების ყოველგვარი ნორმების გარეშე“<sup>1</sup>.

მიუთითებდა რა სოციალიზმის დროს მართლწესრიგის დიდ როლსა და მნიშვნელობაზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სამართალი და კანონიერება თავისი შინაარსით, მიზნებითა და ამოცანებით კლასობრივია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია ბურჟუაზიული სამართლის რეცეფცია და გამოყენება. ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამართალი ამკვიდრებს და იცავს გაბატონებული კლასების ინტერესებს, წარმოადგენს მშრომელი მასების ჩაგვრისა და ექსპლოატაციის იარაღს. პროლეტარულმა რევოლუციამ უნდა მოსპოს ბურჟუაზიული მართლწესრიგი, შექმნას ახალი, სოციალისტური ტიპის სამართალი და კანონიერება. 1906 წელს რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის დაწერილ ტაქტიკურ პლატფორმაში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ამჟამად განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ფორმას წარმოადგენს ლეგალური ბრძოლა კი არა კვავი — კონსტიტუციურ ნიადაგზე, არამედ ხალხის იმ ფართო მასების უშუალო რევოლუციური მოძრაობა, რომლებიც ამსხვრევენ პოლიციურ-ბატონყმურ კანონებს, ჰქმნიან რევოლუციურ სამართალს და ძალდატანების გზით ანადგურებენ ხალხის ჩაგვრის ორგანოებს“<sup>2</sup>.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა უმკაცრესი რევოლუ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 582.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 168.



ციური წესრიგის დამყარება, სოციალისტური კანონიერების შექმნა და განმტკიცება. 1917 წლის 26 ოქტომბერს გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მუშათა და ჯარისკაცთა დებულებების პეტროგრადის საბჭოს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ ქალაქის მუშები, უღარიბეს გლეხობასთან კავშირში, გამოიჩინენ ურყევ ამხანაგურ დისციპლინას, შექმნიან უსასტიკეს რევოლუციურ წესრიგს, რაც აუცილებელია სოციალიზმის გამარჯვებისათვის“<sup>3</sup>.

სოციალისტური კანონიერების შექმნისა და განმტკიცების აუცილებელ პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა კანონების, მშრომელთა სახელმწიფოებრივი ნების გამოხატეელი სამართლებრივი ნორმების არსებობა. „ნება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — თუ იგი სახელმწიფოებრივია, გამოხატული უნდა იყოს, როგორც ხელისუფლების მიერ დადგენილი კანონი; სხვანაირად სიტყვა „ნება“ ჰაერის ფუჭი შერბევაა ფუჭი ბგერით“<sup>4</sup>. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე ვ. ი. ლენინმა მიუთითა საკანონმდებლო განზრახვლებათა კომისიის შექმნისა და მთავრობის საკანონმდებლო აქტების სისტემატიზაციის აუცილებლობაზე<sup>5</sup>.

საბჭოთა კანონმდებლობის შექმნის თაობაზე ვ. ი. ლენინი მარტო მითითებებს როდი იძლეოდა. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საკოდიფიკაციო საქმიანობას, პირადად მონაწილეობდა სამართლებრივი ნორმების შემუშავებაში, გულდასმით კითხულობდა და რედაქციას უკეთებდა კანონპროექტებს. „განათლებლით იურისტი იგი უღრმეს ინტერესს იჩენდა ამ საქმისადმი. მას ჭონდა მიდრეკილება იურიდიული ტიპის ფორმულებისადმი და ვლადიმერ ილიჩი იყო მათი ოსტატი... ამა თუ იმ სამართლებრივ ფორმულას იგი ეკიდებოდა როგორც ნამდვილ მეცნიერულ საგანძურს, როგორც აზრის დიდ მონაპოვარს“<sup>6</sup>.

ვ. ი. ლენინის მიერ არის დაწერილი საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საკანონმდებლო აქტები, რომელთაც განსაზღვრეს სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი მიმართულებები, დასაბამი მისცეს სოციალისტური კანონიერების შექმნასა და განვითარებას.

1917 წლის 26 ოქტომბერს საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ ერთხმად მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დეკრეტი ზავის შესახებ. დეკრეტმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, განსაზღვრა განსხვავებული საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, ჩამოაყალიბა საერთაშორისო სამართლის ბევრი ახალი დებულება. დეკრეტმა განმარტა სამართლიანი ზავის ცნება, დაგმო ანექსია, როგორც სხვისი მიწებისა და სხვა ხალხთა იძულებითი შემოერთება.

საბჭოების II ყრილობამ ყოველგვარი შესწორების გარეშე დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დეკრეტი მიწის შესახებ, რომელმაც გააუქმა მიწაზე კერძო საკუთრება, შექმნა მიწის საზოგადოებრივი დამუშავების, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნის საკანონმდებლო ბაზა. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი იგონებს თუ როგორ მუშაობდა ვ. ი. ლენინი აღნიშნული დეკრეტის პროექტზე. ეს იყო ზამთრის სასახლის ალების პირველი ღამე. მთელი

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 279.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 95.

<sup>5</sup> იხ. Ленинский сборник XXI, стр. 91—92.

<sup>6</sup> А. В. Луначарский, Ленин как ученый и публицист, М., 1924, стр. 17 — 18.

დამე არ ეძინა რევოლუციის ბელადს, „იგი წერდა, შლიდა, კითხულობდა, აკეთებდა ამონაწერებს, ხელმეორედ წერდა და, ბოლოს, ეტყობა, დაიწყო სუფთად გადაწერა. უკვე თენდებოდა, ნათდებოდა პეტროგრადის გვიანი შემოდგომის დილა, როდესაც ვლადიმერ ილიჩმა ჩააქრო შუქი... როდესაც ყველა ჩაიხვე შევიკრიბეთ ვლადიმერ ილიჩმა ჯიბიდან ამოიღო სუფთად გადაწერილი ფურცლები და წაგვიკითხა განთქმული „დეკრეტი ზავის შესახებ“<sup>7</sup>.

ვ. ი. ლენინმა დაწერა მუშათა კონტროლის შესახებ დებულების პროექტი, რომელიც 1917 წლის 14 ნოემბერს მცირეოდენი შესწორებით დაამტკიცა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. დეკრეტმა დააწესა წარმოებაში მუშათა კონტროლის შემოღება. მუშათა კონტროლის ორგანოებს დაევალით თვალყური ედევნებინათ წარმოებისათვის, განესაზღვრათ საწარმოში გამომუშავების მინიმუმი, გამოერკვიათ პროდუქციის თვითღირებულება, შეემოწმებინათ საწარმოს ანგარიშები და ყველა სხვა საქმიანი მიმოწერა.

ვ. ი. ლენინი არის ავტორი მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციისა, რომელიც 1918 წლის იანვარში მიიღო სრულიად რუსეთის ცაკმა და ერთხმად დაამტკიცა საბჭოების III ყრილობამ. ეს იყო კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტი, რომელმაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში საკანონმდებლო წესით განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი მიზნები: ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა, ექსპლოატატორთა დათრგუნვა, საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა და უკლასო საზოგადოების აშენება.

ვ. ი. ლენინის კალამს ეკუთვნის საბჭოთა სახელმწიფოს პირველი პერიოდის მთელი რიგი სხვა საკანონმდებლო აქტები: დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ, დადგენილება საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ და ა. შ.

სამართალშემოქმედების საკითხებისადმი ვ. ი. ლენინის დიდმა ყურადღებამ და ზრუნვამ განაპირობა ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველივე დღეებიდან საკანონმდებლო საქმიანობა ატარებდა უაღრესად ინტენსიურ და ნაყოფიერ ხასიათს. საბჭოთა სახელმწიფომ მოკლე ხანში გამოსცა მრავალი დეკრეტი, შექმნა სოციალისტური სამართლისა და კანონიერების საფუძვლები. საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები გამოხატავდა მშრომელთა ინტერესებს, განუმარტავდა მასებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, უჩვენებდა მათ ახალი ცხოვრების მშენებლობის გზებს. ახასიათებდა რა რევოლუციის პირველ ხანებში მიღებული დეკრეტების მნიშვნელობას ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „როცა ბოლშევიკებმა ძალაუფლება აიღეს და უბრალო გლეხს, უბრალო მუშას უთხრეს: აი სახელმწიფოს როგორი მართვა გვსურს არსებობდეს, აი დეკრეტი, სინჯეთ. უბრალო მუშასა და გლეხს ჩვენ ერთბაშად ვაცნობდით ჩვენს შეხედულებებს პოლიტიკაზე დეკრეტების ფორმით. ამის შედეგი იყო იმ უდიდესი ნდობის მოპოვება, რომელიც ჩვენ გვქონდა და გვაქვს ხალხის მასებში“<sup>8</sup>.

საბჭოთა სამართალი და კანონიერება იქმნებოდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. საბჭოთა სახელმწიფოს არ გააჩნდა საკანონმდებლო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება, იგი პირველი კვალავდა სოციალის-

<sup>7</sup> «Воспоминания о В. И. Ленине», ч. I, М., 1956, стр. 544.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 356.



ტური სამართლისა და კანონიერების შექმნის გზებს. ვასაგებია, რომ პირველ ხანებში საბჭოთა სამართლებრივი აქტები ფაქტიური თუ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ყოველთვის სრულყოფილი არ იყო, მით უმეტეს რომ გარდა სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოებისა სამართალ-შემოქმედებას ეწეოდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიც. ცალკეული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად პირველ დეკრეტებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს ქონდათ უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობა, რადგანაც მათში ნათლად იყო გამოხატული სოციალისტური მშენებლობის მიზნები და ამოცანები, საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიული ბუნება და არსი. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს ვ. ი. ლენინი წერდა: „დეკრეტები ეს არის ინსტრუქციები, რომლებიც მოუწოდებენ მასობრივი პრაქტიკული საქმისაკენ. აი რა არის მნიშვნელოვანი. დაე, ამ დეკრეტებში ბევრი რამ იყოს უვარგისი, ბევრი რამ იყოს ისეთი, რაც არ განხორციელდება. მაგრამ მათში არის მასალა პრაქტიკული საქმისათვის, და დეკრეტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ასწავლოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა იმ ასობით და მილიონობით ადამიანებს, რომლებიც ყურს უგდებენ საბჭოთა ხელისუფლების ხმას“<sup>9</sup>. საბჭოთა საკანონმდებლო აქტების ნაკლოვანებებისა და ხარვეზების თაობაზე მემარცხენე ესერების დემაგოგიური განცხადების პასუხად 1917 წლის 4 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე ვ. ი. ლენინმა განაცხადა: „დაე ამ კანონებს ბურჟუაზიული საზოგადოების თვალსაზრისით ფორმალური ნაკლოვანებანი ჰქონდეთ, მაგრამ ძალაუფლება ხომ საბჭოების ხელშია, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო შესწორებები შეიტანონ“<sup>10</sup>.

პირველი საბჭოთა დეკრეტების ინსტრუქციული, პროპაგანდისტული ხასიათი სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი სავალდებულო არ იყო შესასრულებლად. ვ. ი. ლენინი ყოველთვის მოითხოვდა იმის უზრუნველყოფას, რომ „ყველა გამოცემული დეკრეტი მხოლოდ დეკრეტად კი არ დარჩეს, არამედ გატარდეს ცხოვრებაში და არ დარჩეს ჰაერში გამოკიდებული“<sup>11</sup>.

მითითებდა რა დეკრეტების დაცვის აუცილებლობაზე ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა სამართლის კოდიფიკაციის საქმეს, მოითხოვდა საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, ყოველმხრივ მოფიქრებული და სრულყოფილი კანონების გამოცემის უზრუნველყოფას. 1918 წლის 15 აპრილს ვ. ი. ლენინმა თავისთან მიიწვია იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები რათა გამოერკვია თუ რა იყო გაკეთებული კანონებისა და განკარგულებათა კრებულის გამოსაცეხად, რა მუშაობა წარმოებდა კოდექსების მოსამზადებლად<sup>12</sup>.

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად ფართოდ გაიშალა საკანონმდებლო მუშაობა, დაიწყო საბჭოთა კანონმდებლობის დარგობრივი კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია, მიღებულ იქნა მთელი რიგი ახალი კანონები. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მომზადება და მიღება, რაც განხორციელდა ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. თვითონ საკონსტიტუციო კომისია დამტკიცდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის მითითებების საფუძველზე,

<sup>9</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 237.

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 333.

<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 267.

<sup>12</sup> В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 50, стр. 58—59.

ზოლო კონსტიტუციის პროექტის საბოლოოდ გადასამუშავებლად შექმნილ სპეციალურ კომისიას თავმჯდომარეობდა ვ. ი. ლენინი.

საბჭოთა კონსტიტუციის შინაარსისა და მიმართულების განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის ისეთმა გენიალურმა შრომებმა, როგორცაა: „აპრილის თეზისები“, „სახელმწიფო და რევოლუცია“, „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ და სხვ. აღნიშნულ ნაშრომებში ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა საბჭოთა კონსტიტუციის თეორიული საფუძვლები, განსაზღვრა პროლეტარიატის დიქტატურის როლი და ამოცანები, ჩამოაყალიბა სოციალისტური დემოკრატიის ძირითადი ნიშნები.

გარდა ამისა, ვ. ი. ლენინი უშუალოდ გაეცნო საბჭოთა კონსტიტუციის პროექტს, რედაქცია გაუკეთა ცალკეულ მუხლებს, შეიტანა პროექტის ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები. ასე, მაგალითად, ვ. ი. ლენინმა თვითონ დაწერა კონსტიტუციის პროექტის მე-11 მუხლი, რომელიც თვალისწინებდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საწარმოო შრომაში ჩაბმულ უცხოელთა სამოქალაქო და პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას რუსეთის მოქალაქეებთან. ვ. ი. ლენინის მითითებების საფუძველზე ჩამოყალიბდა 22-ე მუხლი, რომელმაც დაადგინა საბჭოების რესპუბლიკის მოქალაქეთა სრული თანასწორუფლებიანობა დამოუკიდებლად მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა. პრინციპული მნიშვნელობის მქონე შენიშვნები გააკეთა ვ. ი. ლენინმა კონსტიტუციის პროექტის მთელი რიგი სხვა მუხლების მიმართ<sup>13</sup>.

1918 წელს მიღებულ იქნა პირველი საბჭოთა კოდექსები საოჯახო და შრომის სამართლის დარგებში. ვ. ი. ლენინი მძიმე ავადმყოფობის გამო აღნიშნული კოდექსების დამუშავებაში პირადად ვერ მონაწილეობდა, მაგრამ საოჯახო და შრომითი ურთიერთობების საკითხებზე მისმა შეხედულებებმა დიდი როლი ითამაშა კოდექსების საერთო მიმართულებისა და ძირითადი დებულებების ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ვ. ი. ლენინი მნიშვნელოვან მითითებებს იძლეოდა და პირადად მონაწილეობდა საოჯახო და შრომის სამართლის დარგში კოდექსების მიღებამდე გამოცემული საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში. პ. სტუჩკა აღნიშნავს, მაგალითად, რომ ქორწინების შესახებ 1917 წლის დეკემბერში მიღებული დეკრეტის პროექტის რედაქცია გააკეთა ვ. ი. ლენინმა<sup>14</sup>. სწორედ აღნიშნულმა დეკრეტმა განსაზღვრა პირველად სოციალისტური ოჯახისა და ქორწინების ძირითადი პრინციპები, დაადგინა საოჯახო ურთიერთობის სფეროში ქალისა და მამაკაცის სრული თანასწორობა, შემოიღო თავისუფალი განქორწინების წესი, გაითვალისწინა ქორწინების გარეშე შობილთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ვარანტიები. ახასიათებდა რა აღნიშნულ დეკრეტს ვ. ი. ლენინი მუშათა და ქალთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენ გამოვეცით დეკრეტი. რომელმაც მოსპო ქორწინებით და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მდგომარეობის განსხვავება და მთელი რიგი სხვა შეზღუდვები... ჩვენმა კანონმა ისტორიაში პირველად ამოშალა ყოველივე ის რაც ქალებს უუფლებოს ხდიდა“<sup>15</sup>. 1919 წლის 23 სექტემბერს მუშა ქალთა მოსკოვის I საერთო-საქალაქო უპარტიო კონფერენციაზე ვ. ი. ლენინი შეეხო საოჯახო სამართლის სფეროში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ჩატა-

<sup>13</sup> იხ. «Декреты советской власти», т. II, М., 1959, стр. 546 — 549.

<sup>14</sup> П. Стучка, 13 лет борьбы за революционно-марксистскую теорию, права, М., 1931, стр. 154.

<sup>15</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 207-208.

რებულ საკანონმდებლო საქმიანობას და აღნიშნა: „საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მშრომელთა ხელისუფლებამ, მისი არსებობის პირველ თვეებშივე, ფრიად გადამწყვეტი გადატრიალება მოახდინა კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც ქალს ეხება. საბჭოთა რესპუბლიკაში ქვა-ქვაზე არ დარჩა იმ კანონებიდან, რომლებიც ქალებს დამორჩილებულ მდგომარეობაში აყენებდა“<sup>16</sup>.

რაც შეეხება სოციალისტური შრომითი ურთიერთობების შექმნასა და განმტკიცებას ვ. ი. ლენინს აღნიშნული საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდა. ვიდრე ბურჟუაზიის დამხობა. სოციალისტური შრომის დისციპლინის შექმნასა და განმტკიცებას ვ. ი. ლენინი თვლიდა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ საჭირობოროტო ამოცანად, სოციალიზმის გამარჯვების აუცილებელ პირობად<sup>17</sup>. პირველი საბჭოთა შრომის კოდექსის მნიშვნელობა ვ. ი. ლენინმა ასე დაახასიათა: „ეს საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარია, რომ იმ დროს, როდესაც ყველა ქვეყანა ილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ, ჩვენ გამოვდივართ კოდექსით რომელიც მტკიცედ ამყარებს მუშათა კანონმდებლობის საფუძვლებს, როგორც, მაგალითად. 8-საათიან სამუშაო დღეს“<sup>18</sup>.

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის, საოჯახო და შრომის კოდექსების, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი კანონების მიღებისთანავე ვ. ი. ლენინმა წინა პლანზე წამოაყენა სოციალისტური კანონიერების, მიღებული სამართლებრივი ნორმების ზუსტად და განუხრელად დაცვის ამოცანა. 1918 წლის ნოემბერში სრულიად რუსეთის საბჭოების VI საგანგებო ყრილობამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით განიხილა და მიიღო დადგენილება კანონების ზუსტად დაცვის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე წინასწარ შედგენილი თეზისების მონასახში ვ. ი. ლენინი წერდა, რომ კანონიერება უნდა ამაღლდეს. ე. ი. მკაცრად იქნას დაცული, რადგანაც კანონიერების საფუძვლები უკვე დადგენილია<sup>19</sup>. ვ. ი. ლენინის ეს აზრი საფუძვლად დაედო ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებას, რომელმაც მოუწოდა ყველა მოქალაქეს, ორგანოსა და თანამდებობის პირს მკაცრად დაეცვათ კანონები, ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული დეკრეტები და განკარგულებანი. დადგენილებაში აღინიშნა, რომ რუსეთის მუშათა კლასმა რევოლუციური ბრძოლის ერთი წლის მანძილზე შეიმუშავა კანონების საფუძვლები, რომელთა ზუსტი და განუხრელი დაცვა აუცილებელია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის<sup>20</sup>.

ვ. ი. ლენინის განკარგულებით დადგენილება „კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“ სასწრაფოდ გამოქვეყნდა ცალკე ბროშურად და საგანგებოდ დაეგზავნა სახკომსაბჭოს წევრებსა და სახალხო კომისარიატებს. 1919 წლის 6 სექტემბერს ვ. ი. ლენინმა ყველა კომისარიატის კომისარებსა და კოლეგიის წევრებს გაუგზავნა სპეციალური წერილი, რომელშიც მიუთითა აღნიშნული დადგენილების განუხრელად შესრულების აუცილებლობაზე<sup>21</sup>. ლ. ფოტიევა თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ვ. ი. ლენინს სახკომსაბჭოს სხდომებზე ყოველ-

16 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 28.

17 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 479; В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 36, стр. 146.

18 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 462-463.

19 იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 37, стр. 129.

20 ОСУ РСФСР 1918 г., № 90, стр. 908.

21 В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 51, стр. 45.

თვის თან ქონდა კანონების დაცვის შესახებ მიღებული დადგენილება, უთითებდა მასზე და შეახსენებდა მის შესახებ სახალხო კომისრებს<sup>22</sup>.

საბჭოების მეექვსე ყრილობის დადგენილებამ, ვ. ი. ლენინის ზრუნვამ ამ დადგენილების განხორციელებისათვის დიდი როლი შეასრულა სოციალისტური კანონიერებისა და რევოლუციური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში. მაგრამ ამის შემდეგაც ზოგიერთ რაიონში და ოლქში ადგილობრივმა ხელისუფლებამ მთლად სწორად ვერ შეაფასეს კანონიერების დაცვის მოთხოვნის მნიშვნელობა. ისინი განაგრძობდნენ თავიანთი ადგილობრივი კანონების გამოცემას. ზოგჯერ ეს კანონები არსებითად ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური ხელისუფლების კანონებს, რაც ბუნებრივია უარყოფით გავლენას ახდენდა კანონიერების დაცვის მდგომარეობაზე. ვ. ი. ლენინმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და მისი ინიციატივით თავდაცვის საბჭომ 1918 წლის დეკემბერში მიიღო სპეციალური დადგენილება ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ზუსტად და სწრაფად შესრულების შესახებ.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ მსოფლიო იმპერიალიზმის ახალი ინტერვენციის და ქვეყნის შიგნით მტრული კლასების გააქტიურება მოითხოვს ვარეშე და შინა კონტრრევოლუციისთან საბრძოლველად ყველა ძალეების შეკავშირებასა და მობილიზაციას. ყველა მოქმედების ცენტრალიზაცია, საბჭოთა კანონების ზუსტად და სწრაფად შესრულება აუცილებელია როგორც არასოდეს. დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნული იყო, რომ ადგილობრივი დაწესებულებების ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ამუხრუჭებს და ზღუდავს ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობას, დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს შესაბამისი სახალხო კომისრების მითითებით. ადგილობრივ ორგანოებს დაევალა ზუსტად და უსიტყვოდ შეესრულებინათ ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებები<sup>23</sup>.

მეტად საგულისხმოა, რომ სამოქალაქო ომის მძიმე წლებშიც კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მკვეთრად გადამწყვეტი და მკაცრი ზომები ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა სოციალისტური კანონიერების დაცვას. ცნობილ „წერილში მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო“, რომელიც დაწერილია 1919 წლის აგვისტოში, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ კოლჩაკზე და დენიკინზე საბოლოო გამარჯვებისათვის აუცილებელია რევოლუციური წესრიგი, საბჭოთა ხელისუფლების კანონების უმკაცრესი დაცვა. „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხ ვ რ ე ლ ი ა, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები, — ხ ე ლ ჩ ა ს ა კ ი დ ი ა კოლჩაკისა და დენიკინის გამარჯვებისათვის“<sup>24</sup>.

სამოქალაქო ომის დამთავრებისა და მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საბჭოთა სამართლისა და სოციალისტური კანონიერების განვითარებისათვის. 1922 წლის 15 თებერვალს ვ. ი. ლენინი სწერს იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის სასწრაფოდ აცნობონ თუ რას აკეთებს საკანონმდებლო წინადადებათა განყოფი-

<sup>22</sup> «Воспоминания о В. И. Ленине», ч. II, М., 1957, стр. 205.

<sup>23</sup> СУ РСФСР 1918 г., № 93, стр. 929.

<sup>24</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 661.



ლება კანონთა კოდიფიკაციისა და კანონებში არსებულ წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად<sup>25</sup>.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებამ წარმოშვა მთელი რიგი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც საჭიროებდა სამართლებრივ რეგულირებას, სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევას. „ჩვენ უნდა გავიგოთ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რომ ახლანდელი კონკრეტული პირობები მოითხოვენ ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის სახელმწიფო რეგულირებას და რომ სწორედ ამ სფეროში უნდა გამოვიჩინოთ თავი“<sup>26</sup>.

მიუთითებდა რა ნების შედეგად აღმოცენებულ ურთიერთობათა საკანონმდებლო წესით რეგულირების საჭიროებაზე ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სწორად განესაზღვრათ კერძო კაპიტალისტური ბრუნვის მოცულობა, სწორად გაეგოთ თვითონ ნების არსი, მისი დაშვების აუცილებლობა და ფარგლები ნები იყო კაპიტალიზმისადმი დათმობა, მაგრამ დათმობა „იმ ფარგლებამდე, რომლებშიც შესაძლებელია ხელისუფლების შენარჩუნება“<sup>27</sup>. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ნები ვერავითარ საფრთხეს ვერ შეუქმნის საბჭოთა ხელისუფლებას თუ კი „პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება შესძლებს, გლახობაზე დაყრდნობით, სათანადო ლაგამი ამოსდოს ბატონ კაპიტალისტებს, რათა კაპიტალიზმი წარმართოს სახელმწიფოებრივი კალაპოტით და შექმნას სახელმწიფოსადმი დამორჩილებული და მის სამსახურში მყოფი კაპიტალიზმი“<sup>28</sup>.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის შექმნის თაობაზე ვ. ი. ლენინის პირველივე მითითება მიმართული იყო სწორედ იქითკენ, რომ ნების პოლიტიკის გატარებაში არ დამახინჯებულყო პარტიის გენერალური ხაზი და რაც მთავარია ამ დამახინჯებას არ მიეღო კანონის სახე. 1922 წლის 15 თებერვალს ვ. ი. ლენინი სწერს დ. ი. კურსკის, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს უფლებათა სრული გარანტია როგორც რევიზიონსა და კონტროლზე, ასევე გარიგებათა გაუქმებაზე<sup>29</sup>.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი მუშავდებოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატში. კოდექსის პროექტის შემუშავებელი კომისიის ზოგიერთი წევრი მოითხოვდა, რომ კოდექსში ფართოდ ასახულიყო ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლის ნორმები, რაც ხელს შეუწყობდა კაპიტალისტურ სამყაროსთან საბჭოთა სახელმწიფოს ქონებრივი ურთიერთობის განვითარებას. ვ. ი. ლენინმა მკაცრად გაილაშქრა ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ. 1922 წლის 20 თებერვალს დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი სწერდა: „ჩვენ არაფერს „კერძოს“ არ ვცნობთ, ჩვენთვის ყველაფერი მეურნეობის დარგში საჯარო-სამართლებრივია და არა კერძო... გავაფართოოთ „კერძო-სამართლებრივ“ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევის გამოყენება, გავაფრთხილოთ სახელმწიფოს უფლება გააუქმოს „კერძო“ ხელშეკრულებანი, გამოვიყენოთ „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების“ მიმართ არა corpus juris

<sup>25</sup> იხ. **В. И. Ленин**, Полн. собр. соч., т. 54, стр. 166.

<sup>26</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 100.

<sup>27</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 633.

<sup>28</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 57.

<sup>29</sup> იხ. **В. И. Ленин**, Полн. собр. соч., т. 54, стр. 169.

romani, არამედ ჩვენი რევოლუციური სამართლებრივი ნებეა“<sup>30</sup>.

1922 წლის 21 თებერვალს სახკომსაბჭომ განიხილა სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტი. ავადმყოფობის გამო ვ. ი. ლენინი განიხილვას ვერ დაესწრო. მოხდა ისე, რომ პროექტიდან ამოღებულ იქნა ის მუხლები, რომლებიც ეხებოდა კერძო პირთა იმ ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო ინტერესებს. ვ. ი. ლენინი აღამფოთა ამ გარემოებამ და მეორე დღესვე გაუგზავნა წერილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს. ვ. ი. ლენინმა მოითხოვა შექმნილიყო კომისია, რომელიც მოკლე დროში წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლის კოდექსის დამატებებსა და ცვლილებებს პოლიტიბიუროზე განსახილველად. ვ. ი. ლენინმა კომისიას მთავარ ამოცანად დაუსახა პროექტის გადამუშავებისას უზრუნველყოთ სახელმწიფოს ინტერესები კერძო წარმოებაზე კონტროლის გაწევისა და მშრომელთა ინტერესების საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისა და კერძო გარიგებების ბათილად ცნობის თვალსაზრისით<sup>31</sup>.

ვ. ი. ლენინის მითითებების შესაბამისად სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტი გადამუშავდა და 1922 წლის 31 ოქტომბერს დამტკიცდა სრულიად რუსეთის ცაკის IX მოწვევის IV სესიაზე. სესიაზე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი და სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესახებ აღნიშნა: „ჩვენ აქაც ვცდილობდით დაგვეცვა ზღვარი იმას შორის, რაც წარმოადგენს ყოველი მოქალაქის კანონიერ დაკმაყოფილებას, დაკავშირებულს თანამედროვე ეკონომიურ ბრუნვასთან, და იმას შორის, რაც წარმოადგენს ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბოროტად გამოყენებას, რაც ყველა სახელმწიფოში ლეგალურია და რისი ლეგალიზაციაც ჩვენ არა გვსურს“<sup>32</sup>.

დიდა ვ. ი. ლენინის დამსახურება სისხლის სამართლის კოდექსის დამუშავების საქმეში. სამართლის ამ დარგს, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო საბჭოთა სახელმწიფოს დამსჯელი პოლიტიკა ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ეკიდებოდა. 1922 წლის მაისში ვ. ი. ლენინი პირადად გაეცნო სისხლის სამართლის კოდექსის შესავალი ნაწილის პროექტს და უაღრესად საყურადღებო მითითებები მისცა მის შემდგენელთ. კერძოდ, ვ. ი. ლენინმა მოითხოვა კონტრარევოლუციური დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება და ბრალის ხარისხის შესაბამისად სასჯელის დიფერენციაცია. ვ. ი. ლენინმა მიუთითა აგრეთვე, რომ კონტრარევოლუციური ქმედობის განსაზღვრისას მოენახათ კანონის ისეთი ფორმულირება, საიდანაც ნათელი იქნებოდა ამ ქმედობის კავშირი საერთაშორისო ბურჟუაზიასთან და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მის ბრძოლასთან<sup>33</sup>. გარდა ამისა, ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა კონტრარევოლუციური დანაშაულის ცნების რამდენიმე ვარიანტი, რომელთა საფუძველზე მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესაბამისი მუხლების გადამუშავება.

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დამუშავდა მიწის სამართლის კოდექსი, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობის შესახებ მთელი რიგი სხვა ფუძემდებლური აქ-

<sup>30</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 645.

<sup>31</sup> იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 44, стр. 401.

<sup>32</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 465.

<sup>33</sup> იხ. Полн. собр. соч., т. 45, стр. 189 — 190.



ტები. აჯამებდა რა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მოკლე დროში ჩატარებულ საკოდიფიკაციო საქმიანობის შედეგებს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „თუ მიმდინარე ცხოვრება გამოამყლავნებს ბოროტმოქმედებას, რაც წინათ ვერ შევამჩნიეთ, მაშინვე შევიტანთ საჭირო შესწორებებს. ამ მხრივ თქვენ ყველამ აცით, რომ კანონმდებლობის ისეთი სისწრაფე, როგორც ჩვენშია, სხვა სახელმწიფოში, სამაწყუხაროდ, არ არი“.<sup>34</sup>

საბჭოთა კანონმდებლობამ, სოციალისტურმა კანონიერებამ განვითარებისა და სრულყოფის დიდი გზა განვლო. საბჭოთა სამართალი შეივსო ახალი დარგებით, დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა საკანონმდებლო ტექნიკა, განუზომლად ამაღლდა სამართლისა და კანონიერების როლი. სამართალშემოქმედების ლენინური პრინციპები, კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ლენინური სტილი დღესაც საფუძვლად უდევს პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ მუშაობას სოციალისტური კანონიერების შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის.

<sup>34</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 465.

# საბინაო უზღაბების წარმოშობის საფუძვლები

პროფ. შ. ჩიკვაშვილი

საბინაო სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოიშობებიან საცხოვრებელი ფართობით სარგებლობისას.

მათი წარმოშობის საფუძვლების გამორკვევა დიდ იურიდიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს.

საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები სხვადასხვა საბინაო ფონდების სახლებში ერთნაირი არ არის.

საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოიშობა გარკვეული იურიდიული ფაქტების საფუძველზე, მაგრამ მათი წარმოშობის საფუძველი ყოველთვის ერთი და იგივე იურიდიული ფაქტები როდია. ზოგ შემთხვევაში საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს ურთიერთობების მონაწილეთა ინდივიდუალური ნების გამოვლინება, რომელიც გამოისახება საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების ფორმით. სხვა შემთხვევებში კი მართოდენ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ნების გამოვლინება საკმარისი არ არის, რამდენადაც ის უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ წინამძღვრებს. საბჭოთა კანონმდებლობა უშვებს ისეთ შემთხვევასაც, როცა საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობანი შეიძლება წარმოიშვას საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების დადების გარეშეც.

ამა თუ იმ იურიდიული ფაქტების არსებობა საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტიურ შემადგენლობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფონდის ბინაზე წარმოიშობა საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობა.

ამიტომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის პროცესის გამოკვლევის დროს მიზანშეწონილია ნაჩვენები იქნას საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა აღმოცენების პროცესი როგორც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში, ასევე, მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებშიც.

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოიშობა მესაკუთრის მიერ დამქირავებელთან დადებული საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. მესაკუთრის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მის სახლში პირის შესახლება.

საბინაო ორგანოებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლების საცხოვრებელი ფართობის გაქირავების საკითხებში, თუნდაც მესაკუთრეს დიდი ფართობი ეკავოს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საბინაო-უფლებრივი ურთიერთობანი მართოდენ საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხელშეკრულების საფუძველზე არ აღმოცენდება. მას წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში წარმოშობილი იურიდიული ფაქტები. კერძოდ,

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება ადგილობრივი საბჭოების სახლებში დაიდება კონკრეტული პირისთვის ბინის მიცემის შესახებ აღმასკონის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო სახელმწიფო, კოლხე-რაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახლებში სათანადო ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე (რომელსაც ამტკიცებს აღმასკომი). საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ამ სადგომის დასაკავებლად მოქალაქეს აძლევს ორდერს, რომელიც, თავის მხრივ, არის საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების დადების საფუძველი.

მაშასადამე, საცხოვრებელი ფართობის დაკავებას, განხილულ შემთხვევაში, წინ უძღვის იურიდიული ფაქტების კომპლექსი: აღმასკომის გადაწყვეტილება საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ, ორდერის გაცემა და საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დადება, რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ დასახელებულ იურიდიულ ფაქტს საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის?

ამ საკითხის ირგვლივ იურიდიულ ლიტერატურაში ერთნაირი აზრი არ არსებობს. აღნიშნული პრობლემის თეორიული განხილვა ჯერ კიდევ 1940 წელს სცადა ს. ი. ასკნაზიმ. მისი კონცეპციის მიხედვით, საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის შინაარსს შეადგენს დამქირავებლისა და გამქირავებლის უფლება-მოვალეობანი, წარმოიშობა საბინაო ორგანოების ადმინისტრაციული აქტის-ორდერის საფუძველზე. ს. ი. ასკნაზის აზრით, ხელშეკრულება მხოლოდ აფორმებს უკვე წარმოშობილ უფლებას<sup>1</sup>.

ამ შეხედულებამ გამოიწვია ხანგრძლივი დისკუსია, რომელმაც გამოავლინა კიდევ ორი თვალსაზრისი საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების პრობლემის ირგვლივ.

პირველი თვალსაზრისის მიხედვით, ორდერი დამქირავებელს ანიჭებს მხოლოდ უფლებას მოითხოვოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დადება, ეს ხელშეკრულება კი არის ის უფლებაწარმოქმნითი ფაქტი, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობა<sup>2</sup>.

ანალოგიური პოზიცია დაიკავეს შემდეგ ბრაუდემ და პერგამენტმა<sup>3</sup>.

მეორე თვალსაზრისის მომხრენი თვლიან, რომ საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობა და, მაშასადამე, სუბიექტების ურთიერთუფლებები და მოვალეობები, კერძოდ, დამქირავებლის უფლება ისარგებლოს სადგომით, წარმოიშობა რთული იურიდიული შედგენილობიდან, სახელდობრ, ადმინისტრაციული აქ-

<sup>1</sup> იხ. **С. И. Аскназий**, Советское жилищное право. Юриздат, 1940, стр. 61; იხ. მისივე სტატია «Некоторые вопросы методики Советского гражданского права», Журн. «Советское государство и право», 1940, № 8—9, стр. 86.

<sup>2</sup> **С. Н. Братусь**, Рецензия на книгу проф. С. И. Аскназия «Советское жилищное право», журн. «Советское государство и право», 1941, № 2, стр. 129; **М. Нечецкий**, Значение договора жилищного найма, «Ученые записки Саратовского юридического института», 1957, вып. V, стр. 148—150.

<sup>3</sup> **С. И. Аскназий**, **И. Л. Брауде**, **А. И. Пергамент**, Жилищное право, Госюриздат, 1956, стр. 86—88.

ტისა და მის საფუძველზე დადებული საბინაო ქირავნობის ხელშეკრულების შეთავსებიდან<sup>4</sup>.

ეს მეორე შეხედულება გაიზიარეს ვ. ფ. ჩიგირმა<sup>5</sup> და ი. კ. ტოლსტოიმ<sup>6</sup>, რომლებიც თვლიან, რომ საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების საფუძველს წარმოადგენს ოთხი იურიდიული ფაქტის ერთობლიობა: 1) აღმასკომის (ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის) გადაწყვეტილება, 2) ორდერის გაცემა, 3) ორდერის მქონე პირის შესახლება, 4) წერილობითი ხელშეკრულების დადება.

ამით ღისკუსია თითქოს უნდა დამთავრებულიყო. 1963 წლისათვის ყველა ავტორი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გამოერკვიათ საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები, ძირითადად შეთანხმდნენ იმაზე, რომ ადმინისტრაციული აქტი (ორდერი) და ხელშეკრულება წარმოადგენენ საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის უფლებაწარმოქმნელ ფაქტებს. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ იმის ირგვლივ იყო, თუ რომელ იურიდიულ ფაქტს აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

მაგრამ 1963 წელს ი. გ. ბასინის შრომის — „საბჭოთა საბინაო სამართლის საკითხების“ გამოქვეყნების შემდეგ დავა საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლების იურიდიული შედგენილობის შესახებ კვლავ გაცხოველდა. ამ შრომაში ი. გ. ბასინი ავითარებს კონცეპციას, რომელიც უახლოვდება ს. ი. ასკნაზის პირვანდელ შეხედულებას. ი. გ. ბასინის აზრით, საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობა მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში წარმოიშობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების გარეშე. ხელშეკრულების არარსებობა გავლენას ახდენს დამქირავებლის უფლებების შინაარსსა და მოცულობაზე და არა სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც ასეთის, არსებობაზე<sup>7</sup>.

საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის პროცესში ი. გ. ბასინი განასხვავებს სამ სტადიას: პირველი-ბინის მიცემა, ე. ი. მოქალაქისთვის სადგომის გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოტანა. ეს სტადია მისი დაწყებიდან (მოქალაქის მიმართვიდან კომპეტენტურ ორგანოსადმი) დამთავრებამდე (ორდერის გაცემამდე) მიმდინარეობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მეორე სტადია — სადგომის გადაცემა — იწყება ორდერის გაცემის მომენტიდან ორდერის მქონე პირის მიერ ბინის ფაქტიურ დაკავებამდე. ამ სტადიაში წარმოიშობა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა სახლმმართველობასა და იმ პირს შორის, რომელსაც მიეცა ბინა ორდერით. მესამე სტადია არის საბინაო-სამართლებრივი ურთიერ-

<sup>4</sup> С. О. Иоффе, Советское гражданское право, ч. II, изд-во ЛГУ, 1961, стр. 88; Советское гражданское право, Госюриздат, 1961, стр. 117; Г. И. Петрищева, Основания возникновения жилищных правоотношений в государственном жилищном фонде, «Ученые записки Свердловского Юридического института», 1958, стр. 60.

<sup>5</sup> В. Ф. Чигир, Советское жилищное право, ч. I, Минск, 1960, стр. 98.

<sup>6</sup> И. С. Иоффе, Ю. К. Толстой, Основы Советского гражданского законодательства, изд-во ЛГУ, 1962, стр. 124. ამ საკითხზე ი. კ. ტოლსტოის ახლანდელი მოზიცივა გაშუქებული იქნება ქვემოთ.

<sup>7</sup> Ю. Г. Басин, Вопросы Советского жилищного права, Алма-Ата, 1963, стр. 35; მისივე «Основания возникновения и юридическая характеристика жилищных прав граждан», «Ученые записки Казахского Государственного Университета им. С. М. Кирова», серия юридическая, выпуск 6, Алма-Ата, 1960, стр. 346—353.



თობა, რომელიც იწყება ორდერის მქონე პირის ფაქტიური შესახლებით სადგომში<sup>8</sup>.

ამრიგად, ი. გ. ბასინი თვლის, რომ საბინაო ურთიერთობანი წარმოიშობიან უშუალოდ ადმინისტრაციული აქტიდან. ხელშეკრულებას კი ი. გ. ბასინი მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას ი. გ. ბასინი იხილავს როგორც ბინის შენარჩუნების უზრუნველყოფას, მისი რაც შეიძლება მიზანშეწონილად გამოყენების საშუალებას და არა როგორც საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა შედგენილობის უფლებამწარმოქმნელ ელემენტს.

1965 წელს გამოცემულ შრომაში ი. კ. ტოლსტოიც უარყოფს თავის წინანდელ პოზიციას. მისი ახალი შეხედულება მთლიანად გამორიცხავს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების, როგორც საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენებაში უფლებაწარმოქმნელი ფაქტის მნიშვნელობას. ი. კ. ტოლსტოის აზრით, მხოლოდ ორდერი მის წინ შესრულებულ ადმინისტრაციულ აქტებთან ერთად, წარმოშობს სამოქალაქო უფლებას — საცხოვრებელი სადგომის დაკავების უფლებას.<sup>9</sup>

როგორც ვხედავთ, ი. გ. ბასინი და ი. კ. ტოლსტოი თავისი შეხედულებით უბრუნდებიან საწყის პოზიციას, რომლიდანაც დაიწყო დისკუსია საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის პრობლემის ირგვლივ. დაუბრუნდა რა ს. ი. ასკნაზის პირვანდელ პოზიციას, ი. გ. ბასინი შეეცადა დაწვრილებით დაესაბუთებინა იგი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ი. გ. ბასინის პოზიცია დამაჯერებელი არ არის. არ ვავიშვებთ იურიდიულ ლიტერატურაში უკვე მოყვანილ არგუმენტებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა ფაქტიურ შედგენილობაში, მხოლოდ დავიმოწმებთ მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 290-ე მუხლი ადგენს, რომ საცხოვრებელი სადგომი ქირავნობის ხელშეკრულებით, გამქირავებელი ვალდებულია მისცეს დამქირავებელს სასყიდლით საცხოვრებელი სადგომი. ამავე კოდექსის 291-ე მუხლის მიხედვით. ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის აღმასკომის გადაწყვეტილება (ადგილობრივი საბჭოების სახლების მიმართ) ან ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილება, დამტკიცებული ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ (სახელმწიფო, კოლხეზური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლების მიმართ) საცხოვრებელი სადგომის გაქირავების შესახებ, რის საფუძველზეც გაიცემა ორდერი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 294-ე მუხლი ავალდებს სახლმმართველობას დადოს მოქალაქესთან, რომლის სახელზე გაცემულია ორდერი, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის წერილობითი ხელშეკრულება. მაშასადამე, საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის პროცესში მოქალაქე ღებულობს აღმასკომის გადაწყვეტილების (ან ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილების) საფუძველზე გაცემულ ორდერს და დებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას.

ი. გ. ბასინის მიერ საბინაო სამართლებრივი ურთიერთობების ფაქტიურ

<sup>8</sup> იხ. ი. გ. ბასინი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 81.

<sup>9</sup> О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, изд-во ЛГУ, 1965, стр. 276.

შედგენილობაში საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების, როგორც უფლებაწარმომქმნელი ელემენტის, მნიშვნელობის უარყოფა არ შეესაბამება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295-ე და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუხლებს, რომლებიც ადგენენ, რომ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით განისაზღვრება არა მართო ბინისა და საერთო დამხმარე სათავსოებით სარგებლობის წესი, როგორც ამას ი. გ. ბასინი ფიქრობს,<sup>10</sup> არამედ ამავე ხელშეკრულებით ქირავდება აგრეთვე საცხოვრებელი სადგომი. აქედან ნათელია, რომ საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობათა წარმოშობის პრობლემის გამოკვლევისას არ შეიძლება ორდერისა და ხელშეკრულების მნიშვნელობის საკითხების იზოლირებულად განხილვა. ეს საკითხები ურთიერთ დაკავშირებული და ურთიერთ განპირობებული არიან და წარმოადგენენ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და სახელმწიფო. კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა აღმოცენების ფაქტიური შემადგენლობის ცალკეულ ნაწილებს.

რამდენადაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები წარმოადგენენ კოოპერაციულ ორგანიზაციებს, პირველი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ორდერი და ხელშეკრულება აგრეთვე წარმოადგენენ საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის უფლებაწარმომქმნელ ფაქტებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში. ეს შეხედულება თითქოს დასტურდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების ნორმითაც, რომელიც ადგენს, რომ „საცხოვრებელი სადგომი კოოპერატივის სახლებში მიეცემა კოოპერატივის იმ წევრებს; რომლებმაც შეიტანეს შესასვლელი და საპაიო შენატანები და მიიღეს კოოპერატივის სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ორდერები, კოოპერატივის წევრთა და მათი ოჯახების დამტკიცებული სიის შესაბამისად“.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების სამართლებრივი რეჟიმი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების სახლების სამართლებრივი რეჟიმისაგან, რის გამოც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 291-ე მუხლით დადგენილი წესი საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მიმართ არ გამოიყენება. ეს განსხვავება განპირობებულია იმით, რომ საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობანი გამოძინარეობენ იქიდან, რომ მეზაიე თავისი სახსრებით უშუალოდ იღებს მონაწილეობას კოოპერატივის კოლექტიური საკუთრების შექმნაში. კოოპერატივის თითოეული წევრი თავისი საპაიო შენატანით მონაწილეობს კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში და, მაშასადამე, კოოპერაციული სოციალისტური საკუთრების შექმნაში. ამ გარემოების გამო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი, როგორც კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე, სხვა იურიდიულ მდგომარეობაშია, ვიდრე დამქირავებელი მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში ან პირად მესაკუთრეთა სახლებში. ამასთან დაკავშირებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობის წარმოშობის პროცესი მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდება.

<sup>10</sup> Ю. Г. Басин, Вопросы Советского жилищного права, Алма-Ата, 1963, стр. 34.

11023

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების საცხოვრებელი სადგომების განაწილებას ახდენენ კოოპერატივების წევრთა საერთო კრებები მხოლოდ კოოპერატივის წევრ-მეპაიეთა შორის ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე და, როგორც წესი, მშენებლობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისთანავე.

საერთო კრების ამ გადაწყვეტილების შესაბამისად კოოპერატივის გამგეობა ადგენს მეპაიეთა შორის ბინების განაწილების პროექტს, რომელიც აუცილებლად უნდა შეუთანხმდეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ადგილსამყოფელის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს. აღმასკომი ამოწმებს წესდების მოთხოვნების დაცვას საცხოვრებელი სადგომების განაწილებისას, არკვევს შეესაბამება თუ არა მისაცემი საცხოვრებელი სადგომის ფართობი კოოპერატივის წევრის საპაიო შენატანს და სხვ. წესდების დარღვევების გამოვლინების შემთხვევაში აღმასკომს უფლება აქვს მოითხოვოს მათი გამოსწორება. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი სადგომის განაწილების უფლება აღმასკომს არა აქვს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ერთ-ერთ კონკრეტულ საქმეზე მიუთითა, რომ „სახლი, რომელშიც სადავო ბინაა, ეკუთვნის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს და მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს თავისი ქონების განკარგვის უფლება. სადავო ბინაში საბინაო ორგანოების მიერ ხუნწარაის შესახლება სწორი არ არის“.<sup>11</sup>

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ბინების განაწილების გეგმის აღმასკომთან შეთანხმების შემდგომ კოოპერატივის გამგეობას საკითხი დასამტკიცებლად გამოაქვს საერთო კრებაზე, რადგანაც საცხოვრებელი სადგომების განაწილება კოოპერატივის წევრთა შორის საერთო კრების პრეროგატივას შეადგენს და არ შეიძლება გადაეცეს გამგეობას — კოოპერატივის აღმასრულებელ ორგანოს.

მაგრამ საერთო კრების მიერ მუდმივი სარგებლობისათვის მიკუთვნებულ საცხოვრებელ სადგომში კოოპერატივის წევრის შესახლებისათვის საჭიროა საბინაო ორგანოს განკარგულება (ორდერი). კოოპერატივის სახლის სადგომებში ორდერის მიღებამდე შესახლება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს და უორდეროდ შესახლებული პირი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი კოოპერატივის წევრი, გამოსახლებულ უნდა იქნეს.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების ბინებში შესახლების ორდერებს იძლევა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხსენებული აღმასკომი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საცხოვრებელი სადგომები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელ ფართობს კოოპერატივის წევრთა შორის ანაწილებს მხოლოდ და მხოლოდ საერთო კრება. საერთო კრებების გადაწყვეტილებათა საფუძველზე აღმასკომი მხოლოდ აფორმებს ამ სახლებში კოოპერატივის წევრ-მეპაიეთა ჩასახლებას ორდერის გაცემით. საერთო კრების გადაწყვეტილების შეუსაბამოდ გაცემული ორდერი ბათილია.

ამრიგად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საცხოვრებელი სადგომების განაწილებისას საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელ-

<sup>11</sup> «Социалистическая законность», 1958, № 5, стр. 90.

შეკრულება არ დაიდება და, მასასადამე, ხელშეკრულება არც წარმოადგენს საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმომქმნელ ფაქტს. ამიტომ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სწორედ ორდერია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა უფლებაწარმომქმნელი ფაქტი. მაგრამ არც ეს თვალსაზრისია სწორი. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის საცხოვრებელი ფართობის მიმართ ორდერს არ გააჩნია ის უფლებაწარმომშობი ფაქტის მნიშვნელობა, რაც მას აქვს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლების საცხოვრებელი ფართობის მიმართ.

არავითარ ვალდებულებით-უფლებრივ ურთიერთობას მეპაიესა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს შორის ორდერი არ წარმოქმნის. ორდერის გაცემის მომენტისათვის უკვე წარმოშობილია საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობა.

ორდერის გაცემას საკონტროლო მნიშვნელობა აქვს. მისი გაცემისას მოწმდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა სახლებში ბინების მიმღებ წევრ-მეპაიეთა სიები, მათი შესაბამისობა უწინ შედგენილ და აღმასკომთან კოოპერატივის დაარსების დროს შეთანხმებულ სიებთან, კოოპერატივის წევრებისათვის ბინების მიკუთვნების სისწორე, სახლის (სახლების) მზადყოფნა შესახლებისათვის, გარკვეულ შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში კოოპერატივის წევრების მიერ წინათ დაკავებული ბინების ჩაბარება და სხვ.

თუ ყველა პირობა დაცულია და წესდების არავითარი მოთხოვნა დარღვეული არ არის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს არა აქვს უფლება უარი თქვას ორდერის გაცემაზე. დავა ამ საკითხთან დაკავშირებით განიხილება სასამართლოს მიერ საერთო სასარჩელო წესით.

რა თქმა უნდა, კოოპერატივის სახლის მშენებლობის პერიოდში დამტკიცებულ სიაში შეტანილ პირთა ოჯახურ მდგომარეობაში შეიძლება ცვლილებები მოხდეს. მაგალითად, შეიძლება სრულწლოვანი ქალიშვილი გათხოვდეს და დამოუკიდებელი ოჯახი შექმნას. შეიძლება ისეთი მდგომარეობაც, როდესაც სახლის მშენებლობის პერიოდში კოოპერატივის წევრ-მეპაიესთან ოჯახური კავშირის გამწყვეტი პირი დარჩეს ძველ ფართობში. ამიტომ ოჯახური მდგომარეობის ცვლილებების ფაქტები, ზედმიწევნით უნდა შემოწმდეს და დადასტურდეს. უწინდელ საცხოვრებელ ადგილას საცხოვრებელ ფართობზე ასეთი პირების უფლების შენარჩუნების თაობაზე წამოჭრილი დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

ამგვარად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში ორდერი არ წარმოშობს საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობებს და ამავე დროს არ იღება არც საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება. მამ რა იურიდიული ფაქტი განაპირობებს საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობათა აღმოცენებას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში?

როგორც აღვნიშნეთ, საცხოვრებელი ფართობი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში შეიძლება მიეცეს მხოლოდ კოოპერატივის წევრს. მასასადამე, კოოპერატივის წევრობა წარმოადგენს საბინაო-სამართლებრივ ურთიერთობის წარმოშობის უფლებაწარმომქმნელ ფაქტს.

მაგრამ კონკრეტულ საცხოვრებელ სადგომზე უფლების წარმოშობისთვის საჭიროა კიდევ მეორე იურიდიული ფაქტის არსებობა.

კოოპერატივში წევრად მიღება წარმოშობს საწევრო ურთიერთობებს. ამ ურთიერთობათა შინაარსს უფლებამოვალეობანი შეადგენს. ერთ-ერთი ასეთი უფლებაა კოოპერატივის წევრის უფლება მოითხოვოს მის სარგებლობაში საცხოვრებელი სადგომის გადაცემა. ეს უფლება ხორციელდება კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე კოოპერატივის თითოეული წევრ-მეპაიესთვის კონკრეტული ბინის მიკუთვნებით. ამ პროცესის გათვალისწინებით ჩვენ ვასკვნით, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში საბინაო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის პროცესი ორ მომენტს შეიცავს:

პირველი მომენტია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრობა. წევრობის საფუძველზე მეპაიეს უფლება აქვს მოსთხოვოს კოოპერატივის გარკვეული ფართობის საცხოვრებელი ფართობი.

მეორე მომენტია კოოპერატივის წევრთა საერთო კრების საბოლოო გადაწყვეტილება მეპაიესთვის კონკრეტული საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ.

# სოციალისტური ქონების გავრცელებისა და მისი ფორმების—მითვისებისა და გაფლანგვის საკითხ იურიდიული ხნების განსაზღვრის საკითხისათვის

ლ. გერბაქოვი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სახალხო დოვლათის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალისტური ქონების სისხლისსამართლებრივ დაცვას. გატაცებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დიფერენცირდება მისი ფორმების მიხედვით, ამიტომ თვითეული ამ ფორმის მაქსიმალურად ზუსტი განსაზღვრება სისხლის სამართლის მეცნიერების მნიშვნელოვანი ამოცანაა.

საბჭოთა სისხლის სამართალი მითვისებისა და გაფლანგვის ცნებებს კარგა ხანია იცნობს. ჯერ კიდევ 1923 წლის (113-ე მუხლი) და 1926 წლის (116-ე მუხლი) სისხლის სამართლის კოდექსებში ეს ქმედობანი განიხილებოდა როგორც თანამდებობრივი დანაშაული, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომლის მართლზომიერ გამგებლობაში იმყოფებოდა სახელმწიფო ან საზოგადო ქონება. ამასთან ერთად კოდექსები ითვალისწინებენ კერძო პირის პასუხისმგებლობას მითვისებისა და გაფლანგვისათვის (რსფსრ 1923 წლის სსკ 185-ე და რსფსრ 1926 წლის სსკ 168-ე მუხლები). როგორც იმდროინდელი იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, კრიმინალისტები მითვისებასა და გაფლანგვას შორის არსებითს მიჯნას არ ავლენდნენ და ყურადღებას უთმობდნენ მხოლოდ მათს განსხვავებას სხვა მომიჯნავე დანაშაულებებისაგან. ეს საკითხი წამოიჭრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვიდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“, სადაც ეს ქმედობანი განისაზღვრა როგორც გატაცების ორი დამოუკიდებელი ფორმა. სწორედ ამ პერიოდში იურიდიული ლიტერატურა შეივსო მთელი რიგი შრომებითა და გამოკვლევებით, რომლებიც მიეძღვნა სახალხო დოვლათის გატაცების კვალიფიკაციის საკითხების თეორიულ დამუშავებას. სათანადო ყურადღება დაეთმო, კერძოდ, გატაცების საერთო ცნების განსაზღვრებას და მითვისებისა და გაფლანგვის ცნებების გამოჯვანას. ამ საკითხებს მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაუკარგავთ, რადგან სისხლის სამართლის ახალმა კოდექსმა ამ საკითხში თითქმის უცვლელად მიიღო ძველი კანონმდებლობის რედაქცია. მითვისებისა და გაფლანგვის ცნებების თაობაზე არსებულ შეხედულებებში არის მთელი რიგი წინააღმდეგობანი და უზუსტობანი, რაც ხელს უშლის კანონის სწორ და ერთგვაროვან გამოყენებას. ეს მდგომარეობა თვალსაჩინო ხდება იმ თვალსაზრისის გაცნობისას, რომლის თანახმადაც მითვისება განიხილება როგორც დაკავება, ე. ი. სოციალისტური ქონების დაუბრუნებლობა იმ პირის მიერ, რომლის მართლზომიერ გამგებლობაშიც იგი იმყოფება, ხოლო გაფლანგვა — როგორც მისი დახარჯვა, მოხმარება. გატაცების ფორმების ბუნებისა და არსის გარკვევას უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამდენად მიზანშეწონილად ვთვლით გამოვთქვათ აღნიშნულ საკითხზე ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება.



ავტორთა ერთი ნაწილი გატაცებად მიიჩნევდა ქონების უკანონო, მართლ-საწინააღმდეგო შეძენას<sup>1</sup>, მეორენი — სახელმწიფო და საზოგადო ქონების ანკარებით ამოღებას მისი უკანონო მიქცევისათვის ცალკეულ პირთა სასარგებლოდ,<sup>2</sup> მესამენი — სახელმწიფო ქონების უკანონო და უსასყიდლო დაუფლებას<sup>3</sup>, ხოლო ზოგიერთნი — სოციალისტური ქონების მისაკუთრებად<sup>4</sup>. ჩამოთვლილთაგან ბოლო განსაზღვრება განამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებამ და პრაქტიკულადაც დომინირებული მდგომარეობა დაიკავა სისხლის სამართლის თეორიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულებამ უპირატესობა მიიღო იმ კრიმინალისტთა მხარდაჭერით, რომელნიც სახელმწიფო ქონების მითვისებას განიხილავენ როგორც მის დაკავებას, ხოლო გაფლანგვას — როგორც მოხმარებას. აკრიტიკებდა რა ავტორებს, რომლებიც გატაცების არსს სოციალისტური ქონების დაუფლებით განსაზღვრავდნენ, ბ. ა. კურინოვი წერდა: „უზუსტობა იმაშია, რომ ყველა დანაშაულებრივი ქმედობა გატაცების სხვადასხვა ფორმაში დახასიათებულია ტერმინით „დაუფლება“. დაუფლება დამახასიათებელია ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის, მაგრამ მითვისებისას ან გაფლანგვისას არ შეიძლება დაუფლებაზე ვილაპარაკოთ, რადგანაც ამ დროს დაუფლებული ქონება იმყოფებოდა ბრალეულის მართლზომიერ მფლობელობაში და მას არ ესაჭიროებოდა ქონების დაუფლება“<sup>5</sup>. იზიარებდნენ რა ამ აზრს, გ. ა. მენდელსონი და ი. მ. ტკაჩევსკი თვლიდნენ, რომ „ტერმინი „დაუფლება“ არ მოიცავს გატაცების ისეთ ფორმებს, როგორც არის მითვისება და გაფლანგვა სახელმწიფო ან საზოგადო ქონებისა. გატაცების ამ ფორმების დროს ბრალეული პირი არ ეუფლება სახელმწიფო ან საზოგადო ქონებას. აქ სუბიექტი თავის სარგებლობაში აქცევს სოციალისტურ ქონებას, რომელიც ჯერ კიდევ დანაშაულის ჩადენამდე მის მართლზომიერ მფლობელობაში იყო“<sup>6</sup>. ანალოგიურ შეხედულებებს გამოთქვამდნენ სხვა ავტორებიც.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გატაცების სხვა ფორმებისაგან მითვისებისა და გაფლანგვის გამიჯვნისას გამოცლილია გატაცების მთავარი შინაარსი — სახელმწიფო ან საზოგადო ფონდიდან სასაქონლო-მატერიალურ და ფულად საშუალებათა ამოღება. ტერმინი „გადაქცევა“, ჩვენი აზრით, ფრიალ აბსტრაქტულია, იმიტომ, რომ იგი ახასიათებს არა ბრალეული პირის ქმედო-

<sup>1</sup> **Вышинская З. А.**, Об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества, Юриздат, 1948, стр. 10; см. также **Куринов Б. А.**, Уголовная ответственность за хищение государственного и общественного имущества, Госюриздат, 1954, стр. 19; **Исаев М. М.**, Уголовное право, Имущественные преступления, Юриздат НКЮ СССР, 1938, стр. 18.

<sup>2</sup> **Никифоров Б. С.**, Научно-практический комментарий Уголовного кодекса РСФСР, Юриздат, 1963, стр. 202; **Тарарухин С.**, **Светлов А.**, Ограничение хищения от злоупотребления служебным положением, «Социалистическая законность», 1965, № 5, стр. 65.

<sup>3</sup> **Сергеева Т. Л.**, Уголовно-правовая охрана социалистической собственности в СССР, АН СССР, 1954, стр. 13; **Кригер Г. А.**, Ответственность за хищение государственного и общественного имущества по советскому уголовному праву, изд. МГУ, 1957, стр. 35; он-же, Борьба с хищениями социалистического имущества, изд. Юр. литература, 1965, стр. 73.

<sup>4</sup> **Васильев А. И.**, «Советское государство и право», 1952, № 2, стр. 34; **Тихенко С. И.**, Борьба с хищениями соц. собственности, связанными с подлогом документов, изд. Киевского ун-та, 1959, стр. 53; **Михайленко П. П.** и **Гельфанд Е. А.**, Уголовно-правовая охрана соц. с/х, Госюриздат, 1963, стр. 23 и др.

<sup>5</sup> **Куринов Б. А.**, Уголовная ответственность за хищение государственного и общественного имущества, Госюриздат, 1954, стр. 18.

<sup>6</sup> **Мендельсон Г. А.**, **Ткачевский Ю. М.**, Уголовная ответственность за мелкое хищение государственного и общественного имущества, Госюриздат, 1957, стр. 21.

ბას გატაცების მომენტში, არამედ მხოლოდ ამ ქმედობის შედეგს. ქონების გადაქცევა პირად საკუთრებად შესაძლოა არა მარტო გატაცებით, არამედ ნაპოვნის მიკუთვნებითაც. ტერმინი „გადაქცევა“ არ გამოხატავს გატაცების არსს და ამიტომ ბუნებრივია, არ გამოდგება ამ დანაშაულის საერთო ცნების განსაზღვრისათვის. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ქონების გადაქცევისათვის პირად ან მესამე პირის საკუთრებად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დადგინდეს ამ ქონებაზე პირის უკანონო მფლობელობა, ხოლო ეს კი შესაძლოა მიღწეულ იქნას მხოლოდ სახელმწიფო ფონდიდან ქონების ამოღებით. გატაცების საერთო ცნების განსაზღვრისას დაუფლებისა და ამოღების ტერმინების უარყოფა იმის გამო, თითქოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისათვის აუცილებელი არ არის დაუფლონ ქონებას, რომელიც ისედაც მათ მართლწომიერ მფლობელობაშია, არ მიგვაჩნია დამაჯერებლად, რადგანაც ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ის დიდი განსხვავება, რაც მდგომარეობს მფლობელისა და მესაკუთრის იურიდიულ არსში. ტ. ლ. სერგეევამ სამართლიანად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ დაუფლების ტერმინის გამოყენებისას ლაპარაკია არა სხვისი მფლობელობიდან, არამედ სოციალისტური ფონდიდან ამოღებაზე. ქონება, რომელიც მართლწომიერ მფლობელობაშია, სრულიადაც არ გამოიყოფა სოციალისტური ფონდიდან და ირიცხება მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ანგარიშზე. თუ თანამდებობის პირი ითვისებს ამ ქონებას და არ აძლევს მესაკუთრეს, ამით იგი იღებს ქონებას სოციალისტური ფონდიდან, ამცირებს მის რაოდენობას<sup>7</sup>. ამოღების ტერმინის მოწინააღმდეგეთა არგუმენტაციის ძირითადი ნაკლია ის, რომ ისინი ამ ტერმინს მხოლოდ ბრალეულის ფიზიკური ქმედობის სფეროთი ზღუდავენ და არ ითვალისწინებენ იმას, რომ ამ სიტყვის ძირითად არსს შეადგენს სწორედ რაიმედან გამორიცხვა, ამოღება, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა გზით მოხდა ეს. სწორედ ტერმინი „ამოღება“ წარმოადგენს გატაცების იმ ზოგად ნიშანს, რაც მას სხვა მომიჯნავე დანაშაულობებისაგან განასხვავებს. ამ თვალსაზრისით ჩვენი აზრით, უკეთესია რსფსრ სსკ კომენტარებში მოცემული გატაცების არსის შემდეგი განსაზღვრება: „სოციალისტური ქონების გატაცება — ეს არის ანგარებითი მიზნით სოციალისტური ფონდიდან ქონების უკანონო, უსასყიდლოდ ამოღება ცალკეულ პირთა მიერ პირად სარგებლობაში მიქცევისათვის“.<sup>8</sup> ეს განსაზღვრება უფრო კარგია იმიტომაც, რომ აქ სწორად არის ნახმარი სიტყვა „ამოღება“ რომელიც ზუსტად ახასიათებს მოცემული დანაშაულის არსს და გვიჩვენებს ბრალეული პირის დანაშაულებრივი ქმედობის მიზანსა და შედეგს.

სოციალისტური ქონების გატაცების საერთო ცნების რედაქციის ასეთი დეტალური ანალიზი საჭიროა იმიტომ, რომ ტერმინოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისა და სხვა მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისათვის. ეს მნიშვნელობა ადვილი შესამჩნევია მითვისებისა და გაფლანგვის შესახებ ზემოაღნიშნული შეხედულებების განხილვისას. მითვისების განსაზღვრას, როგორც ქონების დაკავებას, თავისი ისტორია აქვს. მისი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ტერმინი „დაკავება“ საბჭოთა სისხლის სამართალში აიღო სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტებიდან და რევოლუციამდელი სისხ-

<sup>7</sup> Сергеева Т. Л., Советское уголовное право в борьбе с бесхозяйственностью и растратничеством, изд. АН СССР, 1955, стр. 66.

<sup>8</sup> Никифоров Б. С., Научно-практический комментарий Уголовного кодекса РСФСР, Юриздат, 1963, стр. 201.

ლის სამართლიდან, სადაც ამ ტერმინით აღინიშნებოდა კერძო პირებს მიმართული ქონებრივი ურთიერთობებზე დანაშაულებრივი ხელყოფა. მოცემული ტერმინის მნიშვნელობა შემდგომ უსაფუძვლოდ გაფართოვდა როგორც სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცება თანამდებობის პირების მიერ, რომელთა მართლ-ზომიერ გამგებლობაშიც ეს ქონება იმყოფება. ასე, მაგალითად, 1923 წლის სსკ პრაქტიკულ კომენტარებში მ. მ. გერნეტი და ა. ნ. ტრაინინი წერდნენ, რომ მითვისება ნიშნავს განსაზღვრული მიზნისათვის მინდობილი ქონების ანგარებითი მიზნით მითვისებურ დაკავებას ან გაფლანგვას. თანამდებობრივი მითვისება ქონების მითვისების საერთო ცნების (185-ე მუხლი) სახესხვაობაა და განსხვავდება მისგან მხოლოდ იმით, რომ მას იღენს თანამდებობის პირი მის მფლობელობაში არსებული ქონების მიმართ.<sup>9</sup> შემდგომში ეს მოსაზრება გაიზიარეს და განავითარეს მ. ისაევმა, ი. გოლიაკოვმა, ვ. მენშაგინმა, ზ. ვიშინსკაიამ, გ. კრივერმა, ე. ფროლოვმა და სხვა კრიმინალისტებმა<sup>10</sup>. ავტორთა მოსაზრებით „დაკავების“ ტერმინის გამოყენება აუცილებელი გახდა გარეშე პირებისა და თანამდებობის პირების მიერ სოციალისტური ქონების გატაცების გასამიჯნავად. ა. ნ. ტრაინინი, მაგალითად, წერდა: „მითვისება და გაფლანგვა გულისხმობს ხელყოფის ობიექტის არსებობას ბრალეული პირის გამგებლობაში: პირი ითვისებს ან ფლანგავს განსაზღვრული მიზნით. მისთვის მინდობილ ქონებას. ამაშია ფრიად არსებითი და ერთადერთი განსხვავება მითვისებისა (გაფლანგვისა) ქონების გატაცების სხვა სახეებისაგან (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), რომელთა მიზანს შეადგენს ქონების ამოღება სხვისი მფლობელობიდან. სხვამხრივ მითვისებასა და გატაცებას შორის განსხვავება არ არის“<sup>11</sup>. ამ მოსაზრების დასაპირისპირებლად მ. მ. ისაევი წერს: „გატაცებისას ბრალეულმა პირმა უნდა გადალახოს წინააღმდეგობანი, რათა დაეუფლოს სხვის ნივთს, ქურდობისათვის უნდა გამოიჩინოს გაქნობა და ეშმაკობა, ძალადობით გატაცებისათვის მას შესაძლოა შეხვდეს წინააღმდეგობანი ნივთის მფლობელის მხრიდან. არაფერი ეს არ არის საჭირო მითვისებისათვის... ქონების დაკავება წარმოადგენს უმოქმედობას და გამოიხატება სათანადო დროში მესაკუთრისათვის ქონების დაუბრუნებლობაში“<sup>12</sup>. მაგრამ მითვისების მიჩნევა ბრალეული პირის უმოქმედობად უარყოფაა გატაცების ისეთი მნიშვნელოვანი ნიშნისა, როგორც ქონების ამოღება. ეს დასკვნა შესაძლოა გამოგონილად მოგვეჩვენოს, რომ არ ემყარებოდეს აღნიშნული კონცეფციის მომხრეთა მოსაზრებებს. აი ზოგიერთი მათგანი: „მითვისება განსხვავ-

<sup>9</sup> **Гернет М. Н.** и **Траинин А. Н.**, Уголовный кодекс, практический комментарий, изд. «Право и жизнь», М., 1925, стр. 159—160.

<sup>10</sup> **Исаев М. М.**, Уголовное право, особ. часть, имущественные преступления, Юридат НКЮ СССР, М., 1938, стр. 64; **Голяков И.**, Уголовное право, особ. часть, учебник для юр. ин-тов и фак-тов, Юридат, 1943, стр. 246; **Меньшагин В. Д.**, **Вышинская З. А.**, Советское уголовное право, учебник для юр. школ, Госюридат, 1950, стр. 279; **Кригер Г. А.**, Ответственность за хищение государственного и общественного имущества по советскому уголовному праву, МГУ, 1957 стр. 73; **он-же**, Борьба с хищениями социалистического имущества, изд. «Юридическая литература», 1965, стр. 177; **Фролов Е. А.**, Научный комментарий УК РСФСР, Свердловск, 1964; см. также **Михайленко П.**, **Гельфанд И.**, Уголовно-правовая охрана сельского хозяйства, изд. «Юридическая литература», 1963; **Некипелов С.**, Советское законодательство в борьбе с хищениями соц. собственности, Госюридат, 1954; **Куринов Б.**, Уголовная ответственность за хищение гос. и общ. им-ва, 1954.

<sup>11</sup> **Траинин А. Н.**, Должностные и хозяйственные преступления, Юридат НКЮ СССР, 1938.

<sup>12</sup> **Исаев М. М.**, Уголовное право, особенная часть, Имущественные преступления, Юридат НКЮ СССР, 1938, стр. 64; см. также **Голенков И.**, Уголовное право, особенная часть, учебник для юр. ин-тов и фак-тов, Юридат, 1943, стр. 246.

დება გატაცებისაგან იმით, რომ მიმთვისებელი არ იღებს ქონებას სხვა პირობის მფლობელობიდან<sup>13</sup>. „მიმთვისებლის ქმედობა მდგომარეობს არა ქონების ამოღებაში, არამედ მის დაკავებაში“<sup>14</sup>. „მიმთვისების შემადგენლობისათვის დამახასიათებელია ის, რომ ქონება ამ შემთხვევაში არ ამოიღება უკანონო (მართლსაწინააღმდეგო) გზით“<sup>15</sup>. შემოთქმული სიტყვები ეჭვს არ იწვევს, რომ ქონების დაკავებას ავტორები აიგივებენ არა მარტო ამოღებასთან, არამედ უპირისპირებენ კიდევ მას, როგორც გატაცების განსაკუთრებულ საშუალებას, რომლის არსიც უმოქმედობით გამოიხატება. ეს მდგომარეობა თვალსაჩინო ხდება დაკავების ცნების განხილვისას ამ ავტორთა მიერ. ბ. ა. კურინოვი, მაგალითად, დაკავებას განმარტავს როგორც სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დაუბრუნებლობას განსაზღვრულ დროში<sup>16</sup>. ე. ა. ფროლოვი თვლის, რომ დაკავების დროს ბრალეული პირი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ დროში ან რევიზიისა და ინვენტარიზაციის დროს არ აბრუნებს მასზე რიცხულ საქვეანგარიშო ქონებას, არ ადგენს მას შემოქმედების დროს, მალავს მის არსებობას, დაკავებას, თავის პირად საკუთრებად გადაქცევის მიზნით<sup>17</sup>. რასაკვირველია, ბ. ა. კურინოვისა და ე. ა. ფროლოვის მიერ ჩამოთვლილი გატაცების შესაძლებელი მაქინაციების უარყოფა არ შეიძლება, ვინაიდან პრაქტიკა გვიჩვენებს მათს სინამდვილეს, მაგრამ შესაძლოა თუ არა იმის მტკიცება, რომ ჩვენს წინაშეა მიმთვისების დამთავრებული შემადგენლობა და რომ ეს დანაშაული ჩადენილია ბრალეული პირის უმოქმედობით? ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული, რადგანაც მეურნეობის სოციალისტური სისტემა გამორიცხავს ქონების გატაცების შესაძლებლობას უმოქმედობის გზით. აღსანიშნავია, რომ იმ ავტორებს, რომლებიც მიმთვისებას განსაზღვრავენ როგორც ქონების დაკავებას, უძნელდებათ მაგალითებით დადასტურონ თავიანთი თეორიული დებულებანი, რადგანაც ისინი წინააღმდეგობაში ვარდებიან. ასე, მაგალითად, ე. ა. ფროლოვს მიმთვისების საილუსტრაციოდ მოჰყავს მძღოლის ქმედობა, რომელმაც ზედნადებით მიიღო ღვინო საწყობიდან საამქროში გადასატანად, გზაში ერთ-ერთი კასრიდან გადმოსახა 41 ლიტრი ღვინო და გადაამალა<sup>18</sup>. ეს მაგალითი არა თუ არ ადასტურებს ავტორის მოსაზრებას, არამედ უარყოფს კიდევ მას. მოცემულ შემთხვევაში მძღოლის საქციელი უმოქმედობით კი არ გამოიხატა, არამედ აქტიური მოქმედებით — მესაკუთრის ფონდიდან ქონების ამოღებით.

ცნობილია, რომ სოციალისტური ორგანიზაცია თუ საწარმო, როგორც იურიდიული პირი, საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანათა განსახორციელებლად თავის თანამდებობის პირებს ანდობს ამა თუ იმ ფასეულობას და ეს პირებიც

<sup>13</sup> Гернет М. Н., Трайнин А. Н., Уголовный кодекс, Практический комментарий, изд. «Право и жизнь», М., 1925, стр. 185.

<sup>14</sup> Трайнин А. Н., Уголовное право РСФСР, часть особенная, преступления против государства и соц. порядка, Госюриздат, 1925, стр. 187.

<sup>15</sup> Вышинская З. А., Об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества, Юриздат, 1948, стр. 16.

<sup>16</sup> Куринов Б. А., Уголовная ответственность за хищение государственного или общественного имущества, Госюриздат, 1954.

<sup>17</sup> Фролов Е. А., Научный комментарий УК РСФСР, Свердловск, 1964, стр. 219.

<sup>18</sup> ე. ა. ფროლოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

<sup>19</sup> ასე განსაზღვრავდა მიმთვისების დამთავრების მომენტს გ. ა. კრივერი. უკანასკნელ გამოკვლევაში მან რამდენადმე შეცვალა თავისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე და მიუთითა, რომ ქონების პირად საკუთრებად გადაქცევის გადაწყვეტილებას წინ უნდა უსწრებდეს ქონების განცალკევება და მასზე თავისი უკანონო მფლობელობის დადგენა.

მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განაგებენ ქონებას აღნიშნული ორგანიზაციის ინტერესებისათვის. ეს პირები მთლიანად ანგარიშგაღებული არიან მის წინაშე და მინდობილ ქონებაზე მესაკუთრის უფლებით არ სარგებლობენ. სოციალისტური ორგანიზაცია მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებების სიტყმათა საშუალებით, ისეთიც, როგორიც არის მატერიალური პასუხისმგებლობა, დოკუმენტური და ნატურალური ანგარიშგება, საკონტროლო გამტარი სისტემა და სხვ., ახორციელებს უმკაცრეს კონტროლს თავისი ქონების სწორ გამოყენებაზე, ამიტომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა და ფულად საშუალებათა მითვისება თანამდებობის პირების მიერ აუცილებლად დაკავშირებულია რაიმე აქტიური მოქმედების განხორციელებასთან, რის შედეგადაც მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონება გადადის უკანონო მფლობელობაში. ამ თვალსაზრისით მითვისებისას გამტაცებლის აქტიური ქმედობის უარყოფა და ამ ტერმინის შეცვლა დაკავებით, რომელიც თავისი ბუნებით უმოქმედობას აღნიშნავს, სხვა არა არის რა, თუ არა ვატაცების ძირითადი შინაარსის უგულვებლყოფა.

მითვისების დროს ქონების ამოღების მომენტის უარყოფა იწვევს მთელ რიგ სხვა წინააღმდეგობებსაც, რაც თავის მხრივ ართულებს მართლმსაჯულების ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობას. ასეთ უზუსტობას ადგილი აქვს იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რა დროიდან უნდა ჩაითვალოს მითვისება დამთავრებულ დანაშაულად. განსაზღვრავენ რა ამ მომენტს, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ მითვისება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ბრალეულის ქმედობაში გამოვლინდება მისი განზრახვა დაიკავოს მიზარებული ქონება და დაადგინოს მასზე თავისი უკანონო მფლობელობა ანგარებითი მიზნით ქონების გამოყენებისათვის<sup>19</sup>. პრაქტიკულად ასეთ აქტებად ბ. ა. კურინოვი და ე. ა. ფროლოვი მიიჩნევენ ქონების დაუბრუნებლობას განსაზღვრულ დროში, მის გამოუყენებლობას დანიშნულებისამებრ, როდესაც ეს უნდა ამ პირებს გაეკეთებინათ, ქონების წარმოუდგენლობა რევიზიის ან შემოწმების დროს<sup>20</sup>. ამ აზრს არ შეიძლება დავეთანხმოთ იმიტომაც, რომ იგი ეწინააღმდეგება რსფსრ სსკ მე-15 მუხლს, სადაც მსგავსი ქმედობანი განიხილება დანაშაულის ჩადენის მომზადებად. ავტორები არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ დაკავებული ან დამალული ქონება თუმცა დროებით გამოდის მესაკუთრის პრაქტიკულად გამოყენების სფეროდან, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ამოღებული სოციალისტური ფონდიდან და შესაძლოა დაბრუნდეს პირველადს მდგომარეობაში. მაგალითად, ქონების მოთხოვნა, დამალული ქონების აღმოჩენა, აღმსრულებლის მიერ თავის დანაშაულებრივ მიზანზე ხელის აღება და ა. შ. ამ დროს ან სრულიად არ არის დანაშაულის შემადგენლობა ანდა ბრალეულის ქმედობა განიხილება როგორც მცდელობა. ეს სრულიად კანონზომიერია, ვინაიდან ქონების ამოღების მომენტის არ არსებობა თავის მხრივ უზრუნველყოფს ვატაცებისათვის ისეთი დამახასიათებელი შედეგების დადგომას, როგორიც არის: ა) ქონების უსასყიდლო გადაქცევა თავის ან სხვის სასარგებლოდ და ბრალეული ან მესამე პირის უკანონო გამდიდრება, ბ) მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება და სოციალისტური ორგანიზაციის ქონებრივი ფონდის შემცირება ვატაცებული თანხით. ასევე წყდება ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაშიც<sup>21</sup>.

20. ბ. ა. კურინოვი; ე. ა. ფროლოვი, დასახელებული შრომები.

21 «Советская юстиция», 1958, № 9, გვ. 86.

განხილული თვალსაზრისის შემდგომი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მითვისების ცნების წინაპირობად — გამტაცებლის საზოგადოებრივად საშიში ქმედობის პასიურ ფორმად მიჩნევა წარმოადგენს არა იმდენად ავტორთა მისწრაფებას გამიჯნონ ეს ქმედობა სხვა აქტიური ქმედობებისაგან (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა. შ.), რამდენადაც მის დიფერენცირებას ისეთი მომიჯნავე დანაშაულისაგან, როგორც გაფლანგვა. ეს ავტორები მითვისებისაგან განსხვავებით, გაფლანგვას განიხილავენ როგორც ბრალეულის ნების აქტიურ გამოვლინებას, რადგანაც გაფლანგვად იგულისხმება ქონების დახარჯვა, მისი მოხმარება, გაყიდვა, ჩუქება და სხვ. ზოგიერთი ავტორი გაფლანგვას განიხილავს როგორც მითვისების მეორე, დამამთავრებელ სტადიას, რასაც, მათი აზრით, მოსდევს გაძლიერებული პასუხისმგებლობა<sup>22</sup>. გატაცების პროცესის ორ სტადიად დაყოფა არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, სასჯელის სიმძიმის გამიჯვნის კრიტერიუმი მდგომარეობს არა გატაცების ფორმებში და არა გატაცებული ქონების შემდგომი მოძებნის შესაძლებლობაში, არამედ კანონით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობაში.

განსახილველი კონცეფციის მნიშვნელოვანი საკითხია გაფლანგვის დამთავრების მომენტის საკითხი. ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმული აზრებიდან ნათელი ხდება, რომ „მითვისებისაგან განსხვავებით, გაფლანგვა დამთავრებულად ჩაითვლება ქონების მოხმარების, გაყიდვისა და განკარგვის სხვა საშუალებათა მომენტიდან“<sup>23</sup>. მაგრამ თუ ჩვენ თანმიმდევრობით ვიხელმძღვანელებთ იმით, რომ მითვისება არის გატაცების დამოუკიდებელი ფორმა და ამავე დროს გაფლანგვის დაწყებითი სტადია (და პირიქით), მაშინ ეს უაზრობა იქნება, რადგანაც გატაცების დამთავრების მომენტი (მითვისებასა და გაფლანგვასთან შედარებით) შესაძლოა ორჯერ იქნას დადგენილი — პირველად გატაცების ჩადენამდე, ე. ი. ქონების დაკავების დროს, (მითვისება), ხოლო მეორედ მისი გასხვისებისას, მოხმარებისას და ა. შ. (გაფლანგვა).

ამ საკითხებზე პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახვა, რომ პრაქტიკული მუშაკები თითქმის არ მიჯნავენ ერთმანეთისაგან მითვისებასა და გაფლანგვას და საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებში ამ ტერმინებს ფრიად თვითნებურად ხმარობენ. თვით სსრკ და რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა არ განასხვავებს ამ ცნებებს ერთმანეთისაგან და ორივე ტერმინს ერთი და იგივე ქმედობის აღსანიშნავად ხმარობენ. პრაქტიკაში ვგვხვდება სასამართლო ორგანოების ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებიც გამფლანგველის ბრალეულს ქმედობას მითვისებად თვლიან. ზოგჯერ მითვისებად კვალიფიცირდება ბრალეულის ისეთი ქმედობა, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო ქონების გასხვისებასთან, არამედ მის ფიზიკურ დახარჯვასთან, გამოყენებასთან, რაც, ჩვენი აზრით, მთლიანად უარყოფს განსხვავებას მითვისებასა და გაფლანგვას შორის. 1951 წლის 5 სექტემბერს სარკინიგზო კოლეგიის განჩინებაში ნათქვამია, რომ კ. სამართალში იქნა მიცემული იმის გამო, რომ სისტემატური ლოთობისა და საქვეანგარიშო საშუალებათა ხარჯზე სხვადასხვა საგნების შეძენით მან მითვისა 6.177 მანეთი. ამავე დროს საქმის მასალებით დადგენილია, რომ იგი

<sup>22</sup> Фролов Е. А., Научный комментарий УК РСФСР, Свердловск, 1964, стр. 220.

<sup>23</sup> Санталов А. И., Советское уголовное право, ч. особенная, п/р М. Д. Шаргородского и Н. А. Беляева, изд. «Юридическая литература», 1962, стр. 99; см. также Кригер Г. А., Борьба с хищениями социалистического имущества, изд. «Юридическая литература», 1965, стр. 199.

სისტემატურად ხარჯავდა პირადი საჭიროებისათვის საქვეანგარიშო სახელმწიფო საშუალებებს და სულ მის მიერ მითვისებულია 6.000 მანეთი<sup>24</sup>. ამავდროულად არის ფორმულირებული სასამართლო კოლეგიის განჩინება მ-ის საქმეზე, სადაც მითითებულია, რომ ეს უკანასკნელი, მუშაობდა რა სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების მალაზიის გამგედ, უშვებდა საქონელს ნისიად, იღებდა სალაროდან ფულს და სისტემატურად სვამდა არაყს მალაზიაში. ამ გზით მან მითვისა 1.739 მანეთის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი.

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია ამ საკითხებზე თეორიისა და პრაქტიკის შეუთანხმებლობის საილუსტრაციოდ. ყოველივე შემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. მითვისებისა და გაფლანგვის ტერმინები არ საჭიროებენ სპეციალურ იურიდიულ გამოიჭენას, რადგანაც გაფლანგვა გამომდინარეობს მითვისებიდან და მთლიანად მოიცავს მას.

2. მითვისება ერთადერთი ფორმაა იმ პირის საზოგადოებრივად საშიში ქმედებისა, რომლის მართლზომიერ გამგებლობაშიც იმყოფება სოციალისტური ქონება.

3. გაფლანგვა არ შეიძლება მივიჩნიოთ გატაცების დამოუკიდებელ ფორმად, რადგანაც მას ყოველთვის წინ უსწრებს სოციალისტური ფონდიდან ქონების უკანონო ამოღება, ამორიცხება.

4. ტერმინი გაფლანგვა, რომელიც მხოლოდ დანაშაულის ჩადენისა და დამთავრების შედეგს აღნიშნავს, გატაცების შემადგენლობის საზღვრებშია, რომლისთვისაც მთავარია მხოლოდ სოციალისტური ფონდიდან ქონების ამოღების ფაქტი და მასზე ბრალეული პირის უკანონო მფლობელობის დადგენა.

5. რამდენადაც გატაცების შემდეგ მნიშვნელობა აქვს სასჯელის განსაზღვრას სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში, ამდენად გაფლანგვის ტერმინის მოხსენიება კანონის დისპოზიციურ ნაწილში გაუმართლებლად და უმიზნოდ უნდა მივიჩნიოთ.

6. ტერმინი მითვისება, რასაკვირველია, არა ისეთი ვიწრო გაგებით, როგორც ეს გავაკრიტიკეთ ამ წერილში, სავსებით საკმარისია ბრალეულის ქმედობის დასახასიათებლად.

## გაეშვიკოსადმი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების ზოგიატი საკითხის შესახებ

ა. ბაქრაძე,

ბ. ქველიძე

ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის შემცირებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ამოცანები გადაჭრით მოითხოვენ გაუმჯობესდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობა და საუწყებო კონტროლი.

ამ სტატიის მიზანია გავარკვიოთ გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობისა და საუწყებო კონტროლის ურთიერთდამოკიდებულება, მათი თანაფარდობის არსი, ვუჩვენოთ თუ რა ნორმებითაა მოწესრიგებული საპროკურორო ზედამხედველობა და საუწყებო კონტროლი გამოძიების დროს, როგორია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო ქვედანაყოფის (საგამომძიებლო სამმართველოს, განყოფილებისა და ა. შ.) უფროსის, საოლქო საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და განყოფილების უფროსის პროცესუალური მდგომარეობა წინასწარ გამოძიებაში. კერძოდ, გავარკვიოთ აქვთ თუ არა მათ უფლება გააუქმონ დადგენილებები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, აღკვეთის ღონისძიების არჩევის, საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ და სხვა პროცესუალური აქტები, თუ ეს შეადგენს პროკურორის პრეროგატივას.

ეს საკითხი ჯერ კიდევ საკმაოდ სისრულით არ არის შესწავლილი, ამ საკითხისადმი პრაქტიკული მუშაკების მიდგომა კი, ზოგჯერ, კანონიერების დარღვევის წყაროც ხდება.

ჩვენი აზრით, ეს საკითხი სრულყოფილად არ არის გადაწყვეტილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებითაც.

ახორციელებს რა საუწყებო კონტროლს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო ქვედანაყოფის უფროსი იღებს ზომებს საგამომძიებლო მოქმედებების დროულად შესრულებისათვის, სრული, ყოველმხრივი და ობიექტური წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი პროკურორის მოღვაწეობის სფეროშიც შედის. სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულებით და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით კონტროლს დანაშაულის გამოვლინებისა და აღკვეთისათვის ყველა უწყების გამომძიებლის მოქმედებებზე ახორციელებს პროკურორი.

არის თუ არა ეს შსს ორგანოების მიერ გამოძიებისადმი საუწყებო კონტროლის განხორციელების დუბლირება? ჩვენის აზრით, არა. პროკურორი ასეთი ხასიათის კონტროლს ახორციელებს მხოლოდ პროკურატურის ქვემდებარე საქმეებზე.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლის ცნება თავის მხრივ შეიცავს

ხელმძღვანელობის ელემენტებსაც; ხელმძღვანელობა კი კონტროლის ფუნქციის გარეშე წარმოუდგენელია.

დამნაშავეობასთან ბრძოლაში პროკურორის მათგანზედელი და ხელმძღვანელი როლი მას უნარჩუნებს შსს-ს ორგანოებში წინასწარ გამოძიებისადმი კონტროლის უფლებას. მიუხედავად აღნიშნულისა, პროკურორის ეს უფლება არ შეიძლება ჩაითვალოს გამოძიებისადმი საუწყებო კონტროლის დუბლირებად.

კონტროლი არსებითად განსხვავდება გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის ცნებისაგან, მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საპროკურორო ზედამხედველობის გარკვეული ფორმა.

საქართველოს სსრ სსსკ 127<sup>1</sup> მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ-ის შესაბამისი მუხლების მიხედვით შსს--ს აგამომძიებლო ქვედანაყოფები უფროსებს უფლება აქვთ:

ა) შეამოწმონ სისხლის სამართლის საქმეები;

ბ) მისცენ გამოძიებელს მითითებები წინასწარი გამოძიების წარმოების შესახებ, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და ბრალდების მოცულობის შესახებ, საქმის წარმართვისა და ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების შესახებ;

გ) გადასცენ საქმე სხვა საგამომძიებელს;

დ) დაავალონ საქმის გამოძიება რამდენიმე საგამომძიებელს;

ე) მონაწილეობა მიიღონ წინასწარ გამოძიებაში ან პირადად აწარმოონ გამოძიება საგამომძიებლის უფლებამოსილებით.

შსს-ს საგამომძიებლო ქვედანაყოფების უფროსებისათვის ამ უფლებების მინიჭება, პრაქტიკულად უზრუნველყოფს გამოძიების დამთავრებას შედარებით მოკლე ვადაში, სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას, რათა არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი.

მიანიჭა რა საგამომძიებლო ქვედანაყოფის უფროსს ასეთი ფართო პროცესუალური უფლებები, კანონმდებელმა არ გადაწყვიტა ორგანოს უფროსის პროცესუალური მდგომარეობის საკითხი.

კანონი არაფერს ლაპარაკობს შინაგან საქმეთა მინისტრის, მისი მოადგილის, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის და მისი მოადგილის პროცესუალურ უფლებამოსილებაზე. არ არსებობს არავითარი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებდეს შინაგან საქმეთა მინისტრის პროცესუალურ დამოკიდებულებას საგამომძიებლებთან და მათ უშუალო უფროსებთან დანაშაულის გამოძიებისას.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით შინაგან საქმეთა მინისტრს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა დანაყოფების უფროსებს არ გააჩნიათ საქართველოს სსრ სსსკ 127<sup>1</sup> მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

დგება საკითხი, ჩაითვლება თუ არა სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონაწილედ შინაგან საქმეთა მინისტრი ან შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი? ჩვენის აზრით, ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. რამდენადაც ეს პ-რები წარმოადგენენ მოკვლევის ორგანოებს, ისინი სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონაწილენიც არიან, მაგრამ რამდენადაც ეს ასეა, აქვთ თუ არა მათ წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობის მიღების უფლება?

კანონი ამაზე პასუხს არ იძლევა, თუმცა ეს ფრიად საჭიროა.

დღეს ფაქტიურად ერთ ხელშია გაერთიანებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამომძიებლო მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი. ამ მდგომარეობამ კი შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საქმიანობის ეს ორი ურთიერთშემავსებელი და ურთიერთდამხმარე დარგი მათი სწორი შეხამების ნაცვლად შეერწყმიან ერთმანეთს, რაც მიგვიყვანს კანონსაწინააღმდეგო შედეგებამდე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიებისადმი საუწყებო კონტროლი და საპროკურორო ზედამხედველობა ორგანულ კავშირშია გამოძიების ხელმძღვანელობასა და კანონების დაცვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის თანაფარდობის საკითხთან.

სისლხის სამართლის სასამართლო წარმოებაში საპროკურორო ზედამხედველობა სპეციფიკური მოღვაწეობაა. სხვადასხვა უწყებების თანამდებობის პირთა მიერ კანონების ზუსტად აღსრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობა არ ნიშნავს იმას, რომ პროკურორი იმავე დროს ხელმძღვანელობს ამ უწყებების და თანამდებობის პირების მუშაობას. პროკურორის ხელმძღვანელობა კი წინასწარი გამოძიებისადმი ჯერ კიდევ არ განიხილება როგორც კანონების ზუსტ შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის არსის და პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედება.

საბჭოთა სისლხის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში ავტორთა უმრავლესობა ხელმძღვანელობას გამოძიებაზე არ უკავშირებს გამომძიებლის ადვოკატურის დაქვემდებარებას პროკურორისადმი<sup>1</sup>, რაც ხაზგასმულია ტერმინით „პროცესუალური ხელმძღვანელობა“.

ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის თანაფარდობის საკითხს მეცნიერები სხვადასხვანაირად განიხილავენ. ვ. მ. სავიციკი ხაზს უსვამს, რომ „პროკურორის, როგორც მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხელმძღვანელის, პროცესუალური მდგომარეობა წარმოადგენს დანაშაულის გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების აუცილებელ პირობას და უმნიშვნელოვანეს საშუალებას.“<sup>2</sup>

მ. ა. ჩელოვი და გ. მ. იასინსკი თვლიან, რომ პროკურორი ანხორციელებს ხელმძღვანელობას როგორც გამოძიებაზე, ასევე მოკვლევაზე.<sup>3</sup>

ამავე დროს დ. ს. კარევი<sup>4</sup>, ვ. გ. ლებედინსკი, ი. ა. კალენოვი<sup>5</sup> და სხვები გამოძიებისადმი პროკურორის ხელმძღვანელობის საკითხს უკავშირებენ პროკურატურის გამომძიებლის უშუალო დაქვემდებარებას პროკურორისადმი, პრო-

<sup>1</sup> М. С. Строгович, «Уголовное преследование в советском уголовном процессе», М., 1951, стр. 97; его же, «Курс советского уголовного процесса», М., 1958, стр. 119; Н. В. Жогин, Теоретические основы прокурорского надзора за предварительным расследованием, диссертация на соискание степени доктора юридических наук, М., 1966, стр. 136; М. Ю. Рагинский, Оперативно-розыскная работа милиции и вопросы прокурорского надзора, сборник «Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием», М., 1964, стр. 83; Р. Д. Рахунов, Участники уголовно-процессуальной деятельности, М., 1964, стр. 156.

<sup>2</sup> В. М. Савицкий, «Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием», М., 1959, стр. 110.

<sup>3</sup> М. А. Чельцов, «Советский уголовный процесс», М., 1962, стр. 90; Г. М. Ясинский, «Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел», диссертация на соискание степени кандидата юридических наук, Харьков, 1965, стр. 4.

<sup>4</sup> Д. С. Карев, «Организация суда и прокуратуры в СССР», М., 1954, стр. 153.

<sup>5</sup> В. Г. Лебединский, Ю. Л. Каленов, Прокурорский надзор в СССР, М., 1957, стр. 119.



კურატურისათვის საგამომძიებლო აპარტის გადაცემით და საგამომძიებლო აპარატის მუშაობაზე პასუხისმგებლობის დაკისრებით.

ამასთან, სსრ კავშირში არსებული საგამომძიებლო აპარტის სისტემის პირობებში (სხვადასხვა უწყებების საგამომძიებლო აპარატების არსებობა — ა. ბ., გ. ქ.) წინასწარი გამოძიებისადმი პროკურორის ხელმძღვანელობა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს საპროკურორო ზედამხედველობის გამომხატველად; იგი მას ვერ დაემთხვევა და მათი ურთიერთშერწყმა დაუშვებელია.

ჩვენი შეხედულებით, დანაშაულის გამოძიების ხელმძღვანელობაში იგულისხმება: საკითხის განხილვა, გადაწყვეტა, მისი შესრულების ორგანიზაცია და მითითებათა შესრულების შემოწმება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ პირობებში პროკურორს, საგამომძიებლო მუშაობისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება, მაშინ როდესაც „საპროკურორო ზედამხედველობის“ ცნებას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების მე-2 და მე-4 მუხლებშია მოცემული.

ამრიგად, ხელმძღვანელი ორგანიზაციას უკეთებს სამუშაოს, პროკურორი კი თვალყურს ადევნებს მის კანონიერებას. ხელმძღვანელობდენი—ნიშნავს გამოდიოდენ როგორც კანონის მოთხოვნიდან, ასევე მიზანშეწონილობიდან, პროკურორი კი ყველა საკითხს უნდა უდგებოდეს მხოლოდ კანონიერების პოზიციებიდან.

გამოძიებისადმი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას გარდუვალად მოსდევს ის, რომ ხელმძღვანელი თავს არიდებს ოფიციალურად მოახდინოს რეაგირება მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ჩავარდნებზე, გამოავლინოს ეს დარღვევები და გაახმაუროს ისინი.

ხელმძღვანელობს რა გამოძიებას და ერთდროულად ზედამხედველობს რა დანაშაულის გამოძიებისას კანონის ზუსტად აღსრულებას, პროკურორი არ არის დაზღვეული შეცდომისაგან, ე. ი. კანონის ნორმების დარღვევისაგან. ასეთ ვითარებაში „პროცესუალური ხელმძღვანელობა“ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში გამოიხატება.

ეგრეთწოდებული „პროცესუალური ხელმძღვანელობის“ მომხრე ავტორები, მხარს უჭერენ რა ამ კონცეფციას, არ იძლევიან მისი შინაარსის ზუსტ განსაზღვრებას.

გამოძიებისადმი პროკურორის ხელმძღვანელობის აუცილებლობას ასაბუთებენ სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულების მე-19 მუხლზე მითითებით და უკავშირებენ პროკურორის ისეთ უფლებამოსილებას, როგორცაა საგამომძიებლის უკანონო და დაუსაბუთებელი დადგენილებების გაუქმება, საგამომძიებლისა და მომკვლევისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე აუცილებელი მითითებების მიცემა, პროკურორის მიერ საგამომძიებლის ან მომკვლევი პირის ჩამოცილება საგამომძიებლის ან მოკვლევის შემდგომი წარმოებისაგან, თუ ამ პირების მიერ დაშვებულია კანონის დარღვევები სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას და სხვ.

ამასთან, ვ. მ. სავიციის აზრით, ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის ფუნქციები არ შეიძლება დავაყენოთ ერთ ღონეზე და შემდეგ მათ შორის გავვლოთ ზღვარი. ხელმძღვანელობის გარეშე, ვ. მ. სავიციის აზრით, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას სრულყოფილი, ქმედითი ზედამხედველობა კანონ-

ნების აღსრულებაზე წინასწარი გამოძიების სტადიაში; ხელმძღვანელობა წინაგს აქტიურ საპროკურორო ზედამხედველობას<sup>5</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „პროცესუალური ხელმძღვანელობა“ სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაში მიღებულია მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილების თავისებურების დასახასიათებლად.

ნ. ვ. ყოგინი წერს: „პროკურორის განსაკუთრებით ფართო უფლებამოსილება წინასწარ გამოძიებისადმი პროცესუალური ხელმძღვანელობის მიხედვით, როგორც ვფიქრობთ განსაზღვრავს მის პირდაპირ პასუხისმგებლობასაც გამოძიების მაღალი ხარისხისათვის და კანონების განუხრელად დაცვისათვის“<sup>7</sup>, ხოლო რ. დ. რახუნოვი მიუთითებს: „როგორც სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის მონაწილეს, პროკურორს მინიჭებული აქვს დიდი უფლებები, რომელთა არსი იმაშია, რომ მას აკისრია პასუხისმგებლობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხარისხისა და ვადებისათვის.“<sup>8</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში დანაშაულის წინასწარი გამოძიების დროს საპროკურორო ზედამხედველობის ობიექტს წარმოადგენს პროცესუალური აქტების და თანამდებობის პირების პროცესუალური მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც თავის მხრივ ემსახურება დანაშაულის სწრაფად და სრულად გახსნას, მართლწესრიგის დამრღვევის, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას და მათ აღსაკვეთად ზომების მიღებას.

სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულების 19-21 მუხლები აწესრიგებენ პროკურორის უფლება-მოვალეობებს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანაში პროკურატურა შეიქმნა დანაშაულობასთან ბრძოლის სწორად დაყენების ინტერესებისათვის კანონების დაცვისადმი საზედამხედველოდ, კანონმდებელმა შსს-ს ორგანოებში დანაშაულის გამოძიებისას საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებაში პროკურორის პრეროგატივად მიიჩნია თავისი უფლებრივი საშუალებებით გამოავლინოს კანონის დამრღვევები და უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგო პროცესუალური აქტების გაუქმებით აღადგინოს კანონიერება.

ამ დროს საპროკურორო ზედამხედველობასა და საუწყებო კონტროლს შორის თანაფარდობა იმგვარად უნდა იქნას გაგებული, რომ პროკურორი თავისუფლდება „პროცესუალური ხელმძღვანელის“ მოვალეობისაგან და აწარმოებს მხოლოდ საპროკურორო ზედამხედველობას და დანაშაულის გამოძიებისას კანონების დაცვისადმი და არა შსს-ს ორგანოების საქმიანობისადმი.

მიგვაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო დანაყოფის (სამმართველოს, განყოფილების და სხვა) უფროსისათვის იმის უფლების მიკუთვნება, რომ კონტროლი გაუწიოს გამოძიებლის მოქმედებების დროულობას დანაშაულის გახსნისა და აღკვეთის საქმეში, მიიღოს ზომები გამოძიების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად ჩატარებისათვის, შეამოწმოს სის-

6. ნ. ვ. ყოგინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

7. Н. В. Жогин, Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел, М., 1968, стр. 98.

8. რ. დ. რახუნოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153

ხლის სამართლის საქმეები, მისცეს აუცილებელი მითითებები, გადსცეს საქმე სხვა გამომძიებელს, მოახდინოს გამომძიებელთა ჯგუფის მიერ დანაშაულის გამოძიების ორგანიზაცია, პირადად მიიღოს მონაწილეობა წინასწარი გამოძიების ჩატარებაში და ა. შ. მას აქცევს გამოძიების ხელმძღვანელად. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო ქვედანაყოფის უფროსისათვის ხელმძღვანელობის უფლების მინიჭება ნიშნავს, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა გამოძიების ხარისხისათვის, გამოძიების ვადების დაცვისათვის, დანაშაულის ვახსნის, მისი აღკვეთისათვის და ა. შ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში დანაშაულის გამოძიების დროს საპროკურორო ზედამხედველობისა და საუწყებო კონტროლის ასეთი თანაფარდობის ვითარებაში, აუცილებელია პროკურორი გავათავისუფლოთ შსს ორგანოებში გამოძიებისადმი ხელმძღვანელობისაგან. პროკურორის, როგორც მხოლოდ ზედამხედველის უფლებრივი მდგომარეობა, საჭიროა განმტკიცდეს საკანონმდებლო წესით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში წინასწარი გამოძიების დროს სამინისტროს ხელმძღვანელების და მისი ადგილობრივი ორგანოების უფროსების უფლებამოვალეობაზე ნორმატიული აქტების არ არსებობა, არ პასუხობს დღევანდლობას და გარკვეულ შემთხვევებში სერიოზულ უარყოფით შედეგებსაც კი იწვევს.

იგივე შეიძლება ითქვას საგამომძიებლო და სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციების პროკურორის ხელში თავმოყრის შესახებაც. ამ მდგომარეობას ზოგჯერ მოქალაქეთა უკანონო გასამართლებამდე მივყავართ.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარების მოცემულ ეტაპზე არსებობს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები მართლმსაჯულების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის.

საჭიროა მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნას საგამომძიებლო ორგანოების კომიტეტი, რომელსაც დამნაშავეობასთან ბრძოლაში ოპერატიულ-სამძებრო სამსახურს გაუწევენ მილიციის ორგანოები.

პროკურორი უნდა გათავისუფლდეს ყველა მოვალეობისა და ფუნქციისაგან, რომლებიც შეუთავსებელია კანონების აღსრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობისა და ბრალმდებლის ცნებასთან.

საჭიროა საკანონმდებლო წესით განმტკიცდეს, რომ პირის დაპატიმრების სანქციის გაცემის წინ პროკურორმა შეამოწმოს წინასწარი გამოძიების მასალები და პირადად დაკითხოს პატიმრობაში ასაყვანი პირი.

იმისათვის, რომ მოქალაქე უსაფუძვლოდ არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში შემოდებული უნდა იქნეს კანონის ნორმა, რომლითაც პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დაიშვება მხოლოდ პროკურორის სანქციით. ამასთან, დაპატიმრებაზე სანქციის გაცემამდე დაცული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული წესები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობისა და საუწყებო კონტროლის თანაფარდობის საკანონმდებლო წესით მოწესრიგებამ, ამ ორი მნიშვნელოვანი ფუნქციის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯვნა და შემოთავაზებული დამოუკიდებელი საგამომძიებლო აპარატის შექმნა ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური მართლმსაჯულების განუხრელად გატარებას.

## პარლამენტის წევრთა დამატებითი კომისიის დამატებითი სესიის მათი კომისიის კანონმდებლის შესახებ

უ. კომისიის

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმისათვის. ამ ქმედობის დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობად აღიარება გამართლებულია როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ისე იურიდიული თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისას ახდენს და დანაშაულებრივ საქმიანობაში რთავს არასრულწლოვანს, მიუთითებს მის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე და ბუნებრივად, მისდამი სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენება სამართლიანობის მოთხოვნებითაა გაპირობებული. მეორეს მხრივ ასეთ პირთა მიმართ მკაცრი ზომების მიღება უფრო ეფექტურს ხდის არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგრამ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის დისპოზიცია იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ ამ ნორმის გამოყენების დროს სასამართლო პრაქტიკაში მთელი რიგი სირთულე და დაბრკოლება იქმნება.

როგორც თვით კანონის ტექსტიდან ჩანს, ქმედობის კვალიფიკაცია ამ მუხლით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი მოქმედებისათვის კანონი 236-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელზე უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს. ე. ი. 236 მუხლის გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს გარკვეულ წინაპირობას, კერძოდ იმას, რომ დანაშაულისათვის, რომლის ჩასადენადაც წააქეხეს, ან რომლის ჩადენაშიც ჩააბეს არასრულწლოვანი, კანონი არ უნდა ითვალისწინებდეს ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მძიმე სასჯელს. იურიდიულ ლიტერატურაში მ. ქურდაძის მიერ უკვე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს წინაპირობა დამოუკიდებელ სახეს უკარგავს 236 მუხლს და გაუმართლებლად ზღუდავს მისი მოქმედების სფეროს. სასამართლო პრაქტიკის მაგალითების ანალიზის საფუძველზე მ. ქურდაძე სამართლიანად მიუთითებს იმ დაბრკოლებებზე და გაურკვევლობებზე, რასაც ამ მუხლის გამოყენება იწვევს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში<sup>1</sup>.

გამორიცხავს რა დანაშაულის ერთობლიობის წესით პირის მოქმედების კვალიფიკაციას, გარკვეულ ვითარებაში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის დისპოზიცია ეწინააღმდეგება აგრეთვე აღნიშნულ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო

<sup>1</sup> მ. ქურდაძე, პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 1 გვ. 31-34.

მითითებას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილებაში მიუთითა, რომ „მოქმედება დანაშაულის სრულწლოვანი მონაწილისა, რომელმაც დანაშაულის ჩადენაში ჩაითრია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლში აღნიშნულ ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი, უნდა დაკვალიფიკირდეს იმ მუხლების ერთობლიობით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთან ერთად კონკრეტულ დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრევისათვის (რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები)“<sup>2</sup>. მამასადამე, პლენუმი ყველა შემთხვევაში მოითხოვს კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობის წესით. საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლი კი გამორიცხავს ასეთს თუ იმ დანაშაულისათვის რომელშიც მოხდა არასრულწლოვანის ჩაბმა უფრო მძიმე სასჯელია გათვალისწინებული ვიდრე ამ მუხლის საწყევით.

თუ მხედველობაში მივიღებთ ერთის მხრივ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის პლენუმის მითითებას, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს სსრ სსკ 236 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებულ შეზღუდვას, გამოდის, რომ უფრო მძიმე დანაშაულში არასრულწლოვანის ჩაბმის შემთხვევაში დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ერთი დანაშაულისათვის, ხოლო შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულში არასრულწლოვანის ჩაბმის შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის წესით.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან მართებულად მიგვაჩნია მ. ქურდაძის მოსაზრება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის დისპოზიციის ცვლილების შეტანის შესახებ იმ მიმართებით, რომ მოიხსნას მისი გამოყენების შეზღუდვა და არასრულწლოვანის დანაშაულში ჩაბმის შემთხვევაში დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიკირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესებით მიუხედავად იმისა თუ რა დანაშაულში მოხდა არასრულწლოვანის ჩაბმა და რა სიმძიმის სასჯელია გათვალისწინებული ამ დანაშაულისათვის.

მაგრამ იმისათვის, რომ საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლმა გაამართლოს თავისი დანიშნულება, მხოლოდ ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანა საკმარისად არ მიგვაჩნია.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვანის არა მარტო ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში, არამედ დანაშაულის ჩასადენად მის წაქეზებასაც. არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულში მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-7 ბუნქტით გათვალისწინებულია როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება. ე. ი. კანონი ერთიდაიგივე ქმედობას ერთდროულად ითვალისწინებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას საერთოდ ყველა დანაშაულისათვის და როგორც დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას.

რამდენადაც კანონის ორივე მოთხოვნა თანაბრად სავალდებულოა სასამართ-

<sup>2</sup> ქურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1963, № 5, გვ. 66.



ლოსათვის, ეს უკანასკნელი ყოველთვის დადგება გამოუვალი არჩევანის წინაშე თუ კანონის რომელ მოთხოვნას დაემორჩილოს: განიხილოს არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულისათვის ან ჩაბმა დანაშაულში, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, თუ როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობით წამქეზებლობა გათვალისწინებულია როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახე. თავის მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლს თავისი დანიშნულების გამართლება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამოიყენება სხვა მუხლთან ერთად. გამოვა, რომ იმ შემთხვევაში როდესაც ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანის მხოლოდ წაქეზებას (და არა მასთან ერთად მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში) დამნაშავე პირის მოქმედება უნდა დაეკვალიფიცირებოდა ორი მუხლით, რომელთაგანაც ორივე წამქეზებლობას ითვალისწინებს.

მაგ. თუ პირმა არასრულწლოვანი წაქეზა ყაჩაღობისათვის, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს ყაჩაღობის წამქეზებლობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 19—152 მუხლებით (39 მუხლის ძალით ამსრულებლის არასრულწლოვანების ფაქტის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებით) და 236 მუხლით ყაჩაღობისათვის არასრულწლოვანის წაქეზებისათვის.

ასეთი კვალიფიკაცია კი გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგან წამქეზებლობა ერთი კონკრეტული ქცევის აქტია, რომლითაც დანაშაულის ერთი შემადგენლობა ხორციელდება, კერძოდ განსაზღვრულ დანაშაულში წამქეზებლობის შემადგენლობა. ის ფაქტი, რომ სუბიექტი იმ დანაშაულისა, რომლის ჩასადენადაც ხდება წაქეზება შეიძლება იყოს სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი (რასაკვირველია პასუხისმგებლობისათვის კანონით დადგენილ ასაკის ფარგლებში) არ მიუთითებს დანაშაულის ორი შემადგენლობის არსებობაზე და მამასადამე, იმაზე თითქოს ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდეს დანაშაულთა იდეალურ კრებადობას. დანაშაულის სუბიექტის სრულწლოვანების თუ არასრულწლოვანების ფაქტი არ ქმნის დანაშაულის განსხვავებულ შემადგენლობებს და ამ ფაქტმა არც წამქეზებლის მოქმედებას შეიძლება მიანიჭოს ორგვარი იურიდიული მნიშვნელობა. წაქეზებულის არასრულწლოვანების ფაქტი იურიდიული თვალსაზრისით წამქეზებლობით მოქმედების გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს და არა მის ორმაგ ბუნებაზე. ეს გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება კი თავის მართებულ და საკმარის ასახვას პოულობს კანონმდებლის მიერ ამსრულებლის არასრულწლოვანების ფაქტის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევაში, რაც იწვევს სასამართლოს მიერ სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრისას სანქციის ფარგლებში უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენებას.

ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. თანახმად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 40 მუხლისა ორი ან მეტი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მართალია თითოეული დანაშაულისათვის ცალკე ნიშნავს სასჯელს და საბოლოოდ მათი ერთობლიობით საზღვრავს მის საბოლოო ოდენობას, მაგრამ ამასთან ერთად ან უფრო მკაცრი სასჯელი მთანთქავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს ან სასჯელები შეიკრიბება მხოლოდ იმგვარად, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს იმ მუხლით ან მუხლების ნაწილით დადგენილ ფარგლებს რომლებიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, არასრულწლოვა-

ნის ყაჩაღობისათვის წაქეზებისას (152-ე მუხლის პირველი ნაწილი) თუნდაც სასამართლომ ქმედობა დააკვალიფიციროს დანაშაულის ერთობლიობის წესებით 19—152 მუხლის პირველი ნაწილით და 236 მუხლით და მათი ერთობლიობით განუსაზღვროს დამნაშავე პირს საბოლოოდ მოსახდელი სასჯელის ოდენობა, თანახმად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 40 მუხლისა იგი ვერ დანიშნავს ათი წლით თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მძიმე სასჯელს. ეს კი სასამართლოს შეუძლია გააკეთოს ქმედობის მხოლოდ 19—152 მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციისას, გაითვალისწინებს რა ამსრულებლის არასრულწლოვანების ფაქტს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. გამომდინარე აქედან გარდა იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი თეორიის თვალსაზრისით გაუმართლებელია არასრულწლოვანის წამქეზებლობის დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაცია, ასეთი კვალიფიკაცია ფაქტიურადაც მხოლოდ ფორმალურ, ხელოვნურ ხასიათს ატარებს და ამ სახის დამნაშავეობასთან წარმატებით ბრძოლის საქმეში რაიმე ხელშეწყობებს პრაქტიკულ შედეგებს ვერ მოგვცემს.

რაც შეეხება არასრულწლოვანის დანაშაულში ჩაბმას ეს უკვე გამოკვეთილად დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მოქმედებაა, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც დანაშაულის უშუალოდ აღსრულებისაგან ისე წამქეზებლობისაგან. როგორც სწორად აღნიშნავს პროფ. ბ. ფურცხვანიძე „დანაშაულის ჩადენაში ჩაბმა უნდა გავიგოთ როგორც არასრულწლოვანის მონაწილეობა იმ დანაშაულში, რომელიც განხორციელდა თვით სრულწლოვანის მიერ ე. ი. როგორც დანაშაულის ჩადენა ამ უკანასკნელთან ერთად“<sup>3</sup>. ამ შემთხვევაში დამნაშავე პირი გარდა იმისა, რომ უშუალოდ ახორციელებს განსაზღვრულ დანაშაულს, უზრუნველყოფს აგრეთვე მის განხორციელებაში არასრულწლოვანის მონაწილეობას და ფაქტიურად ახორციელებს ორ საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას, სისხლის სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულის ორ განსხვავებულ შემადგენლობას. ამიტომ როდესაც დამნაშავე პირი კონკრეტული დანაშაულის ჩადენისას მასში აბამს აგრეთვე არასრულწლოვანს, მისი მოქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობის წესებით, კერძოდ იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს მის მიერ განხორციელებულ დანაშაულს და 236-ე მუხლით თეორიულად სავსებით გამართლებულია და პრაქტიკულადაც შეესაბამება დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანებს.

მაგრამ ისევე, როგორც არასრულწლოვანის წაქეზებისას, წინააღმდეგობა იმ მხრივ რომ არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებულია როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება აქაც რჩება.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული წინააღმდეგობანი არ გვხვდება. ჯერ ერთი, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვანის მხოლოდ ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში, ხოლო არასრულწლოვანის წამქეზებლობა ამავე კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად განიხილება მხოლოდ როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. მეორეს მხრივ, არასრულწლოვანის დანაშაულში ჩაბმის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებისას რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი ხმარობს ტერმინს „привлечение“. რაც ძირითადად ნიშნავს

3 ბ. ფურცხვანიძე. „საბჭოთა სისხლის სამართალი“, თბ. 1966, გვ. 438.

მიზიდვას, გადაბირებას და რაც შინაარსით ახლოს დგას წაქეზებასთან, ხოლო 210 მუხლში ნახმარია ტერმინი „вовлечение“, რაც ძირითადად ნიშნავს ჩაბმას, ჩათრევას ე. ი. გამოკვეთილად განსხვავებულ შინაარსის მოქმედებას, როგორც აღნიშნეთ სრულწლოვანის მიერ განხორციელებულ დანაშაულში არასრულწლოვანის ერთობლივ მონაწილეობას.

ამასთან დაკავშირებით სადავოდ მიგვაჩნია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანის წაქეზება ერთი ან რამდენიმე კონკრეტული დანაშაულისათვის განხილულ უნდა იქნეს როგორც დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმა<sup>4</sup>. მინიმალური მითითება ფაქტიურად შლის ზღვარს არასრულწლოვანის წაქეზებასა და დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმას შორის. გამომდინარე აქედან რსდსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხლის გამოყენებისას პლენუმის აღნიშნული მითითების გათვალისწინება ჩვენი აზრით გამოიწვევს იმ წინააღმდეგობებს, რაზეც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი საქართველოს სსრ სსკ 236 მუხლის გამოყენების თაობაზე მსჯელობისას. კერძოდ სასამართლოს წინაშე დადგება საკითხი განიხილოს არასრულწლოვანის წაქეზება როგორც თანამონაწილეობა (წაქეზებულის არასრულწლოვანების ფაქტის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებით) როგორც ამას კანონი მოითხოვს თუ მიიჩნის იგი არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის ერთ-ერთ სახედ და განიხილოს დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობად, როგორც ამას პლენუმი მოითხოვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლის წარმატებით განხორციელების ამოცანისადმი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლში გათვალისწინებულ იქნას დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის მხოლოდ ჩაბმა და არა წაქეზება. ამასთან არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას, არ უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი.

რაც შეეხება 236-ე მუხლის დისპოზიციის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია პროტიტუციაზე, ლოთობაზე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ მოქმედებათა ჩადენისათვის არასრულწლოვანთა დაყოლიების შესახებ, ასეთი მოქმედებანი რასაკვირველია გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია და მათ დამოუკიდებელ დანაშაულად გათვალისწინების მიზანშეწონილება ეჭვს არ იწვევს. ამასთან რამდენადაც ჩამოთვლილი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებანი არ არიან კოდექსში გათვალისწინებული როგორც დამოუკიდებელი შემადგენლობანი, ამდენად არასრულწლოვანის დაყოლიება ასეთ მოქმედებათა ჩადენისათვის არ მოგვცემს დამატებით წამქეზებლობის შემადგენლობას და 236-ე მუხლით კვალიფიკაცია რაიმე სახის უხერხულობას არ შექმნის.



# საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის შექმნა

პ. ხვიჩია

ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრწყინვალედ დაგვირგვინდა 1921 წლის 25 თებერვალს. საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და სოციალისტური სახელმწიფო მანქანის შექმნა, დამსობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვა, უმკაცრესი რევოლუციური წესრიგის უზრუნველყოფა.

პირველი ბრძანება, რომელიც საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 25 თებერვალს მიიღო, შეეხებოდა რევოლუციური წესრიგის დაცვასა და ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას.

„ყველა სახელმწიფო დაწესებულება, საქალაქო და საერო თვითმმართველობა, —ნათქვამი იყო რევკომის ამ ბრძანებაში,—ქალაქისა და ერობის მილიცია და საერთოდ ყველა თანამდებობის პირი დაჩჩეს თავის ადგილზე და განაგრძოს მიმდინარე მუშაობა.

რევოლუციური წესრიგი დაცულ უნდა იქნეს მთელი სისასტიკით, მესაბოტაჟეები, ურჩნი და წესრიგის დამრღვევნი დაისჯებიან რევოლუციური დროის კანონთა მთელი სისასტიკით“.

რევკომმა გამოსცა მთელი რიგი დეკრეტები და ბრძანებები ძველი სახელმწიფო ორგანოების გაუქმებისა და სოციალისტური ორგანოების შექმნის შესახებ. რევკომის დეკრეტით დაშლილ იქნა მენშევიკური არმია და სახალხო გვარდია, მენშევიკური დამფუძნებელი კრება, უმადლესი სასამართლო დაწესებულება—სენატი.

საქართველოს კომუნისტებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი და ძნელი ამოცანების წარმატებით გადაჭრა შეუძლებელი იყო რევოლუციური წესრიგის

დამყარების გარეშე. ისევე როგორც საბჭოთა რუსეთში, საქართველოში ეს ფუნქცია მუშურ-გლეხურ მილიციას უნდა შეესრულებინა.

ახალი, სოციალისტური ტიპის სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის მუშურ-გლეხური მილიციის ჩამოყალიბება და სრულყოფა წარმოადგენდა საქართველოში სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის შექმნის საკანონმდებლო აქტი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მილიციის ფორმირებისა და განმტკიცებისათვის საქართველოში ფართოდ იქნა გამოყენებული მოძმე რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცდილება.

საქართველოში მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაცია დაიწყო რევოლუციის პირველსავე დღეს. საქართველოს რევკომმა 1921 წლის 25 თებერვალს შექმნა თბილისის მუშურ-გლეხური მილიცია 13 სამილიციო კომისარიატით და 192 სამილიციო საგუშაგოთი.

„დღეიდან,—ვკითხულობთ თბილისის მილიციის უფროსის მ. ჩხეიძის პირველ ბრძანებაში,—შეფუდები თბილისისა და მისი რაიონების მილიციის უფროსის მოვალეობის შესრულებას. ჩემს მოადგილედ ვნიშნავ ამხ. ტრაბაიძეს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავის თანამდებობის შესრულებას. რაიონის უფროსებს და მილიციის მოსამსახურეებს ვუბრძანებ დარჩნენ თავიანთ ადგილებზე“<sup>2</sup>.

თბილისის მილიციის კომისარიატებს სელმძღვანელობდნენ უფროსები და მათი თანაშემწეები. შემდგომში კომისარიატები გარდაიქმნენ მილიციის რაიონულ სამმართველოებად. ისინი განაგებდნენ სასოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანიზაციას და თავის მხრივ უშუალოდ ემორჩილებოდნენ თბილისის რევოლუციურ კომიტეტს.

თბილისის რევკომმა ქალაქში სასოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის მილიციის რაიონულ სამმართველოებთან დანიშნა სამხედრო კომენდატები, რომლებიც

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 281, ან. 1, საქმე 11, ფურცელი 6. შემდგომში შემოკლებით — სსსა.

<sup>2</sup> გაზ. „კავკასიის კომუნა“, 1921 წ. 28 თებერვალი.

მილიციის მუშაკებთან ერთად ახორციელებდნენ ქმედით ღონისძიებებს კონტრარევოლუციური ელემენტების წინააღმდეგობათა დასათრგუნავად.

მენშევიკური მთავრობის დამხობის შემდეგ აღვლბზე შეიქმნა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც თავიანთი შეხედულებისამებრ ჰქმნიდნენ მუშურ-გლეხურ მილიციის ორგანიზაციებს, განსაზღვრავდნენ საშტატო ერთეულს, ხელფასს, შესანახ ხარჯებს.

1921 წლის 31 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საგუბერნიო მილიციის შექმნის საკითხი. მიღებული იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო მილიციის საგუბერნიო სამმართველოები თბილისსა და ქუთაისში.<sup>3</sup>

მილიციის საგუბერნიო სამმართველოებმა ცოტა ხანს იარსებეს. როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები დაწესდნენ, რომ საქართველოსათვის საგუბერნიო დაწესებულებანი ზედმეტი იყო, მილიციის საგუბერნიო ორგანიზაცია გაუქმებულ იქნა და შეიქმნა რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველო.<sup>4</sup>

1921 წლის 5 აპრილს ბათუმის ოლქის რევკომის შინაგან საქმეთა მმართველობამ შექმნა ბათუმის ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო, დამტკიცა აგრეთვე ბათუმის ოლქის სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ცენტრალური აპარატის შემადგენლობაც.<sup>5</sup>

ბათუმის ოლქში შეიქმნა მილიციის კინტროლის, ქობულეთის, ბათუმის, გონიოს, ზედა აჭარის და ქვედა აჭარის რაიონული სამმართველოები.

პირველ ხანებში მილიციის ორგანოებს შორის არ არსებობდა მჭიდრო კონტაქტი, მათი აღმინისტრაციული და ოპერატიული საქმიანობის ფორმები და მეთოდები ერთგვაროვანი არ იყო. მაგრამ მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებს თავიდანვე სწორად ჰქონდათ შეგნებული თავიანთი დანიშნულება—ბრძოლა დანაშაულობის აღკვეთა-აცილებისა და რევოლუციური წესრიგის განმტკიცებისათვის.

1921 წლის 20 აპრილს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი „მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ“. რევოლუციური წესრიგის

განმტკიცების, მოქალაქეთა უშიშროების დაცვისა და სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა მუშურ-გლეხური მილიცია. „მუშათა და გლეხთა მილიციას, — ნათქვამი აქო დეკრეტში, — როგორც შეიარაღებულ სამხედრო ორგანოს, ენიჭება მნიშვნელობა საგანგებო დანიშნულების შეიარაღებული ნაწილისა, აქედან გამომდინარე უფლებებითა და მოვალეობით“.<sup>6</sup>

ამ დეკრეტით მუშათა და გლეხთა მილიციის შემადგენლობაში შევიდა: ა) ქალაქისა და მაზრის მილიცია, ბ) რკინიგზის მილიცია, გ) წყლის მილიცია, დ) სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია.

მილიციაში სამსახური აგებულ იქნა ნებაყოფლობით პრინციპზე, მაგრამ ის ვინც მილიციის სამსახურში შევიდოდა, ვალდებული იყო ემსახურა არანაკლებ ერთი წელი.

მილიციის სამსახურში მიიღებოდნენ შემდეგი პირები: ა) არანაკლები 21 წლის ბ) წერა-კითხვის მცოდნე, გ) საბჭოებში საარჩევნო უფლებების მქონე, დ) ვინც არ ყოფილა სისხლის სამართალში და გამომძიების ქვეშე, ე) სრულიად საღი და სამსახურისათვის გამოსადეგნი, ვ) წითელი არმიელნი, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული ომებში და დაბრუნებული იყვნენ მოქმედ ჯარიდან სამკურნალოებში ან მიღებული ჰქონდათ თავისუფლება ჭრილობებისა და ავადმყოფობის გამო.<sup>7</sup>

დეკრეტმა დაადგინა მილიციაში სამხედრო გაწვრთნილობის შემოღება, სამხედრო დისციპლინა და მკაცრი დაქვემდებარება. დანერგილ იქნა წითელ არმიაში მოქმედი წესები. მილიციის სარდლობის და მილიციის ხელმძღვანელობისათვის დაწესდა სპეციალური ფორმები და განმასხვავებელი ნიშნები, რომელთა ტარება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სავალდებულო გახდა.

დეკრეტმა „მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ“ ეს იყო პირველი საქანონმდებლო აქტი, რომელზეც აშენდა მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაციული შენობა. უდიდესი მნიშვნელობა ამ დოკუმენტისა იმაში მდგომარეობს, რომ მან დააკანონა მილიციის ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი. იყო რა რევოლუციური კომი-

3 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონდი 14, ან. 1, საქმე 2, ფ. 8, შემდგომში შემოკლებით — მლისფბა.

4 მლისფბა, ფონდი 14, ან. 1, საქმე 74, ფ. 9.

5 მლისფბა, ფონდი 14, ან. 1, საქმე 58, ფ. 4.

6 ჟურნ. „მოამბე“ — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანო. 1921 წ. № 3, გვ. 1.

7 ჟურნ. „მოამბე“ — 1921 წ. № 3, გვ. 2.



ტეტის აღმასრულებელი ორგანო ადგილებზე, მილიცია უშუალოდ ექვემდებარებოდა მას, ამა-სთანავე იგი ემორჩილებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

დეკრეტის „მუშურ-გლეხური მილიციის შე-სახება“ მიღება დიდი მოვლენა იყო საბჭოთა სა-ქართველოს მილიციის ცხოვრებაში. მას სა-ფუძვლად დაედო სახელმწიფოს მართვისა და საბჭოთა აპარატის მუშაობის ლენინური პრინ-ციპები: დემოკრატიული ცენტრალიზმი, სოცი-ალისტური კანონიერება, კადრების სწორად შე-რჩევა და განაწილება, შესრულების შემოწმე-ბა.

დეკრეტის შესაბამისად, მილიციის შტატებ-ის დაკომლექტებისას მხედველობაში იყო მიღე-ბული მისი მნიშვნელობა, რკინისებური დისცი-პლინის საჭიროება. მილიციაში მოწვეულ იქ-ნენ სამხედრო პირები, რომელთაც უმწიკვლო წარსული ჰქონდათ, კარგად იცნობდნენ სამხედ-რო საქმეს და ტექნიკას.

ქ. თბილისში შეიქმნა რკინიგზის მილიციის ცენტრალური სამმართველო, ადგილებზე კი რა-იონული სამმართველოები. საქართველოს რკინი-გზის მილიციაში არ შექმნილა სახაზო სამმარ-თველოები. რკინიგზის საზღვის სიმიციის გამო სახაზო სამმართველოების შექმნა აუცილებელი არ იყო.

საქართველოს რევკომმა 1921 წლის 25 ნო-ემბერს მიიღო დადგენილება სანავსადგურო მი-ლიციის შექმნის შესახებ, რომლის შესახებ ხა-რჯები დაეცირა შინაგან საქმეთა სახალხო კო-მისარიატს და საზღვაო ტრანსპორტის სამმარ-თველოს.<sup>8</sup>

ამრიგად, 1921 წლის დასასრულისათვის სა-ქართველოს სსრ-ში ძირითადად უკვე ჩამოყა-ლიბდა მილიციის ორგანოები, რომლებიც ემო-რჩილებოდნენ ერთი მხრივ ადგილობრივ რევ-კომებს და მეორე მხრივ საქართველოს საბჭო-თა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქ-მეთა სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ რევკომის დეკრეტი „მუ-შათა და გლეხთა მილიციის შესახებ“ ძალაში იყო 1922 წლის 20 იანვრამდე. ამ დღეს გამოქ-ვეყნდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველ-ოს სახალხო კომისარიატის საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების სამოქმედო შემოღების შესახებ“.

დებულებაში თავისი გამოხატულება ჰპო-ვა რესპუბლიკაში მომხდარმა ცვლილებებმა, რუსეთის მუშურ-გლეხური მილიციის საქმი-

ნობის გამოცდილებამ. დებულებამ ახლებურად განსაზღვრა მილიციის ორგანოების მმართველო-ბის წესები. მილიციის მმართველობის ორგა-ნობად აღიარებულ იქნენ—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და თბილისის მაზრა-ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სადმი-ნისტრაციო განყოფილებანი; სამაზრო, საქალა-ქო და სარაიონო მილიციის სამმართველოები. სადმინისტრაციო განყოფილების უფროსი ით-ვლებოდა რესპუბლიკის მილიციის უფროსად, მასვე ემორჩილებოდა სისხლის სამართლის მა-ძიებელი ცენტრალური მილიცია.

ახალი დებულებით მილიციის ორგანოების გამგებლობაში შედიოდა: ადმინისტრაციული ხასიათის დადგენილებათა და განკარგულე-ბათა ცხოვრებაში გატარება, რევოლუციური წესრიგის, საზოგადოებრივი უშიშროებისა და ხალხის დოვლათის დაცვა, ბრძოლა მილიციის პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპ-ლინის განმტკიცებისათვის, მილიციის აღჭურ-ვა საბრძოლო იარაღებითა და სატრანსპორტო საშუალებებით, ბანდიტიზმისთან ბრძოლის სა-ოპერაციო ცნობების დამუშავება და შედგენა.

დებულებამ განსაზღვრა მილიციის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი, პირადი შემადგენლო-ბის შევსების, თანამდებობაზე დანიშნვის, გა-დაყვანის და გადაყენების წესი.

„მილიციის სამსახურში და სამძებროს აქ-ტიურ შემადგენლობაში შესული პირი, — ნა-თქვამი იყო დებულებაში, — ვალდებულია კისრულობს იმსახუროს ერთი წლის განმავლო-ბაში, რის შესახებ განცხადების წარდგენის-თანავე იძლევა ხელწერილს. ერთი წლის ვა-დის გასვლის შემდეგ ხელწერილი შეიძლება განახლებული იქნეს“.<sup>9</sup>

ახალი დებულების მიღების შემდეგ, ისევე როგორც მთელს რუსეთში, საბჭოთა საქართვე-ლოს მუშურ-გლეხური მილიციის სამსახურში ჩარიცხვის დროს ყურადღებას აქცევდნენ: სმენას, მხედველობას, მესხიერებას, აზროვნე-ბას, კომბინირებულ შესაძლებლობას, გონე-ბრივ სფეროს, განწყობასა და ეფექტს, გრძნობადობას თავის თავისადმი დამოკიდე-ბულებაში, გრძნობადობას სხვებისადმი დამო-კიდებულებაში, ზნეობრივ გრძნობას, ემოცი-ური სფეროს საერთო თავისებურებას, მოძრა-ობას, გადაწყვეტილების მიღების უნარს, სუ-ლიერი სიძლიერის შეგნებულობას, საზოგადო-ებრივი შეგრძნების, კორპორაციული ცნობიერ-

<sup>8</sup> სსსა, ფონდი 281, ან. 1, საქმე 211, ფ. 240.

<sup>9</sup> სსსა, ფონდი 284, ან. 1, ს. 174, ფ. 4.

ზას, სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებას, სა-  
მხედროსადმი დამოკიდებულებას.<sup>10</sup>

მაღე დამტკიცდა მუშათა და გლე-  
ხთა მილიციის მოსამსახურეთა დისციპლი-  
ნარული წესდება. მილიციაში შემოღებული  
იქნა სამხედრო დისციპლინა და მკაცრი დაქვე-  
მდებარება. წესდების ერთ-ერთ მუხლში ნათქ-  
ვამი იყო: მილიციას შეუძლია განახორციელოს  
თავისი მაღალი დანიშნულება მხოლოდ მაშინ,  
როცა ის სავსებით ემორჩილება მშრომელთა  
მიერ დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებას  
და შეურყეველი ერთგულებით ასრულებს მას-  
ზე მიცემულ დამირებას.<sup>11</sup>

ინსტრუქციამ განსაზღვრა ხელმძღვანელ  
მუშაკთა უფლება-მოვალეობანი, წამახალისე-  
ბელი და დისციპლინარული სასჯელის ზომები,  
შემოიღო ასეთლის სამხანაგო სასამართლოე-  
ბი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს პი-  
რადი შემადგენლობის დისციპლინის განმტკი-  
ცებისა და დაკისრებული მოვალეობის მაღალი  
პასუხისმგებლობით აღსრულების საქმეში.

მუშურ-გლეხური მილიციის დებულების  
(1922 წლის 20 იანვარი) და ინსტრუქციის გა-  
მოქვეყნების შემდეგ რესპუბლიკის მილიციის  
ორგანიზაციასა და აგებულებაში მოხდა ბევრი  
ცვლილება. ყველა ისინი მიმართული იყო მი-  
ლიციის ორგანოების საქმიანობის შემდგომი  
სრულყოფისაკენ. გაუქმებული იქნა რესპუბ-  
ლიკის მილიციის მთავარი სამმართველო, მი-  
სი უფლება-მოვალეობანი გადაეცა შინაგან სა-  
ქმეთ სახალხო კომისარიატს, სადაც შეი-  
იქმნა სამილიციო განყოფილება. შემცირებუ-  
ლი იქნა მილიციის სამმართველოს შტატი,  
როგორც ცენტრში, ისე მაზრა-ქალაქებსა და  
რკინიგზის მილიციაში.

რკინიგზის მილიცია გადაეცა საქართველოს  
სსრ საგანგებო კომისიის სატრანსპორტო გან-  
ყოფილებას.<sup>12</sup>

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები-  
დანვე დანაშაულობასთან ბრძოლის მთელი სი-  
მძიმე სისხლის სამართლის მაძიებელი მილი-  
ციას დააწვა. მაგრამ პირადი შემადგენლობის  
მერყეობისა და კვალიფიციური მუშაკების  
სიმცირის გამო იგი ვერ ასრულებდა მასზე  
დაკისრებულ ამოცანებს. ბევრჯერ სისხლის  
სამართლის მილიციის თანამშრომელიე შემწ-  
ნეული იყვნენ დამნაშავე ელემენტებთან კავ-  
შირში, თვითონ ეწეოდნენ ბოროტებას. რვე-

კომის სახელზე წარდგენილ მოხსენებებში  
ერთი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია  
აღნიშნავდა, რომ პირველ ხანებში საჭირო  
გახდა მთელი შტატების დათხოვნა, შემდეგ  
კი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახ-  
მარებით შესაძლებელი გახდა სისხ-  
ლის სამართლის მაძიებელი მილიციის  
გაჯანსაღება.<sup>13</sup> შინაგან საქმეთა სახალხო-  
კომისარიატი დროულად იღებდა ქმედით დო-  
ნისძიებებს სისხლის სამართლის მილიციის  
ღირსეული კადრებით დაკომპლექტებისათვის.  
გადაყენებული იქნენ თანამდებობიდან მილი-  
ციის ორგანოებში შემთხვევით მოხვედრილინი,  
კარიერისტები, რომლებიც თანამდებობაზე  
ნიშნავდნენ პასუხისგებაში ნაყოფ პირებს,  
უკანონოდ აპატირებდნენ მოქალაქეებს, ჩადი-  
ოდნენ მძიმე დანაშაულობებს.<sup>14</sup>

სისხლის სამართლის მილიციამ გაჯანსაღე-  
ბის შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუტყა-  
და ბოროტმოქმედებს, დაძლია მათი წინააღმ-  
დეგობანი, შეიმუშავა დანაშაულობასთან ბრძო-  
ლის, ბოროტმოქმედებთა აღმოჩენისა და ლი-  
კვიდაციის მეცნიერული სისტემა. მხოლოდ  
ამ საშუალებებით გახდა შესაძლებელი შეი-  
არაღებული თავდასხმების, ძარცვების, მკვლე-  
ლობების აღკვეთა-აცილება.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1924 წლის  
25 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს  
სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სის-  
ხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწე-  
სებულებათა დებულების დამტკიცებასა და  
სამოქმედოე შემოღების შესახებ“, წარმოად-  
გენდა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს სისხლის  
სამართლის სამძებრო მილიციის საქმიანობის  
შემდგომი სრულყოფის, მათი მუშაობის ორგა-  
ნიზაციული ფორმების გაუმჯობესების საქ-  
მეში.

„სისხლის სამართლის მილიციას, — ნათქვა-  
მა საქართველოს სახკომსაბჭოს 25 ნოემბრის  
დადგენილებაში — რესპუბლიკაში განაგებს  
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამი-  
ლიციო განყოფილება. ადგილობრივ სისხლის  
სამართლის მაძიებელი მილიციის მოვალეო-  
ეკისრება ქ. თბილისისა და მის მაზრაში სისხლის  
სამართლის მილიციის ტფილისის სამმართველო  
ქ. ბათუმში — სისხლის სამართლის მილიციის  
ბათუმის სამმართველოს, ხოლო რესპუბლიკის  
დანარჩენ ადგილებში — საერთო მილიციის  
ორგანოებს“.<sup>15</sup>

<sup>10</sup> Журн. «Административный вестник», 1925 г. № 3, стр. 23, 24.

<sup>11</sup> უტრნ. „მოამბე“ 1922 წ. № 30, გვ. 20.

<sup>12</sup> უტრნ. „მოამბე“, 1922 წ. № 2, გვ. 6.

<sup>13</sup> მლისფა, ფონდი 14, ან. 1, ს. 74, ფ. 10.

<sup>14</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 7 იანვარი.

<sup>15</sup> უტრნ. „მოამბე“, ც. ა. კის და სახკომსაბჭოსი, 1924 წ. № 11, გვ. 42.



1925 წლის 15 ივნისს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სამოქმედოდ შემოიღო მილიციის დისციპლინარული წესდება.

„რევოლუციური სამილიციო დისციპლინა, — ნათქვამია წესდებაში,— არის სისწორით ასრულება მუშა-გლეხური წითელი მილიციისათვის კანონით და წესდებით დამყარებული სამსახურის წესდებისა და მოსამსახურეთა საყოფაცქნო მოვალეობისა — სახელდობრ:

ა) საქართველოს სსრ ყველა კანონისადმი პატივი მოპყრობა;

ბ) თავდადებული ერთგულება სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა წესწყობილებისა და დადებული აღთქმისადმი;

გ) იმის შეგნება, რომ პირადი ნებისყოფა უნდა ემორჩილებოდეს კანონსა და უფროსის ბრძანებას;

დ) მოსამსახურეთა შორის ერთმანეთისადმი პატივისცემა, მჭიდრო კავშირი და ამხანაგური დამოკიდებულება;

ე) თავის თავისა და სხვაში ისეთი თვისებებისა და უნარის აღზრდა-განვითარება, რაც საჭიროა მოვალეობის უნაკლოდ და დამოუკიდებლად შესრულებისათვის“.

დისციპლინარული წესდება მილიციის ყველა მოსამსახურისაგან მოითხოვდა შეესრულებინა უფროსის მიერ სამსახურის გამო გამოცემული ბრძანება, სამსახურებრივი მოვალეობა, განევითარებინა თავის თავსა და ხელქვეითებში მხედრული სული (სიმართლე, გამბედაობა, თავგანწირვა, თაოსნობა, ენაშტეობა, გაჭირვების უყოყმანოდ გადატანა და რევოლუციური ღირსება).

დისციპლინარულმა წესდებამ დიდი როლი შეასრულა მილიციის პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, უზრუნველყო მილიციაში მხედრული დისციპლინის განმტკიცება, საზოგადოებრიობასთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მილიციის ავტორიტეტი მოსახლეობაში.

1925 წლის 2 ოქტომბერს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭომ შეიმუშავეს და მიიღეს ერთობლივი დადგენილება „საუწყებო მილიციის შესახებ“.

ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე სახელ-

მწიფო, კოლერაციული, საზოგადოებრივ დაწესებულებათა, სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოებისა და კერძო დაწესებულებათა დაცვა სხვადასხვა შეიარაღებული დაცვისა და სადარაჯო დაწესებულებათა ხელში იყო. არ არსებობდა ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც უხელმძღვანელებდა მათ. ეს კი ხელს უწყობდა სხვადასხვა ბოროტმოქმედ პირებს იოლად დაეტაცათ სახელმწიფო, კოლერაციული და საზოგადოებრივი ქონება. აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ქონების თავმოყრის ადგილების, მატერიალური ფასეულობათა და განძეულობის დაცვის საქმის ორგანიზაცია უშუალოდ დაექვემდებარა საუწყებო მილიციის ორგანობს.

საუწყებო მილიციის დაკომპლექტება, შეიარაღება და უფლება-მოვალეობანი, დაქვემდებარება, დისციპლინა და პასუხისმგებლობა ისეთივე იყო, რაც მუშურ-გლეხურ მილიციისათვის.

დადგენილებამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სადმინისტრაციო განყოფილებაში დაავალა დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად მოეწყოთ საუწყებო მილიცია, გაეთვალიერებინათ სარჩები რაც მისი შენახვისათვის იქნებოდა განკუთვნილი (სამი პროცენტის გადარიცხვის წესით).

საუწყებო მილიცია ვალდებული იყო დაცვა მიწობილი ობიექტი დაინტერესებულ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ჩვენი რესპუბლიკის მუშურ-გლეხური მილიციის მუშაობის გაუმჯობესების, მისი აღმინისტრაციული და ოპერაციული საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის მიღებული იქნა მთელი რიგი დადგენილებები, ინსტრუქციები და ცირკულარები, რომლებმაც კიდევ უფრო განამტკიცეს მილიციის, როგორც აღმინისტრაციულ-აღმასრულებელი ორგანოს როლი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით მუშურ-გლეხური მილიცია სულ მოკლე დროში გადაიქცა შეგნებულ შეიარაღებულ ძალად, რომელიც იზრდებოდა და მტკიცდებოდა კონტრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში, სრულყოფდა მუშაობის მეთოდებსა და სერებს და მთელი შემართებით იბრძოდა სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

## უ. მახარაძე პარტიის ციხეში

პროფ. უ. შვილიძე

ფილიპე მახარაძემ ერთი წელი და რვა თვე გაატარა ვარშავის ციხეში. მას ბრალი ედებოდა პოლონელ რევოლუციონერებთან ერთად სოციალ-დემოკრატიული ბრძოლის გაშლაში. უ. მახარაძე იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი ვარშავის სოციალ-დემოკრატიული წრისა, რომლის მიზანი იყო „მეტად თუ ნაკლებად ახლო მომავალში რუსეთში არსებული სასხელმწიფოებრივი და სასოციალური წყობილების ძალდატანებითი დამხობა“ — ასეთი ადგილია საბრალდებო დასკვნაში, რომელიც 1893 წლის გაზაფხულზე შეადგინა ვარშავის საკუბერინო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა, ქართველი რევოლუციონერის, შემდეგში გამოჩენილი ლენინელის, საბჭოთა საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის ფილიპე იესეს ძე მახარაძის მიმართ.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 23 წლის ახალგაზრდა უ. მახარაძე 1891 წელს სწავლას აგრძელებს ვარშავის ვეტერინალურ ინსტიტუტში. თბილისის სასულიერო სემინარიის შოსწავლეთა „ბუნტარულ“ ატმოსფეროში გამოვლილი ახალგაზრდისათვის ვარშავა იქცა რევოლუციური ბრძოლის ფართო ასპარეზად. ეს ის დრო იყო, როდესაც პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია „პროლეტარიატი“ გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა რუსეთის ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ.

საერთო რევოლუციური სულისკვეთება პოლონეთში ნაყოფიერ გავლენას ახდენდა ვარშავის ვეტერინალური ინსტიტუტის ქართველ სტუდენტებზეც, რომელთა რიცხვიც 90-იანი წლების დამდეგისათვის თერთმეტ კაცს შეადგენდა. ცარიზმის მიერ ჩაგრული ქართველი ხალხის შვილებისათვის მეტად მასობრივი და სისხლსორცვეული გახდა პოლონელი რევოლუციონერების მიზანსწრაფვა. ქართველმა სტუდენტებმა შექმნეს რევოლუციურ-რასწინიანი ფართული წრე — „საქართველოს თავისუფლების ლიგა“, რომელიც თავისი ბრძოლის უშუალო მიზნად ისახავდა დაეხსნა ქართველი ხალხი ეროვნული და სოციალური ჩაპურის უღლიდან. სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მასში ფილიპე მახარაძეც შევიდა.

როგორც ჩანს, მარქსიზმის იდეებს ნაზიარები უ. მახარაძე ვერ დააკმაყოფილა „ლიგის“ რასწინიანულ-რევოლუციურმა შინაარსმა. აგი უკავშირდება ვარშავის სოციალ-დემოკრატიული წრის ლიდერებს ი. პესკინს, ი. გიტკინდს, ი. ანტოკოლსკის, ვ. შუშოვს, ალ. არსანგელსკის და მათი მემკვიდრეობით ამ


წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, უ. მახარაძემ, თავის მხრივ, პოლონელ რევოლუციონერებთან დააკავშირა და მარქსისტული წრის საქმიანობაში ჩაება თავისი ამხანაგი სტუდენტები მიხეილ მირიანაშვილი და სერაფიონ მიქაძე.

სამივე ქართველი ახალგაზრდა მთელი შეგნებითა და ენერგიით ჩაებნენ პოლონელი რევოლუციონერების მუშაობაში. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ წრის სხდომებში, ასრულებდნენ საპასუხისმგებლო რევოლუციურ დავალებებს. ამის გამო პოლონელ თანამომხებთან ერთად მათაც გამოცადეს ვარშავის საპრობილის ნესტიან კაზნატებში ხანგრძლივი ვადით ჯდომა.

ვარშავის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში უ. მახარაძის, ს. მიქაძისა და მ. მირიანაშვილის მოღვაწეობის ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი მომენტია პოლონელი და ქართველი ხალხების მოწინავე შვილთა რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიაში. ეს საყურადღებო მოვლენა ქართველი სასოციალური ბრძოლისათვის ნაკლებადაა ცნობილი. მასზე მხოლოდ ზოგადადაა მითითებული უ. მახარაძისა და მ. მირიანაშვილის მემუარულ ჩანაწერებში, რომლებიც კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იმპრიათობას წარმოადგენენ.

პოლონელი რევოლუციონერების მხარდამხარ ქართველი ახალგაზრდების უ. მახარაძის, მ. მირიანაშვილისა და ს. მიქაძის მუშაობის ირგვლივ ჩვენს მივაკვირებ მეტად თვალსაჩინო მასალას მისკოვის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიული არქივის იუსტიციის სამინისტროს ფონდში, აგრეთვე იუსტიციის მინისტრის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილ „უქვეყნდომილეს მოსხენებებში“, რომლებიც ლენინგრადის ისტორიულ არქივში ინახება.

მისკოვის ცენტრალურ ისტორიულ არქივში ჩვენს მიერ მიკვლეული და მთლიანად ფოტოფირზე გადაღებული საქმე ასეთი სახელწოდებისაა: „ვარშავის ვეტერინალური ინსტიტუტის სტუდენტის მიხეილ მირიანაშვილისა და სხვათა შესახებ“. იგი დაწყებულია 1893 წლის 14 მაისს და დამთავრებულია 1895 წლის 13 მარტს. საქმეში არის გამოძიების მასალები, საბრალდებო დასკვნა, სახელმწიფო ორგანოებს შორის მიწერ-მოწერა რევოლუციონერთა საქმეზე, ბრალდებულთა ირგვლივ შედგენილი „უწყებები“ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ნათლად წარმოგვიდგენენ ვარშავის სოციალ-დემოკრატიულ წრეში ქართველი ახალგაზრდების რევოლუციური მოღვა-



წვობის სურათს<sup>1</sup>. რაც შეეხება ლენინგრადის ისტორიულ არქივში დაცულ „შუქვემწერდომელეს მოხსენებებს“ მათში ვხვდებით იუსტიციის მინისტრისა და თვით იმპერატორის ზოგად მოსაზრებებსა და დასკვნებს ვარშაილაში მომუშავე ქართველ რევოლუციონერთა ირგვლივ<sup>2</sup>.

ამ საარქივო მასალებში, რომლებსაც პირველად ვაქვეყნებთ, მითითებულია, რომ 1891 წელს ქ. ვარშაიას მოსწავლე ახალგაზრდობის ერთ ჯგუფს ჩამოუყალიბებია სოციალ-დემოკრატიული მიმართულების წრე, რომლის წევრებიც მიზნად ისახავდნენ რუსეთში არსებული წყობილების ძალდატანებით დამხობას და ქვეყნად სოციალ-პოლიტიკური თანასწორობის დამყარებას. ამ წრეში შედიოდნენ ი. პესკინი, ი. ვიტკინდი, ი. ანტოკოლსკი, ვ. შუმოვი, თ. რუნკევიჩი, ალ. არხანგელსკი, თ. სვიდერსკი, ფ. ჟიტომირსკი, ფ. მახარაძე, ს. მიქაძე, მ. მირიანაშვილი და სხვ.

ეს წრე თავის უშუალო მიზნად ისახავდა საზღვარგარეთიდან რუსეთში მარქსისტული ლიტერატურის შემოტანა-გავრცელებას, მუშათა საჭირობოროტო საკითხებზე ზრუნვას და ა. შ. მასალებიდან ჩანს აგრეთვე ისიც, რომ წრის ყველა წევრი ჯერ კიდევ არ ყოფილა გათავისუფლებული ხალხოსნური მიდრეკილებისაგან. წრეში კვლავ სათანადო პოპულარობით სარგებლობდა ხალხოსნური შინაარსის წიგნებიც: ჟულიანოვის ბიოგრაფია, „სოციალიზმის არსი“, „ვინ რითი ცხოვრობს“, პ. ლავროვის „რუსეთის სოციალ-რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის“ და ა. შ. ვარშაიის წრის წევრები ამ წიგნებს სწავლობდნენ და შეკლებისდაგვარად ხალხში ავრცელებდნენ. როგორც ჩანს, ასეთი ხალხოსნური მიდრეკილებისაგან არც ქართველი ახალგაზრდები ყოფილან თავისუფალნი.

1892 წლის ზაფხულში სერაფიმო მიქაძის ბინაზე ჩატარებულ ერთ-ერთ კრებაზე რევოლუციური ლიტერატურის კითხვის დროს გამართულა კამათი სასოფლო თემის („ობშინის“) ირგვლივ. ამასთან დაკავშირებით სიტყვით გამოსულა ი. ანტოკოლსკი, რომელიც „თავის თავს კ. მარქსის მიმდევრად თვლიდა“. მას განუმარტავს ამხანაგებისათვის, რომ თანამედროვე პირობებში „ობშინური წყობილება თანდათან იმსხვრევა, და ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდება პროლეტარიატის ზრდასთან ერთად“. ამასთან დაკავშირებით ფ. მახარაძისათვის ურჩევია წაკითხა მარქსის წიგნებს<sup>3</sup> და ღრმად გასცნობოდა მის პოლიტიკურ ეკონომიას<sup>4</sup>.

ვარშაიის ეს წრე ნაყოფიერ რევოლუციურ-პრაქ-

ტიკულ მუშაობას ეწეოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია წრის აქტიური საქმიანობა საზღვარგარეთიდან მარქსისტული ლიტერატურის შემოტანისა და გავრცელების თვალსაზრისით. წრის წევრები რევოლუციურ ლიტერატურას ავრცელებდნენ როგორც პოლონელ მუშებს შორის, აგრეთვე დიდი რაოდენობით აზერბაიჯანში, მათ შორის კავკასიაშიც<sup>4</sup> 1893 წლისათვის ვარშაიის წრეს გადაწყვეტილი ჰქონდა ფილიპე მახარაძის მეშვეობით რევოლუციური ლიტერატურის დიდი პარტია შემოეზავნა კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, მაგრამ დაწყებული ჩავარდნის გამო ეს ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

ვარშაიის სოციალ-დემოკრატიული წრის წევრების, მათ შორის ქართველი ახალგაზრდების რევოლუციური საქმიანობა ოხრანკის აგენტების შემუშავებული არ დარჩენიათ. 1892 წლის დამდეგს ვარშაიის ჟანდარმერიამ მიიღო საიდუმლო ცნობა აღნიშნული წრის არსებობის შესახებ. მაგრამ წრის წევრების დაპატიმრებისათვის საჭირო მასალების ხელში ჩაგდება ვერ შეძლო. ამასთანავე ჟანდარმებისათვის არც წრის წევრების გვარები იყო ხეირიანად ცნობილი.

ოხრანკის აგენტებმა გააძლიერეს მეთვალყურეობა წრის წევრების მიმართ. 1893 წლის 2 მარტს ქ. კრაკოვში დააპატიმრეს წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ი. პესკინი, რომელსაც აღმოაჩნდა პოლიტიკურად საეჭვო შინაარსის წერილები. მათში მოხსენებული იყო წრის ზოგიერთი წევრის გვარი. გარდა ამისა ვარშაიის ჟანდარმერიამ მიიღო აგენტურული ცნობა, რომ საზღვარგარეთიდან სატრანსპორტო კანტორა „ნადეუდას“ საშუალებით ვარშაიელი რევოლუციონერებისათვის იგზავნებოდა მარქსისტული ლიტერატურით სავსე ზანდუკი. ჟანდარმებს შესაძლებლობა მიეცათ ხელში ჩაეგდოთ ნივთიერი მტკიცებულები, რასაც გამოიყენებდნენ რევოლუციონერთა საწინააღმდეგოდ. დაწესდა მუდმივი მეთვალყურეობა იმის გასარკვევად თუ ვინ მივიდოდა ზანდუკის გამოსატანად.

წრის ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა ჟანდარმთა ჩანაფიქრის შესახებ და ზანდუკის გამოტანა-დაბინავების სარისკო საქმე მიანდო ი. ანტოკოლსკისა და ფ. მახარაძეს. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ მეტად საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას ჩააბა მ. მირიანაშვილი და ს. მიქაძე.

ი. ანტოკოლსკიმ და ფ. მახარაძემ შეიმუშავეს ზანდუკის გამოტანის გეგმა, რომელშიც კონსპირაციის დაცვის თითქმის ყველა დეტალი იქნა გათვა-

1 მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (მცსია, იუსტიციის სამინისტროს ფონდი, საქმე 10798).

2 ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო ინსტორიული არქივი (ლცსია), ფონდი 1405, ანაწერი 521, საქმე 444.

3 მცსია, იუსტ. სამინ. ფონდი, 1893, საქ. 10798, ფურც. 220.

4 იქვე, ფურც. 216.

ლისწინებულო. ზანდუკის დაბინავება უნდა მომხდარიყო მ. მირიანაშვილის ბინაზე, რომელიც ყველაზე სამიედოდ იყო მიჩნეული. შემდეგ აქ მივიდოდნენ წრის სხვა წევრები და მ. მირიანაშვილი მათ ფარულად გადასცემდა განკუთვნილ ლიტერატურას. პოლიციის თვალის ასვევის მიზნით ზანდუკის მისაღებად კანტორაში გამოცხადდებოდა სპეციალურად შერჩეული მუშა, რომელიც ბარგს წაიღებდა წინასწარ მიცემული მისამართით. ი. ანტოპოლსკი, ფ. მახარაძე და სხვები კი შორიასლოს გაყვებოდნენ მუშას და როდესაც დარწმუნდებოდნენ ბარგის მვიდობიანად დაბინავებაში, ცალ-ცალკე მივიდოდნენ მ. მირიანაშვილის ბინაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი წინასწარ იყო გათვალისწინებული, რევოლუციონერებმა მაინც ვერ აიცილეს ჩავარდნა. ოსრანკის გადაცემული აგენტები საზღვარგარეთიდანვე მოჰყვებოდნენ ზანდუკის კვალს. როდესაც მუშამ კანტორიდან ზანდუკი დაიხსნა და მ. მირიანაშვილის ბინისაკენ წაიღო მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცემული ჟანდარმები. მუშის გამობრუნებისთანავე, ისინი შეიჭრნენ მ. მირიანაშვილის ბინაში, გაჩხრიკეს იგი და ხელთ იგდეს რევოლუციური წიგნებით სავსე ზანდუკი. ჟანდარმებმა დააპატიმრეს იქ მყოფი მ. მირიანაშვილი და უხმაუროდ ჩასაფრდნენ ბინაში. მათ მოთმინებით იწყეს ლოდინი.

ფ. მახარაძემ, ს. მიქაძემ, ი. ანტოპოლსკიმ, ვ. რუკვეიჩმა და სხვა რევოლუციონერებმა, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ჟანდარმების მიერ მოწყობილი ხაფანგის შესახებ გადაწყვიტეს მოწინააღმდეგეობით მ. მირიანაშვილის ბინა. მათ დაინახეს, რომ ზანდუკის მიტანის შემდეგ მუშა უკან მშვიდობიანად დაბრუნდა და სათითაოდ იწყეს იქ მისვლა. ყველა ერთმანეთის მიყოლებით დააპატიმრეს.<sup>5</sup>

ფილიპე მახარაძე, სერაფიმ მიქაძე და მისეილ მირიანაშვილი 1893 წლის 29 აპრილიდან, ე. ი. დაპატიმრების დღიდან 7 მაისამდე ვარშავის საპოლიციო უბნის პაუბტვანსკო იხსდნენ, 7 მაისს კი საგუბერნიო საპრობოლიუმო ვადიყვანეს. აქ მათ საკმაოდ დიდი ხანი დაჰყვეს. ფ. მახარაძე და ს. მიქაძე ციხეში იყვნენ მითავსებულნი 1895 წლის 31 დეკემბრამდე, ე. ი. ერთ წელსა და რვა თვეზე მეტი, მისეილ მირიანაშვილმა კი ციხეში დაჰყო 1893 წლის 29 აპრილიდან, იმავე წლის 8 ივნისამდე, რის შემდეგაც ხელწერილქვეშ გაათავისუფლეს, ქალაქიდან გასვლა აუკრძალეს და პოლიციის ფარულ მეთვალყურეობას დაუქვემდებარეს.

მ. მირიანაშვილის ასე მალე ციხიდან გათავისუფლება არ აიხსნება მის მიმართ მასალების სიმცირით. მასალა ხელისუფლებას საკმაოზე მეტიც ჰქონდა. მის ბინაზე დააკავეს რევოლუციური ლიტერატურით სავსე ზანდუკი, იქვე დააპატიმრეს ბევრი აქ-

ტიური რევოლუციონერი. გარდა ამისა მ. მირიანაშვილის ბინის ჩხრეკის დროს ჟანდარმებმა ხელთ იგდეს „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ მთელი დოკუმენტაცია (ყრილობის მასალები, დელეგატთა ანგარიშები, სსდომების ოქმები, პროგრამა, წესდება და ა. შ.). ყველაფერი ეს სასეებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ მ. მირიანაშვილი დიდი ხნით გამოეკეტათ ციხეში. და მიუხედავად ამისა მ. მირიანაშვილი მაინც გაათავისუფლეს. უმკველია, რომ ჟანდარმერიას სურდა მისი ყოველი ნაბიჯისადმი თვალყური ედევნებინა და დააპატიმრებას გადარჩენილი რევოლუციონერებიც ჩაეგდო ხელთ. მისი საშუალებით ჟანდარმერა უხვი „მოსავლის“ მიღებას აპირებდა.

როგორც ჩანს, მ. მირიანაშვილს მსხველწილობიდან არ გამოპარვია ოსრანკის მზაკურული მიზნები. მით უმეტეს, რომ მას უკვე ჰქონდა მიღებული ამის სათანადო გამოცდილება. მასალებიდან არ ჩანს, რომ მისი თვალთვალის გამო ჟანდარმერიის აგენტებს ვინმე დაუპატიმრებინოს.

ვარშავის სოციალ-დემოკრატიული წრის საქმეზე დაპატიმრებულთა მიმართ, მათ შორის ქართველი ახალგაზრდების ირველივაც კვლევა-ძიება დაიწყო. გამოძიებას აწარმოებდა ვარშავის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, საოლქო სასამართლო პალატის პროკურორთან ერთად.

გამოძიების მიერ დაგროვილი მასალების მიხედვით, ფილიპე მახარაძესა და სერაფიმ მიქაძეს ბრალად ედებოდათ ვარშავის რევოლუციური წრის აქტიური წევრობა, აკრძალული წიგნების წაითხვა და გავრცელება, საზღვარგარეთიდან რევოლუციური ლიტერატურის შემოტანაში აქტიური მონაწილეობა და ა. შ. ამას გარდა, ფ. მახარაძის მღვდლმარობას დიდად ამძიმებდა ის გარემოება, რომ იგი არა მარტო თვითონ იყო ვარშავის მარქსისტული წრის წევრი, არამედ მას ამ წრის მუშაობაში ჩაუბამს სტუდენტური ივანიცკი. მისივე დავალებით ივანიცკის პოლონურიდან რუსულ ენაზე უთარგმნია ხელისუფლების მიერ აკრძალული ბროშურა — „მუშათა გათავისუფლების შესახებ“<sup>6</sup>.

მისეილ მირიანაშვილი პასუხისცემაში იქნა მიცემული იმის გამო, რომ იცოდა ვარშავის რევოლუციური წრის არსებობა, მაგრამ არა თუ გამოიჩინა „უქვემდებარებლობის ერთგულება“ და წრის წევრები არ დასამინა, არამედ თვითონ მიიღო აქტიური მონაწილეობა საზღვარგარეთიდან შემოტანილი რევოლუციური ლიტერატურის გადამალვაში, მან თავის ოთახში დააბინავა სატრანსპორტო კანტორა „ნადეჟდაიან“ მოტიანლი აკრძალული წიგნებით სავსე ზანდუკი.

ვარშავის მარქსისტული წრის წევრთა საქმის გამოძიება თითქმის ორი წელი გაგრძელდა. გამოძიე-

<sup>5</sup> მცსია, დასახ. საქმე, ფურც. 117-125.

<sup>6</sup> მცსია, დასახ. საქმე, ფურც. 209-210.

ზის დასრულების შემდეგ ხელისუფლებამ თავი აარი-  
და საქმის გახმაურებას, ამიტომ თავისი დასკვნები  
და სხვა მასალები სასამართლოს არ გადასცა. ყვე-  
ლა ბრალდებულს სასჯელის ადმინისტრაციული წო-  
მა შეუფარდა.

იმპერატორის მიერ გამოცემული უმაღლესი ბრძა-  
ნებით ზოგიერთი რევოლუციონერი კვლავ პატიმრო-  
ბაში დატოვეს სხვადასხვა ვადით. ნაწილიც იმპე-  
რიის სხვადასხვა კუთხეში გადაასახლეს პოლიციის  
მკაცრი ზედამხედველობის დაწესებით. ფ. მახარაძეს,  
ს. მიქაძესა და მ. მირიანაშვილს, რომელთაც ვარშა-  
ვის მარქსისტული წრის წევრობის გარდა ბრალი  
ეღებოდათ, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ რაზ-  
ნოჩინულ-რევოლუციური ორგანიზაცია „საქართვე-  
ლოს თავისუფლების ლიგის“ საქმიანობაში, მათ  
სასჯელის შეფარდება დროებით შეუჩერეს „ლიგის“  
ირგვლივ საქმის გამოძიების დამთავრებამდე.

1895 წლის 4 სექტემბერს „უმაღლესად“ გამო-  
ცემული ახალი ბრძანებით, „ლიგის“ სხვა ხელმძღვა-  
ნელებთან ერთად ფ. მახარაძეს, მ. მირიანაშვილსა

და ს. მიქაძეს სასჯელში ჩათვალათ წინასწარი პა-  
ტიმრობა, ამასთან დამატებით მიესაჯათ საშობლოში  
გადასახლება ორ-ორი წლის ვადით პოლიციის მეთ-  
ვალყურეობის ქვეშ დატოვებით. რა თქმა უნდა,  
ყველა ისინი გარიცხეს ინსტიტუტიდან და მათ  
აუკრძალეს დედაქალაქებისა და ვარშავის უმაღლეს  
სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების უფლება.

ამრიგად, ქართველმა ახალგაზრდებმა ფ. მახარა-  
ძემ, ს. მიქაძემ და მ. მირიანაშვილმა თვალსაჩინო  
როლი შეასრულეს ვარშავის სოციალ-დემოკრატიუ-  
ლი ორგანიზაციის რევოლუციურ საქმიანობაში. პო-  
ლონელი რევოლუციონერების მხარდამხარ მუშაობამ  
მნიშვნელოვნად განაპირობა ფილიპე მახარაძის მო-  
მავალი ბედი. 1891 წელს ვარშავის სოციალ-დემოკ-  
რატიულ ორგანიზაციაში შესვლიდან მოყოლებული,  
მას არასოდეს აუღია ხელი მშრომელთა თავისუფ-  
ლებისათვის ბრძოლაზე. ფ. მახარაძე განხდა გამოჩე-  
ნილი ბოლშევიკი-ლენინელი, რუსეთის კომუნისტური  
მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე.



## მკველგობის ინსტიტუტი ხევისკეთში

### 3. აზრები

ქართულ წერილობით წყაროებში თავდაპირველი ცნობები მკველგობის შესახებ შემოუნახავს ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებას“, სადაც ნათქვამია:

„...კონსტანტინეს, რამეთუ შიში აქუნდა კუალადცა სპარსთა მეფისაგან და შემწეობისათვის დაეწავა მირიანს და აღიყვანა შვილი მირიანისი მძევლად. რომელსა ერქუა ბაქარ, და დაამოყურნა თრდატ და მირიან ამჯახნა ურთიერთს...“<sup>1</sup>

როგორც ამ ცნობიდან ჩანს ბერძენთა მეფეს კონსტანტინე I სპარსეთის მეფისაგან შემინებულს შემწეობისათვის ქართველთა მეფე მირიანისათვის მიუმართავს და ერთგულებისათვის კონსტანტინე დიდს მირიან მეფის შვილი ბაქარი მძევლად წაუყვანია.

გარდა ამისა, მძევალი ამავე წყაროში ბევრგან იხსენიება, მაგრამ იგი სრულყოფილ წარმოდგენას არ იძლევა მძევლობის ინსტიტუტის შინაარსზე.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მძევალი პირობის სიმტკიცისათვის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო წინადაც მსცემულ-დატოვებული ადამიანია<sup>2</sup>.

სულხან საბა ორბელიანის განმარტებით მძევალი წინადაც დასმული კაცია<sup>3</sup>. დავით ჩუბინიშვილიც მსგავს განმარტებას გვაძლევს და აღნიშნავს: „მძევალი კაცი წინადაც მიცემული, ამანატ, заложник“<sup>4</sup>.

საქართველოში მძევლობა დაკავშირებული იყო ერთგულებაზე დადებული ხელშეკრულების სიმტკიცის გარანტიასთან. ვინც დაარღვევდა ხელშეკრულებას მის მაგიერ პასუხისმგებელი იყო მძევალი. თუ ძლიერი და დიდი სახელმწიფო ბატარა სახელმწიფოს მოთხოვდა

მძევალს, მაშინ მძევლის მიმცემი სახელმწიფოს მეფის ოჯახის უსაყვარლეს შვილს აარჩევდა. მამის პირობის შეუსრულებლობას მძევლად გაგზავნილი შვილის სიკვდილი მოჰყვებოდა; ეს კი მძიმე, აუნაწლავებელ სასჯელად ითვლებოდა სამეფო კარისათვის.

საქართველოდან მძევლების უმრავლესობა თურქეთს და სპარსეთს მიჰყავდათ.

ქართული დიპლომატიის პრაქტიკაში სამეფო ოჯახის წევრის მძევლად წარგზავნა სხვა სახელმწიფოს კარზე ძირითადად მხარეების ურთიერთშეთანხმებით, ნებასურვილით უნდა მომხდარიყო. მაგრამ რამდენადაც მძევალით მხოლოდ მოძალადე სახელმწიფოები იყვნენ დაინტერესებული, ხშირად ეს აქტი ძალდატანებით სრულდებოდა. „სპარსეთი და თურქეთი მძევალს მოითხოვდნენ ყოველგვარი სამაგიერო პირობების გარეშე და უმეტეს შემთხვევაში ქართველი მძევალი ირანისა და თურქეთის კარებზე მაშადაინდებოდა“<sup>5</sup>.

მძევლების მიცემა ამიერკავკასიის სამეფოსა ხანოების ურთიერთობაში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. თვით მეფე ერეკლე მეორესაც ქარტლესათვის მძევლები მოუთხოვია<sup>7</sup>. „დასტურლამაში“ მძევლის შესახებ არაფერია ნათქვამი. არც ვახუშტი ბატონიშვილს აქვს განმარტებული მისი ცნება.

ქართლ-კახეთის სამეფოების გაუქმებას მოჰყვა მძევლობის ინსტიტუტის ლიკვიდაცია. საქართველოში მძევლობა მხოლოდ ხევსურეთში შემორჩა, მაგრამ სხვა შინაარსით.

ხევსურული მძევალი<sup>9</sup> პირობის სიმტკიცისათვის (წინადაც) გირაოდ დატოვებულ კაცს არ ჰქვია. იგი ხან თავდები იყო, ხან მოწმე, ხან შუამავალი, ხან კი აღმასრულებელიც. მძევლად

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 70.

2 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, 1958 წ.

3 სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციით, ქ. თბილისი, 1949 წ., გვ. 437.

4 დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, 1890 წ.

5 იასე ცინცაძე, მძევლის საკითხი რუსეთ-საქართველოს ისტორიაში XVI-XVII ს. ს. ყურნალი „საბჭოთა სამართალი“, № 4, 1961 წ. გვ. 73.

6 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, გვ. 109.

7 ქართლის ცხოვრება, ტ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 429.

9 ხევსურეთში „მძევალს“ „მზევალის“ ჰქვია. პირიქითელები მზევალს უწოდებენ, პირაქითელები კი მძევალს.

4. საბჭოთა სამართალი № 5.



ვინმეს დანიშვნა დანიტერესებული პირის ან რჩულის კაცების მეშვეობით ხდებოდა. ყველას არ შეეძლო მძევალი გამხდარიყო. მძევალი, სოფლის თავკაცი ყველაზე განათლებული, სანდო, პირუთენელი პიროვნება უნდა ყოფილიყო.

თუ პირს ვისიმე ვალი ემართა და არ იხდიდა, ფულის მეპატრონე სოფელში შეარჩევდა ზემოთ ჩამოთვლილი ღირსების მქონე ადამიანს და მძევლობას დაავალბდა და ამ უჟანასკნელის საშუალებით ურჩი გადამხდელისაგან ვალს გარკვეულ დროში უკლბობს ღებულობდა. მძევლის დანიშვნა რჩულის კაცების საშუალებით მხოლოდ რთულ და დიდი მნიშვნელობის მქონე საქმეებზე ხდებოდა. ამ საპატიო მოვალეობაზე პირს უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა. მძევალი გასამრჯელოში მნიშვნელოვან საზღაურს „სამშველოს“ ღებულობდა. ხევსურეთში მძევლობაზე უარისთქმა სირცხვილად ითვლებოდა: „უთავგზო კაცია, მშველობა ვერ შესძლდა, სხვა არ უნდა ვააკეთასო.“ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ მოვალეობაზე უარის მიქმედი პირისთვის თემში გასვლა აუკრძალავთ<sup>10</sup>.

ხევსურულ მძევლობის ინსტიტუტს მრავალი საყურადღებო გარემოებები ახლდა. როდესაც ბჭეთა<sup>11</sup> საშუალებით სადავო საქმე გადაწყდებოდა მათი განაჩენის საფუძველზე ერთი მხარე მეორეს მიყენებული ზიანის საფასურს უმაღლ უნაზღაურებდა, მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ განაჩენის შესრულება სხვადასხვა მიზეზით კიანურდებოდა. ამ შემთხვევაში განაჩენის სისრულეში მოსაყვანად მძევალს დანიშნავდნენ, რომელსაც უნდა უზრუნველყო დაკისრებული თანხის დროულად ამოღება და მეპატრონესათვის დაბრუნება. ამ მოქმედების დროს მძევალს აღმასრულებლის მოვალეობის შესრულება უხდებოდა. ახლად დანიშნულ მძევალს კრედიტორი აცნობდა განაჩენის შინაარსს, იგი მძევალს მოვალესთან მიიყვანდა და ეტყოდა: ეს ჩემი მძევალია, ვალი ან ეხლა გადამიხადე ან ვადა მოგვეცი რა დრომდე გადროვოთო. მხარეები დათქვამდნენ ანგარიშსწორებისათვის თვეს ან წელს და თუ მოვალე ამ პირობასაც დაარღვევდა, მძევალი ვალდებული იყო არსებული წესის მიხედვით, ურჩი გადამხდელის მაგიერ

თვითონ გადაეხადა ის თანხა, რაც სტყლის კაცებმა განაჩენით ბრალდებულს დააკისრეს. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მძევალი უფლებას არ კარგავდა და მთავარ ვალდებულ პირს რეგრესის წესით უყენებდა მოთხოვნას გაორკეცებულად გადაეხადა თანხა. იმ შემთხვევაში თუ დებიტორი კვლავ უარს ეტყოდა, მაშინ მძევალი სხვა, მეორე მძევალს აიყვანდა და თუ ისიც ვერ შეძლებდა სადავო თანხის ამოღებას, მაშინ მეორედ დანიშნული მძევალი პირველს გადაუხდიდა იმ თანხას, რაც პირველ მძევალმა კრედიტორს გადაუხადა.

მძევლის ინსტიტუტი ხევსურეთში რთული დაწესებულება იყო. ეს იქიდან ჩანს რომ აღრიხდელი მკვლევარები მას სხვადასხვანაირად აღწერენ და განიხილავენ. გ. რადეს<sup>12</sup> და მ. კოვალევსკის<sup>13</sup> აზრით მძევალი თავდები იყო. ნიკოლოზ ზიზანაშვილის<sup>14</sup> აღწერით მძევალს თავდებობასთან არაფერი ჰქონია საერთო და მას მხოლოდ აღმასრულებლის ფუნქცია ეკისრებოდა. თვით ხევსურებსაც კი ერევათ და სხვადასხვა მხარის მცხოვრები სხვადასხვანაირად განმარტავენ მძევლის ცნებას. პირიქითელ ხევსურს მძევლის ფუნქციები განსხვავებულად ესმის, ვიდრე პირაქითელს.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ზიზანაშვილი მძევალის დაწესებულებას ვრცლად იხილავს, რატომღაც მას თავდებისაგან მკვეთრად განასხვავებს და აღნიშნავს რომ „...მშველობა და თავდებობა სულ სხვადასხვაა...“<sup>15</sup>.

ნ. ზიზანაშვილის ასეთ მოსაზრებას ვერ დავთანხმებით, რადგან როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს „თუ ვადას გადასცილდა განაჩენის აღსრულება და დავის მომგებმა დროზე არ მიიღო კუთვნილი გადასახადი, აი სწორედ მშვევალმა უნდა გარდაიხადოს.“<sup>16</sup> ე. ი. იმ შემთხვევაში თუ დებიტორი არ იხდის ვალს, ხოლო ამის შემდეგ მძევალი კრედიტორის წინაშე ანგარიშვალდებულებით ხდება. მას თავდების ფუნქციის შესრულება უხდება და სხვა არაფერი, ამიტომ მიჯნა მძევალსა და თავდებს შორის რომელიც ნ. ზიზანაშვილმა ვაგლო წორი არ უნდა იყოს.

მაქსიმ კოვალევსკი იხილავს რა მძევლობას აღნიშნავს:

<sup>10</sup> დაბა თიანეთში მცხოვრებ ბეწინა არაბულმა გადმოგვითხროს თავისი მამის ნაამბობი, რომ ხევსურეთში სოფ. ბაქალიაში ვინმე გიგია არაბულს აუკრძალეს თემში თავისუფლად გასვლა, რადგანაც ძალითა კინკრავლს მშველობაზე უარი განუცხადა.

<sup>11</sup> ბჭეები იგივე რჩულის კაცებია. სოფლის გონიერი, მკვერმეტყველი ადამიანები, მოსამართლენი, რომელთაც კარგად იციან ხევსურული რჩული.

<sup>12</sup> Раде Г. И. «Хевсурия и Хевсуры».

<sup>13</sup> Максим Ковалевский, Закон и Обычай на Кавказ., том II, 1890 г., стр. 114.

<sup>14</sup> ნ. ზიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ., გვ. 1-90.

<sup>15</sup> ნ. ზიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ., გვ. 63.

<sup>16</sup> ნ. ზიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ., გვ. 63.

...ხევსურეთის მწველობა იმაში მდგომარეობს, რომ პირი რომელმაც სხვისი ვალი გადაიხადა უფლებას იძენს მოვალისაგან მოითხოვოს ორმაგი თანხა. თუ მოვალე კვლავ თავს აარიდებს ვალის გადახდას, მწვევალს შეუძლია თავის უფლებმა გადასცეს სხვა მწვევალს, ხოლო მოვალემ კი მას ოთხმაგად უნდა გადაუხადოს<sup>17</sup>.

2. კოვალევსკი მძევალს თავდებად მიიჩნევს. მისი აზრით, ხევსურეთში ვალის თავდებად ანუ მძევლის საშუალებით უზრუნველყოფა „კრედიტორზე და მოკიდებული თუ ვის დააკისრებს თავდებად<sup>18</sup>“.

6. ა. ხუდადოვმა თავის შრომაში მწველობას ცალკე თავი მიუძღვნა. ის აღნიშნავს:

„სამოქალაქო ვალდებადების ერთ ნაწილში ხევსურებმა გამოიმუშავეს ისეთი უცნაური ურთიერთამოკიდებულება, რომელსაც სხვაგან ვერ შეგვხვდებით. მწვევალი არის პირი, რომელსაც კრედიტორი მიჰყიდის ვალდებადების მოვალისაგან და ამის გამო ყველაზე უმნიშვნელო ვალი შეიძლება უზარმაზარ თანხამდე გაიზარდოს<sup>19</sup> ამის შესახებ ხუდადოვს მოჰყავს ერთი უცნაური შემთხვევა: ერწოელ ერთ-ერთ მდიდარ ხევსურს გიორგი ბასილაურს მისთვის უთქვამს, რომ 12 წლის წინათ ორმა მისმა ბიძაშვილმა, რომლებიც ხატში მიდიოდნენ, გზაში ზიარად იყიდეს ვინმე ხევსურისაგან ბატკანი ერთ მანეთად და ოც კაპიკად. ერთ მათგანს მათხინე გადაუხდია გადასახდელი 60 კაპიკი, მაგრამ მეორეს თან არ ჰქონია ფული და შეპირებია ერთი წლის თავზე ვალის გადახდას, მაგრამ პირობა არ შეუსრულებია და დათქმულ დროში კრედიტორს მძევალი აუყვანია, მასაც რომ ვერ ამოუღია 60 კაპიკი, მეორე მძევალი დაუნიშნია, მეორეს მესამე და ასე შემდეგ. ხევსურული კრედიტორის მიხედვით საქმე იმ ზომამდე მისულა, რომ 12 წლის შემდეგ პირველადი ვალი 60 კაპიკი, 60 ძროხის საფასურის გადახდევინებამდე გაზრდილა<sup>20</sup>“.

6. ა. ხუდადოვის აღწერით თუ კი კრედიტორს ურჩ მოვალისთან ექნებოდა საქმე შეიძლებოდა ერთ საქმეზე რამოდენიმე მძევალი დანიშნულიყო<sup>21</sup>.

მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული რაფეელ ერისთავს. მისი აღწერით შეიძლებოდა ერთ

საქმეზე მძევლობა ხელიდან ხელში ოცჯერ გადასულიყო. აი, როგორ აღწერს ამას რ. ერისთავი:

თუ ვინმე არ იხდის ვალს ან არ ასრულებს სასამართლოს განაჩენს, მაშინ კრედიტორს შეუძლია მივიდეს სხვასთან, მისცეს საჩუქრად 2 მანეთი და 20 კაპიკი, უწოდოს მწვევლი და გამოართვას ის თანხა, რომელსაც არ უხდის მოვალე. მწვევალი სამი წლის შემდეგ მივა ურჩ გადახდელთან და სთხოვს 20-ჯერ მეტს. თუ მან გადახდაზე კვლავ უარი განაცხადა, მაშინ მწვევალი მიდის პირთან, რომელსაც დანიშნავს მწვევლად და გამოართმევს მას გაზრდილ გადასახდელ თანხას. ამგვარად მწველობა ერთიდან მეორეს ხელში გადადის და შეიძლება ეს 20-ჯერ განმეორდეს<sup>22</sup>.

6. ხიზანაშვილის გადმოცემით კი მხოლოდ სამი მძევალი დანიშნვა შეიძლებოდა:

„... როცა მწვევლი სამწველოს გადაიხდის და მოპასუხე მას არას აძლევს, მწვევალი სხვა მწვევალს დაიჭერს; მეორე მწვევალს მესამის დაჭერა შეუძლიან და ამით თავდება საქმე; სამის მწველის მეტი არ შეიძლება<sup>23</sup>“.

რომელი ცნობა უფრო სწორია დაბეჭილებით ამის თქმა ძნელია, რადგან მძევალი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა. ასევე ერთ საქმეზე თუ რამდენი მძევალი ინიშნებოდა ამ საკითხს ჩვენთვის გადაამწვევებო მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩვენ უპირველესად გვინტერესებს და ვიხილავთ მძევლის საქმიანობას, მის ფუნქციებს, თუმცა არ შეიძლება ერთი საყურადღებო მომენტი არ აღვნიშნოთ. ბჭეთა გადაწყვეტილებას ხევსური უყოყმანოდ ასრულებდა. ამის მიზეზი ჭერ ის იყო, რომ არავის შეეძლო წინ დასდგომოდა მამა-პაპათა მიერ დატოვებულ ტრადიციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თემის, საგვარეულოს მიერ განკიცხული იქნებოდა, და მეორეც, ბჭეთა განაჩენზე ორივე მხარე თანხმდებოდა. ზოგჯერ გამოერეოდნენ უქონელი ან დაუდევარი პირები, რომლებიც ვალის გადახდას აკიანურებდნენ, ისე კი, როგორც წესი, ხევსური დიდი ხნით სხვის ვალს არ დატოვებდა და თავისას სხვასაც არ შუარჩენდა. ზოგის გადმოცემით მძევალი „სამწვევლოში“ სამ ცხვარს ღებულობდა<sup>24</sup>.

17 Максим Ковалевский, Законъ и Обычай на Кавказ. том II, 1890 г. стр. 114.

18. იქვე, გვ. 114.

19 Н. А. Худатов. Заметки о Хевсуретини 1887 г. стр. 20.

20. იქვე გვ. 21.

21 Н. А. Худатов. Заметки о Хевсуретини. 1887 г. стр. 21.

22 Р. Эрнстов. О тушино-Пшаво Хевсурском округе. стр. 133.

23 6. ხიზანაშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ., გვ. 61-64.

24 ეს ცნობა მოგვცა ბარისაბოს საბჭოში მცხოვრებმა სოფლის თავაკმა ვალუა ჭინჭარულმა.



თუ მოვალე ან მივეალი ფულს არ დაუბრუნებდა მეპატრონეს, დაზარალებულის ინიციატივით მთელი მისი გვარი სოფლის მახლობლად ააგებდა „საწყევარს“. „საწყევარი“ იყო სატირული დაფა ქვისაგან აგებული პატარა კოშკი, რომელზეც კატას ჩამოახრჩობდნენ და გაუკეთებდნენ წარწერას: ამა და ამ სოფელში მცხოვრებ პიროვნებას ამის და ამის ვალი აქვსო. საწყევრის აგება ნიშნავდა ურჩი გადამხდელის მკვდრისთვის საიქიოში კატის შეწირვას, რაც მათში ყველაზე დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ფულს თუ ვინმე თავის დროზე არ გადაიხდიდა მას საწყევარს აუგებდნენ. ხალხი ღაცინოდა და იტყოდა: „ეგ რა კაცია ცოცხალს ხომ არსად გაესვლებს და მკვდარსაც აღარ ახვენებსო“. „საწყევარს“, უგებდნენ მივეალსაც თუ თავის დროზე ვერ შეძლებდა დებიტორიდან ვალის ამოღებას.

საწყევარი რჩებოდა მანამ სანამ მოვალე პატრონს ფულს არ დაუბრუნებდა. კაცი რომ ამ სამარცხვინო ბოძზე არ გაკრულიყო, ცდილობდა ვალის დროულად გადახდას. ამ საქმეში ერეოდა არა მარტო მივეალი, ანდა ოჯახი, არამედ თემი, საგვარეულო, რადგანაც პიროვნების შერცხვენა გვარის შურსაცხეფას ნიშნავდა.

თიანეთში მცხოვრები 67 წლის ზეთისო ხორანულმა<sup>25</sup> მიველის შესახებ ასეთნაირი საინტერესო ამბავი გვიამბო:

ძალდიკა ფიცხელაური და ბაძია ჭინჭარაული ერთიმეორეს მოსაკლავად ემტერებოდნენ. ძალდიკამ ზეთისო წიკლაური მიველად აიყვანა და მისი თანდასწრებით ჭინჭარაული სასტიკად გააფრთხილა, გზად შემოყრისას მორიდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს ყურად არ იღო და არამცთუ ერიდებოდა, არამედ შეხვედრისას ცინიკური მოქმედებით აღნიშნებდა მას. ერთ-ერთი შეურაცხყოფის დროს ძალდიკამ ბაძია ჭინჭარაულს მუცელში ხანჯალი ჩასცა. მკვლელობის თაობაზე საქმის განხილვისას ბჭეებს მივეალი ზეთისო წიკლაური დაუკითხავთ, რომელსაც დაუდასტურებია ძალდიკას მიერ ჭინჭარაულის გაფრთხილების ფაქტი. ამიტომ ბჭეებმა მკვლელს არა მთლიანი სისხლი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი დაუტრია.

ამ ცნობის მიხედვით მივეალი ზეთისო წიკლაური თავდები არ არის, არც შუამავალია და არც აღმასრულებელი, მას აქ მხოლოდ მოწმის როლი აქვს შესრულებული, როგორც მოწმემ

მან ბჭეების წინაშე დაადასტურა, ის, რაც ნაწილად გაიგონა.

ხევსურს ერთდროულად ორი მიველის აყვანა შეეძლო. ეს პრაქტიკა ხევსურეთში ხშირი ყოფილა. ამ გარემოებისთვის ა. ზისერმანს თავის დროზე მიუქცევია ყურადღება და აღუწერია, მაგრამ სწორად ვერ გაუგია მისი არსი. იგი წერს: „თუ მოსამართლის მიერ დადგენილ ჯარიმას პირი არ იხდის, დაზარალებულს შეუძლია კუთვნილი თანხა მიიღოს ორი სხვა პირისაგან, რომლებიც კისრულობენ დამნაშავესაგან აიღონ ჯარიმა პროცენტებით. ამ ორს კი შეუძლია თავისი უფლება მიჰყიდოს კიდევ ორ უცხო პირს და ასე შემდეგ, ამრიგად ჯარიმის პირველადი თანხა ხელიდან ხელში გადასვლით 20-ჯერ იზრდება. ამ გარემოებას ზისერმანი აშკარა მევახშეობას უწოდებდა<sup>26</sup>.

მივეალი მევახშე არ არის, ამ მცდარ შეხედულებას გუსტავ რადე თავის დროზე შეესიტყვა და ავტორი შესაფერისად გააკრიტიკა<sup>27</sup>.

რადგან მიველების ჩარევის შედეგად მოვალემ კრედიტორს ფული დროზე ვერ დაუბრუნა, ხოლო დებიტორის ვალდებულება მათზე გადავიდა, ამ შემთხვევაში მიველებს პირადი თავდებობის როლის შესრულება მოუხდათ.

ნ. ხუდადოვი ამ საკითხის განხილვისას დაინტერესებულა ცნება მიველის წარმოშობით; მისი განმარტებით „მივეალი“ ნიშნავს „ჩემზე ვალს“<sup>28</sup> თითქოს ამ ტერმინს სახელწოდება აქედან მიეღოს.

ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. ხევსურული მიველის სახელის შინაარსი ინსტიტუტის ხასიათზე მიუთითებს. მივეალი მოქმედებს, დადის, ეძებს დებიტორს, ეძებს მისგან ვალის გადაუხდელობის საკითხს და სახელიც აქედან უნდა ჰქონდეს მიღებული. ხევსურული მიველობა ისტორიულად თავდაპირველი მნიშვნელობის დაწესებულებად უნდა მივიჩნიოთ, საიდანაც წარმოშობილია გირავნობისა და თავდებობის ინსტიტუტები. ამ დებულების გასამტკიცებლად მოვიშველიებთ პროფ. ივ. სურგულაძის ერთ მოსაზრებას, იგი ეხება რა თავდებობის ინსტიტუტს აღნიშნავს:

„...ქართული სახელწოდება „თავდებობა“ ორი ინტეგრისაგან შედგება: „თავი“ და „დება“, ე. ი. თავის დადება. სახელის შინაარსი ინსტიტუტის ხასიათზე მიუთითებს. ასეთი სახელწოდება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ძველად, ისტორიის ადრინდელ პერიოდ-

<sup>25</sup> ზეთისო ხორანული თვითნაწავლი დიდად განვითარებული პირია. მან კარგად იცის ხევსურული რჭული და ფშაური წეს-ჩვეულებანი. 3-4 წლის წინათ იგი ხევსურეთიდან თიანეთში საცხოვრებლად ჩამოსახლდა.

<sup>26</sup> Раде Г. И. Хевсурия и Хевсуры, стр. 108.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> Н. А. Худадов. Заметки о Хевсуретии, 1887 г., стр. 21.

საქართველოს  
სამართლებრივი  
მეცნიერებათა  
ინსტიტუტი

ში, თავდებობა მძევლობასთან ყოფილა დაკავშირებული“<sup>29</sup>.

ვახტანგის სამართლის მიხედვით თავდებობისათვის აუცილებელი ყოფილა თავდების ნება და სურვილი“... კაცი კაცთან თავდებად თითონ უნდა მივიდეს, თავისი ნებით... კაცმან კაცი ძალად უნდა მიიყვანოს, იმ თავდებობას ნუ ირწმუნებენ...“<sup>30</sup>

ხევსურული მძევლობა სხვაა. ხევსურულ მძევალს დანტერესებული პირი, მოსარჩელე, თვითონ შეარჩევდა. აქ მძევლის ნება და სურვილი, როგორც ამას ნ. ხიზანაშვილიც შენიშნავს, არაფერ შუაში არ იყო <sup>31</sup>. მიუხედავად ამისა მანაც ვპოულობთ მსგავსებას ფეოდალურ საქართველოს სამართლის თავდებსა და ხევსურულ მძევალს შორის. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში თავდებობის შესახებ წერია: მას შემდეგ როცა ამა თუ იმ საქმეზე თავდები დაინიშნება „...მას უკანის კაცი ან მოკვდეს, ან გაიპარა ან იმ პირობაზედ გარდახდა, თავდებს სთხოვენ“<sup>32</sup>.

ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მძევალს თუ დებიტორი პატრონს დათქმულ ვადაში ვალს არ დაუბრუნებდა.

ნ. ხიზანაშვილის აღწერით მძევალი ასეთნა-

ირად ინიშნებოდა: „...მწვეალი უმჭველად ბჭეების თანდასწრებით უნდა დაიჭირონ, დაასახელონ და გარდა ამისა, მწველის დამჭერიელმა თვითეულს ბჭეს ყურზე ხელი უნდა მოჰკიდოს და სთქვას — თქვენის გაგონებით ვიჭერო, მოწამენი თქვენა ხართო; ამის შემდეგ მწველობას სრული ძალა ეძლევა, იგი იურიდიული დაწესებულებად ხდება“<sup>33</sup>

შემდეგში მძევლის ინსტიტუტმა იცვალა სახე. მძევლობამ ჩვენამდეც მოაღწია ხევსურეთში. კაცი ამჟამადც გაიგონებს: „მწვეალ უნდა ავიყვანაო“. მაგრამ ყველამ როდი იცის მისი ფუნქციები. სოფ. საჭურეში მცხოვრებ თამიასი წიკლაურმა დაგვარწმუნა, რომ მძევალს ამჟამად შესანახად ბარდება ამოწყვეტილი ოჯახის (ბეთალმანი) ქონება.

მძევალი გასამრჯელოდ ერთ ცხვარს ღებულობდა, რომელსაც „სამწველო“ ეწოდებოდა. ზოგჯერ იგი 5 ცხვარამდე იზრდებოდა. თუ საქმე თავისი ხასიათით სერიოზული იყო და დროზე დაგვირგვინდებოდა. „სამწველოს“ მწვეალს ვალის ანაზღაურების შემდეგ აძლევდა კრედიტორი. ურჩ გადამხდელს ჯარიმის სახით გადასახდელი თანხა ეზრდებოდა. ამიტომ დებიტორი ცდილობდა დროულად გადაეხადა ვალი.

დასკვნა:

1. ხევსურული მძევალი განსხვავდება სხვა სახის მძევლებისაგან. იგი ხან თავდები იყო ხან მოწმე, ხან შუამავალი, ხან კი აღმასრულებელი.

2. ხევსურულ მძევლობასთან ახლო ურთიერთობაშია გირავნობისა და თავდებობის ინსტიტუტები.

29 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 51, 1951 წ. გვ. 188.  
30 ვახტანგის სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის რედაქციით, თბილისი, 1955 წ. გვ. 111.  
31 ნ. ხიზანაშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. 1940 წ., გვ. 62.  
32 ვახტანგის სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის რედაქციით, თბილისი, 1955 წ. გვ. 111.  
33 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940 წ., გვ. 62.

## ჩვეულებითი საპარტაღნაკომაჲ თუშეთში

### 3. ლაზარქიძე

უძველესი პერიოდის ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, თუშეთს, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულს, ქართველი მეფეები აერთიანებდნენ ხან ერთ, ხან მეორე საერისთაოში და თავიანთ ძალა-უფლებას ერისთავების მეშვეობით ახორციელებდნენ. XVII-XVIII საუკუნის დაქუცმაცებულ საქართველოში თუშეთის როლი იზრდება და ამიტომ კახეთის სამეფოში იგი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო. კახეთის მეფეებს თუშეთში მოურავები, ჰყავდათ დაყენებული და სამეფო ძალაუფლებას მათი მეშვეობით ახორციელებდნენ: „ჩოლოყაშვილებს ჰქონდათ ნაბოძები თუშ-ფშავის მოურავობა და მოურავის უფლება-მოვალეობაც მრავალგვარი იყო“<sup>1</sup>.

თუშეთის მცხოვრებნი ოთხ ხევად — საზოგადოებად იყოფოდნენ. თვითეულ ხევს სათავეში ედგა ხევისბერი და უხუცესთა საბჭო. უხუცესთა საბჭო წყვეტდა ხევის საკირბოროტო საკითხებს. მაგრამ ხევისბერის ინსტიტუტი მთათუშეთში ისე არ განვითარებულა, როგორც არაგვის საერისთაოში, ხევსურეთსა და მთიულეთში. სარწმუნოებრივ ფუნქციებს თუშეთში ხელოსანი ასრულებდა. ხევისბერის ფუნქციები კი მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელობით ამოიწურებოდა. წამყვანი როლი თემში ეკუთვნოდა უხუცესთა საბჭოს — თუშეთის თემის მიერ არჩეულ პირებს. თუშეთში მმართველების ადგილობრივი ორგანოების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამხედრო ოლქის საქმეთა მმართველი, ისტორიულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი არ. ზისერმანი. იგი წერდა: „ყველა საკირბოროტო საკითხებს თავიანთ სხდომაზე წყვეტდნენ უხუცესთა საბჭოს წევრები, რომლებიც ცნობილი იყვნენ გამოცდილებითა და პატიოსნებით“<sup>2</sup>. თუ გადასაწყვეტი საკითხი მხოლოდ ცალკეული ხევის ან თემის ინტერესებს ეხებოდა, მაშინ მას იხილავდა თემის ან ხევის უხუცესთა საბჭო, მაგრამ თუ საკითხი ეხებოდა მთელი თუშეთის ინტერესებს

(მაგალითად, თუშეთზე მტრის თავდასხმას, კახეთის დასახმარებლად მაშველი ჯარის შეგროვებას, ცალკეულ თემებს შორის ამტყდარი დავის მოგვარებას და სხვ.), მაშინ უნდა მოეწვიათ სათუშო ყრილობა, ოთხივე თემიდან არჩეულ პირთა წარმომადგენლობით. ყრილობის მოსაწვევად წინასწარ შერჩეული იყო შესაკრები პუნქტი „მირგველა ველი“ (მრგვალი ველი). „მირგველა ველი“ მდებარეობდა მეტად მოხერხებულ ადგილას — ოთხივე ხევს, ანუ საზოგადოებათა შორის, ჩაღმა თუშეთში სოფ. ომალოს თავზე, პირიქით თუშეთისაკენ მიმავალ გზაზე. სათუშო ყრილობა თუშეთის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულო იყო ოთხივე საზოგადოების მცხოვრებთათვის. სათუშო ყრილობისა და თემის უხუცესთა საბჭოს გარდა თუშეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „საკითხ კაცებს“, ე. ი. თემის მიერ არჩეულ სასამართლო ორგანოს. „საკითხი კაცების“ შემადგენლობაში შედიოდა თემის სოფლებიდან არჩეული 10—12 კაცი. „საკითხი კაცები“ თუშური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით სხვადასხვა დანაშაულის ჩამდენს სხვადასხვაგვარად სჯიდნენ. თავიანთ სსდომებზე ისინი იხილავდნენ: კაცის მკვლელობას, ადგენდნენ ჭრილობის მიყენების ხარისხს, აგვარებდნენ ვალის აღების თაობაზე ამტყდარ დავას, წყვეტდნენ თემიდან თემის წევრის წასვლის ან ახლის მიღების, ცოლ-ქმრის გაყრის საკითხს, ქურდობის შემთხვევას და სხვ. თუშური ჩვეულებითი სამართალი დამყარებული იყო თუშურ ხალხურ პრიმიტიულ ჩვეულებებზე. ქართველურ ტომთა იურიდიულ ურთიერთობათა შესახებ აკად. ი. დოლიძე წერს: „ზემოაღნიშნულ ხალხთა და ტომთა პრიმიტიული სოციალური და იურიდიული ურთიერთობა წესრიგდებოდა ადათობრივი, დაუწერელი სამართლით, რომელიც შეიცავდა ჩამორჩენილი და განუვითარებელი სამართლისათვის დამახასიათებელ ბევრ პირველყოფილ წეს-ჩვეულებას“<sup>4</sup>.

1 ნ. ურბნელი, „ძველის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“, ტფილისი, 1890, გვ. 14.  
 2 А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, С.-Петербург, 1897, გვ. 248.  
 3 ჩაწერილია სოფ. დიკლოში ხაპრო ბეწუნაიძის გადმოცემით 1953 წ.  
 4 ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960, გვ. 26.

თუშებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიელ ტომებში, დიდხანს მოქმედებდა სისხლის აღების ადათ-ჩვეულება, რომელიც დამკვიდრებული იყო ძველთაგანვე და მოქმედებდა მეშვიდე თაობამდე. „ნათესაურ ექსოგამიით განმტკიცებული გვარი, სისხლ-მესისხლეობის საკითხებში გვარის მთლიანობას ემყარება... გვიან პერიოდში უკვე ერიდებოდნენ სისხლის აღებას და არჩევენ შერიგებას.

დადგენა იმისა, თუ თემურ თუშეთში სისხლის აღების წესი როდიდან იცვლება სისხლის შერიგების წესით, ძალზე ძნელია. თუშეთში „საკითხი კაცების“ წინაშე შერიგების საკითხი უნდა დამდგარიყო მას შემდეგ, რაც „გვაროვნულ საზოგადოებაში წარმომოხილმა შუტის ძიების ჩვეულებამ განვითარების რთული გზა ვანგლო. ეკონომიური წინსვლისა და გვაროვნული წყობილების დაშლის კვალობაზე იგი თანდათან სუსტდება და ადვილს უთმობდა კომპოზიციების სისტემას... კომპოზიციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაზარალებული მხარის დაქაფოფილება მისთვის მიყენებული ვნების მატერიალური ანაზღაურების გზით“.<sup>5</sup>

გვარების შერიგება „საკითხი კაცების“ საქმედ ქვეყლა და თუშთა ყოფაში მტკიცედ მოუყვრებოდა ფეხი. მაგრამ ახლა ისმება კითხვა: როგორ უნდა მოეგვარებინა „საკითხი კაცებს“ მოწინააღმდეგე გვარების შერიგება? აქ ორგვარ გარემოებასთან გვაქვს საქმე: პირველი, თუ შერიგება სისხლის გათანასწოების პირობებში ხდებოდა, მაშინ იგი უფრო იოლად წარიმართებოდა. თუ სისხლის გასწორება არ მომხდარა, მაგრამ შერიგება მაინც გვარდებოდა, მაშინ თუშური სამართალით მკვლელს უნდა გადაეხადა ძალზე დიდი საზღაური, კერძოდ, 60 სული ძროხა. საზღაურის გადახდაში მკვლელს მთელი გვარი ეხმარებოდა.

სარწმუნო წყაროები არ მოგვეპოვება იმის შესახებ — იცნობდნენ თუ არა თუშეთში ვახტანგის კანონებს, სადაც თეთრის გარიგების კარის მეთვრამეტე მუხლში პირდაპირ ნათქვამია, რომ „გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიკვდილისათვის საშობი ძროხა იყო გაჩენილი. მაგრამ ჩვენ თეთრად გავვიჩინა ქართლში მაგდენი თეთრი არ

არის და ისევ გლეხი კაცისა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სახლია საქმარი: რკინა, რვალი, ყველა დაიჭირვის“.<sup>7</sup> თუშეთში მოქმედ სამართალში ძროხების შეცვლის დასაშვებად თვლიდნენ მხოლოდ ცხვრით, თანაც თითო ძროხა შეცვლილი უნდა ყოფილიყო რვა სული ცხვრით. თუშეთში სისხლის საფასურის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა მაქსიმე კოვალევსკი. იგი წერს: „თუშეთის თავისებურებას შეადგენდა ის, რომ სისხლის აღებას ახორციელებდნენ იმეითადა და რომ მკვლელობის შედეგები მთავრდებოდა ჩვეულებრივი სისხლის საფასურის გადახდით. 60 სული ძროხით ქრისტიანისა და 30 სულით მუსულმანისა“<sup>8</sup> სისხლის საფასურის გადახდის შემდეგ თუშეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართალით მოსისხლე ოჯახების შეხვედრა შესარიგებლად შემდეგი ცერემონიალით სრულდებოდა: დაზარალებულის ოჯახში თავს იყრიდა ამ გვარის მამრობითი სქესის ყველა სრულწლოვანი წევრი. მოსისხლე გვარის რამდენიმე კაცი, რომელთა შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო სისხლის დამღვრელიც, მოციქულთა წინამძღოლობით მიდიოდნენ დაზარალებულის ოჯახში ქვაბ-საკლავით, შედიოდნენ ქედმობილნი და თავდახრილნი. გვარის ერთ-ერთი უფროსთაგანი მთელი გვარის სახელით იხდიდა ბოდიშს დაზარალებულის წინაშე და თხოულობდა პატიებას. ამის შემდეგ იგი თვითველ დამხედურს ხელს ართმევდა, რაც დაზარალებულის მხრივ საბოლოო შერიგებაზე თანხმობის დასტურს ნიშნავდა. შემდეგ მისულეები და დამხედურები ერთმანეთს ართმევდნენ ხელს და იშლებოდა სუფრა. პირველი სასმისით სვამდნენ მოკლულის შესანდობარს, შემდეგ კი სუფრა ტრადიციული გზით მიდიოდა. თუ შერიგება სისხლის გათანაბრების პირობებში ხდებოდა, ზემოაღნიშნული ცერემონიალი სრულდებოდა ორივე ოჯახში.


შერიგების თუშური წესის ანალიზისათვის საჭიროდ მიგვჩინა შევსოთ სისხლის აღების თაობაზე არსებულ წესებს საქართველოს მთიელ ტომებში. ამ საკითხზე მრავალი მეცნიერული სტატია და მონოგრაფიაა დაწერილი, იაა შორის ყურადღების ღირსია რუსუდან ხარაძის, „ხევსურული სჯული“, მისივე თემური მმართვე-

<sup>5</sup> რ. ხარაძე, ხევსურული სჯული, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1947. ტომი 1, გვ. 164.

<sup>6</sup> ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1964, გვ. 53.

<sup>7</sup> ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დამზადა და გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი, 1955, მუხლი 18.

<sup>8</sup> М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890, т. II, гв. 118.



ლობის გადმონაშთები ხევში.<sup>9</sup> ნიკო ხიზანიშვილის<sup>10</sup> და თევდორაძის<sup>11</sup> შრომები, ი. ფუტყარაძის „ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის“,<sup>12</sup> აგრეთვე ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, სადაც ასახულია ქართველ მთიელთა ყოფაცხოვრების ძიითადი საკითხები.

სისხლის აღების ხევსურული წეს-ჩვეულებანი კარგად არის გადმოცემული ბესარიონ ვაბუურის მიერ „წელიწადეულში“<sup>13</sup> გამოქვეყნებულ ხევსურულ ტექსტებში. აქ მოთხრობილია, რომ მკვლელობის შემთხვევაში მკვლეელი თავის სოფლიდან უნდა გარიდებოდა მთელი თავის გვარით სოფელს. მოკლულის საგვარეულოს მამაკაცები შეიარაღებულნი ეცემოდნენ მკვლელის სოფელს და ანადგურებდნენ მის ბინას, ხოლო სოფლის სხვა მცხოვრებნი „მააგებებენ კურბტებს და გარს, საკლავებს, ცხვარ-ბატკნებს და დაუკვლენ ჭირის ბატრონს, რაჯელადაც იქნების, დააბრუნებენ ამ ლაშქარდ მოსულს კევსურებს და წავლენ შინ“.<sup>14</sup> თუ განსაზღვრული დროის განმავლობაში მკვლეელი ვერ მოკლეს, მკვლეელი და მისი ახლო ნათესავები შერიგებას, ზრუნავდნენ: „მიხყვებიან ერთ წელს და წელ, რომ გათავდების, მაშინ მეტელე მივას მესისხლის სოფელში, ჯვარში, შაუჯდების. შაბაბს ჯვარში კურბტს დამით. აუტყდების კაცშუაკაცი. შახყრიან ერთად თავ-მეთავეთ, დახკვლენ იმ კურბტსაც და სხვა საკლავებსაც კიდევ. შაბაბიგებენ ისრ, რომ მამკვდრის ბატრონი თოფით მიყოლას აღარ დაუწყებს მეტელეს და სხვანაირად კი ხათრი დიდი უნდა“.<sup>14</sup>

ხევსურული სჯულით მკვლეელი შერიგების ფასს ერთდროულად არ იხდის, როგორც ეს თუშეთშია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლ-მე-სისხლეობა ხევსურეთში რ. ხარაძეს თავის შრომაში „ხევსურული სჯული“ სხვა სახით აქვს გადმოცემული. მაგრამ, ორივე გადმოცემის შინაარსი ერთი და იგივეა.

სისხლის აღება და სისხლ-მესისხლეობა მთიულეთშიც თავისებური გზით წარმართება

და მესისხლე გვარის შერიგება სასიძულეა, ვაკეული სპეციფიკით.

მოხვევთა შორის სისხლი ფულადაც კი ყოფილა შეფასებული. ასე, მაგალითად, ორი მოსისხლე გვარი, პეტინი და ბოთოშენი, როდესაც კრიგდებოდა, სისხლი შეუფასებიათ ფულად, მაგრამ ბოთოშეთ სალომეს, მოკლულის დედას, უარი უთქვამს ფულის აღებაზე. მას განუცხადებია: „ჩემს შვილსაო ფულზე ვერ შევაფასებო, თქუენს თემობასაო და წმინდის სამების საბჭოს შევსთხოვო, რომ ის ბალღათა საფლავჩიმც მაინც მაისვენებსო, შარიგებულნიმც ვიქნებიოთ“.<sup>15</sup>

მოსისხლეთა შერიგების მეორე შემთხვევა ხევში იძლევა შემდეგ სურათს: „რაც ეფხუეთ ს-მ მაკლა გოგიახო ხ., მას მამჩრე ვაფიდა თერთმეტი ზამთარი და ეს ორი გორი კი სამკურდო-საძრახო საქმით ერთურთს უცქერდა“<sup>16</sup>. სათემო საბჭოს გადაუწყვეტია შერიგების საფასური რვაასი თუმანი, ერთი ოთხი წლის კურბტი ხარი, სამი საკლავი, თორმეტი ვედრო არაყი გოგიათ სასარგებლოდ, მაგრამ გოგიათ უარი უთქვამთ ფულის აღებაზე. შერიგების შეხვედრის ცერემონიალი ასე შეუსრულდება: შერიგების წინა საღამოს ეფხუიანთ გვარის დიდი და ბატარა აყრილან სოფლიდან და მისულან მოკლულის საფლავთან; ქალები თმაგაშლილნი შემოსხლომიან საფლავს გარშემო, ხოლო მკვლეელი გადაუწყვენიათ საფლავზე. იგი მარჯვენა ხელის წინ გამოწვეით მთელი დამე საფლავზე ყოფილად გადაწოლილი. მამაკაცები მთელი დამე მიმოდიოდნენ საფლავის გარშემო. ზამთრის პირი, მარტის თვე ყოფილა და ძლიერ ყინავდა, მაგრამ ეფხუანთ საგვარეულო დილაძე იქ დარჩენილა, დილით მოკლულის საგვარეულო — გოგიათ გვარი დიდიან-ბატარაინად ამოსულა და დაწყებულა შერიგება. პირველად ხელი თავაკაცებს ჩამოურთმევიათ, ხოლო შემდეგ წესის მიხედვით, მკვლელისა და მოკ-

3 რ. ხარაძე, ხევსურული სჯული, ანალები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომებ, 1947, ტომი I; მისივე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1959, ტ. IV.  
 10 ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1940.  
 11 ვ. თევდორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბილისი, 1930.  
 12 ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1964 წ.  
 13 ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I-II, 1923-24, თბ., გვ. 140.  
 14 იქვე.  
 15 ი. გიგინეიშვილი, კ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961, გვ. 36.  
 16 იქვე.

ლულის ახლო ნათესაებს ჩამოერთმევეით ხელი.

შეხვედრა მკვლელისა და მოკლულის შვილისა ასეა აღწერილი: „მაგრამ იმ დასანელებელმა (მოკლულის შვილმა — ვ. ლ.) თავი ჭელი ჩაჰკრა და ის ცოდვისშეილი კიდავ უფრო გოვიცოდვილა. მაგრამა იმის გარეშე იქ გორის უფროსობა და სათემო საბჭო იყო და აქ საქმეს ეს წყვეტდა“<sup>17</sup>. დაუკლავთ ხარი და საკლავები. პირველ დღეს სუფრის გაშლა და შერიგება გოგინათს ყოფილა, ხოლო მეორე დღეს შერიგება ეფხუანთას გადაუტანიათ და იქაც ასეთივე სუფრა გაუშლიათ.

სისხლის გარიგების მიხედვით ეს წესი თუშურ წესს მოგვაგონებს: მკვდრის საფლავთან შეხვედრა-შერიგება და შემდეგ კი სუფრის და შერიგების ცერემონიალი თუშეთშიაც ასე წარიმართებოდა. როგორც ჩანს, სისხლის საქმეზე გარიგება საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთისათვის დაახლოებით ერთნაირად მიმდინარეობდა.

მკვლელობასთან დაკავშირებით მართლმსაჯულება მთათუშეთში სხვა წესებით ხორციელდებოდა. თუ მკვლელობა არ იყო სრულყოფილად გამოაშკარავებული და დაზარალებული რომელიმე პირს ეჭვით დაადებდა ხელს და ასახულებდა, რომ მკვლელი ის იყო, მაშინ ეჭვმიტანილს ფიცი უნდა დაედო მოკლულის საფლავზე. ფიცის დადების ცერემონიალს ორივე საგვარეულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფიცის დადების წინ ეჭვმიტანილი იჩოქებოდა საფლავზე. მას მარჯვენა ყურიდან გამოუშვებდნენ სისხლს და საფლავზე რამდენიმე წვეთის დავარდნის შემდეგ უნდა დაედო ფიცი. მუხლებზე დაჩოქილ ფიცის დამდებს გადააფარებდნენ შავ მანტიას, სასულიერო პირი (ადრინდელ პერიოდში დეკანოზი, გვიანდელ პერიოდში კი — ხელოსანი) ხმამაღლა წარმოთქვამდა ფიცის ტექსტს, რომელიც ფიცის დამდებს უნდა გაემეორებინა.

ზეპირი ფიცის ტექსტი, რომლის შინაარსი, სამწუხაროდ, თუშეთში არავის ახსოვს, ძლიერ შთამაგონებელი ყოფილა და ტყუილის თქმას იშვიათად თუ გაბედავდა ვინმე.<sup>18</sup>

როგორც ჩანს, მკვლელობის საქმეზე ფეოდალური ეპოქის საქართველოში მოქმედი წესები თუშეთში არ ვრცელდებოდა. მაგალითად, ვახტანგ VI მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილ სამართლის წიგნში სისხლი შეფასებული იყო გვარისა და წარჩინების მიხედვით.

სამართლის წიგნით წარჩინებულის სისხლი შეფასებული იყო ათასხუთას ოცდათექვსმეტ თუმნად, ამავე ოდენობით შეფასებული იყო მთავარი ეპისკოპოსის, ხოლო ხუთჯერ ნაკლებად — მიტროპოლიტის სისხლი. სამართლის წიგნით გლეხისა და მეოთხე გილდიის ვაჭრის სისხლი შეფასებული იყო თორმეტ თუმნად<sup>19</sup>.

როგორც ჩანს, საქართველოს მთიანეთში და, კერძოდ, თუშეთში მოქმედებდა ჩვეულებითი სამართალი, რომლის მიხედვითაც ერთნაირი ისჯებოდა ყველა და სისხლის საფასურაც ყოველ ადამიანზე ერთნაირი იყო. ეს დაკავშირებულია იმ სოციალურ ვითარებასთან, რომელიც თუშეთში იყო. იქ არ იყო ისეთი სოციალური უთანაბრობა, რომ გამოერჩიათ „მაღალი“ და „დაბალი“ წოდების ადამიანები. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ქონებრივი უთანაბრობა უთუოდ იქნებოდა, მაგრამ არა ისე მკვეთრად გამოხატული, როგორც იმდროინდელ ბარში.

თუშეთში არსებული ჩვეულებითი სამართალი არა ნაკლებ ყურადღებას იქცევს ჭრილობის მიყენების შემთხვევაში გასამართლება-განსჯით.

თუშური ჩვეულებითი სამართალი ჭრილობა ზურგში უფრო ძვირად ფასობდა (როგორც ლალატისა და არაპირდაპირობის ნიშანი), ვიდრე მკერდში და წინა მხარეს. მძიმე ჭრილობის მიყენების შემთხვევაში ჭრილობის ანაზღაურების წესი ისეთივე ყოფილა, როგორც ხეცურეთში. მძიმე ჭრილობის ანაზღაურება ხდებოდა ჭრილობის არეში მოთავსებული ხორბლის მარცვალთა რაოდენობის ძროხის რაოდენობაზე გადაყვანით, ხოლო შედარებით მსუბუქი ჭრილობისა და შუუმჩნეველი დაზიანების ანაზღაურებას სასამართლო ახდენდა იმის გაანგარიშებით, თუ დაშავებული რამდენ დღეს მოცდა სამუშაოს, რამდენი დახარჯა მკურნალობაზე და სხვ. თუ დაზარალებულს მუდმივი დაზიანება ჰქონდა, მაშინ სასამართლო გამოანგარიშებას ახდენდა შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის მიხედვით.

თუშეთში მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ქალის მოტაცება. თუ მომტაცებელი მოტაცების შემდეგ უარს იტყოდა ცოლად შერთვაზე, ამ შემთხვევაში მას ქალის საგვარეულოს წინაშე ისე უნდა ეგო პასუხი, როგორც კაცის მკვლელს. საგვარეულოებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოყარდებოდა, მაგრამ საქმე „საკითხ კაცებს“ უნდა მოეგვარებინათ და ორ საგვარეულოს შორის დავა მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ.

<sup>17</sup> ი. გივინეიშვილი და სხვ., დასახლებული ნაშრომი.

<sup>18</sup> ჩაწერილია ქვემო აღვანში გიო წვერაიძის გადმოცემის მიხედვით. 1954 წ.

<sup>19</sup> ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თბილისი, 1955, გვ. 57, მუხლი 26 (288).

ქურდობა მთელ თუშეთში უაღრესად სასირცხვიო და მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. იგი გვარისა და თემის აბუჩად აგდებას ნიშნავდა. თუშეთის თავისებური სოციალური ვითარების გამო ქურდობის საქმეს „საკითხ კაცთა“ სასამართლო ძალზე მკაცრად იხილავდა. ქურდობის შემთხვევაში, თუ ქურდის კვალი და ნაქურდალი მიგნებული იქნებოდა, ხოლო ქურდი ადგილზე არ აღმოჩნდებოდა, თუშური ჩვეულებითი სამართალით დაზარალებულს შეეძლო ქურდის ოჯახიდან წაედო იმდენი, რამდენიც აუნაზღაურებდა ზარალს. თუ ქურდს არ აღმოაჩნდებოდა იმდენი, რომ დაზარალებულს დანაკარგი აენაზღაურებინა, მაშინ სავაჭრელო ვალდებული იყო ზარალი აენაზღაურებინა, ხოლო ქურდს თემის საერთო კრების გადაწყვეტილებით და სასამართლოს დადგენილებით თემიდან აძევებდნენ ერთიდან სამ წლამდე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გაძევებულს შეეძლო უკანვე დაბრუნებულიყო თავის სოფელში. გარდა გაძევებისა, თუშეთში ქურდობის თაობაზე ახდენდნენ „სახლის შეკვრას“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სოფლის ან თემის ყველა ოჯახი ვალდებული იყო ქურდის მეზობლობაზე ხელი აეღო, არ მიეცა ცეცხლი, არ გაეცა ხმა, „სახლ შეკრულის“ საქონელი არ გაეშვათ სოფლის ნახირში და სხვ. ბუნებრივია, ცხოვრება ისედაც ძნელი იყო ძნელად საცხოვრებელ თუშეთში და მით უმეტეს სახლშეკრულისათვის უფრო ძნელი იქნებოდა ისეთ პირობებში ცხოვრება.

თუშეთში ნაქურდალის ანაზღაურების შესახებ მაქსიმე კოვალევსკი რატომღაც აღნიშნავს, რომ მოქმედი სამართლის თანახმად, ნაქურდალის ანაზღაურება თითქოს შვიდმაგად ხდებოდა, ვფიქრობთ, რომ ეს პირი არ უნდა იყოს სწორი. მათათუშეთში თუშური ჩვეულებითი სამართლის შესწავლისას ჩვენ ვერც ერთი შემთხვევა ვერ ვნახეთ, რომელიც დაადასტურებდა ამ დებულებას. შესაძლებელია, ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურების ფშავ-ხევსურეთში არსებული წესი კოვალევსკიმ თუშებზეც გავარცხლა.

„საკითხი კაცები“ ქურდობაში ეკვიმიტანილი პირის მიმართ წამოყენებული ბრალდების შემოწმებას სასამართლო პროცესზე მდლდარე წყლითაც ახდენდნენ. ზოგჯერ ქურდობაში ეკვიმიტანილს განსაზღვრული დროით აღუდებულ წყალში ხელი უნდა ჩაეყო. განკურნები-

სათვის დაწესებული დროის განმავლობაში თუ ხელი განიკურნებოდა, მაშინ ეკვიმიტანილი გამართლებული გამოდიოდა; ბრალდებელი ვალდებული იყო გადაეხადა ჯარიმა, რომელიც განისაზღვრებოდა 5 ძროხით. თუ პირუტყ ხდებოდა, მაშინ ქურდობაში ეკვიმიტანილი უნაზღაურებდა ზარალს.<sup>20</sup>

როგორც ვიო წვერაიძე გადმოგვცემდა, „საკითხი კაცები“ საქმეს სწავლობდნენ სერიოზულად და ბრალდების ამგვარი სახით სასამართლოზე გადაცემას მხოლოდ დაუზუსტებელი და პირველად ზეპირ წყაროებით დადგენილი ფაქტების საფუძველზე ახდენდნენ. მაგრამ, დასძენდა ვიო წვერაიძე, „ცხადია ჯადოქრული სამართლის ასეთი განჩინება არ უნდა ყოფილიყო ობიექტური. ბედი „გაუღიმებდა“ ქურდს, თუ „ბუნების სასწაულები“ უფრო ადრე განუკურნავდნენ იარას“.

ხალხური სასამართლოს ეს მძიმე და აუტანელი წესი მოთმინებით უნდა გადაეტანა ქურდობაში ეკვიმიტანილს. ხშირად ასეთი ულშორიკლი წესი საბედისწეროდ მთავრდებოდა. ზოგჯერ შეიძლება მართალიც დასჯილიყო.

განვიხილოთ ქურდობის საკითხზე ხევსურეთში არსებული ზოგიერთი წესი და გავაზაროთ პარალელი საკითხის უფრო ღრმად გაშუქების მიზნით.

ისე როგორც თუშეთში, ქურდობაში ეკვიმიტანილ პირს ხევსურეთშიც აღებინებდნენ ფიცს. იქ ფიცის დადება ძმის ან რომელიმე ახლობლის თანდასწრებით უნდა მომხდარიყო. თუ ისინი უარს იტყოდნენ დასწრებოდნენ ფიცის დადების ცერემონიალს, მაშინ ქურდი აღმოჩენილი იყო და მას პასუხი უნდა ეგო მართლმსაჯულების წინაშე. თუ ქურდობაში ეკვიმიტანილ პირის ფიცს ძმა ან სხვა ნათესავი დაესწრებოდა, მაშინ ქურდს ასეთი შინაარსის ფიცი უნდა დაედო: „თუ მე ქურდ ვიყე, ჩემობა გააუაჲ, მამდიე შვილიშვილამდე და, თუ ალალი-ორ, ვინაც მე შამამაგდ, ამ ჯგრის კარში, იმას მიზდიე, გაუწყერ შვილიშვილამდე“<sup>21</sup>. თუ იგი ასეთ ფიცს მიიღებდა და ქურდობა არ დაუმტკიცდებოდა, ხევსურეთში ჯარიმად დაწესებული ყოფილა 5 ძროხა. თუ ქურდობა უმტკიცდებოდა, „რჭული ესრე გაათავებს საქმეს, რაიც მოპარული-აქე, შვიდეული და უნდა ჩააბრას პატრონი... მაშინ ამ ქურდს სოფელიც აბარ გავლევს ჯარზე, ერთ წელს წინც, დააკო-ნებენ ქურდს, ხალხ ლანძღვას დაუწყებს,

<sup>20</sup> ჩაწერილია ქვ. აღვანში ვიო წვერაიძის გადმოცემის მიხედვით. 1954 წ.

<sup>21</sup> ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადიური, I-II, 1923-1924, თბილისი, გვ. 139.

<sup>2</sup> იქვე.

ეტყვიან „არ გრცხვენისავე, თავის სოფელში კაცმ როგორ უნდა იქურდას? ეს ერთხან. თუ მეორ-მესამედ კიდევ მათქმულ ქურდობა, მაშინ სოფელ ჩახქოლავს ქურდს, ან უჩივლებენ მთავრობასთან, დაპერიანებენ, ან თაოდ სოფელ სოფლის პირით მასვეყენ ამ ქურდს.“<sup>22</sup>

როგორც ჩანს, საქართველოს მთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილში ქურდობის წინააღმდეგ ძალზე მკაცრი კანონები მოქმედებდა. ისინი, ზოგიერთი სპეციფიკური საკითხის გამოკლებით, ერთნაირი ჩანან თუშეთსა და ხევსურეთში.

თუშეთი ხალხური სამართალი ყურადღებას იქცევს შუამავლისა და მოწმის როლით გარჩევებით საქმეში. ვინაიდან აღრინდელ პერიოდში თუშეთში არ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები, რომლებიც შეძლებდნენ ეწერათ გარჩევების პირობები, ამიტომ ფულის, ინვენტარის, სულადის და საქონლის სესხების დროს მას უნდა დასწრებოდნენ შუამავალი და ერთი მოწმე. ამ შემთხვევაში ვალის აღების უშუალო მოწმეებს დიდი როლი ეკისრებოდათ. მაგალითად, მსესხებელი თუ უარს იტყოდა ვალის გადახდაზე სესხის ვალის გასვლის შემდეგ, მაშინ სასამართლოს წინაშე მოწმე და შუამავალი უნდა წამდგარიყვნენ, სასამართლო კი უფლებამოსილი იყო ვალის გადახდა დაეკისრებინა მათთვის.

თუშეთში „საკითხი კაცების“ ყურადღების ცენტრში იდგა თემიდან რომელიმე წევრის წასვლის საკითხი. თუ თემის რომელიმე წევრი გადაწყვეტდა თემიდან წასვლას, მაშინ საკითხი თემის თავკაცებს უნდა გადაეწყვიტათ. თემიდან წამსვლელს წასვლის სერიოზული მოტივები უნდა წამოეყენებინა. ასეთი მოტივი უნდა ყოფილიყო თემის რომელიმე სავარაუდოსთან უთანხმოება, მიწის სიმცირე ან სხვა რომელიმე სადავო საკითხი.

თემიდან წამსვლელი წინასწარ უნდა შეთანხმებოდა დასასახლებლად არჩეული სოფლის თავკაცებს (ხშირად ასეთად ირჩევედა დედის ძმების სოფელს), მათ თხოვდა დასახლების უფლებას და მამულს. სოფელი თუ თანახმა იყო დასახლებაზე, გამოუყოფდა დასახლებისათვის მიწის ნაკვეთს და ყველა საშუალებით ეხმარებოდა, რათა ახალ მოსახლეს აეშენებინა ბინა. სოფლიდან სოფელში გადასახლებაზე სოფლის თავკაცებისაგან ნებართვა საჭირო იყო, იმიტომ, რომ ყველა სოფელი ძლიერი და სალხმრავალი ყოფილიყო.

თუშეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართალი განსაკუთრებული შემთხვევის სახით იხილავ-

და ცოლ-ქმრის გაყრის საკითხს. მარტო, ოჯახის მოშლა სოფელს ასუსტებდა, მაგრამ გაყრა დასაშვებად ითვლებოდა ქალის უშვილობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში მამაკაცი აგზავნიდა კაცს ცოლუტურებში და შეუთვლიდა, რომ განზრახული აქვს გაეყაროს მათ ქალს უშვილობის გამო. ქალის ახლობლებიც ასეთ შემთხვევაში გაყრას დასაშვებად თვლიდნენ და შემოუთვლიდნენ, რომ ჩვეულების წესები პირნათლად შეესრულებინა, რომ ქონების წილი მიეცა და პატიოსნად გაესტუმრებინა.

თუ ქმარი ქონების წილზე უარს იტყოდა, ქალის პატრონები საქმეში ჩარევდნენ ქმრის თემის სასამართლოს — „საკითხ კაცებს“, ხოლო ეს უკანასკნელი აკისრებდნენ ქმარს ჩვეულებით გათვალისწინებული ქონების წილი მიეცა ქალისათვის. ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა ქალის სასარგებლოდ ერთ ძროხას (ოჯახში თუნდაც მეტი არ ყოფილიყო). მისი პრივილეგია იყო ძროხის არჩევის უფლება. ქალს სახლიდან აძლევდნენ ქონების წილს: შალებს, ფარდაგებს, ფლასებს, ხაყებს, ფეჭ-წინდას, მზითევი მოტანილ ქონებას და სხვ., ქმარი ვალდებული იყო მიეცა იმდენი ცხვარი, რამდენის მატყლიც დასაქმებდა ერთ ქალს (დაახლოებით 10-12 სული). ქალს უფლება ჰქონდა გაყრის შემდეგ დარჩენილიყო ქმარყოფილის სოფელში და მისი მამულიდან აეღო ორი ყანა (დაახლოებით ერთი ჰექტარი) — ერთი საქერედ და ერთი საპურედ, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. ქალი ბრუნდებოდა მამის ოჯახში, მაგრამ იქაც ცალკე სახლებდებოდა.

ქალის მიერ ოჯახის შერცხვენის შემთხვევაში (ქმრის ღალატ) თუშეთი ჩვეულებითი სამართალი მამაკაცს ათავისუფლებდა ყოველგვარი ვალდებულებისაგან. უფრო მეტიც, მამაკაცს შეეძლო ქალის „კვეთილში ჩაყენება“ — გათხოვების აკრძალვა. ქალის „კვეთილში ჩაყენების“ შესახებ საინტერესო ჩანაწერი აქვს ა. ზისერმანს. იგი თავის ნაშრომში *Двадцать пять лет на Кавказе*, წერდა: „სახლიდან ცოლის თვითნებურად გაქცევის ან ცოლქმრულ ურთიერთობის დარღვევის შემთხვევაში ქმარს შეეძლო ცოლისთვის მოეჭრა ხელი ან ცხვირი და ისე გაესტუმრებინა სახლში, მაგრამ თუ ამის გაკეთება არ უნდოდა, ქმარს უფლება ჰქონდა განესაზღვრა დრო, რომლის გასვლამდე არავის არ შეეძლო მასზე დაქორწინება“<sup>23</sup>. თუშეთში ასეთ ქალს „კვეთილში ჩაყენებული“ ქალი ეწოდებოდა.

ამასთანავე ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს,



რომ ხევისურთში გვხვდება „ქმარნაკვეთი“ ქალი. როდესაც ხევისური ქალი გადაწყვეტდა ოჯახის მიტოვებას, ქალსა და კაცს შორის ამტყდარი დავა მამაკაცში ბადებდა ეჭვს, ალბათ ჩემს ცოლს სხვა შეუყვარდა და მისზე სურს გათხოვება, თორემ რატომ მინც და მინც ახლა აიყარა გული ჩემზე და ჩემს ოჯახზეო. როცა ცოლ-ქმრის გაყრის შესახებ საკითხი დადგინდებოდა, სასამართლოს წინაშე მამაკაცი აცხადებდა: „აი, რჯულის კაცებო! ეს გაგებულნი ვქონდასთ: მე მაგ ქალს არ ვაძლევ იმ კაცის წასვლის ნებას, იმ კაცს უკვეთ საქმროდ; სხვას ვისაც უნდა, წაუდიას, ჭელ ამიღავ, თავ დამინებებავ, ნუც მთელი ას ჩემობაზედ, ნუც მკვდარი; მარტო, ეს გეცოდინებოდასთ, რომ თუ ეგ ქალ იმ კაცს წაუვიდ, იცოდასთ, რომ მე და იმას ჯოცად გვინდ, ერთუცს ვერ გადავშეხებით.“<sup>24</sup> ქალის „კვეთილში“ ჩაყენება თუშეთში და „ქმარნაკვეთი“ ქალი ხევისურთში ერთი და იგივეა და კანონი თუშეთშიც და ხევისურთშიც ერთნაირად მოქმედებს.

თუშური ჩვეულებითი სამართალი ცოლ-ქმრის გაყრისას დიდ უფლებებს ანიჭებდა ქალს, თუ გაყრა არ იყო დაკავშირებული ქალის შეუფერებელ ყოფაქცევასთან. მაგრამ ა. ზისერმანი რატომღაც, მთა-თუშეთში ჩაწერილი გადმოცემებისგან განსხვავებით, საკითხს სხვაგვარად აფასებს. ხალხური გადმოცემებისა და არსებული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ქალი წილით სრულიად

უნდა დაეკმაყოფილებინათ „საქიონ ვაცეს“. ზისერმანთან ეს შებრუნებულად ხდება. იგი წერს: „ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში ცოლი არავითარ წილს არ იღებს ქმრის ქონებიდან“.<sup>25</sup> გაუგებარია, თუ რომელი წყაროებით ხელმძღვანელობდა ზისერმანი ასეთი აზრის გამოთქმისას.

თუშეთში დაკანონებული იყო აგრეთვე მადნაფიცობა და სისხლით დანათესავება. ეს ცერემონიალი ასე სრულდებოდა: ორი ახალგაზრდა (დაძმობილება უფრო ახალგაზრდებში ხდებოდა) მარჯვენა ხელის ნეკა თითიდან სისხლის გამოშვების შემდეგ თითებს ერთმანეთს ადებდა, სისხლი შეერეოდა, ისინი ძმებად ითვლებოდნენ. თუშეთში არსებული წესის მიხედვით დაძმობილება ვერცხლითაც ხდებოდა. ორი მამაკაცი თავიანთი ხანჯლებით ღვინიან ჭიქაში ჩაფხეკდა ვერცხლის ფულს და შემდეგ სვამდა. ამის შემდეგ ისინი ძმებად ითვლებოდნენ. ასეთი გზით დაძმობილება მტკიცე და ურღვევი იყო. ნამდვილი ძმა ძმას უფრო უღალატებდა, ვიდრე ასეთი გზით დაძმობილებულ ძმას.

თუშეთში გავრცელებული ჩვეულებითი სამართლის ნორმები რომელთა სრულად განხილვა პატარა მოცულობის შრომაში შეუძლებელია, დაკავშირებულია თუშეთის ყოფის თავისებურებასთან. ისინი ასახევენ მაშინდელი თუშეთის საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ ვითარებას.

<sup>24</sup> ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელწდებული I-II, 1923-1924, თბილისი, გვ. 135.

<sup>25</sup> А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, С.-Петербург, 1897, гв. 161.

## ნათელი გზით



შვიდი ათეული წელია საქართველო თვალგაშრებულ უყურებს ცხოვრების ცვალებადობას და მუდამ პირნათელია კოლმეგობრთან. უყვარს თავისი საქმე, სიმართლე და ადამიანები, სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია სიცოცხლე.

შალვა ტყეველაძე თავისი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა იურისტის საპასუხისმგებლო პროფესიას და ათეული წელია ჩვენს შორის ფუსფუსებს, როგორც კანონიერების ერთ-ერთი წმინდა ქურუმი.

...ეს იყო კარგა ხნის წინათ. იმედს დანდობილი ჭაბუკი ქართული უნივერსიტეტი-საკენ ახლადგატეხილ გზას გაჰყვა და მოკრძალებით გაანდო თავისი სურვილი უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილს. სწავლასთან ერთად მუშაობაც უნდოდა. დიდ ქართველ მეცნიერს მოეწონა მოკრძალებული ახალგაზრდა.

— ყმაწვილო, თქვენ კარგი გადაწყვეტილება მივიღიათ. იცოდეთ, ვისაც შრომა უყვარს ის ბედნიერია. ხვალ დილით მოხვალთ, მე განკარგულებას გავცემ...

ასე დაიწყო სამსახურისა და სწავლის წლები...

დაუვიწყარ მოგონებებად შემორჩა ქარ-

თველი, თქროპირების ივ. ჯავახიშვილის, ლ. ანდრონიკაშვილის, გ. ახვლედიანის, ზ. ნანეიშვილის, შ. ნუცუბიძის, ირ. სურგულაძისა და სხვათა ლექციები. დღესაც ახსოვს ხუთი ათეული წლის წინათ ნანახი და განცდილი სმაურიანი კონფერენციები, სადაც სოციალ-ფედერალისტები და ნაციონალ-ფედერალისტები საქართველოს ბედ-იღბალს „წყვეტდნენ“. მენშევიკურ მთავრობას არ მოეწონა უნივერსიტეტის წარჩინებული, საზრიანი სტუდენტი შალვა ტყეველაძე და იგი საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოაშორა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ნიჭიერ, ენერგიულ და პერსპექტიულ ახალგაზრდას ფართო ასპარეზი გადაუშალა წინ.

წლები ჩქარა გადიან. ყოველ დღეს ახალი საქმე და საზრუნავი მოაქვს, მოდიან ადამიანები თავიანთი პრეტენზიებით და დახმარებას, შემოწმებას ელიან. ბევრმა იცის, რომ სამოქალაქო სამართლის საქმიანობის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნეა ადვოკატი შალვა ტყეველაძე.


თავისით როდღე მოვიდა ეს სახელი და აგტორიტეტი. ახლაც სანდომიანი, ჭარმაგი ადვოკატი ძველებურად გულისყურით უსმენს კლიენტს. ცდილობს წინასწარ ნათლად გაარკვიოს მისი მოთხოვნის სისწორე, რათა დაიცვას მხოლოდ ის, რაც კანონიერია. ხშირია როცა შალვა ურჩევს და დამაჯერებლად უხსნის მოქალაქეს არ შეიტანოს სასამართლოში სარჩელი, როგორც უმართებულო, ამიტომ სჯერათ, რომ შალვა ტყეველაძე იცავს ჭეშმარიტებას და სიმართლეს.

ყველას გაუკვირდა, როცა შალვა ტყეველაძემ მხარი დაუჭირა ბინის თაობაზე შვილის სარჩელს მამის წინააღმდეგ.

— რატომ დაკარგა მამამ შვილში მოკრძალება და მშობლის პატივისცემა? — ფიქრი არ ასვენებდა მრავალჭირნახულ ადამიანს და იურისტს.

ნერვიულობისაგან დაღლილი შვილის გაფითრებული სახე, უტეხი მამის ქვეგამხედური თვალები, მოწმეთა გულახდილი ჩვენებები და დაწვრილებით შეგროვილი საბუთები ცხადყოფდნენ შვილის სიმართლეს. როცა ყველა ჭკუას ასწავლიდა თავისი უფლების მაძიებელ შვილს, ადვოკატი მხარში ამოუდგა მას და სიმართლე არ დაუკარგა.

სიკეთე, გულწრფელობა, სიწმინდე და პა-



ტიოსნება შალვა ტყავაძის ხანგრძლივი, შინაარსიანი ცხოვრების ქვაკუთხედია. ვინც კი ერთხელ მაინც გაცნობია ამ კეთილშობილ ადამიანს, შეუძლებელია დაივიწყოს მისი მშვიდი, ყოვლისმხილველი შთამაგონებელი პიროვნება.

— რიღის ხართ ბედნიერი?

ხანდაზსული ადამიანი მრავალმნიშვნელოვნად იღიწება და მშვიდად ამბობს.

— როცა ვგრძნობ ძალას ჩემი რწმენის დასაცავად, როცა ადამიანებს იმედს ვუმართლებ და ჩემი საგმიანობით კმაყოფილი

არიან.

ყოველ დღე მაღალი, ჭალარა ადვოკატი ჩვეული ენერჯითა და ხალისით მოდის ადამიანებთან, რომ დაეხმაროს მათ სამართლიანობის აღდგენაში.

ამ ცოტა ხნის წინათ იურიდიულმა საზოგადოებამ სიყვარულით აღნიშნა ღვაწლმოსილი იურისტის შალვა ტყავაძის დაბადების 70 წლისთავი. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

მ. სილაგაძე.

## 26 წელი სასამართლო ოკვანოებში



შუტუ გიორგის ასული ცინცაძე პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს უფროსი მდიუანია. იგი მთელი სამუშაო დროის განმავლობაში ჯარასავით ჭრიალებს, თავადუდებლევ შრომობს და დილიდან სამუშაო დღის დამთავრებამდე რამდენიმე ათეულ ადამიანს საქმიანი პასუხით ისტუმრებს, ამშვიდებს, აწყნარებს.

მძიმე ხვედრი ხვდა წილად შუტუს. ნაადრევად დაკარგა ოჯახის ბურჯი, მეგობარი და შვილების მზრუნველი ზამა, მაგრამ იგი არ შეუშინდა ცხოვრებას და თავისი სუსტი მხრებით ზილა ოჯახის მძიმე ტვირთი. ორ თბოლ შვილს არ აჯანსობინა უმამობა და სახელოვნად გაუკვალა ცხოვრების გზა — ერთი ეჭიმიან, ხოლო მეორე ისტორიკოსი. დედის მსგავსად სახელოვნად შრომობენ და მოღვაწეობენ.

დაუღალავ შრომაში განვლო ნახევარ

საუკუნეზე მეტმა დრომ, მაგრამ შუტუ ცინცაძე კვლავ ახალგაზრდული შემართებით, ხალისით და ენერჯით ასრულებს უსაზღვროდ რთულ და მრავალფეროვან სამუშაოს.

მაგონდება ერთი შემთხვევა. ზამთარში, ერთ ცივ, უსიამოვნო ქარიან დღეს სასამართლოში შევედი. შორიდან მომესმა შუტუს ხმა: „ნუ გეშინიაო, წამობრძანდით მე ხელს არ გაგიშვებთ“ — ვხედავ მოხუცი ქალი ხელიხელგაყრილი ჩამოჰყავს შუტუს კიბეზე. მომხიბლა ამ მოხუცი ქალის ჭალარა, სანდომიანმა, მიმზიდველმა სახემ დარატომლაც შუტუს ნათესავად მივიჩინე იგი.

იმდენად წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა იმ მოხუცმა ჩემზე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ შევეკითხე შუტუს, მისი დეიდა ხომ არ იყო მანდილოსანი. შუტუს სახეზედ გაკვირვება აღებეჭდა და მიპასუხა: „არა, ის მოხუცი, დამსახურებული პედაგოგი ქ. სიხარულიძეა, რომელიც იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეზე მოვიდა ჩვენთან. მხედველობა აკლია. მე კიბეზე ჩავაცილევ, რომ საფეხურებზე არ წაბორძიკებულიყო და არ დაზიანებულიყო“.

გული სიხარულით ამევსო, მაგრამ არ გამიკვირდა, რადგანაც ასეთია ყოველთვის და ყველასთან შუტუ.

რთულია სასამართლო ორგანოებში მუშაობა, უფროსი მდიუნის მოვალეობის შესრულება.

26 წელიწადი შ. ცინცაძე გულისხმიერად და სიყვარულით ევიდება თავის საქმეს. იგი მუდამ თავისი მოწოდების სიმძლევზეა.

ვუსურვოთ შუტუ ცინცაძეს კიდევ მრავალი წელი ერთგულად ემსახუროს თავის საყვარელ საქმეს.

ადვოკატი მ. შარუაშვილი.

## სასარგებლო ნაშრომი სასამართლო უსიემოლოგიაში\*

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევას აწარმოებენ თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. ყოველი ახალი ნაშრომი ამ საკითხზე ცხოველ ინტერესს იწვევს. სწორედ ამიტომ მიიქცია ე. გრიგოლავას წიგნმა — „გამოყენებითი ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“ — მკითხველთა ყურადღება. ამ ნაშრომის უდიდესი ნაწილი ეძღვნება სასამართლო ფსიქოლოგიის საკითხებს. ასეთი ნაშრომი ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა. წიგნში საკმაოდ კარგად არის დღევანდელი სასამართლო ფსიქოლოგიის მეცნიერული მონაპოვრები, რომლებსაც წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, როგორც კაბიტალისტური (აშშ, ინგლისი და სხვ.), ისე სოციალისტური (პოლონეთი და სხვ.) მართლმსაჯულების ორგანოები.

მკითხველებს გავაცნობთ ამ ნაშრომის მნიშვნელოვან და საინტერესო მონაკვეთებს.

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს „სასამართლო ფსიქოლოგია“ შეისწავლის. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების ორგანოებს ჭეშმარიტების დადგენაში, რისთვისაც იგი ეძიებს იმ მეცნიერულ მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა საშუალებით ამ რთული პრობლემის გადაჭრა გაადვილდება.

სასამართლო ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს ჩვენების ფსიქოლოგია წარმოადგენს.

როგორც მოწმის, ისე ეჭვმიტანილის დაკითხვის მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის ხანაშიც მიმართავდნენ. ამ დროს ჩვენების ფსიქოლოგიურ მხარეს, ცხადია, ვერ გაითვალისწინებდნენ და „მსაჯული“ თავის სუბიექტურ შეხედულებებით წყვეტდა სადავო საქმეს. ინკვიზიციის პერიოდში ჭეშმარიტების დადგენას ცდილობდნენ სასტიკი წამების საშუალებით.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ოფიციალურ სასამართლო პრაქტიკაში აიკრძალა წამების გამოყენება. აუცილებელი გახდა

მოწმეთა ჩვენების სხვა მეთოდებით შემოწმება. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება პირველი სერიოზული გამოკვლევები ჩვენების ფსიქოლოგიაში (1820 წ. ლაპლასი და 1893 წ. გროსი). შემდგომ ამ საკითხით დაინტერესდნენ არა მარტო ფსიქოლოგები, არამედ იურისტები, ფსიქიატრები და სხვ.

ჩვენების ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მიზანს წარმოადგენდა მოწმეთა ჩვენებაში მოსალოდნელი შეცდომების გამოაშკარავება და მათი მეცნიერული დასაბუთება. ამ მიზნით იყენებდნენ „„კაუზისიტის მეთოდს“ (ანალიზებდნენ სხვადასხვა მოწმეთა მიერ სხვადასხვა დროს მიცემული ჩვენების შეცდომებს და ანალიზავდნენ მათ), „მოგონების მეთოდს“ და სხვ. მაგრამ ყველაზე მეტი პრაქტიკული ღირებულება მაინც ექსპერიმენტულ მეთოდს აღმოაჩნდა, რომელიც, თუმცა ხელოვნურ პირობებში ტარდება, მაგრამ მაინც მრავალ საყურადღებო შედეგს იძლევა.

დაკითხვისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმის თუ ეჭვმიტანილის ჩვენების გულდასმით ანალიზს. არის შემთხვევები, როცა მოწმე გულწრფელად ლაპარაკობს და მაინც მცდარ ჩვენებას იძლევა. ხოლო მეორე მოწმე ცდილობს იცრუოს და მაინც სიმართლეს ლაპარაკობს. სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ხშირია. ფსიქოლოგიურად ჭეშმარიტია ის ჩვენება, რომელიც სწორად ასახავს ობიექტურ ვითარებას და ამავე დროს გულწრფელი მოწმისაგან არის მიღებული.

გულწრფელი და არა გულწრფელი ჩვენების გარდა არსებობს აგრეთვე „ბრმა“ ჩვენება, სადაც რთული გასარკვევია სიმართლე სიყალბისაგან. ეს იმიტია გამოწვეული, რომ ჩვენების მიმცემი სუბიექტი უფრო ვარაუდობს, ვიდრე იცის, როგორ უნდა მომხდარიყო ესა თუ ის ფაქტი. ამისაკენ მოწმეს უბიძგებს სირცხვილი, მოკრძალება, თავმოყვარეობა და ფაქტს აღწერს თავისი მოსაზრების მიხედვით იმ აზრით, რაც დააკმაყოფილებს დამკითხველს.

ფსიქიკურ ფაქტორთაგან ჩვენების ფორმირ-

\* ე. გრიგოლავას წიგნი „გამოყენებითი ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“ 1964 წელს გამოსცა გამოცემლობა „მეცნიერებამ“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი რამდენიმე წელია რაც გამოიცა, იგი თავის ინტერესსა და საპირობებს არ კარგავს ჩვენი მეცნიერი და პრაქტიკული მუშაკებისათვის.



ბაზე ზეგავლენას პირველ რიგში აღქმა ახდენს.

მგრძობელობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს პროფესიული გავარჯიშება. ფსიქოლოგებმა გამოარკვეეს, რომ რენის საფეიქრო ქარხნის მუშები შავი ფერის ორმოც სხვადასხვა ნიუანსს ანსხვავებენ ერთმანეთისაგან, მაშინ, როცა ჩვეულებრივი ადამიანი რამდენიმე ნიუანსს თუ განასხვავებს სოლმე.

აღიქმისა და მგრძობელობის უნარზე გავლენას ახდენენ დროებითი ფაქტორები (დაღლა, ალკოჰოლი და სხვ.), აგრეთვე სმენის, მხედველობის, ყნოსვის ადაპტაციები (შეგუებები). ეს მომენტები გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩვენების ფსიქოლოგიაში.

მოწმეთა ჩვენების შეფასებაში აღქმის გარდა მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფსიქიკურ ფუნქციებს, როგორიცაა ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, ემოციები, ტემპერამენტი და სხვ.

შეცდომები უპირველესად უნდა ვეძებოთ მოწმის პირველ ჩვენებაში. თუ მან შემთხვევა თავიდანვე არასწორად აღიქვა ცხადია, რომ მას სწორი ჩვენების მიცემა არ შეეძლება. არსებობს ამის დამადასტურებელი უტყუარი ექსპერიმენტული ფაქტები. კლასიკური ექსპერიმენტი მოეწყო იურისტების ერთ-ერთ სტოდომაზე: სხდომის მიმდინარეობის დროს რამდენიმე უცნაურად ჩაცმული ადამიანი, რომლებიც კარნავალიდან გამოქცეულ ხალხს ჰგავდნენ, შემოცვივდნენ დარბაზში და დაიწყეს აქეთ-იქით სირბილი, ყვიროდნენ რაღაც სიტყვებს, შემდეგ გაისროლეს რევოლვერი და გაუჩინარდნენ. სხდომის მონაწილეებს შემდეგ სთხოვეს ეპასუხათ კითხვების სერიაზე ამ შემთხვევის შესახებ. გამოირკვა, რომ გამოცდილმა იურისტებმაც კი განსაცვიფრებელი შეცდომები დაუშვეს კოსტიუმების, ადამიანთა რაოდენობის, გავონილი სიტყვების, მოვლენათა თანმიმდევრობისა და სხვათა აღწერისას.

პრაქტიკა და მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მასალა ამტკიცებს, რომ ყნოსვის, გემოს და შეხების შეგარძნობაზე დაყრდნობა შეუძლებელია, თუ იგი განმტკიცებული არ არის მხედველობის ან სმენის შეგარძნობებით. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ყნოსვით, გემოთი და შეხებით მიღებული უამრავი შთაბეჭდილების გადმოსაცემად ადამიანს მხოლოდ რამდენიმე ცნება გააჩნია.

დადგენილია, რომ ფერი საგნის ცუდად აღსაქმელ თვისებებს მიეკუთვნება იმის გამო, რომ ხშირად იგი თვით საგანს უკავშირდება. განსაკუთრებით ცნობილია მოგონების დროს საგნებისადმი იმ ფერების მიწერა, რა ფერიც უმეტესად აქეთ ამ გარკვეულ საგნებს (შავი პიანინო, წითელი ბურთი და სხვ.).

ჩვენების სისწორეზე ვადაწყვეტ გავლენას

ახდენს მხედველობითი აპარატის მდგომარეობა. მისი საშუალებით იღებს ადამიანი გარემოდან ყველა შთაბეჭდილებების 80 პროცენტს. მხედველობის საშუალებით არჩევს ადამიანი ფორმას, მოძრაობას, ფერს, სიკაშკაშეს. მაგრამ მოწმემ შეიძლება ესა თუ ის მოვლენა ვერ შეინშოს, თუ მას მხედველობითი დეფექტი გააჩნია. თუ მოწმე ახლომხედველია, მაშინ მისი ჩვენება შორეული ობიექტების შესახებ მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული. შორსმხედველობა არ არის ისე საშიში, როგორც ახლომხედველობა, ვინაიდან რაც უფრო შორს არის ობიექტი, მით უფრო ახლოს მოდის იგი ფოკუსში თვალის რეტინაზე და ნაკლებ შეცდომებს ედება საფუძვლად.

არის შემთხვევები როცა ადამიანები ამცადებენ წითელი და მწვანე ფერებისადმი სიბრმავეს. ასეთი დეფექტი აქვთ მამაკაცთა 4 პროცენტს და ქალოთ 1 პროცენტს. თუ ფერის დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, მაშინ აუცილებლად უნდა შემოწმდეს მოწმის მხედველობა ფერების მიმართ სპეციალური ალბომის მეშვეობით.

ცნობილია, რომ ბინდისას ფერების სიკაშკაშე ეცემა და ეს პირველ რიგში წითელ ფერს ეხება, ხოლო მწვანე სხვა ფერებთან შედარებით ყველაზე მეტ სიკაშკაშეს ინარჩუნებს. ამგვარად, შესაძლებელია, რომ მოწმემ უბრალოდ ვერ დაინახოს წითელი კაბა მთვარიან ღამეში ან შებინდებისას.

გამოძიებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ დღე-ღამის რა მონაკვეთში მოხდა შემთხვევა.

სიღრმის აღქმაში ადამიანის ორივე თვალი მონაწილეობს და თუ მოწმეს ცალი თვალი არა აქვს, ან დაზიანებული აქვს, მაშინ მისი ჩვენება სანდო არ არის.

აღქმის სხვა სახეებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება სმენასა და მხედველობას, მათ შორის კი უფრო საიმედოა მხედველობითი აღქმა.

როცა საქმე ეხება ტაქტილურ აღქმას დადგენილია, რომ თითებით ან ტუჩებით აღქმული საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილება უფრო სანდოა, ვიდრე მკლავზე, ზურგზე ან თეძოზე შეხებით მიღებული შთაბეჭდილება.

აღქმისას ხშირად აქვს ადგილი ილუზიას: გლუვი და გრილი ობიექტი ადამიანის მიერ შეიძლება აღქმულ იქნას სველად. ამის გამო შეიძლება მოხდეს, რომ მოწმემ, რომელიც მხოლოდ კიბის ცივ მოაჯირს შეეხო, „ნათლად შეიგრძნოს“ სისხლი, რომლითაც სითქოს ეს მოაჯირი იყო დასველებული.

ჩვენების ფსიქოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყურადღების ფაქტორს. ყურადღება,

ჩვეულებრივი გავებით, არის ცნობიერების მიზნობა რომელიმე ახალი ფსიქიკური შინაარსის მიმართ და მთელი ორგანიზმის მომართვა მისდამი.

სწორად ლაპარაკობენ ე. წ. ყურადღების „ნათელი ველის“ („ფოკუსის“) და ე. წ. „პერიფერიული ყურადღების“ შესახებ. მაგალითად, თუ ადამიანი წიგნს კითხულობს, მისი ყურადღების „ფოკუსში“ ეს წიგნი იმყოფება, მაგრამ თუ ამ დროს სახანძრო მანქანებმა ჩაიარეს, „ფოკუსში“ უკვე მათი სირენების ხმა აღმოჩნდება და წიგნი ყურადღების „პერიფერიაში“ გადაინაცვლებს.

ამის გამო მოწმის ჩვენების სანდობის განსაზღვრისას უსათუოდ უნდა იქნას დადგენილი, თუ რომელ სხვა საგანს შეეძლო მისი ყურადღების მიპყრობა იმ მომენტში, როცა ჩვენთვის საინტერესო მოვლენა ხდებოდა: თუ მოწმე უყურებდა თვითმფრინავს, მაშინ ნაკლებად სარწმუნო იქნება მისი ჩვენება მანქანის არასწორი მოძრაობის შესახებ.

იურისპრუდენციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღების მოცულობას. ექსპერიმენტით დამტკიცებულია, რომ ერთდროულად ადამიანს შეუძლია აღიქვას 4-6 მარტივი შთაბეჭდილება.

საჭიროა წინასწარ დადგინდეს კარგი პირობები ჰქონდა მოწმეს შემთხვევის დასაკვირვებლად თუ არა?

სასამართლო ფსიქოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მესხიერებისა და წარმოდგენის ფაქტორებს. ხშირია შემთხვევა, როცა მოწმე ვერ იგონებს რაიმე დეტალს, რომელსაც შეიძლება ვადაწვევტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომ მას აბრუნებენ იმ სიტუაციაში რომელშიც ბოროტმოქმედება მოხდა. ამ შემთხვევაში იგი აღიღგენს დაიწყებულ დეტალს.

ე. წ. ასოციაციური მესხიერების დროს ადამიანს მოვლენის დეტალები ახსენდება იმ თანმიმდევრობით, როგორც იგი მიმდინარეობდა სინამდვილეში. თუ ექვმიტანილი თხზავს ამბავს, მაშინ ჭვარდინი დაკითხვით უნდა იქნას გამოკრეული სიმართლე. ადვილია A მოვლენის შემდეგ B მოვლენის ნოგონება და B-ს შემდეგ C-სი, მაგრამ უფრო ძნელია C-დან A-ზე გადასვლა.

ცნობილია ის ფაქტი, რომ მრავალი მოვლენიდან ადამიანის მესხიერებას ყველაზე ცხოველი სახით ის შემორჩება, რომელიც პირველად მოხდა მის ცხოვრებაში: ექიმებს ან ადვოკატებს თითქმის არასდროს ავიწყდებათ თავიანთი პირველი კლიენტი, ასევე, სტუდენტს ლექტორი, რომელმაც პირველი ლექცია წაუკითხა მას და სხვ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელო-

ვანია მოწმის მიერ დამნაშავეის ამოცნობის საკითხი. ამ შემთხვევაში მოწმის ამოცანაა: წინამდებარე პიროვნება ეგუება თუ არა იმ ხატს, რომელიც მას შესაძლოა დარჩა წარმოსახვაში ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის დროს. ასეთ დროს მოწმე ძალზე ბევრ შეცდომებს უშვებს იმის გამო, რომ შესაძლოა ეს პიროვნება რაღაცით ჰგავდეს ნამდვილ დამნაშავეს. მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ქალაქში ყალბი საბანკო ჩეკები იქნა გავრცელებული. ეჭვი მიიტანეს ერთ მოქალაქეზე და პოლიციამ იგი დააპატიმრა, ვინაიდან მალაზიის თანამშრომლებმა იგი „ამოიცნეს“. ამის შემდეგ იგი ჩვიდმეტმა მოწმემ „ამოიცნო“; ეს მოქალაქე საპყრობილეში გადაავსვენეს, მაგრამ ყალბი ჩეკების გავრცელება არ შეწყვეტილა. პოლიცია იძულებული გახდა ხელახალი ძიება დაეწყო და მართლაც აღმოაჩინეს ნამდვილი დამნაშავე.

ჩვენების ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვანი ფაქტორია შთაგონება. ეს არის ისეთი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელშიც მონაწილეობას არ იღებს სუბიექტის ცნობიერი მოტივები. განსაკუთრებით ძლიერია შთაგონების გავლენა მოწმეზე ძიების დროს და სასამართლო პროცესზე. მოწმეზე ხშირად გავლენას ახდენს გამომძიებლის ან მოსამართლის შთამაგონებელი კითხვები.

უფრო საშიშია, როცა შთაგონების ქვეშ იმყოფება მართლმსაჯულების მუშაი. მას შეიძლება უკვე მტკიცედ ჰქონდეს შემუშავებული თავისი ვერსია და ძალაუფლებულად ამის მიხედვით წარმართოს საქმე. იგი ამ დროს უნებლიედ მოწმეს თავს ახვევს თავის შეხედულებას და შთაგონებული მოწმეც თავისი პასუხებით ასაბუთებს ამ „თეორიას“.

შთაგონების ფაქტორი განსაკუთრებით მოქმედებს ბავშვებზე. ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი: ექსპერიმენტატორი შედის მესამე კლასის მოსწავლეებთან თავდაცობილი შუშით, რომელშიც გამოხდლი წყალი ასხია და თავს ისე აჩვენებს, თითქოს სურს გამოარკვიოს, თუ რომელ მოსწავლეს აქვს მახვილი ყნოსვა. იგი ბავშვებს მიმართავს: „შუშაში არასასიამოვნო სუნის სითხეა და ვინც პირველი იგრძნობს მის სუნს, ხელი ასწიოს“. ამის შემდეგ იგი თავს ხდის შუშას და რამდენიმე წუთის შემდეგ თითქმის ყველა მოსწავლე იწევს ხელს. ზოგიერთ მათგანს „სუნი“ ისე „ცუდად ხდის“, რომ ცხვირსახოცს იფარებს.

ამიტომ არის, რომ ბავშვის ჩვენებაზე დაყრდნობა საშიშია და ხშირად სერიოზული შეცდომების საფუძველი ხდება. უფრო რთულდება მდგომარეობა მაშინ, როცა საქმე გონება-

სუსტებისა და დებილების შთაგონებას ეხება. მათთან შთაგონება უფრო მაღალი ხარისხისაა.

უსათუოდ სერიოზული ანგარიშის გაწევას მოითხოვს შეკითხვის აგებულების ვათვალისწინება. კითხვა: „ეს არის კაცი, რომელიც იქ ნახეთ, არა?“ ძლიერ გადატვირთულია შთაგონებით. ან კიდევ „ძალი შავი იყო თუ თეთრი?“ — თუმცა ძალი სერითოდ არ ყოფილა.

ექსპერიმენტული გზით დადგენილია, რომ შეხება და მხედველობა ყველაზე ნაკლებად ემორჩილება შთაგონებას, ხოლო სმენა და განსაკუთრებით გემო და ყნოსვა — ყველაზე მეტად.

სწორად დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიებულის (მოსამართლის, პროკურორის და ადვოკატის) უესტს, ხმის ინტონაციას და სხვა მსგავს ფაქტორებს, რომელთა მიხედვით მოწმე წინასწარ გრძნობს, თუ როგორი პასუხის მიღება სურს მისგან გამოძიებულს. შთაგონება ამ შემთხვევაში იმ მხრივ მოქმედებს, რომ მოწმე ძალუხნებურად ასრულებს გამოძიებულის სურვილს, უპასუხოს ის, როგორც ეს გამოძიებულს სურს.

ჩვენების ფსიქოლოგია სერიოზულ დახმარებას უწევს იურისპრუდენციას. მისი წარმოშობა იურისპრუდენციის პრაქტიკული ინტერესებით იყო გამოწვეული. საჭიროა მართლმსაჯულების მუშაკებმა იცოდნენ ის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, რომლებიც მოწმის ჩვენების დამახინჯებას იწვევენ.

ჩვენების ფსიქოლოგიურ მონაცემებთან ერთად მართლმსაჯულება წარმატებით იყენებს დამნაშავეს აღმოჩენის ფსიქოლოგიურ მეთოდებს. დამნაშავეს აღმოჩენის ფსიქოლოგიური ხერხები ენმარებიან მართლმსაჯულების მუშაკებს. ჰეშმარიტების დადგენაში.

ექსპერტი — ფსიქოლოგების წინაშე ასეთი პრობლემა დადგა: როცა ჩვენების მიცემის დროს დამნაშავე ცრუობს, შესაძლოა თუ არა გამოძიებულ იქნას ისეთი მეცნიერული საშუალება, რომელიც გამოაშკარავებს მის სუბიექტურ მდგომარეობას (რომელიც სიცრუის თქმით არის გამოწვეული) და აქცევს ობიექტური დაკვირვების საგნად? ცხადია „სიცრუის აღმოჩენა“. აპარატი ისევე არ არსებობს, როგორც ტუბერკულოზის, გულის მანკის ან სიმისინის აღმოჩენი აპარატი. მაგრამ თუ მედიცინას სხვადასხვა სიმპტომებზე დაყრდნობით საშუალება აქვს სწორი დიაგნოზი დასდეს, ხომ შეიძლება ასეთივე დიაგნოზის დასმა დამნაშავეზე ფსიქოლოგიური დაკვირვებით? ასეთ სიმპტომებად შეიძლება გამოდგეს მაჯისცემა, სისხლის მიმოქცევა, სუნთქვა, კუნთური ენერჯია, მიმიკა, სხეულის პოზა, უესტები და სხვ. სხეულში ცვლილებების შემჩნევა სწორად შეუი-

არლებელი თვალთაც შესაძენევია, ზოგჯერ კონსპეციალური აპარატების გამოყენებაა საჭირო მათ აღმოსაჩენად.

პრიმიტულ ფსიქოლოგიურ მეთოდებს ძველადაც მიმართავდნენ. ცნობილია, რომ ძველ ჩინეთში ეკვმიტანილის მიერ დაღეკილი ბრანჯის სინესტის ხარისხის მიხედვით ასკვნიდნენ — პიროვნება დამნაშავე იყო თუ უდანაშაულო. თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში მის მიერ დაღეკილი ბრანჯი მშრალი აღმოჩნდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ სუბიექტი დამნაშავე იყო, ვინაიდან დანაშაულთან დაკავშირებულ ფსიქიკურ დაძაბულობას ნერწყვის გაშრობა უნდა გამოეწვია.

ამჟამად დამნაშავეს აღმოჩენის ფსიქოლოგიური მეთოდები თანდათან იხვეწება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მიზნით იყენებენ რამდენიმე სახის აპარატს, რომელთაც ერთ საერთო სახელს — „პოლიგრაფს“ უწოდებენ. ამ აპარატის ცალკეულ ნაწილებს ამაგრებენ აღმიაანის სხეულის სხვადასხვა ადგილას (შუბლზე, კიდურებზე, მკერდზე და სხვ.) და გრაფიკულად აღნუსხავენ ამ ადგილებზე მომხდარ ცვლილებებს.

საინტერესოა მოგონების მეთოდით დამნაშავეს გამოაშკარავება: ეკვმიტანილს უკითხავენ ტექსტს, რომელიც მომხდარ ბოროტმოქმედებას აღწერს და რომლის დეტალები მან არ უნდა იცოდეს, თუ იგი უდანაშაულოა. ამ აღწერაში განზრახ არის შეტანილი რამდენიმე ცვლილება. მაგალითად, შემთხვევის დროს №-ს ხელში ეჭირა ქოლგა, ხოლო ტექსტში ლაპარაკია, რომ მას ეჭირა კალათი. ერთი კვირის შემდეგ ეკვმიტანილს თხოვენ მოყვეს ამბავი, რომელიც მის წაუკითხეს და თუ იგი იტყვის, რომ ქაღალს ხელში ეჭირა ქოლგა და არა კალათი, ეს იმაზე მიუთითებს, რომ მან იცის შემთხვევის დეტალები.

არსებობს ხელის რეაქციის პნევმატური ჩაწერის მეთოდი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ეკვმიტანილს ევალება მასტიმულირებელ სიტყვაზე პასუხის გაცემის დროს თითი დაჭიროს ღილაკს, რომელიც, თითქოს, მისი პასუხის ჩაწერას აწარმოებს. სინამდვილეში იგი პნევმატურად მოქმედებს და განუწყვეტილ იწერს თითის ყოველგვარ მოძრაობას. ამ მეთოდით შეიძლება განისაზღვროს კრიტიკულ სიტყვებზე პასუხის გაცემისას აღმოცენებული შეფერხება.

არის კიდევ ერთი საინტერესო მეთოდი: ეკვმიტანილს ავალებენ მეტრონომის ტაქტს აყოლოს თითის ან ფანქრის კაყუნი მაგიდაზე და სწორედ ამ დროს მას წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით ეძლევა კრიტიკული და არაკრიტიკული კითხვები, რომლებზედაც ისე



უნდა ვასცეს პასუხი, რომ მეტრონომის ტაქტს არც ჩამორჩეს და არც გაუსწროს.

ამ მეთოდების გამოყენება დიდი სიფრთხილესა და სიზუსტეს მოითხოვს. პირველ რიგში დასაკითხი სუბიექტი (დამნაშავეა ის, თუ უდანაშაულო) უნდა იყოს დარწმუნებული ამ მეთოდის ძალაში.

გამომძიებელმა ექვმიტანილს უნდა მისცეს ისეთი შეკითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემისას საკმარისი იქნება „დიახ“ და „არა“, ვინაიდან ვრცელი წინადადებების წარმოთქმა არღვევს სუნთქვის რიტმს, ცვლის სისხლის წნევის სურათს და, საერთოდ, აძნელებს ჩანაწერის გაგებას.

ხშირად მიმართავენ ასეთ მეთოდს: ექვმიტანილს ცალ-ცალკე უჩვენებენ ათიოდე ნივთს, რომელთა მსგავსი ბინიდან არ მოუპარავთ, და ეკითხებიან: მოიბარა თუ არა ეს ნივთი? ექვმიტანილი, რა თქმა უნდა, პასუხობს — „არა“. პოლიგრაფიულ ჩანაწერზე ცვლილებები არ შეიმჩნევა. მაგრამ როცა მას ანახებენ იმ ნივთს ამ მის მსგავსს, რომელიც მან მოიპარა, მართალია ამ შემთხვევაშიც „არას“ ამბობს, მაგრამ ჩანაწერში მკვეთრი ცვლილება მოხდება.

იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა პოლიგრაფიული მეთოდებით შემოწმებულ იქნან განსაკუთრებით გამოცდილი რეციდივისტები? დადგინოდა, რომ ამ შემთხვევაშიც პოლიგრაფიული მეთოდები საკმაოდ სანდოა. თუმცა რეციდივისტს შეუძლია საკმაოდ მკვეთრმეტყველურად იცრუოს, მაგრამ მისი სიმპათიური ნერვიული სისტემა მაინც მუშაობს ამ დროს და უნებლიე ცვლილებებს იწვევს სისხლის წნევაში, სუნთქვაში და სხვ.

დანაშაულის აღმოჩენის ფსიქოლოგიურმა მეთოდებმა განვითარების საკმაოდ დიდი გზა განვლეს და საკმაო წარმატებითაც არიან გამოყენებული მრავალი ქვეყნის მალთმსახურების პრაქტიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის აღმოჩენის პოლიგრაფიული მეთოდები დამხმარე საშუალებებია. მართლმსაჯულების გამოცდილი მუშაკს ამ მეთოდების რაციონალური გამოყენებით შესაძლებლობა ეძლევა მიაგნოს საეჭვო შემთხვევებს და მათი გაანალიზებით გაიკვილოს გზა ჭეშმარიტებისაკენ.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ვ. გრი-

გოლავა ძირითადად ეყრდნობა სასლვარგო-თელ ავტორებს, მაგრამ წიგნში საკმაო ადგილი ეთმობა საბჭოთა ავტორებსაც. მათ შორის აღსანიშნავია ს. პოზნიშევის «Криминальная психология», ე. შტერნის «Прикладная психология» და ა. კრინფელდის «Гипноз и внушение». ეს ნაშრომები გამოცემულია 20-30-იან წლებში და მათში ბევრია მოძველებული აზრი, მაგრამ არის აგრეთვე ბევრი საინტერესო და საჭირო მასალა. მართალია ვ. გრიგოლავას ამ ნაშრომების კრიტიკა არ მოუცია, მაგრამ თავის წიგნში გამოიყენა მხოლოდ სკნერო და საინტერესო მასალა. ურიგო არ იქნებოდა ზემოხსენებული ავტორები კრიტიკულად განხილა და ეჩვენებინა მათი მოძველებული, მაგრამ დღე-ნები თანამედროვე მეცნიერების ფონზე. მაგალითად ს. პოზნიშევის «Криминальная психология»-ს, მაგრამ მის მიერ დამნაშავეთა ტიპების განხილვას, ხოლო ვ. გრიგოლავა იყენებს რამას, ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავს მოსაზრებას, რომელიც ამ ტიპების შესახებ არსებობს. შეიძლება ბევრ რამეში დავეთანხმოთ ამ მსრივ ს. პოზნიშევის, მაგრამ მის მიერ დამნაშავეთა ტიპების დადგენა, მათი ინტერპრეტაცია, ჩვენის აზრით, ვ. გრიგოლოვასათვის ინტერესი უნდა არ უნდა ყოფილიყო. არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი სასამართლო ფსიქოლოგიაში. ეს ნაშრომი ბრუსილოვსკის «Судбно-психологическая экспертиза», რომელიც ვ. გრიგოლავას თავისი ნაშრომის ავტორისა გამოყენებული არა აქვს. ბრუსილოვსკის ნაშრომის მონაცემები უთუოდ საბატიო ადგილს დაიკავებდა ვ. გრიგოლავას წიგნში და უფრო საინტერესოს გახდიდა მას.

ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, არსებითი ხასიათის არ არის, ვერ ჩრდილავს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ვ. გრიგოლავას წიგნს „გამოყენებითი ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“. საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის.

ამ წიგნს არა აქვს მეთოდური და დასრულებული სახელმძღვანელოს პრეტენზია. ამის ავტორი თვით აღნიშნავს წინასიტყვაობაში. ცხადია, იურისტები ამომწურავ პასუხს თავიანთ ყველა კითხვაზე ამ წიგნში ვერ იპოვიან, მაგრამ იგი ერთგვარ ბიძგს მაინც მისცემს მათ ახალი ასპექტით შეხედონ თავიანთ მოღვაწეობას. მონაწილეობა მიიღონ ამ აქტუალური პრობლემების გადაჭრაში და სათანადო მეთოდოლოგიური დამუშავების შემდეგ პრაქტიკულად გამოიყენონ.

გ. მერაბიშვილი

## ნიგნი ბავშვთა უხედახედელოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა ბავშვთა და მოზარდთა უხედახედელოებისა

და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ პრობლემის გადაწყვეტის მთავარი პირობაა



ბავშვთა უზედამხედველობის და დამნაშავეობის მიზეზთა მიგნება, „დიანოზის“ სწორად დადგენა და მართებულ „მეურნალობის“ ჩატარება.

ამ საკითხზეა დაწერილი ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაის ქ. გველიას წიგნი „ბავშვთა უზედამხედველობა და მასთან ბრძოლის პედაგოგიური საფუძვლები“, რომელიც გამოცემლობა „განათლებამ“ გამოსცა.

სარეცენზიო ნაშრომში, რომელიც რამდენიმე თავისაგან შედგება, განხილულია ბავშვთა უპატრონობასთან და უზედამხედველობასთან ბრძოლის ისტორია, ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, ნაჩვენებია ოჯახის, სკოლის, საზოგადოებრიობის, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

პირველ თავში ავტორი აღწერს იმ მძიმე მდგომარეობას, რასაც აღვივებს ჰქონდა ამ მხრივ მეფის რუსეთის ხალხთა ცხოვრებაში. ვრცლად ჩერდება იმ ღონისძიებებზე, რაც ხორციელდებოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბავშვთა და მოზარდთა უპატრონობისა თუ უზედამხედველობის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობას, პირადად დიდ ლენინს რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ბავშვთა უპატრონობისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლა, მოზარდთა დამნაშავეობის აღკვეთა მიაჩნდათ დიდ ეროვნულ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ.

ავტორი წიგნში ჯეროვან ადგილს უთმობს ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილიდან აღებულ საჭირო გამოცდილებას. საქართველოში ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის ხელმძღვანელობდნენ და მათ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის გამორჩენილი მოღვაწეები: მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო თოდრია, მარიამ ორახელაშვილი და სხვ.

მეორე და მესამე თავი დათმობილი აქვს ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობასთან მილიციის ბავშვთა ოთახების მუშაობის შინაარსს, ფორმებს, მეთოდებს, გზებსა და საშუალებებს. დღეს ჩვენში ბავშვთა უპატრონობა ლიკვიდირებულია. მისი ცალკეული გამოვლინება არ წარმოადგენს სოციალური მიზეზით წარმოქმნილ სავალალო შედეგს. ბავშვთა უპატრონობის ამ შემთხვევების ძირითად მიზეზებად ავტორს სამართლიანად მიაჩნია ზოგიერთი მოქალაქისა და მშობლის მიერ თავისი მოვალეობისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო და-

მოკიდებულება. „უზედამხედველობა არის ის ძირითადი მიზეზი, — აღნიშნავს ავტორი, — რომელიც ბავშვებს აქცევს მაგნე გავლენაში, ავითარებს მათში ცუდ ჩვევებს, დაუმორჩილებლობისა და უდისციპლინობის თვისებებს, ხელს უშლის ბავშვის სწორად აღზრდას. იგი არღვევს ბავშვში ზნეობრივი განვითარების ნორმალურ მსვლელობას და ხშირად ხდება მცირეწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის გარდუვალი მიზეზი“ (გვ. 27).

ბავშვთა უზედამხედველობის მიზეზებად ავტორი ასახელებს აგრეთვე მშობლის დაბალ პედაგოგიურ განათლებას, შვილის მომავლისადმი აგდებულ დამოკიდებულებას, მშობლის, როგორც აღმზრდელის უარყოფით სულიერ თვისებებს, იმ ხარვეზებს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს სკოლის, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების სასწავლო-სამაგისტრაციო და საორგანიზაციო მუშაობაში.

ამავე თავში ავტორი იძლევა უზედამხედველობის ცნების განმარტებას. „უზედამხედველობა უბრალო მეურვეობა კი არ არის ბავშვებისადმი, რომლებიც სწავლობენ, მოქმედებენ, ან თამაშობენ უფროსთა მეტყველებებით, — ამბობს ავტორი, — არამედ ეს არის ბავშვთა აღზრდის, მათზე ზრუნვის, აღსაზრდელების ზნეობრივ-კულტურული და გონებრივი განვითარების ყოვლისმომცველი მწყობრი სისტემა, რომელიც ექვემდებარება მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს“ (გვ. 28-29).

ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მილიციის ბავშვთა ოთახებში მომუშავე მუშაკთა პედაგოგიკურ განათლებასა და კულტურას. მართლაც, თუ სადმე ვადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკურ განათლებასა და კულტურას, ადამიანებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ყველაზე მეტად იგი საჭიროა უზედამხედველო ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის დროს. გაცილებით ძნელია გზიდან აცდენილი ბავშვების გამოსწორება, მათი სწორ გზაზე დაყენება, ვიდრე აღზრდის თავიდანვე სწორად წარმართვა.

ნაშრომში ავტორი იძლევა საგულისხმო რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომელთაგან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა გონივრული დასვენების საკითხის მოგვარებას. ბავშვთა გონივრული დასვენების ორგანიზაცია უზედამხედველობისა და მართლწესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საუცხოო საშუალებაა, ასკენის ავტორი (გვ. 60). ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ოჯახში, სკოლაში, განათლების ორგანოებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, წარმოება-დაწესებულებებში სახლმმართველობებში, მშრომელთა კომიტეტებში და მოზარდი თაობის აღზრდით დაინტე-

რესტრუქციონირება ორგანიზაციებმა მთელი ძალით გაშალონ მუშაობა ამ მიმართულებით და მას სისტემატორად და მიზანდასახული ხასიათი მისცენ, ვერჩევენ წიგნის ავტორი.

სარეცენზიო ნაშრომში ცალკე თავი აქვს დათმობილი ისეთ ფრიად საჭირო და საინტერესო საკითხს, როგორცაა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა ვათვალისწინება უზედამხედველობით დამახინჯებულ ბავშვთა აღზრდაში. „არც ერთ აღზრდელს არ შეუძლია წარმატებას მიღწიოს ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურების ვათვალისწინებლად“, მიგვიითობს ავტორი და შემდეგ განაგრძობს: „აღზრდის ინდივიდუალური და ასაკობრივი პრინციპი ის ქვეყნებშია, რომელსაც ეყრდნობა აღზრდა, სულ ერთია საქმე ეხება უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვის გამოსწორებას თუ ბავშვის აღზრდას საერთოდ“ (გვ. 60). ამ ფრიად მნიშვნელოვან პედაგოგიკურ კანონს განსაკუთრებულ ღირებულება აქვს უზედამხედველო და მცირეწლოვან დამანაშავე ბავშვებთან მუშაობაში.

შემდეგ ავტორი ჩერდება ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებზე. შედარებით ვრცლად მიმოიხილავს ბავშვის სქესობრივ მომწიფების პერიოდს, როგორც ყველაზე რთულ და სპეციფიკურ ასაკს.

ავტორი ლაპარაკობს ოჯახის მნიშვნელობაზე ბავშვის სწორი აღზრდისათვის. იგი მართებულად აღნიშნავს, რომ მშობლის უპასუხისმგებლობა, მისი ვიწრო ეგოისტური თვისებები და მეშინაურ-ობივიატური სულისკვეთება, შვილის ბედისაღმი ავდებული, გულგრილი დამოკიდებულება, უტაქტობა და პედაგოგიკური ვაუნათობლობა, ის ძირითადი მიზეზებია, რაც იწვევს უზედამხედველობასა და ბავშვის დამახინჯებას, მისი გზიდან აცდენას, დამანაშავეობაში ჩაბმას. „სწორი ოჯახური აღზრდა ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობასთან წარმატებითი ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი პირობაა“, მართებულად აღნიშნავს ავტორი და განაგრძობს, „ყველა ოჯახში ბავშვთა აღზრდას სწორი პედაგოგიკური საფუძველი რომ ჰქონდეს, მაშინ უზედამხედველობის საკითხი ესოდენ სერიოზული საზრუნავი არ იქნებოდა“ (გვ. 70).

ამ თავში ლაპარაკია აგრეთვე ბავშვის ოჯახში აღზრდის მეთოდებსა და გზებზე, მშობლის ავტორიტეტსა და პირადი მაგალითის მნიშვნელობაზე, შრომითი აღზრდის როლზე და სხვ.

მეექვსე თავში გაშუქებულია სკოლის ბრძოლაზე ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ, კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე ავტორი მკითხველისათვის მისაწვდომ

ხდის იმ წარმატებებს, რასაც ადგილი აქვს ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მუშაობაში. საგულსხმოა ავტორის რეკომენდაცია უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სკოლაში მყოფ სტუდენტ-პრაქტიკანტების მიზანდასახულად გამოყენების შესახებ. ეს დასკვნები მიიღო ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის განზოგადოების საფუძველზე. ანგარიშგასაწევია ავტორის აზრი იმის შესახებაც, რომ ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის ფრიად ეფექტური საშუალებაა სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ბრძოლა მოსწავლეთა ავადმთური წარმატებისა და მეორეწლიანობის დაძლევისათვის. მეორეწლიანობა სკოლიდან გასვლის სათავე და მართლწესრიგის დარღვევის წყაროა.

შრომის მომდევნო თავში გამოამჟღავნებულა პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, რაც ზოგიერთი სკოლის ამ მასობრივ ორგანიზაციებს გააჩნიათ ბავშვთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ბოლო თავში ლაპარაკია საზოგადოებრიობის როლზე ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ავტორი აღწერს და აანალიზებს ქ. თბილისის სახლებთან და მიკრორაიონებთან არსებული „საზოგადოებრივი კომიტეტების“, „საზოგადოებრივი საბჭოების“, სახლმმართველოებთან არსებული პედაგოგთა ჯგუფების მუშაობას. მისაღებია ავტორის რეკომენდაცია საზოგადოებრივ საწყისებზე მილიციის ბავშვთა ოთახების შექმნის თაობაზე. ავტორი აყენებს საკითხს მილიციის ბავშვთა ოჯახების სამუშაო დროის განანგრძლივების შესახებ. არის სხვა საგულსხმო რჩევა და რეკომენდაცია, რომელთა ვათვალისწინება სარგებლობას მოუტანს საკითხით დაინტერესებულ პირებს.

შრომას აქვს ნაკლიც:

1. შრომაში გამოკვეთილად არ არის მოცემული ბავშვთა და მოზარდთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის პედაგოგიკური საფუძველები.

2. საკითხები თანმიმდევრობით არ არის დალაგებული. ადგილი აქვს გამეორებასაც. მაგალითად, სტუდენტ-პრაქტიკანტებზე ავტორი ლაპარაკობს, როგორც თავში სკოლის მუშაობის შესახებ, ასევე შრომის იმ ნაწილშიც, სადაც პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებზეა საუბარი და ა. შ.

3. შრომაში მოტანილი მაგალითები ზოგჯერ აღწერით ხასიათს ატარებს, რაც წიგნს უკარ-



გავს თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას. ფაქტების კონსტანტაცია იმდენადაა საჭირო, რამდენადაც იგი წარმოადგენს შეფასების მეცნიერული ანალიზისა და განზოგადოების ობიექტს.

4. შრომაში გვხვდება არასწორი და ბუნდოვანი გამოთქმები. მაგალითად, ავტორი ხშირად ხმარობს ასეთ გამოთქმას: „აღზრდის ასაკობრივი და ინდივიდუალური პრინციპი“ (გვ. 60, 68), „ოჯახურ აღზრდაში სერიოზული ყურადღება უნდა ეთმობოდეს აღზრდის ინდივიდუალურ პრინციპებს“ (გვ. 78, 79...), ნაცვლად აღზრდის ასაკობრივი და ინდივიდუალური მიდგომის პრინციპისა. საბჭოთა პედაგოგიკაში ენობილია ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი და არა ინდივიდუალური პრინციპი.

5. ავტორს შრომაში მეტი უნდა ეთქვა ასაკობრივ თავისებურებაზე. მეტი მაგალითები უნდა მოეტანა მას აგრეთვე ასაკობრივი და ინდივიდუალური მიდგომის პრაქტიკიდან. ამ შიართულებით ჩვენ მოვისუსტებთ და ავტორი მოვალე იყო თავისი სიტყვა ეთქვა შრომაში აღნიშნული საკითხის შესახებ.

6. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ავტორს ცალკე ემსჯელა ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობის შესახებ. გაკვირთ, ზერელედ საუბარა. ამაზე, მკითხველს ბევრს ვერაფერს მისცემს. ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე საუბარს უზედამხედველობასთან ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

7. ტერმინ „უზედამხედველობას“ აჯობებდა გვეხმარა უმეტეაღყურებობა. უმეტეაღყურებობა უფრო პედაგოგიკურია, უფრო ზუსტად ასახავს მოვლენას, და, მაშასადამე, ამ ტერმინის მიღება ამდენად მიზანშეწონილია.

8. სარეცენზიო ნაშრომი არაა დაზღვეული ენობრივი და სტილისტური ხასიათის ხარვეზებისაგან. ამ მოსაზრებისათვის საკმაო საფუძველს რეცენზიაში მოტანილი ციტატებიც იძლევიან.

ამ ნაკლოვანებთა მიუხედავად გამომცემლობა „განათლებამ“ კარგი საქმე გააკეთა ამ წიგნის გამოცემით.

დოც. შ. კუჭუნიძე.

# გონივრული ჩიქნებიან

რ ო მ ა ნ ი \*

— მათრერი მაინც ისე გასარილდება ამ დაცვაში, როგორც ცხელი დანა კარაქში. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ მინდა იცოდეთ, ვისაც შეეყარეთ. მე გაგაფრთხილეთ მოუს შესახებ, ამით დავარღვიე ბრძანება და მათრერი არავითარ შემთხვევაში არ დამტოვებს ამ ქვეყნად. დაუსჯელი რომ დამტოვოს, სხვებიც დიწყებენ მისი ბრძანებების დარღვევას. აი, რატომ ვუთხარი კონრადს ზოგიერთი რამ. ამით მცირეოდენი დრო მოვიგე, რამდენადაც აქ მამყოფებენ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მათრერი მაინც მომწვდება.

ფრენის უცებ საშინელი შეგრძნება დაეუფლა. თუმცა პიტი მშვიდად ლაპარაკობდა, მის თვალბუში მაინც შიშს დაესადგურებინა. და სწორედ ამ შიშმა დაარწმუნა ქალი, რომ კაჟი მართალს ამბობდა.

— როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები, — გაიხსენეთ, გეთაყვა, ჩემი ნათქვამი.

სწორედ ამ დროს მოლზე გამოჩნდა კონრადი. პიტი ადგილიდან წამოიჭრა და სახლისაკენ გაემართა. სამი მკველი აედევნა. ფრენისი გაუნიძრევლად იჭდა და თვალს არ აშორებდა პიტს. სახე გაუფიროთდა, თვალბუში შიში ჩაუღვია.

— რა მოხდა. ღის კოლემან? — ჰკითხა კონრადმა, — შეშფოთებული ჩანხართ.

— არ სჯერა, რომ აქ საფრთხე არ ელის.

— ვიცი. — კონრადი გვერდით მიუჭდა და პაპიროსს მოუკიდა. საერთოდ ნერვიული ტიპია. როცა აქ რამდენიმე კვირას გაატარებს, მერე დარწმუნდება, რომ საფრთხე არ ელის. ჯერჯერობით კი მეტისმეტად სწამს მათრერას ყოელისშემძლეობა. თქვენ კი ნუ იწუხებთ მასზე. ყველაფერი კარგად იქნება.

ფრენისმა მადლიერებით შეხედა კონრადს. პოლის მშვიდმა ხმამ სიმხნევე შემატა.

— ჩემი საქმეც კარგად იქნება?

— რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენთან დაკავშირებულია ერთი პრობლემა. ეკვი მაქვს, რომ

მათრერი ნახეთ ჩიქნში. ჩვენ აქ მარტონი ვართ. არავის არ ესმის, რას ვლაპარაკობთ. მოწმენი არ გვყავს. ნუთუ არ მენდობით. დაიფიქვით, რომ ოფიცერი ვარ და მეგობრულად ვისაუბროთ.

ქალი წამოდგა ადგილიდან და მტკიცე ხმით უთხრა:

— არაფერი არა მაქვს სათქმელი. თუ ნებას მომცემთ, სახლში წვაალ. მზეზე ძალიან ცხელა. კონრადმა მანქანა დაამუხრუჭა, როცა ფარების შექუზე მძიმე ჭიშკარი გამოჩნდა. სხუთ ავტომობიანი პოლიციელი იდგა ჭიშკართან.

ერთი მათგანი მანქანას მიუახლოვდა.

— ყველაფერი წესრიგშია? — იკითხა კონრადმა.

— დიახ, სერ! მოსახსენებელი არაფერი მაქვს.

— მალე ქარიშხალი ატყდება. ამ დამეს განსაკუთრებით ფრთხილად იყავით. ციდან რკინის წნელებიც რომ ცვივოდეს, ორ კაცზე ნაკლები არ უნდა იდგეს აქ. სხვები კი შეიძლება შენობაში დარჩნენ. — მიმართა კონრადმა.

— გასაგებია, სერ.

კონრადმა მანქანა შემდგომ საგუშაგოსთან დატოვა და მეჯთან ერთად აჰყვა ციცაბო ბილიკს, რომელმაც ისინი კლდის წერტილზე აიყვანა. აქ გუშაგებისათვის დაახლოებით ას-ასი იარღის მანძილზე სამი ჯიხური იდგა. გუშაგები ბადრაგობდნენ კლდესაც და ერთი მათგანი კონრადისაკენ გამოემართა, როგორც კი მკრთალ შექუზე შენიშნა იგი.

— ძალზე ყურადღებით იყავით, — გააფრთხილა კონრადმა. — სწორედ ასეთ დამეში შეეცდებიან მაილწიონ სახლს, თუკი საერთოდ აპირებენ რამეს.

— აქ ვერ გაივლიან, სერ, — დაამშვიდა პოლიციელმა. — ერთ ხანს ალბინიზმს მივდევდი. ვერაფერ ვერ შესძლებს ამ ფრიალო კლდეზე ამოსვლას.

\* დასასრული. დასაწყისი იხ. უფრ. „საბჭოთა სამართალი“, 1969 წ. № 1, გვ. 77 — 86, № 2, გვ. 92-96; № 3, გვ. 89-94; № 4, გვ. 84-95.

— სულ ერთია, თვალები მოიფშვინტეთ და უფრო ყურადღებით იცქირეთ!

კონრადმა ცას შეხედა. ვეებერთელა ქუფრი ღრუბლები შეყრილიყო ერთმანეთზე. როცა კონრადი მეჯთან ერთად სახლისაკენ გაემართა, სადღაც შორს დაიქუხა. წვიმა წამოვიდა. ვერანდაზე ვილაცის ფიგურა გამოჩნდა.

— შენა ხარ, ტომ? — შეეკითხა კონრადი.

— მე, — მიუგო მოკლედ ო' ბრაიენმა.

— მე მგონია, სახლში უნდა დავბრუნდე, — თქვა მეჯამი. — მის კოლემაინ უკვე ავიდა ზევით. დამე მშვიდობისა, პოლ.

კონრადი სავარძელში ჩაჯდა ო' ბრაიენის გვერდით.

— შეხუთული ჰაერია!

— ვაავდრდება, — თქვა ო' ბრაიენმა. მის ხმაში ნაღვლიანი ნოტა გაისმა. კონრადმა ყურები დაცქვიტა.

— ერთ საათზე ადრე არა. რომელი საათია, ტომ?

— ათს აკლია თხუთმეტი წუთი.

ისინი გაუყვნენ განათებულ კორიდორს, რომლის თავში მეორე პოლიციელი იჯდა და კიბეს თვალს არ აშორებდა.

ო'ბრაიენმა პიტის ოთახის კარი გამოაღო.

პიტს ხალათი ჩაეცვა, პირსახოცი მხარზე გადაეგდო და ფანჯარაში იყურებოდა.

ორი პოლიციელი ფანჯრიდან მოშორებით მისჯდომოდა მაგიდას და კარტს თამაშობდა. მესამე პოლიციელს ავტომატი მუხლებზე დაედო და პიტს მისჩერებოდა. ეტყობოდა გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა სიმშვიდეს.

კარის გაჭრიალებზე პიტი მობრუნდა. მაგიდასთან მჯდომი ორი პოლიციელი კონრადს ფიცხლავ გამოეკვიმა.

— ო'კეი, თავისუფლად! — მიმართა კონრადმა ოთახში შესვლისას. ძალზე ესიამოვნა, რომ პოლიციელები ფხიზლობდნენ. რა საშინელი ღამეა, ჰა?

— უარესი აღარ შეიძლება, — გამოეპასუხა ავტომატიანი ოფიცერი.

კონრადმა შენიშნა, რომ პიტი გაფაციცებულნი მისჩერებოდა ო'ბრაიენს. კონრადმა იმწამსვე შეხედა ო'ბრაიენს და გაოცდა, ისე ფერმკრთალი იყო სერჟანტი.

— აბა, წავიდეთ! — გამოსცრა კბილებში ო'ბრაიენმა. იგი ოთახიდან ვავიდა, პიტი მას მიჰყვა. კონრადი ერთხანს ყოყმანობდა, მერე კი ისიც დაედგინა პიტსა და ო'ბრაიენს და სწორედ მაშინ დაეწია მათ, როცა სერჟანტმა საბაზანეს კარის სახელური გადასწია და კარი გააღო.

— შეჩერდი! — უბრძანა პიტს ო' ბრაიენმა, სინათლე ანთო და საბაზანეში შევიდა. მან

გამაღლო დიდი კარადა და შიგ შეიხედა. შემდეგ შხაპის ფარდას მიუახლოვდა. გული ისე გამალებით უცემდა, რომ სუნთქვა ეკვროდა. იგი ზურგით მიბრუნდა კარისკენ, ჩამოეფარა საშხაპეს, გასწია ფარდა და შიგ შეიხედა.

ფერარი თუმცა იქ ეგულებოდა, მაგრამ მკვლელის დანახვაზე მაინც გული შეუქანდა. ქანდაკებასაკვირ გაშეშებულ ფერარის მარჯვენა ხელში ეჭირა ავტომატური პისტოლეტი, რომელიც პირდაპირ ო'ბრაიენის მუცლისკენ იყო მიმართული. ამ ორმა ადამიანმა მხოლოდ წამის რომელღაც წერტილზე გაუყარა ერთმანეთს თვალი თვალში. შემდეგ ფარდა ისევ დაეშვა.

კონრადი საბაზანეში შევიდა.

— მეც დავიბან, — თქვა მან. — ფუ! წყალი წურწურით ჩამომდის.

ო' ბრაიენმა უკან დაიხია და, ვითომ შემთხვევით, კონრადი საშხაპეს ფარდას მოაშორა.

— შენი აზრით, მთელი ღამე იწვიმებს? — შეეკითხა ო'ბრაიენი.

— მგონი, კი! — უპასუხა კონრადმა და ნელ-ნელა ვავიდა კორიდორში.

— ო'კეი, ვეინერ, შედი! — თქვა მან.

პიტი საბაზანეში შევიდა და კარი მიხიურა.

— წასულიყავი, ქალიშვილთან გენახა წესრიგში თუა ყველაფერი, — უთხრა ო'ბრაიენმა კონრადს. — შეიძლება ქარიშხალი აშინებს.

— მეჯი იქ არის, — მიუგო კონრადმა და პაპიროსს მოუკიდა. მან ვერ შენიშნა ო'ბრაიენის ალაგ-ალაგ გათეთრებული და აფორვებული სახე. — ცოტა ხნის შემდეგ მეც მოვალ.

ამ დროს სახლს მენმა გადაუგრილა და ო'ბრაიენმა ვავიგონა პიტის ყრუ ყვირილი კარს უკან.

— ეს რა არის? — იკითხა კონრადმა.

— ქუხილი, — მიუგო ო'ბრაიენმა.

— მე კი ვილაცის ყვირილი შემომესმა.

ერთხანს ორივე შეჩერდა, ყური მიუგდეს ქარიშხლის ღრიალს. მერე კონრადმა ჰკითხა.

— როგორ არის შენი ბიჭუკეა, ტომ?

— კარგად, მიუგო ო'ბრაიენმა და ცხვირისა-ხოცით სახე მოიწმინდა.

— როგორ მინდა, რომ ის ქალიშვილი ალაპარაკდეს, — თქვა კონრადმა, როცა ქუხილმა გადაიარა. — სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ მათურები ნახა.

— მე მგონია, ახლა ალაპარაკდება.

საბაზანეს კარს უკან წყლის შხაპუნი გაისმა და ო'ბრაიენი ისევ შეკრთა.

— იცი რა? ვეინერი მამოცებს. — უთხრა კონრადმა. — მგონი ტყირიშმა შეშალა ჭყუაზე. მასში არ არის ანამდვილი ბიჭიერება: სულაც არ არის ისეთი, როგორც სხვები იმ კამპანიიდან...

ნუთუ მისი გამოხედვის დრო არ არის? ოც წუთზე მეტი გავიდა, რაც სააბაზანეშია.

— არასდროს არ ჩქარობს.

კონრადმა კარზე დააკაკუნა.

— მორჩი, ვეინერ!

ო'ბრაიენმა დაინახა, რომ კონრადმა კარის სახელური გადატრიალა.

— ჩაკეტილა! ამ კარში რა უნდა გასაღებს, ტომ?

— ეშმაკმა უწყის, — მიუგო ო'ბრაიენმა.

კონრადმა ისევ დააკაკუნა.

— მზად ხარ, ვეინერ?

კონრადმა მუშტი მიართყა კარს. არავინ გამოეპასუხა. კონრადი მოხერხებულად დადგა და ფეხი მიართყა კარს. კარმა დაიჭრა, მაგრამ არ გაიღო.

— მოდი, მე ვცდი, — უთხრა ო'ბრაიენმა, როდესაც დარწმუნდა, რომ ფერარი უკვე თავს უშველიდა.

სერჟანტმა უკან დაიხია, გამოქანდა და მთელი ძალით დაეჯახა კარს.

კარი გაიღო და ო'ბრაიენი სააბაზანეში შევარდა. კონრადი მას მიჰყვა.

პიტი ხელებგაშლილი იწვა აბაზანაში. პატარა ოთახი ორთქლს აევსო. წყალი ვარდისფერი იყო.

ო'ბრაიენი დაიხარა, პიტს თმებში სწვდა და თავი წყლიდან ამოაყოფინა.

— ეს ყმაწვილი როგორც ჩანს, შეიშალა, რაკი ამ მძლურეში მიჭერბოდა, — წაიბურღლენა მან. — მომკვდარა, პოლ!

— გაინძერი!, — დაიყვირა კონრადმა. — გამიშვი ერთი, ფეხებში მოგვიდებ ხელს. აქედან უნდა გავიტანოთ.

მათ ამოათრიეს პიტი აბაზანიდან, კორიდორში გაიტანეს და იატაკზე გულდაღმა დააწვინეს.

— ვშიშობ, რომ მკვდარია, — თქვა კონრადმა. — აბა, ვილსონ, შენ სცადე.

ერთ-ერთმა პოლიციელმა რიტმულად დაუწყო ხელის დაქვერა პიტს ზურგზე, როგორც ამას ხელოვნური სუნთქვის დროს აკეთებენ ხოლმე.

კონრადი სააბაზანეში შევიდა და დათვალიერებას შეუდგა. ო'ბრაიენი კართან იდგა და თვალყურს ადევნებდა.

— ონკანებზე სისხლია, — თქვა კონრადმა, — ალბათ ფეხი აუცდა, თავი დაარტყა, გონი დაკარგა და წყალში ჩაიძირა.

— ჰო-ო, — დამარცვლა ო'ბრაიენმა, — წყალი მეტისმეტად ცხელი იყო.

კონრადი წელში გაიმართა და ფანჯარას შეხედა. მისმა შეფიქრანებულმა სახემ ო'ბრაიენი შეაკართო.

— რას უყურებ? — შეეკითხა იგი.

— იქნებ აქედან გადმოვიდნენ, — ჩაილაპა-

რაკა ფიქრებში გართულმა კონრადმა თქვა: რამ, მეორე მხრივ, ფანჯრიდან რომ ვინმე შემოსულიყო, ვეინერს დაკვირვებისთვის დრო ექნებოდა.

— ვერავინ ვერ გაძებრება ამ ფანჯარაში, ძალიან ვიწროა.

— მართალს ამბობ. — დაუდასტურა კონრადმა. იგი ისევ კორიდორში გამოვიდა.

— სიცოცხლის რაიმე ნიშანი თუ აქვს? — ჰკითხა მან პოლიციელს.

— არავითარი! — გაიქინა თავი პოლიციელმა. — მკვდარია, სერ.

მეორე პოლიციელმა გადასაფარებელი მოიტანა და მიცვალებულს გადააფარა.

— აი, საქმე! თქვა კონრადმა. — რამდენი რამ გავაკეთეთ, რათა მაურერისაგან გვეხსნა, იგი კი მაინც მოკვდა შემთხვევით.

კონრადი მოულოდნელად შემოტრიალდა და დაინახა ფრენსისი, რომელიც შეძრწუნებული დასჩერებოდა პიტის გვამს.

— მკვდარია? — ჰკითხა მან კონრადს.

— კი, მოკვდა. თქვენს ოთახში დაბრუნდით, თუ შეიძლება!

— როგორ მოხდა ეს?

— აბაზანაში გონი დაკარგა. წყალი მეტისმეტად ცხელი იყო.

— აბაზანაში დაკარგა გონი? — ხმადაბლა გაიმეორა ქალმა. თქვენ მარწმუნებთ, რომ ეს უბედური შემთხვევაა?

— მხოლოდ და მხოლოდ უბედური შემთხვევა და სხვა არაფერი.

— არა! — დაიყვირა ქალმა. — იმ კაცმა მოკლა. პიტმა მითხრა მაინც მომკლავსო და ასეც მოხდა! პიტმა იცოდა, რომ მალე მოკვდებოდა.

— რომელ კაცზე ლაპარაკობთ თქვენ? — შეეკითხა კონრადი.

— მაურერმა! მაურერმა გააკეთა ეს! პიტმა მითხრა მაურერი მომკლავსო, და ასეც მოხდა. აი რა! — განაგრძო ქალმა. — რაღაც უნდა გითხრათ. მაურერმა ამისთვის პასუხი უნდა აგოს. აღარ მაინტერესებს, მე რა მომივა. მოგცემო ჩვენებას, რომელსაც ჩემგან მოელოთ. მე ვნახე მაურერი ჩიხში. მან მოკლა ჯუნ არნო! მე ვნახე, როგორ გააკეთა მან ეს!

## V

ჩარლზ ფორესტი და კაპიტანი მაკ კენი გადმოვიდნენ პოლიციის მანქანიდან, მონადირეთა სახლის კიბეები აირბინეს და ვერანდზე ავიდნენ.

მათ შეეგება კონრადი.

სამივე დიდ სასტუმრო ოთახში შევიდა და, ვიდრე მაკ კენი ლაბადას იხილიდა, კონრადმა წარმოთქვა:

— ლაპარაკს აპირებს. მაურერი სწორედ ისე მოვიმწყვდიეთ, როგორც გინდოდა! ქალიშვილს მართლა უნახავს, როგორ მოკლა ჯუნ არნო.

მაკ კენი გახევდა და გაცეხული მიაშტერდა კონრადს. „თუ ეს ეხ მართალია, — გაიფიქრა მან, — მაურერის საქმე გათავებულა. მაგრამ მაურერი ისე არ დაჯდება ელექტრონის სკამზე, რომ ორგანიზაციის ყველა საქმე არ გახსნას. რასაკვირველია, არც იმას დაფარავს, ფულს რომ მაძლევდა.“

— დარწმუნებული ხართ, რომ არ ცრუობს? — შეეკითხა იგი კონრადს.

— დიახ, დარწმუნებული ვარ, — მაგრამ ჯობია თქვენ თვითონ განსაჯოთ, როცა მის ნაამბობს მოისმენთ.

— თქვენ ორივე მაურერს საფრთხობელად ხდით. — წაიბუზღუნა მაკ კენმა. — სად ბრძანდება ის თქვენი ქალიშვილი.

სამივე ფრენსისის ოთახისაკენ გაემართა. ფრენსისი ფანჯარასთან იდგა, გაფითრებულ სახეზე მკაფიოდ ეხატებოდა ჩალურჯებული თვალები. მეკ ფილდინგიც იქვე იყო.

კონრადმა ანიშნა და მეკი მაგიდასთან მივიდა. იგი სკამზე დაჯდა და ბლტკნოტი გადაშალა.

— დაიწყეთ, — უთხრა ფორესტმა კონრადს. კონრადი ფრენსისს მიუახლოვდა.

— ამრიგად, — თქვა მან, — ამა თვის ცხრა რიცხვს ჯუნ არნოს ესტუმრეთ.

— დიახ.

— რა მიზნით მიხვედით მასთან?

უმუშევარი ვიყავი, ფული არ მქონდა. ერთხელ ვმუშაობდი მის არნოსთან, ეპიზოდური როლი მქონდა ერთ ფილმში. ახლა ახალ სურათში აპირებდა თამაშს და მინდოდა მეკითხა, მეც ხომ არ გამომიწახავდა რაიმეს.

— და მან მიგიღოთ?

— დიახ.

— რომელ საათზე მიხვედით ჩიხში?

— დაახლოებით შვიდზე, ალბათ ათი წუთი აკლდა.

— მეკარემ პირდაპირ შეგიშვათ სახლში?

— არა. დარეკა და უთხრეს, რომ მის არნო საცურაო აუზშია. მაშინ მის არნოს დაურეკა და მან უთხრა, აუზთან შემხვედესო.

— შეხვედით?

— დიახ. ჰიშკრიდან კარგა მანძილი იყო გასვლელი. საშინელი ცხელი საღამო იყო. მის არნომ შემამჩნია, როგორ მცხელოდა და შემომთავაზა, შენც ჩამოდი წყალშიო. იგი მოცურდა აუზის კიდეგან და მითხრა: წადი, გასახდელში, საბანაო კოსტიუმი ჩაიცვი და ისე მოდი. მერე სროლის ხმა შემომესმა.

— გასახდელში წახვედით?

— დიახ, წავედი და გახდა დავიწყე. ამ დროს

მის არნოს ხმამაღალი ლაპარაკი მგონი, ვიღაცას მიესალმა.

— თქვენ როგორ მოიქცით?

— როგორ უნდა მოვქცეულიყავი? უკვე გახდილი ვიყავი. გასახდელში დავრჩი და საბანაო კოსტიუმის ძებნა განვაგრძე. მის არნომ მითხრა, ერთ-ერთ კარადშიაო.

ვიდრე საბანაო კოსტიუმს ეძებდით, რამე თუ გაიგონეთ?

ფრენსისი შეკრთა.

— შემომესმა მის არნოს ყვირილი. საშინელება იყო! ხელი დავავლე ჩემს კაბას, გულზე მივიკარი და გასახდელის კარისაკენ გავიქეცი.

— დაინახეთ რამე?

ფრენსისმა თავი დაუქნია. სახე სულ გაფითრებოდა მღვღვარებისაგან.

— რა დაინახეთ?

— მის არნო აუზის გვერდით მიწაზე იწვა, ხოლო შავკოსტიუმიანი ჯმუხი ჩასკვნილი მამაკაცი მის თავთან დახრილიყო. მარჯვენა ხელში დიდი დანა ეჭირა. მის არნო სუსტად იცავდა თავს. ვიდრე რამეს მოვახერხებდი, დანა ჩასცა.



კონრადმა ჯიბიდან ამოიღო ფოტოსურათების მთელი დასტა.

— ნახეთ, გეთყვავ, და მითხარით, არის თუ არა ამ სურათებს შორის მის არნოს მკვლელის სურათი.

ფრენსისმა გამოართვა ფოტოსურათები. ხელები უქანკალებდა. მაგრამ მაინც მალე მიაგნო მაურერის სურათს და კონრადს გაუწოდა.

— კეთილი! — კონრადმა ფოტოსურათი მაგიდაზე დადო. — შემდეგ რაღა მოხდა, მის კოლეგან?

— ამ დროს მეორე მამაკაცი მიუახლოვდა

მკვლელს და ორივე ერთად დასჩერებოდა მის არნოს. შიშმა ამიტანა და საშხაპეში დავიძალე.

— მეორე პიროვნების დადგენაც მინდა. — თქვა კონრადმა. — ხელახლა შეხედეთ, გეტაკვა, ამ ფოტოსურათებს, იქნება მეორეც იცნოთ?

ფრენსისმა დაიწყო სურათების გადათვალიერება. როცა ტონი პარეტის სურათს წააწყდა, ერთხანს ყურადღებით უყურა, მერე კონრადს გაუწოლა.

— აი, ეს კაცია.

— შემდეგ რა მოხდა?

მაკ კენმა კარგად იგრძნო, რა ხიფათსაც უმზადებდა ამ ქალიშვილის მონაყოლო, თავი ვეღარ შეიკავა და იფეთქა:

— რა მშვენიერი გამონაგონია! იცით, რას ვფიქრობ? მე ვფიქრობ, მთელი ეს ისტორია სიცრუეა! არ მჯერა, რომ თქვენ მაურერი ნახეთ.

— მე შემძლია დაგიმტკიცოთ ყოველი სიტყვა, რომელსაც წარმოვთქვამ, — განაგრძო ფრენსისმა და ფორესტს მიმართა. — ყოველი სიტყვის დამტკიცება შემძლია.

— როგორ ვაკეთებთ ამას, მის კოლეგან?

— მაურერმა გულის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახე მოიწმინდა, — მშვიდად დაიწყო ფრენსისმა. — ამას რომ აკეთებდა, ოქროს ფანქარი ამოუვარდა ჯიბიდან. ფანქარი ჯერ ფეხსაცმელზე დაეცა, მერე ერთ-ერთი საშხაპე კაბინის ჩასადენში ჩავარდა. მაურერი ცდილობდა ფანქარი ამოეღო, მაგრამ ვერ მისწვდა. მეორე კაცმა უთხრა, დროა წავიდეთ, მაგრამ მაურერმა უბასუხა, ფანქარზე ჩემი ინიციალებია და აუცილებლად უნდა ამოვიღოთ. მეორემ დამშვიდა, ჩასადენში მას ვერაიან დაინახავს, ამოღება კი შეუძლებელიაო. მაურერი დაეთანხმა. — ფრენსისი მიბრუნდა და ერთ ადგილზე გახევებულ მაკ კენს შეხედა. — მაურერს ფეხსაცმელზე სისხლის ლაქა ჰქონდა, — განაგრძო ფრენსისმა, — და ფანქარი დაისვარა. საკმარისია ამოიღოთ ეს ფანქარი, დაამტკიცოთ, რომ სისხლი მის არნოს ეკუთვნის, და მაშინ უთუოდ დამიჯერებთ.

### თავი მერვე

ფერარომ კარი გამოაღო და სეიგელის კაბინეტში შევიდა. იგი მივიდა საწერ მაგიდასთან და სავარძელში მოკალათდა.

— უკვე მკვდარია? — ჰკითხა გოლოვიჩმა დაძაბული ხმით.

ფერარომ თვალჩაივებით შეხედა.

— მზე ხომ ანათებს? ბალახი ხომ მწვანეა?

რატომ ხარჯავთ დროს საცხებიტ ცხად რამეზე. რა თქმა უნდა, მკვდარია.

— და ამას უბედურ შემთხვევად მიიჩნევენ?

— დიას, უბედურ შემთხვევად მიიჩნევენ. — წარმოთქვა ფერარომ. ყველაფერი ზუსტად გაკეთდა გეგმის მიხედვით. — მან თავისი ბრწყინლბიანი თათები ფიცარივით ბრტყელ მუცელზე დაიწყო და გოლოვიჩს მიაჩერდა.

— ქალიშვილზე რაღას იტყვი? — ჩაუბრუნდა სეიგელმა.

— კიდევ ერთი უბედური შემთხვევა? — იკითხა ფერარომ და გოლოვიჩს შეხედა.

— დიას, ეს მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ ერთ კვირას კიდევ შეიძლება მოცდა. ვეინერის შემდეგ მალე რომ მოკვდეს, აღარ იქნება დამაჯერებელი.

ამ დროს ტელეფონის ზარი აწკარუნდა, სეიგელმა ყურმილი აიღო და სულ ერთ წუთს მოუსმინა. დამსწრეთ დაინახეს თუ როგორ დაეძაბა მას სახე. სეიგელმა ყურმილი გოლოვიჩს გაუწოლა.

— მაკ კენია. მგონი ჭკუაზეა გადასული.

გოლოვიჩმა ყურმილი აიღო.

— გისმენ, კაბიტანო!

რამდენიმე წუთის განმავლობაში დაძაბული უსმენდა მაკ კენს.

— გმადლობთ, კაბიტანო, — უთხრა ბოლოს გოლოვიჩი. — ყველაფერს მოვავაგრებ, — და ყურმილი დაღო. მან სეიგელს შეხედა. — მაურერს ფანქარი დაეარდნია ჯუნ არონს საცურაო აუზთან და წყლის ჩასადენში ჩავარდნილა. თუ იპოვნეს, მისი სახელი საბოლოოდ დაუკავშირდება ჯუნის მკვლელობას. სამი ფარაონი — კონრადი, ო' ბრაიენი და ფოტოგრაფი მიღის ამ საქმეზე. ფანქარი მე უნდა ჩავივადო ხელში. წადი და მოიტანე!

— ყველაფერს გავაკეთებ, — თქვა სეიგელმა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ფერარი სავარძლიდან ჩამოსკუბდა.

— ჯობია დასაძინებლად წავიდე, — თქვა მან. შემდეგ შეჩერდა და დიდ გაძვალტყავებულ ცხვირზე ხელი ჩამოსივა. — მაურერმა მართლა მოკლა ის ქალი?

— რა ვიცი? ყოველ შემთხვევაში ეს ჩემი საქმე არაა.

— სინდიკატი არ იწონებს პირადი მოსაზრებით ჩადენილ მკვლელობას.

გოლოვიჩს ხმა არ გაუღია.

— საერთოდ სინდიკატი არცთუ ძალიან ემადლიერება მაურერს. — განაგრძო ფერარომ. — მეტისმეტად დამოუკიდებელი ხდება.

გოლოვიჩს ყრყოლამ დაუბრა მთელ ტანში.

— მაგრამ არა უშავს რა! — განაგრძო ფერარომ. — მაგ საქმესაც მოეველება. — შემდეგ

გოლოვიჩის შეხედა. — სეიგელს აქვს ამ დავალების შესრულების თავი?

— კარგად ვაართმევს თავს, — დაუდევრად მიუგო გოლოვიჩმა, — ვეინერზე ხელი მოეცარა, თორემ სხვა დროს არ ვემდღუროდი.

ფერარმა თავი დაუტრა და ბარში გავიდა. დაღვეის გუნებაზე იყო. იშვიათად სვამდა, მაგრამ ამჯერად იგრძნო, ცოტა ვისკის დაღვევაზე უარს ვერ იტყოდა.

ბარში რომ შევიდა, დოლორესი მეორე შესასვლელში გამოჩნდა. ერთ წამს შედგა და თავისი ღრმად ჩამჯდარი თვალები ქალის მოქნილ სხეულს გააყოლა. შემდგომ ოთახი გადაკვეთა და დოლორესთან მივიდა.

— რას ინებებთ? — შეეკითხა ფერარი. მისი თავი ძლივს მოჩანდა დახლს ზემოთ. — ნება მომეცით შემოგიერთდეთ. ლამაზი ქალი მარტოდ არ უნდა რჩებოდეს.

— მარტინი მინდა, — ზედაც არ შეუხებდავს ისე მიუგო ქალმა — ახალბედა ხართ, ხომ?

— ვიტო ფერარი ვარ.

ქალს სახე გაუფითრდა. ნასიამოვნებმა ფერარმა გაიღიმა: ამასაც სტოლნია, ვინა ვარ.

— გაგიგონიათ რამე ჩემს შესახებ?

— დიახ, გამიგონია, — მიუგო ქალმა.

ფერარმა დახლზე დააკაჟუნა. ბარმენმა როგორც კი შეიძინა იგი, მაშინვე გამოქანდა მისკენ მლიქვნელური სახით.

ფერარი შესკუბდა ტაბურეტზე, დალია, სორჩა დაღვა, პორტსიგარი ამოიღო და დოლორესს შესთავაზა.

ქალს გაწვდილი ხელი უნებურად გაუშეშდა, როგორც კი პორტსიგარს დახედა. ამის მსგავსი რამ თავის სიცოცხლეში არ ენახა.

პორტსიგარი ბაჭადლო ოქროსი იყო. ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯარული მოციმციმე ბრილიანტებით დაფარული შიგნითა ზედაპირი თერთრად აელვარებულ მოზაიკას წაავადა.

— მოაწონთ? — შეეკითხა ფერარი. იგი ქალის სახეს თვალს არ აშორებდა.

— მგონი, ეს ყველაზე უფრო ლამაზი ნივთია, რაც კი მინახავს.

— ბრილიანტის ყელსაბამი მაქვს, ალბათ მოგეწონებათ, — უთხრა ფერარმა. — უნდა ნახოთ. გოლოვიჩის ემეგობრებით?

დოლორესი შეაცბუნა მოულოდნელმა შეკითხვამ.

— ჯეკის მეგობარია, — მიუგო მან მშრალად. — ჯეკის მეგობრები ჩემი მეგობრებიც არიან.

— თუ ასეა, ძალიან კარგია. ფერარი წინ გადაიხარა და თავის ქალის მსგავსი თავპირი ახლოს მიიტანა დოლორესთან. — მაგრამ მეტრისმეტად ნუ ენდობით.

— სულაც არ ვენდობი, — მიუგო უკმაყოფილოდ დოლორესმა. ფერარმა გაიღიმა.

— გოლოვიჩის ჰგონია, ორგანიზაციას ჩაუდგება სათავეში, როგორც კი თქვენს ქმარს რამე დაემართება. მე ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ უნდა დემარტოს რამე თქვენს ქმარს. თუმცა წინდაწინ არავინ იცის, რა მოხდება. გოლოვიჩი ხასამშრალი დარჩება. ის კარგი იურისტია, მაგრამ ცუდი ხელმძღვანელი. არსებითად მისი ვარსკვლავი ჩაესვენა.

დოლორესმა ყურადღებით შეხედა ფერარს. „მამასადამე, მიმხედარია, რომ სათადარიგო გასასვლელს ვიტოვებ“, გაიფიქრა მან. ფერარის მიერ მიწვდილი ცნობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ შეშინებაც კი გადაავიწყდა.

— მინდა მყავდეს ისეთი ვინმე, ვიხეც ვიზრუნებდი მოცალების ეპას, — თქვა ფერარმა. — უკვე მივიხედ-მოვიხედე: ამ ქალაქში ბევრი მშვენიერი ქალია, მაგრამ მე უმშვენიერესი მინდა. მაინცდააინც არ ვჩქარობ, ლოდინი შემიძლია. — იგი ტაბურეტიდან ჩამოსკუბდა. — მამასადამე, გაინტერესებთ ბრილიანტის ყელსაბამის ხილვა? ზევითა მაქვს ოთახში. იქნებ მოიზომებდით?

— გუშინ არ დავბადებულვარ, — მიუგო ქალმა და თვალზაცხებით შეხედა. — გულდაწყვეტილი არ დარჩებით. სად არის თქვენ ოთახი? სიფრთხილე მმართველს. რამდენიმე წუთის შემდეგ ამოვალ.

## II

კონრადმა გასახდელის კარი გააღო და ხელი მოუხედა კედელს, ამომართველს ეძებდა. მის ზურგს უკან ო'ბრაიენი მძიმედ ქშინავდა.

— ეშმაკმა დასწყევლოს, სად არის ამომართველი? — კითხა გაღიზიანებულმა კონრადმა. ო'ბრაიენმა ფარანი გაანათა.

— ცოტა იქით, შენგან მხარმარცხნივ.

კონრადმა როგორც იქნა აანთო სინათლე და მდინერულად მოწყობილ ოთახში გაიარ-გამოიარა. პირდაპირ მდებარეობდა საშხაპე კაბინები. თითოეულ კაბინაში შხაპს გარდა იყო აგრეთვე გარდერობი და სავარძელი. „ალბათ ფრენსისი ერთ-ერთ კაბინაში დაიძალა და იქიდან უყურებდა, როგორ ჩამოიხანა ხელებიდან მაურერმა ჯუნ არნოს სისხლი“. — გაიფიქრა მან. შემოვიდა მელორი, პოლიციის ფოტოგრაფი და კამერა დააყენა. მან შეკითხვის გამომეტყველებით შეხედა ო'ბრაიენს, რომელიც იატაკს ათვალეიერებდა.

— აქ უნდა იყო, პოლ, — უთხრა კონრადს ო'ბრაიენმა და მიუთითა თითბრის ვისოსზე, რომელიც იატაკზე ექვსი კვადრატული დუიმის ოდენა ხვრელს ფარავდა.

ო' ბრაიენმა ფარანი ჩასადენს მიანათა. სინათლეზე გამოჩნდა ხმელი ფოთლები, რომლებიც ჩასადენის ძირს ფარავდა.

— საინტერესოა, საიდან გაჩნდა ეს ფოთლები! — თქვა კონრადმა. — ალბათ გარეთა სავენტრალიცო ხვრელით წყალმა ჩამოიტანა. ჩასადენში თითქოს დიდი ხანია წყალს არ გაუვლიათ. თუ ფანქარი იქ არის, სისხლი არ ექნება ჩამორეცხილი.

ო'ბრაიენმა მთელი ძალით ამოსწია ვისოსი, მაგრამ უნაყოფოდ.

— ჩაცემენტებულია. გასაკვირი არაა, რომ მუტერმა ვერ შესძლო თავისი ფანქრის ამოღება. ხელსაწყოები მოიტანე, მელორი?

— გარეთ დავტოვე. ახლავ მოვიტან.

კონრადმა პაპიროსს მოუკიდა და ჩაცუქდა.

— თუ ფანქარი მართლაც აქა ვლია, მუტერის ხელიდან ვეღარ წავგივა, — ჩაილაპარაკა მან მშვიდი ხმით. — ჯერ კიდევ ვერ ვიჭერებ. ამ თავზე ხელაღებულს რამდენი წელიწადია დავსდევ?

— მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩავგივდია ხელში, — გაახსენა ო'ბრაიენმა.

— სერჟანტო!...

მელორის ხმაში უცნაური ნოტა გაისმა. ორივე მამაკაცი წელში გასწორდა.

— გარეთ ვილაცა.

მელორი კარის სიღრმეში იდგა და მისი სილუეტით მკვეთრად იხაზებოდა განათებული ოთახის ფონზე. სწორედ იმ დროს, როცა ლაპარაკობდა საროლის ხმა გაისმა და ფოტოგრაფმა ხელზე ხელი იტყა. მერე ბარბაცით შემობრუნდა ოთახისკენ. ო'ბრაიენი წყევლა-კრულვით მივარდა ამომრთველს და ოთახი წყვილიდამა მოიკვა.

— მოგხვდა? — ჰკითხა მან მელორის და იგი კარებს მოაშორა.

— ხელში მომხვდა, — მიუგო დაჭრილმა და უხერხულად დაეშვა იატაკზე.

კონრადი კედელ-კედელ გაუყვა ოთახს, მიუახლოვდა კარს და ფრთხილად გაიხედა, სიბნელებაში არავინ ჩანდა.

— მუტერის ხალხია, — ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა კონრადმა და უკანა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო. — აქ სადღაც ტელეფონია, ტომ, სთხოვე, ბიჭები მოგვაშეგლონ. დაუხმარებლად აქედან ვერ გავაღწევთ.

ო'ბრაიენმა ფარანი გაანათა და მაშინვე მიავლო ტელეფონს. მაგრამ სწორედ ამ დროს გარედან ავტომატი აკაკანდა.

ო'ბრაიენი იატაკს გაეკრა და ტელეფონთან მიცოცდა.

კონრადმა დაუმიზნა იმ ადგილებს, საიდანაც ისროდნენ და ბრმათ გაისროლა.

— როგორც ჩანს, მთელი ჯგროა, — წაიჩურჩულა მან.

ო'ბრაიენმა ტელეფონი ძირს ჩამოათრია. კონრადს ესმოდა როგორ აკრიფა ნომერი.

„თუ აქვე ახლოს არ აღმოჩნდება მოზადრაცე მანქანა, აქ მოსვლას თხუთმეტ წუთზე ნაკლებს არ მოუწდება“, გაიფიქრა კონრადმა და მელორისაკენ გაცოცდა.

— ბევრი სისხლი დაღვარე?

— არა უშავს რა! ყველაფერი წესრიგშია! გააწურული ვარ და მეტი არაფერი.

ფანჯარასთან ვილაცამ გაიფაჩუნა. კონრადმა გაიგონა მიტრიალდა ფანჯრისკენ და თან ხელი ასწია ზევით. სწორედ იმ დროს ისროლა, როცა ჩრდილმა უკან გადაიწია.

— გააგონე? — დაუყვარა კონრადმა ო'ბრაიენს.

— ძლიველიობით. ტელეფონი გამოირთო, მაგრამ დაკავშირება მაინც მოვასწარი.

კონრადი მიცოცდა დაცხრილულ კართან და ფრთხილად გაიხედა სიბნელებაში. აუზის მოპირდაპირე მხარეს შენიშნა ადამიანი, რომელიც ბილიკზე გარბოდა. კონრადმა დაუმიზნებლად ესროლა და დაჭრილი კვნესით შეეფარა ჩრდილს.

— არც ისე ცუდი ბიჭები ვართ, არა? — დაიტრახა კონრადმა და გაიღიმა.

— შევეცდები ხელსაწყოებამდე მივადწიო, — თქვა ო'ბრაიენმა. ის ეშმაკის ფანქარი უნდა ამოვიღოთ.

— ფრთხილად! — მიაძახა კონრადმა.

ო'ბრაიენს ყურადღება არ მიუქცევია გაფრთხილებისათვის და წინ გაცოცდა. როგორც კი სწვდა ხელსაწყოების ყუთს, ავტომატი აკაკანდა და სერჟანტი სასწრაფოდ ამოეფარა კარის წირთხლს.

— ყუთი მოვიტანე. — ო'ბრაიენმა უკან მიიხედა და სიბნელეს გახედა. — მელორი, ნახე ერთი, იქნებ ჩასადენს თავი ახადო!

— ფრთხილად! — გააწყვეტინა კონრადმა და თავი ასწია. მან დაინახა, როგორ მორბოდა ორი კაცი აუზის გაყოლებით.

ო'ბრაიენმა და კონრადმა ერთდროულად ისროლეს. ერთ კაცს ფეხი დაუცდა და აუზში ჩავარდა, მეორემ ხელიდან ავტომატი გააგდო, ორი ნაბიჯი გადადგა ბარბაცით და პირქვე დაეცა.

— სამს ბოლო მოვუღეთ, — თქვა კონრადმა. — ოთხი ტყვიად დაძრია. შენა?

— რამდენიმე სათადარიგო ჯერი მაქვს, — მიუგო ო'ბრაიენმა. შენ ისროლე, მე კი მელორის მივეხმარები.

იგი კარს ცოცვით მიუახლოვდა.

— როგორც იქნა! დასწყევლოს ღმერთმა! ძლიეს არ მოვახერხე! მელორიმ ჩასადენს ვისოსი ააძრო.

— ფანქარს თუ მიავნებ, ფრთხილად მოექე-



ცი, — უთხრა კონრადმა და თან ობრაიენისათვის თვალა არ მოუშორებია.

ობრაიენმა სიბნელეს ესროლა. ორმა ტყვიამფრქვევამა ცეცხლითვე უპასუხა. ერთ წამს წყვედიადი განათლა და კონრადმა დაინახა, როგორ ასწია მიწიდან ობრაიენი ტყვიების სეტყვამ და კედელს მიახებოდა.

— მისი პისტოლეტი აიღე, მელორი, და კარი დაიცივი! — მიმართა კონრადმა და ობრაიენისაკენ გახიზნა. იგი სერჟანტის სახეზე დაიხარა და ცდილობდა ვაერკეცა იგი.

— ტომ, დაეკრეს? — კონრადმა იცოდა, ობრაიენი მთელი ჯვრით იყო დაცხრილული, მაგრამ რამე ხომ უნდა ეთქვა.

კონრადმა ფარანს პიჯაკის კალთა გადაათარა და განათა.

სულთმობრძავ ობრაიენს ფერმკრთალი სახე დაღრეჯოდა.

— ეს უბედურე შემთხვევა არ იყო, პოლ! — ძლივძლივობით წარმოთქვა მან.

კონრადმა თავი წამოუწია.

ობრაიენი შეინძრა და კონრადს ხელში ჩააფრინდა.

— ფერარი... ჩემი ბიჭიკო... — წაიჩურჩულა მან. შემდეგ თვალემა გადაატრიალა და ხელემა უსიცოცხლოდ ჩამოუცვივდა.

— მგონი ჩვენი ბიჭემა მოვიდნენ, — არც თუ ისე დარწმუნებით წარმოთქვა კონრადმა. იგი ფრთხილად მიუახლოვდა კარს.

სიბნელეში წამოიმართა სემ ბარდენის უზარმაზარი სხეული.

— პოლ!

— აქა ვარ. კონრადი ღია ადგილას გავიდა.

— ფანჯარი იბოვნე?

— ობრაიენი მოკლეს. ძვირად გვიღირს ეს სისხლიანი ოქროს ნავლეკი.

— ტომი მოკლეს? — ბარდენმა თავისი ფარანი განათა და შუქის სხივი მოავლო დანგრეულ გასახედელს. ეს რა მოულოქმედებით! გარეთ კი ხუთი გდია მაურერის ბანდიდან, ჩაძალღებულან.

— ორმა მოცოცხა.

— იბოვნე ფანჯარი? — მიუბრუნდა კონრადი მელორის.

— რა თქმა უნდა, აი! — მელორიმ ოქროს ფანჯარი გააქნია.



შავმა „კალიკამა“ სწრაფად შეუხვია ვიწრო გასასვლელში ჰარადაიზ-კლუბის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ და უკანა შესასვლელის ჭიშკარს მიადგა.

დაბალი, ჩასკენილი მამაკაცი მანქანიდან გადმოვიდა, ფრთხილად მიმოიხედა აქეთ-იქით,

შემდეგ კიბეზე ავიდა და კარი გახსნა. შავი მანი სახე სიბრაზისაგან მოქცეოდა.

იგი კორიდორს გაუყვა და სეიგელის კაბინეტთან ერთ წამს შეჩერდა. ყური მიუვლო, შიგ რა ხდებოდა, მერე მტკიცე ხელით სახელური გადასწია და კარი ჯახანით შეაღო.

კაბინეტი თამბაქოს ბოლით იყო გამოტენილი. ნახევარწრიულად ისხდნენ სეიგელი, მაკკენი და ფერარი. გოლოვიჩი მაგიდას მისჯდომოდა.

ოთხემა მამაკაცი მკვეთრად შემოტრიალდა. სამი მათგანი ისე მიაშტერდა მაურერს, თითქოს მოჩვენება ენახათ. ერთადერთი, რომელსაც მაურერის მოულოდნელ შემოსვლაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, იყო ფერარი.

— ე-ე, ჯეკ... — ენა დაება გოლოვიჩს და სახეზე მიწის ფერი დაედო. — ღვთის გულისათვის, ჯეკ!

მაურერმა ოთახში შეაბიჯა და კარი მიხურა. მარჯვენა ხელი პიჯაკის ჯიბიდან არ ამოუღია. ბოროტი წვრილი თვალები ავისმომსწავებლად უციმციმებდა.

— აქ რას აკეთებ? — დაიღრიალა მან და ფერარიზე მიუთითა.

— ჯეკ! შენი დაბრუნება არ შეიძლება! — უთხრა გოლოვიჩმა და ყოყმანით წამოღვა. — ეინემე ხომ არ დავინახა? ნუთუ არ იცი, რომ შენი დაბრუნების ორდერი ვაცემულია?

— აქ რას აკეთებ ეს კაცი? — გაიფორა მაურერმა.

— იმისთვის მოვიდა, რომ იმ ქალიშვილის საქმე მოგვაროს.

— ილიოტო! ნუთუ თვით ვერ შესძელი ასეთი უბრალო საქმის მოგვარება სხვის დაუხმარებლად?


— შეუძლებელი იყო, — მშვიდად მიუგო მაკკენმა. — ნუ ცხარობთ, მისტერ მაურერ! თქვენ არ უნდა დაბრუნებულობავით. ქალაქის მთელი პოლიცია თქვენ დაეკმებთ. ფორესტმა თქვენს წინააღმდეგ საქმე ისე შეითხნა, რომ უარყოფა შეუძლებელია.

— რაც კი შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, — წარმოთქვა გოლოვიჩმა. მან იგრძნო, რომ ხიფათმა იკლო. — ვეინერი თავიდან მოვიშორეთ, ასევე გავუსწორდებით იმ გომბიოსაც. ყველაფერი კარგად იქნება ჯეკ, მხოლოდ შენ უნდა მოშორდე აქაურობას.

— სულაც არ ვაპირებ განზე ვიდგე, — მიუგო მაურერმა და მაგიდასთან მივიდა.

გოლოვიჩი სწრაფად მოშორდა მაგიდას. მაურერმა მისი ადგილი დაიკავა.

ფერარიმ და მაურერმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და ერთხანს ჯიქურ უმზერდნენ. სეიგელი გაცოცდა, როცა მაურერის თვა-



ლებში შიშის მსგავსი რამ შენიშნა. ფერარი ჩვეულებისამებრ საცხებით აღუშფოთველი იყო.

— ჰელო, მაურერ, — წარმოთქვა ფერარის ხმადაბლა.

მაურერმა თვალი მოარიდა.

— ჰელო, ფერარი.

დიდი ჯო მოკითხვას ვითვლის, — უთხრა ფერარის და ჩაიციხა.

მაურერმა თავი დაუქნია. კარგად იცოდა, რაოდენ სახიფათო იყო ფერარი და საშინლად შეშინდა, აქ რომ დაინახა. მაგრამ მთელი ნებისყოფა დაძაბა და არაფერი შეიმჩნია.

— საინტერესოა, რას აკეთებდით სამი კაცი? — იკითხა მან — რატომაა გომბიო ისევ ცოცხალი?

— მისი უკანასკნელი ჩვენების შესახებ თუ იცით რამე? — შეეკითხა მაკ კენი. — ამტკიცებს, დავინახე, როგორ მოკლა ქალბატონი არნო მაურერმაო.

მაურერს სახეში სისხლი მოაწვა.

— ცრუობს! ჯუხნისთვის ხელიც არ მიხლია.

— საკმაოდ სალუქვიანი დამამტკიცებელი საბუთი აქვთ, — ნელა წარმოთქვა მაკ კენმა.

მაურერმა გოლოვიჩს შეხედა.

— რა დამამტკიცებელი საბუთი? გოლოვიჩმა მოუთხრო ფრენსისის განცხადებისა და ოქროს ფანქრის შესახებ.

— ფანქრის ამოღება ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. — დაასრულა თხრობა გოლოვიჩმა.

მაურერი საშინლად დაიძაბა. თითქოს ნახტომისათვის ემზადებო.

— შეწყობილად გიმუშავნათ! — დაიღრიალა მან, მაგიდას მიაწვა და გოლოვიჩს მიაშტერდა. — შე ჰკუანაკლებო, არც კი უნდა მიკარებოდნი ამ საქმეს. ის ფანქარი მხედველობიდან არ გამოძრჩენია. მე მარაგში მქონდა კიდევაც ერთი ისტორია, რომელიც ახსნიდა ამ...

— კი მაგრამ. ფანქარს ჯუნის სისხლი ეცხო. — უკმეხად გააწყვეტინა მაკ კენმა.

მაურერს წვრილი თვალები აუციმციმდა.

— ჩემი სისხლი ეცხო, ბოთლზე ხელი გავიჭერი. სისხლი თანქარს მოეცხო, როცა ცხვირსახოცს ვიღებდი. ფანქარი ამომივარდა და წყლის ჩასადენში ჩასრიალდა.

— არაფერი გამოგვივით! — უკმეხად უთხრა მაკ კენმა. — სამწუხაროდ ასეთ ახსნა-განმარტებას, მისტერ მაურერ, ძალა არ ექნება, ფანქარზე აღმოჩენილი სისხლი და მის არნოს სისხლი ერთი და იმავე ჯგუფისაა, ამასთანავე საკმაოდ იშვიათისა.

მაურერმა ნიკაბი წინ წამოსწია.

— რომელი ჯგუფია?

— „ბ“ ჯგუფი.

— ალბათ გაოცდებით, თუ გეტყვით, რომ

მეც „ბ“ ჯგუფს ვეკუთვნი. გოლოვიჩმა სახე მოიწმინდა.

— არ ვიცოდი.

მაურერმა ზიზლით შეხედა.

— სად არის ის ქალიშვილი? — არ ვიცი. — მიუფო მაკ კენმა. — ფორესტმა სადღაც გადაამალა, არავინ იცის.

— უნდა მოვებნოთ და თავიდან მოვიშოროთ!

მაურერმა მაგიდის იქით მჯდომ სეიგელს შეხედა. — ეს შენი საზრუნავი იქნება! უნდა გავიგო, სად იმყოფება იგი. შენს განკარგულებაშია ერთი დღე-ღამე, გასაგებია? თუ ხელი მოგეცემა, ისე მოგივლი, რომ საერთოდ აღარაფერზე არ მოგეცარება ხელი.

ფერარი უწინდებურად მშვიდად იჯდა საეპარქელში. იგი ხელს ისვამდა თავის ხმელ ცხვირზე და ინტერესით ადევნებდა თვალს მაურერს.

— დიდად დაეალებული ვარ შენგან, ფერარი, იმის გამო, რომ ვეინერს მოუტარე, — უთხრა მაურერმა ოდნავ შერბილებული ტონით. — ქალიშვილს კი მე თავად გავუშვალავდები. შეგიძლიათ ნიუ-იორკში დაბრუნდეთ. — შემდეგ გოლოვიჩს შეხედა.

— ფული გადაუხადეთ? გოლოვიჩმა თავი დაუქნია.

— მაშ, ნახვამდის, ფერარი! მოკითხვა გადაეცი დიდ ჯოს!

ფერარი წამოდგა, კარის მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა.

— ეფიქრობ რამდენიმე დღეს დავრჩე, თქვა მან. — შეიძლება დაგჭირდეთ.

— არ დამჭირდება. — მაურერი ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა.

— დიდმა ჯომ მითხრა, აქ დავრჩე, ვიდრე ყველაფერი არ მოთავდება. თუ კი ჩემი წასვლა გინდა, შენ თვითონ მოელაპარაკე.

ფერარისმა მაურერს შეხედა. მაურერმა თვლები დახარა. — კარგი დარჩი, თუ კი ღროის უბრალოდ გაცდენა გინდა. — გულგრილად დაეთანხმა მაურერი. — მე აღარ მჭირდება. რაც გინდა, ის გააკეთე.

— დავრჩები, — ფერარისმა გაიღიმა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

სეიგელმა იცოდა, რომ მაურერი არ დაინდობდა თუკი ფრენსისს ვერ მიაგნებდა, და გაფაციცებული დაეძებდა მას. მთელი თავისი ხალხი დაგზავნა, იქნებ ყური მოეკრათ რამესთვის, მაგრამ უშედეგოდ.

ლუის უკვე იმედი გადაუწყვა, და ამ ღროს ჩენი კონრაიდ გაახსენდა.

სეიგელმა გადაწყვიტა ემოქმედნა. მანქანა ქუჩის ბოლოს დააყენა და აუჩქარებლად გაეშურა კონრაიდის სახლისკენ. ეინკლავდა, ბნელ ქუჩაზე ადამიანი არ ჰქანებდა.



ზედა სართულზე ერთ ოთახში სინათლე ენთო.

სეიგელს აგენტმა მოახსენა, მოახლე ზანგი ქალი დაახლოებით ერთ საათის წინ გამოვიდა სახლიდან, მამასადამე ჯენი მარტო იქნებოდა.

სეიგელმა დარეკა, რამდენიმე ხნის შემდეგ სადარბაზოს კარი გაიღო და მის პირისპირ აღმოჩნდა შეშინებული და გაცოცხული ჯენი.

— ჰელო, პაწაწა! — სეიგელმა ნაბიჯი გადადგა, ქალი შესასვლელში შეაგდო და კარი მიკეტა.

ჯენი შეძრწუნებული მისჩერებოდა.

— შეიშალე? აქ შემოსვლა არ შეიძლება.

— რა საუბარია, პატარავ, — უთხრა სეიგელმა და საწოლ ოთახში შეაგდო ქალი. — ისა სჯობია მითხრა, კონრადი სად არის.

— კონრადი? — ქალი მოიღუშა. — რაღა ხარ ეგრე დაინტერესებული?

ქალმა მოულოდნელად გაიწია და ხელი ჰკრა სეიგელს.

— თუმცა რასაკვირველია! რა სულელი ვარ! სეიგელმა გადავიცეებით შეხედა.

— რას ნიშნავს „რასაკვირველია“?

— აი, თურმე, რატომ გვაგახსენდი ასე უტბად. გინდა შეიტყო, სად მალავენ იმ უბედურ კოლეგანს! პოლმა ტყუილად კი არ მითხრა, რომ შენ მათურების ერთ-ერთი ბანდიტი ხარ. გაეთრიე აქედან!

— არა, არა. შენ იცი, სადაც არის კონრადი, და მტყვი კიდევაც.

— არ ვიცი, გაეთრიე აქედან!

— მაშ არ იცი?

სეიგელმა ხელი მოიქნია და ქალს სახეში სთხლიშა. ქალი ერთ წამს დარეტიანდა და ჩაიკეცა.

— ნუ მირტყამ! არ გინდა! გეტყვი! — დაიყვირა ჯენიმ.

— სად არის?


— სად არის, არ ვიცი, მაგრამ ტელეფონი მაქვს. — ქვითინებდა ქალი.

— ნომერი?

— ბარველი, 99780.

— თუ ცრუობ იცოდე უკანასკნელად ცრუობ შენ სიცოცხლეში, პაწაწინა! ქალმა ბორძიკით გადაკვეთა ოთახი და კართან მივიდა, შემდეგ იგი კორიდორს გაუყვა და კიბის ზედა ბაქანთან აღმოჩნდა. სეიგელი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და სწორედ მაშინ აღმოჩნდა მის ზურგს უკან, როცა ქალმა მოაჯირს წაავლო ხელი. სეიგელი გაინაბა და, როგორც კი ქალმა პირველ საფეხურს დააბიჯა, მოულოდნელად ფეხი მძლავრად ჰკრა ზურგში.

ღარტყმა ძალიან ძლიერი იყო. ჯენი ჰაერში ამოტრიალდა, ყრუდ დაასკდა კიბის ქვედა ბაქანს და კეფა იატაკს დაახეთქა.



\*\*\*

ჯენის სიკვდილიდან ათიოდე დღემ განვლო. კონრადი მხოლოდ ახალაა მოეგო ვინ.


გამომძიებელმა, რომელიც აწარმოებდა ამ საქმეს ისეთი დასკვნა გამოიტანა, თითქოს ჯენის სიკვდილი უბედური შემთხვევის შედეგი იყო. აღმოჩნდა, რომ ჯენის ერთ-ერთი ტუფლის მაღალი ქუსლი პლედის ფოქს წამოსდებოდა. მამასადამე, ამკარად ფეხი აუტდა, როცა კიბეზე ჩაიღოდა, დაეცა და კისერი მოიტეხა.

კონრადმა ჯენის დასაფლავება მთლიანად სიამაქს მიანდო. თვითონ კი ფრენსისს არ სცილდებოდა. ჯენის ველარაფერს გაუკეთებდა, ხოლო ფრენსისის უსაფრთხოებაზე პასუხს აგებდა.

კონრადს ხშირად აგონდებოდა ო' ბრაიენის უკანასკნელი სიტყვები: „ეს არ იყო უბედური შემთხვევა, ფერარი... ჩემი ბიჭიკო...“

ისევე როგორც პოლიციის ყველა ოფიცრისათვის, კონრადისთვისაც არ იყო უცხო ვიტო ფერარის სახელი. ნუთუ ო'ბრაიენს იმასი თქმა სურდა, რომ ვიენერი მოკლეს და ფერარი ქალაქშია?

მაკ კენმა წარადგინა მოხსენებითი ბარათი, რომლითაც იტყობინებოდა, არაფერი არ ამქლავნებს ფერარის აქ ყოფნასო. მაგრამ კონრადი მაინც შეშფოთებული იყო. თუკი ფერარიმ ვიენერი მოკლა, ფრენსისაც სერიოზული ხიფათი ელოდა... კონრადმა სიფრთხილის ყველა ზომა მიიღო და ფრენსისი გადაიყვანა სასტუმრო „ოკეანეში“, რომელიც იმყოფებოდა პასფიკ-სიტიდან ორმოცდაათ მილზე მდებარე პატარა ქალაქ ბარველში. სასტუმრო წარმოად-



გენდა ათსართულიან შენობას. იგი გადაჰყურებდა კლდოვან ფლატეს, რომელიც ზღვისსაყენ ეშვებოდა.

კონრადმა მთელი მეთათე სართული დაიკავა. სპეციალური რკინის კარით ჩაგმანა უკანასკნელი ზედა სართულის მისასვლელი. მაკ კენის ოცი ხელქვეითი განუწყვეტლივ მორიგეობდა კიბის ბაქანსა და შენობის შიგნით. მეჯ ფილდინგი და ორი პოლიციელი ქალი თვალს არ აშორებდა ფრენისს.

### თავი მეხრამეტი



— უბედურ შემთხვევას უნდა წააგავდეს, ჭეპი — უთხრა გოლოვიჩმა. — იოტისოდენა ეჭვიც რომ შეეპარათ მკვლელობაში, ჩვენი საქმე წასულია. ფართო გამოძიება საქმიდან გამოგვითმავს. სასამართლო ისეთი რამეა, როგორც კი დაიწყებენ დაწოლას, ვინმე ალაპარაკდება. აუცილებლად უბედურ შემთხვევას უნდა წააგავდეს.

მაურერი წელში მოხრილი იჯდა მაგიდასთან. უკვე ათი დღე იყო, რაც თავს იმტვრებდა, როგორ შეედრებოდა ფრენისსამდე, მაგრამ კონრადის მიერ აღმართული თავდაცვითი კედელი თავგზას უზნევდა.

— ფერარი გააკეთებდა ამ საქმეს, — წარმოთქვა გოლოვიჩმა.

— ისევე ქალაქშია?

გოლოვიჩმა, რომელიც მაურერის აღშფოთებას მოელოდა. გულმოდგინედ დაუქინა თავი.

— ახლა სწორედ ბარშია.

მაურერმა ყურმილი აიღო.

— ლუი ხარ? ფერარის თხოვე ჩემთან შემოვიდეს.

კმაყოფილი გოლოვიჩი სავარძელში გადაწვა. სიამოვნება იგრძნო, რომ უკვე შური იძია.

— სწორად იქცევი, ჭეპი! — თქვა კმაყოფილმა გოლოვიჩმა.

ისინი ისხდნენ და ელოდნენ ფერარის. ერთმანეთს მისჩერებოდნენ და წამი საუკუნედ ეჩვენებოდათ. ბოლოს კარი გაიღო და ფერარი შემოვიდა.

— ჰელო, ფერარი! როგორც ჩანს, მაინც შენ მოგიწევს იმ დაწყვეტილი კოლემანის საქმის მოგვარება. მე ვერაფერი გავაწყე. ეიბი მეუბნება, რომ შენ შესძლებ ამის გაკეთებას. მართლა შეგიძლია?

ფერარმა წარბები ასწია.

— რა თქმა უნდა! ასეთი საქმეების მოგვარება ჩემი ხელობაა.

მაურერს თვალები აენთო, მაგრამ სახეზე არ შეეცყო, რა გაიფიქრა.

— ათი ათასს მოგცემ.

ფერარმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მხოლოდ ათი ათასი რომ ღირდეს, შენც შესძლებდი ამის გაკეთებას..

— ოკეი. არ გვეპტრები. მაშინ ოცი იყოს. საიდანა ხარ ეგრე დარწმუნებული, რომ შესძლებ?

— ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ საქმე ჩამფუშოდეს. იმედი მაქვს, არც ახლა იქნება გამოჩაყლისი, — მიუგო ფერარმა. — შენ სიძნელეებს დაეძებ, მე კი — საქმის გადაჭრის გზებს.

— უბედურ შემთხვევას უნდა წააგავდეს.

— სწორედ უბედური შემთხვევა იქნება.

მაურერს სახე აუჭარხალდა.

— ისიც არ იცი, სად იმყოფება? არ იცო, რა ვითარებაა. ისე კი ლაპარაკობ, ვითომც ყველაფერი გაგვეკეთებინოს.

ფერარმა დამცინავად გაიღიმა.

— ფრენისს კოლემანი სასტუმრო „ოკეანეშია“, ბარჯულში. ცხოვრობს სულ ზედა სართულზე. მისი ოთახი ზღვას გადაჰყურებს.

მაურერმა იგრძნო, როგორ დაურბინა ყრუოლამ ტანში.

— საიდან იცი ყველაფერი. ჩემი ხალხი დღე-ღამე ადევნებს თვალყურს იმ ადგილს და მე მისი ოთახის აღმოჩენაც კი ვერ შეეძლო.

— ეს ჩემი საიღუმლოებაა, — მიუგო ფერარმა. — არასდროს და არავის არ ვეთათბირები ჩემს გეგმებზე. მხოლოდ ორი რამ მესაჭიროებდა. მე დრო არ მექნება მათ მოსაგვარებლად და იქნებ შენ გამიკეთო? და კაცმა, რომ თქვას შენს თავსაც. მჭირდება თვითმფრინავი და უმაღლესი პილოტაჟის ოსტატი?

მაურერს თვალები გაუფართოვდა.

— უმაღლესი პილოტაჟის ოსტატი? თვითმფრინავი გინდა შეგზავნო სასტუმროს სახურავზე? ფერარმა გაიღიმა.

— სარისკო მაინცდამაინც არაფერია. უბრალოდ მინდა, რომ თვითმფრინავმა ყურადღება მიიპყროს. ტრიუკი ნამდვილად ძალზე მარტივია. კარგი მეფოკუსე გინახავს? იგი ფოკუსის კეთებისას ცდილობს, აუდიტორია უყურებდეს იმას, რაც ფოკუსის შედეგად გამოდის, და არა იმას, თუ როგორ კეთდება ფოკუსი.

— გიშოვნე თვითმფრინავს და უმაღლესი პილოტაჟის ოსტატს. როდისთვის გინდა? — გააწყვეტინა სიტყვა ფერარის მაურერმა.

— დღეს ოთხშაბათია. ჰოდა, ვთქვათ, პარასკევისთვის. მფრინავთან მოლაპარაკება დამჭირდება. არის ზოგიერთი რამ, რაც აუცილებლად მას უნდა ვუთხრა.

— როდის გააფრთხობინებ სულს გომბიოს? — იკითხა მაურერმა.



— შაბათ საღამოს. შაბათი კარგადა მიქვს დაცილი.

ფერარი გავიდა და მუტერმა ბოლოსდაბოლოს თავისუფლად ამოისუნთქა.

— ეიბ, ლუის უხმე!

გოლოვიჩმა ყურადღებით და გამომცდელად შეხედა მუტერს და გავიდა. რამდენიმე წნის შემდეგ ლუი შემოვიდა.

— თქვენ მიხმეთ?

— შენთვის სამუშაო გამოვნახე, ლუი! — შემპარავად უთხრა მუტერმა. ფერარი ბარუელის სასტუმრო „ოკეანეში“ მიღის შაბათ საღამოს. უკან დაბრუნებისას აუცილებელია შენ შეგხვდეს. ეს შეხვედრა მისთვის უკანასკნელი უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყანად! — მუტერმა გაიცინა.

სასტუმრო „ოკეანეში“ შაბათსა და კვირადღეს ყოველთვის ხალხმრავლობა იყო, რადგანაც კვირის ბოლოს აქეთ მოდიოდნენ სან-ფრანცისკოდან და ლოს-ანჯელოსიდანაც კი.

კონრადი მოწულ საგარძელში იჭდა ჩრდილოვანი ხის ძირას და თვალყურს ადევნებდა, როგორ ერთობოდა ხალხი. ამავე დროს, თვალი ეჭირა სასტუმროსაკენ მიმავალ გრძელ მისასვლელზე, სადაც ფორესტის მანქანა უნდა გამოჩენილიყო.

ხუთი საათი რომ დაიწყო, მისასვლელზე მანქანა გამოჩნდა, იგი სასტუმროსაკენ მოემართებოდა.

კონრადი წამოდგა და ხელი დაუქნია. მუტერუბების ღრუბალი გაისმა და მანქანა შეჩერდა. ფორესტი გამოვიდა, რაღაცა უთხრა მძღოლს, მოლზე გადაიარა და კონრადს მიუჯდა.

— როგორაა საქმე?

— მისი უშიშროება უზრუნველყოფილია, მაგრამ სულ უფრო უმძიმდება გუნება. ვეინერის სიკვდილის ფიქრი არ შორდება და ნანობს, რომ ალაპარაკდა. შემდეგში უსიამოვნებას შეგვამთხვევს. შეიძლება უარიც კი თქვას თავის ჩვენებაზე.

— აქამდე ვერ მიადწიეთ, რომ ხელი მოეწერა ჩვენებაზე?

— ვერა. არც მოაწერს. მას ჰგონდა, ვიდრე ხელი მოსაწერი ექნება, მუტერი არ დაუწყებს დევნას. რა თქმა უნდა, გულუბრყვილოდ მსჯელობს.

— რას აპირებ, პოლ?

— ვერჯერობით არაფერს. სასამართლოს შემდეგ მიწოდდა კოლემანი ინვლისში წამეყვანა. ალბათ თვითონაც დავრჩებოდი იქ, მაგრამ მომავალზე ფიქრი არც კი სურს. ვერ მოუშორებია საშინელი წინათგარძობა, რომ მალე მოკვდება.

— რას იზამ! — მშვილად უთხრა ფორესტმა. — იგი გამოდის ჩვენი ქვეყნის უმძლავრესი განგებულნი ორგანიზაციის წინააღმდეგ, მისი

ჩვენება გააცმტვერებს მულტიმილიონდობა ქონებას, ხოლო მუტერი ისეთი კაცი არ გახლავთ, რომ ხელიდან გაუშვას ასეთი სამეფო. გულწრფელად რომ ვითხრა, პოლ, კოლემანს ძალიან ნაკლები შანსები აქვს ვადარჩენისა.

— ფრენსისზე ხელი ვერ მიუწვდებათ, ვიდრე აქ იქნება. ნამდვილი საშიშროება მაშინ მოვლის, როცა სასამართლოს შენობისაკენ გაემართება.

ფორესტმა თვალი გადაეცნა დიდ თეთრ ფურგონს, რომელიც სასტუმროსაკენ მიმავალ გზაზე მიდიოდა. ფურგონზე მოქრომველი ასოებით გამოყვანილი იყო წარწერა:

„ბარუელის

ჰივიენტური სამრეცხაო“.

კონრადმაც გაიხედა იმ მიმართულებით, საითაც ფორესტი იყურებოდა, და მანაც თვალეზებით გულგრილად გააცილა სამრეცხაოს ფურგონი, რომელიც მოსახვევში გაუჩინარდა.

— მეტისმეტად გაგვიჭიანურდა მუტერის ხელში ჩაგდება, — თქვა მან. — ვიდრე მუტერი თავისუფალია, ფრენსისს აქედან ვერ გავუშვებთ.

— ზღვაზე არც ისე ძნელია დამალვა, პოლ! — გამოეხატა ფორესტი. — მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც დასჭირდება სადმე შევლა სათბობისა ან მარაგისათვის. სწორედ მაშინ წავადგებით თავს. — იგი წამოდგა. — კარგი, პოლ, მოდი დაეთავლიეროთ შენი თავდაცვითი ნაგებობა. შევეცდები, სადმე რამე ხერხი ვიპოვნო.




სასტუმრო „ოკეანეში“ ხუთასზე მეტი ადამიანისათვის მზადდებოდა სადილი.

მდიდრულ, გააკაშვებულ რესტორანს სულ არ შეეფერებოდა მომსახურე პერსონალის ბნელი, ნესტიანი და ვიწრო სადგომები, აჭარხლებული, გაოფლილი მზარეულები წყევლით იკლებდნენ იქაურობას, რადგანაც სამრეცხადან მოტანილი კალათების გრძელი რიგი გასასვლელში იდგა და მათ გავლა-გამოვლაში ხელს უშლიდა.

ამ საღამოს მოტანილ კალათებს არ აიღებდნენ დილაძე. დილით კი გახსნიდნენ, თეთრეულს დაახარისხებდნენ და ზევით ააგზავნიდნენ.

ვიტო ფერარი მოკეცილი იწვა ერთ-ერთ ზედა კალათში. მას მხოლოდ ოცი დოლარი დაუჯდა სასუტემის „ოკეანის“ სარდაფში შემოპარვა თეთრეულის კალათის მეშვეობით.

ფერარიმ ფრთხილად ასწია კალათის სახურავი და სუსტად განათებულ კორიდორს გახედა. ჰერ ყური მიუგდო და მერე, როცა დარწმუნდა, მხოლოდ სამზარეულოდან ისმოდა ზმა-



ური, კალათიდან ამოძვრა. მან სახურავი დასწია და ბნელ კედელს აეკრა. შემდეგ უხმაუროდ და სწრაფად გაუყვა კორიდორს მომსახურე პერსონალის ლიფტისაკენ.

ერთი ლიფტი ამოძრავდა. ფერარი ლუდის ყუთებს ამოეფარა. ლიფტი გაჩერდა ორმა ოფიცინანტმა ლანგრებიანი ურიკა მისწი-მოსწია და ლიფტიდან გამოავიდა. ისინი კორიდორს გაუყვეს, ხოლო ლიფტის კარი ღია დასტოვეს.

რამდენიმე წამის შემდეგ ფერარი ლიფტში აღმოჩნდა და მეცხრე სართულის ლილას დააჭირა თითი მან იცოდა, ეს იყო პირველი სახიფათო მომენტი. ლიფტის კარის გაღებისას ვინმეს რომ წააწყვო, მთელი გეგმა ჩაეფუშებოდა. მეტისმეტად სახიფათო გზას ადგა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ყოველ გეგმაში, რომელსაც დიდის გულმოდგინებით ადგენდა, მაინც რჩებოდა ორი-სამი სახიფათო მომენტი.

იგი არ შეეყოყმანებულა. როცა ერთი ხელი ლიფტის კარის ვასახსნულად ასწია, მეორე ხელით პიჯაკის ჯიბეში პისტოლეტის ტარი მოისინჯა.

ლიფტიდან გამოვიდა, კორიდორი შეუქმნეწელად გადაიბინა და ერთ-ერთი დიდი ფანჯრის ფარდას ამოეფარა. ფანჯარა ზღვას გადაჰყურებდა. სწორედ ამ დროს შემოესმა ნაბიჯების ხმა. გაიღიმა. მაინც ბედი წყალობდა!

ვებერთელა, ჯმუხმა მამაკაცმა, რომელსაც თითქოს ზედ ეწერა „ფარაონი“, ნელა გაიარა კორიდორში. მან ჩაუარა იმ ადგილსაც, სადაც ფერარი იყო მიმალული, და კორიდორის ბოლოს, მოსახვევში გაუჩინარდა. ფერარი სასწრაფოდ გაუყვა კორიდორს საპირისპირო მიმართულებით.

ორმოცდაათიწოდე იარდი რომ გაიარა, ისევ ფარდას ამოეფარა და იქიდან დაიწყო თვალთვალი.

უცებ მისგან რამდენიმე იარდის დაშორებით კარი გაიღო. საღამოს კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი ოთახიდან გამოვიდა. მან კარი მიხურა და გასაღები საკეტში ჩატოვა. ფერარი ხედავდა, როგორ მივიდა იგი ლიფტთან ღიღინით და ლილას თითი დააჭირა.

ზორბა პოლიციელმა ისევ უკან ჩამოიარა. მან ხელი ქუდიდან მიიტანა, ხოლო ქალიშვილმა მხიარულად გაუღიმა. პოლიციელმა უკან მოუხედავად განაგრძო გზა.

ლიფტის კარი გაიღო და ქალიშვილი კაბინაში შევიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციელი კვლავ გამოჩნდა. მან ძალიან ახლოს ჩაუარა ფერარის, და ისევ გაუჩინარდა კორიდორის მოსახვევში.

ფერარი გამოვიდა სამალავიდან, მიუახლოვდა იმ ოთახის კარს, საიდანაც ქალიშვილი გა-

მოვიდა, უხმაუროდ გამოაღო და შიგ შეიხედა. ოთახში ბნელიდა. მან გამოიღო გასაღები, შევიდა ოთახში, კარი მიხურა და ჩაკეტა. შემდეგ სინათლე აანთო.

ლოგინი მილაგებული იყო და ოთახში წესრიგი სუფევდა. ფერარიმ იანგარიშა, რომ სართულის დამლაგებელი ქალი უკვე თავის ოთახში იქნებოდა. და თუ ისევ ბედმა გაუღიმა, სულ ცოტა ერთ საათს მაინც არავინ შეაწუხებდა. სინათლე ისევ ჩაააქრო და ფანჯარასთან მივიდა.

ფერარიმ იცოდა, ფრენსისის ოთახი სასტუმრბოს მერე მხარეს მდებარეობდა და ზღვას გადაჰყურებდა. ისიც იცოდა, სასტუმროს იმ მხარეს მდებარე ყველა ოთახს იცავდნენ. ფრენსისის ოთახამდე რომ მიეღწია, საჭირო იყო სახურავზე ავირომა, კიეულრავე გადასვლა და მეორე მხარეს დაშვება.

ფერარი დიდხანს ათვალევებდა სახურავს ღურბინდით და გუნებაში მარშრუტი მოხაზა. შემდეგ ფანჯრის რაფაზე ჩამოსკუბდა და ძირს ჩაიხედა. ბინდებოდა, ჯერ კიდევ ადრე იყო შედგომოდა საქმეს. ნახევარი საათის შემდეგ კი იმდენად დაბნელებოდა, რომ სახურავზე მის მოძრაობას დაბლიდან ვეღარავინ შენიშნავდა.

იგი იჯდა და დაჰყურებდა სინათლით განათებულ საცურაო აუზს. კუნთები მოეღუნებინა და არაფერზე არ ფიქრობდა. ცა თანდათან მუქდებოდა. ცხრის ნახევარზე გადაწყვიტა უკვე საკმაოდ ბნელად.

პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო სპრეშუმის ბოკალის გორგალი და გალუღ სხეულზე რამდენჯერმე შემოეხვია. თოკის ერთი ბოლო თავდებოდა რეზინით დაფარული ჩანგლით, მეორე კი რგოლით.

ფერარი დადგა ფანჯრის გარეთა შევრილზე და ზევით აიხედა. თავზე დაჰყურებდა მეთე სართულის ერთ-ერთი საწოლი ოთახის აივნანი. თოკის ერთი ბოლო ზევით აავლო და ჩანგალი მოსდო ქვის გამოწვევებს.

ფერარი ისე ძალდაუტანებლად აცოცდა თოკზე როგორც მიმუხნი ადის ხეზე. იგი გადააქვრა აივანზე, ფანჯრიდან შეიხედა ცარიელ ოთახში, მერე ერთხანს შეჩერდა, ძირს ჩაიხედა და დარწმუნდა, რომ არავის შეუნიშნავს.

შემდეგ შედგა აივნის მოაჯირზე და შეხედა სახურავს, რომელიც დაახლოებით ოცი ფუტით იყო დაშორებული მისგან. სახურავს სიგრძეზე მიუყვებოდა მაგარი, წყალსადინარი ღარი ისევ აავლო თოკის ბოლო და ჩანგალი მოსდო ღარს, ამასთანვე თოკი რამდენჯერმე მოსწია თავისკენ, ღარის სიმაკივე შემოწმა. ღარი არ გაიღუნა, თოკის მოჭევაზე არც კი აპრაპუნდა. ფერარი უყოყმანოდ გადაეშვა პაერში და შეუღდა თოკ-

ზე ცოცვას. ბოლოს, მისი ბრწყალეობიანი თითები ღარს ჩაეჭდო.

ღარზე ჩამოძვარმა ნელა მოიხსნა თოკი, რომელიც კისერზე ეკიდა, და ჩანგალი სახურავის კიტურას ესროლა.

ოთხჯერ მოუხდა თოკის სროლა, ვიდრე ჩანგალს მოსდებდა, ერთხელ მეტისმეტად გადაიხარა, უკეთ რომ აეგდო თოკი, და კინალამ წონასწორობა დაკარგა.

როგორც კი დარწმუნდა, ჩანგალი კარგად იყო მოდებული, ორივე ხელით მაგრად ჩაეჭიდა თოკს და სახურავს აუყვა. როცა მიზანს მიადწია შეჩერდა და კიტურაზე გადაჯდა.

ახლა კი მისცა თავს ნება ძირს გადაეხედა, მის ქვევით, ორასი ფუტის სიღრმეზე, მშვიდად გაწოლილიყო ზღვა და კლდეებს ელამუნებოდა. აქვე ახლოს, საღდაც სახურავის კიდესთან მდებარეობდა ფრენისის ოთახი.

თოკის მეორე ბოლოზე მიმაგრებული რგოლი ფეხის კოჭზე წამოიცვა, თოკს ხელი ჩასჭიდა, სახურავის მეორე მხარეს დაეშვა და ღარს მიადწია.

უხმაურად გადასცდა იგი სახურავის კიდეს და ჰაერში თავქვე გამოეკიდა, კოჭზე წამოდებული რგოლია იკავებდა მის მკლე სხეულს. მან შეიხედა დიდ, ვრცელ ოთახში და თვალებს არ დაუჯერა, ამჯერადაც კოჭი აღჩუზე დაუჯდა. პირველსავე ცდაზე აღმოაჩინა ფრენისის ოთახი.

ოთახში სამი იყვნენ: ორი პოლიციელი ქალი და ფრენისი.

პოლიციელი ქალები ფანჯრიდან მოშორებით ისხდნენ: ერთი კითხულობდა, მეორე ქსოვდა. ფრენისი ტუალეტის მაგიდასთან იჯდა და თმას ივარცხნიდა.

ფერარმა ისევ ჩაავლო თოკს ხელი და წყალსადინარის ღარს დაუბრუნდა. საათზე დაიხედა. ათის ნახევარი იყო. კიდევ ნახევარ საათს უნდა ეცადნა.



კონრადმა თავი ასწია, როგორც კი ფორესტი ოთახში შევიდა.

— მშვენიერი სადილი იყო, — თქვა ფორესტმა. გემრიელ საჭმელს ამზადებენ, ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა! — გულგრილად მიუგო კონრადმა.

— მშვენიერი ქალიშვილია, ყველაფრის მიუხედავად ძალზე კარგი ქალიშვილია, — თქვა ფორესტმა. — დიდხანს ველაპარაკე და როგორც იქნა დავითანხმე, განცხადებაზე ხელი მოაწეროს. თავისთავად ცხადია მატურის ეზონია და საბოლოო გადაწყვეტილებას ხვალ დი-

ლით შემატყობინებს. მაგრამ ვფიქრობ ყველაფერი მოგვარდება. მე შეეპირდი, თუ განცხადებაზე ხელს მოაწერს, ჩვენ გავიღებთ სახსრებს და იგი სასამართლოს შემდეგ უახლოეს ხანში რამდენიმე თვით გაემგზავრება ევროპაში მის ფილდინგთან ერთად. მგონი, მოეწონა ეს იდეა.

— ჰო, ცუდი არ იქნებოდა, — გამოცოცხლდა კონრადი. — სიტყვამ მოიტანა და მეც ვაპირებს, სასამართლო პროცესის დამთავრებისთანავე შევბრუნდები ავილო.

ფორესტმა გაიცინა.

— იყო ნება შენი, პოლ! მოგცემ ორი თვის შევბრუნებას, მაგრამ სამაგიეროდ მთელ სიძნელებებს შენ თვითონ უნდა გაუმკლავდე.

მიულოდნელად თვითმფრინავის ძრავის ვუგუნის გაისმა ორივე შეკრთა.

— რა დაბლა მოფრინავს, ნამდვილი ქაჯია! — გააქინა თავი ფორესტმა.

— ეს ალბათ ღამის რეისია „პასიფიკ-სიტი“-„ლოს-ანჯელოსი“:—თქვა კონრადმა და საათზე დაიხედა. ზუსტად ათი საათი იყო. — მე ვფიქრობ, ერთადერთი რეალური შანსია, აქედან გავიყვანოთ შეჯავშნული ავტომობილითა და მოტოციკლისტების ესკორტით.

— კი, — მიუგო ფორესტმა — მაგრამ ჯერ მატურები უნდა დავიჭირო.

— ახალი არაფერია?

— ბარდენმა დარეკა ათი წუთის წინ. ამბობენ, მატურები დაბრუნდა.

კონრადი წელში გაიმართა.

— დაბრუნდა? ვინ გაავრცელა ეს ხმა.

— ისევ თვითმფრინავი, — თქვა ფორესტმა, როცა პატარა მონოპოლანმა ფანჯარას ჩუაქროლა. იგი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

მონოპოლანი ზღვის მიმართულებით გაფრინდა, ჰაერში ამოტრიალდა, მკვდარი მარყუჟი გააკეთა და ისევ სასტუმროსაკენ გამოემართა. თვითმფრინავი ნეონის სინათლით იყო გაშუქებული და სანახობა მართლაც ხიბლავდა მაყურებელს.

— უმადლესი პილოტაჟის ოსტატი ჩანს, ალბათ რეკლამის საქმეს ემსახურება, — უნიშნა კონრადმა.

— უნდა ითქვას, რომ ცუდად არ ემსახურება, — დაუმატა ფორესტმა და ფანჯარაში გაკყო თავი, რათა უკეთ შეეხედა თვითმფრინავისათვის. მონოპოლანმა სასტუმროს შემოუარა და ძირს დაეშვა ზღვის მიმართულებით. — სანტეს-სოა, რას უკეთებს რეკლამას. ეი! შეხედე, პოლ, შეხედე!

თვითმფრინავი ფრიალო კლდეებს ჩასცდა და ძალზე დაბლა მიფრინავდა. ერთ-ერთ ფრთაზე იდგა წითელი და ცისფერი შუქით განათებუ-

ლი ფიგურა. მან ხელი დაიქნია, როცა თვითმფრინავმა სასტუმროს ჩაუქროლა.

— თავზე ხელაღებული ტუტუცი! — წაიბუზღუნა კონრადმა.

ფორესტმა ისევ ფანჯარაში გაჰყო თავი.

— ცალი ხელია უკიდია...

როგორც კი ფორესტმა თავი ფანჯარაში გაჰყო, კონრადმა იგრძნო, რომ საფენი, რომელზედაც ისინი იდგნენ, ადგილიდან დაიძრა. ფორესტი წინ ვაცურდა. შეძრწუნებული ცდილობდა ფანჯრის რაფას ჩასჭიდებოდა, მაგრამ ამაოდ. კონრადმა ხელი სტაცა ჰაჯაზე, მაგრამ ვერ შეაჩერა. როცა იგრძნო, ფორესტი წონასწორობას ჰკარგავდა და გარეთ ვარდებოდა, კონრადმა მთელი ძალა-ღონე დაძაბა. ერთ წამს საშინელი შეგრძნება დაეუფლა, ეგონა, ბიჯაკი ხელიდან უსწლტებოდა ფორესტმა როგორც იყო მოახერხა ფანჯრის რაფას ჩასჭიდებოდა და ისევ ოთახში გადმოსულიყო.

— ღვთის ვულისათვის... — ამოიუღღსუნა სუნთქვაშეკრულმა კონრადმა.

ფორესტს სახე გაფთხებოდა, თავზარდაცემული იყო.

— გმადლობ, პოლ, — წარმოთქვა მან ხრინწიანი ხმით, — კინაღამ არ გადავვარდი. სული აღარ დამყვებოდა ძირამდე! ფუი!

კონრადი მეხდაცემულივით გაშეშდა ერთ ადგილას, სახეზე მკედრის ფერი დაედო. თვითმფრინავის გუგუნში ორივემ მკაფიოდ გაიგონა სახარელი კვილი.

კონრადი ოთახიდან გავარდა, ველარაფერს ხედავდა, კორიდორი გადაიბრინა, ფრენისის ოთახს ხელი ჰკრა და შეაღო.

მეჭ ფილდინგს შიშისაგან თვალები დაეჭყიტა, სახე მომაკვდავს მიუგავდა. მან კონრადს უაზრო თვალებით შეხედა.

— რა მოხდა? შეეკითხა კონრადი ჩამწყდარი ხმით.

— მან ფანჯარაში გაჰყო თავი, უნდოდა თვითმფრინავისთვის შეეხენდა, და მოულოდნელად შეჭვივლა. მე მისკენ გავეჭანე, მაგრამ უკვე გვიან იყო. თითქოს ვიღაცამ გარედან გადაათრიაო. იგი თავს იცავდა, შემდეგ საფენი ფეხქვეშ გამოეცალა და გადავარდა.

ძირს, მათგან ორასიოდ ფუტის მანძილზე, დამსხვრეულ დედოფალასავით ეგდო ფრენისი. კონრადი იდგა და დაჰყურებდა უსიციოცნლო სხეულს, რომელიც მთვარის შუქით განათებულ სილაზე გართხმულიყო.

— ესაა და და ეს! — წარმოთქვა ჩუმი ხმით გაბოროტებულმა ფორესტმა. ფორესტის მიერ მაურერის წინააღმდეგ აღძრული საქმის ძიება მაურერის გამარჯვებით დამთავრდა

## IV

მეორე დღეს დილის ათ საათზე ჯეკ მაურერი მოვერცხლისფერო-მოციფრო „კალიდაკით“ ქალაქის რატუსას მიუახლოვდა. მას თან ახლდა თავისი ადვოკატი ეიბ გოლოვიჩი და ოთხი პირქუში, გამოჯავული პირადი მცველი. ნახევარი საათის წინ ქალაქის ყველა გახეთმა მიიღო ინფორმაცია, მაურერი დანებებას აპირებსო. ამიტომ იყო, რომ აქ მას დახვდა ჟურნალისტების, ფოტოგრაფების, ტელე და კინოაპერატორების მთელი ხროვა.

როცა მაურერი მანქანიდან გამოვიდა, შავგარემანი სახე ფართოდ უღიმოდა. მან ხელი დაიქნია ტელეკამერების მიმართულებით.

რეპორტიორებმა ალყა შემოარტყეს. მაგრამ პირადი მცველები მიჯრით დადგნენ მაურერის ირგვლივ და რეპორტიორებს უკან დაახვეინეს.

— ცოტაოდენი მოთმინება, ბიჭებო! — მიმართა მათ მაურერმა. — სათქმელი მაშინ მექნება, როცა იქიდან დავბრუნდები.

— რატომა ხართ დარწმუნებული, რომ დაბრუნდებით? — მიძახა ერთმა რეპორტიორთაგანმა.

მაურერმა მას მოწყალებ გაუღიმა და პირადი მცველებით გარშემორტყმულმა კიბის საფეხურზე შედგა ფეხი. რამდენიმე წუთის შემდეგ კარებში გაუჩინარდა.

ათმა წუთმა გაიარა და კარი ისევ გაიღო. რატუსიდან გამოვიდა მაურერი თავისი პირადი მცველების თანხლებით.

სახე უბრწყინავდა. კიბის ზედა საფეხურზე შეჩერდა. ზევიდან გადახედა ფოტო და კინოკამერების ბატარეასა და რეპორტიორების არაკეთილმოსურნე სახეებს.

ფერმკრთალი და დალოლი ეიბ გოლოვიჩი მხარმარჯვნივ ედგა. მისი მსუქანი პირიახე არაფერს გამოხატავდა, თუმცა თვალები უიმედობას ვეღარ მალავდა.

— აბა, ბიჭებო! — მიმართა მაურერმა, — თურმე ყველაფერი შეცდომა ყოფილა!

— ერთ წუთს მოითმინეთ, მისტერ მაურერ. — დაიყვირა აღზნებულმა ტელერეპორტიორმა. — ნუთუ რამდენიმე სიტყვას არ იტყვიეთ მიკროფონთან.

— რატომაც არა, ვიტყვი! — გაიცინა მაურერმა. — ხომ დაგპირდით ამას! მე კი არასდროს არ ვამბობ უარს დაპირებაზე.

იგი ძირს ჩამოვიდა.

— ესარგებლობ შემთხვევით, — ჩაიძახა მან მიკროფონში, — და მადლობას ვუხდით ყველა კეთილისმსურველს, რომლებიც მხარს მიჭერდნენ ამ უაზრო, მაგრამ მაინც უაღრესად უხერხულ ვითარებაში, რაც შეიქმნა გაუგებ-



რობის ნიღაგზე. როგორც იცით, ჩემი დაბატმირების ორდერი ვაიცა. ბრალი მედებოდა, თითქოს მე მოვკალი მის ჯუნ არნო, ჩემი ერთი ძვირფასი მეგობართაგანი. ოლქის პროკურორის გულწრფელად სჯეროდა, რომ საქმეო საფუძველი მოეძებნებოდა ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღსაძრავად, და მან თავისი ვალი მოიხადა, როცა ჩემი დაბატმირების ორდერი ვასცა — მაურერმა ხმას დაუღებოდა, კიდევ უფრო ფართოდ გაიღიმა და შეეცადა კორესპონდენტებისაკენ არ გაეხედა, მთელი ყურადღება ტელეკამერებს მიაპყრო. — მაგრამ, როგორც საქმის გულდასმით შესწავლამ ცხადყო, ოლქის პროკურორის ვანკარგულებაში არსებული მტკიცებანი დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. მაურერმა თავისი ქონმოკიდებული ხელი გაიქნია. — არავითარ შემთხვევაში არ უნდა იფიქროთ, თითქოს ოლქის პროკურორის წინასწარ აკვიტებული განზრახვა ამოქმედდება. მე რომ ამ დროს ქალაქში ვყოფილიყავი და ზღვაზე არ მეცურა, ჩემი დაბატმირების ორდერი არავითარ შემთხვევაში არ გაიცემოდა, რამდენადაც იმწამსვე განუშარტავდი პროკურორის საქმის ჭეშმარიტ არსს, ისევე როგორც ამას ახლა ვაკეთებ. — მაურერმა გაიღიმა. — მე ვუთხარი ოლქის პროკურორს, ჯუნ არნო ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და მისთვის არასდროს არავითარი ვნება არ მიმიყენებია-მეთქი. მისმა სიკვდილმა თავზარი დამცა. როგორც კი შევიტყე, ჩემი დაბატმირების ორდერი გასცეს, მაშინვე დავბრუნდი, ბრალდების უარსაყოფად და ოლქის პროკურორმა მაშინვე გააუქმა ეს ორდერი.

გაზეთის რეპორტიორმა სიტყვა შეაწყვეტინა მაურერს და ირონიით უთხრა:

— იქნებ ის საქმე, რომელსაც თქვენს წინააღმდეგ ამხადებდა ოლქის პროკურორი, სწორედ იმიტომ ჩაიდუმშა, რომ ორად-ორი მოწმე დროულად გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო?

მაურერმა სიბრალულით აღსავსე თვალები მიაპყრო რეპორტიორს:

— მისტერ ფორესტს არაფერი უთქვამს ჩემთვის მოწმეების თაობაზე. მათ შესახებ მე არაფერი ვიცი, ვარდა იმისა, რის წაკითხვაც მოვასწარი ზოგიერთ ვაზეთში ამ დროს. მე მითხრეს, რომ ჩემი კუთვნილი ოქროს ფანქარი იპოვნეს ჯუნ არნოს საცურაო აუზის მახლობლად. ფანქარზე იყო ჩემი თითების ანაბეჭდი და სისხლის ლაქა აღმოჩნდა, რომ სისხლი მის არნოს ჯგუფის სისხლს მიეკუთვნებოდა, და პოლიციამ აქედან გამოიტანა ნაჩქარევი დასკვნა, თითქოს სწორედ მე ვიყავი მის არნოს მკვლელი. ამ უაზრო მტკიცების საფუძველზე ავგო პოლიციამ თავისი საქმე. სინამდვილეში კი მე გავიჭე-

რი ხელი და სისხლი ფანქარზე მოხვდა სწორედ მის არნოს მკვლელობის წინაღობით. ეს ფანქარი წყლის ჩასადენში ჩამივარდა. მოგეხსენებათ, ღარიბი კაცი არა ვარ და ყოველთვის შემძლია მეორე ოქროს ფანქარი ვიყიდო, ამიტომაც ოქროს ფანქარს თავი მივანებე და ჩასადენში დაეტოვე. — მაურერმა შეისევნა, ხოლო შემდეგ დაუმატა ღიმილით, რომელიც მუქარით სავსე კბილების დაღრჭენას უფრო წააგავდა:—რა ჩემი ბრალია, თუკი ჩემი სისხლს ჯგუფი იგივე აღმოჩნდა, რაც მის არნოს ჯგუფია.

მაურერმა ანიშნა და ოთხივე პირადი მცველი წინ გაემართა. მათ მიფანტ-მოფანტეს რეპორტიორები, მაურერი სწრაფად დაეშვა კიბეებზე და მანქანაში ამოპყო თავი.

როგორც კი ბრბო მცირე მანძილით უკან ჩამოიტოვეს, მაურერმა თავი უკან გადაავლო და გაიცინა. ეს სიტყვი კი არა, ხანმოკლე ყეფა იყო.

— ორანიზაციიდან უნდა გამოვიდე. იმდენი ფული ვიშოვე, რამდენიც მჭირდება. სინდიკატი კი ყელში მყავს ამოსული. თუკი მათ კალიფორნიის მართვა სურთ, დაე, თვით მართონ.

— მე მეგონა, ფერარის საქმეს მოკიდებლად ხელს, — უქმეხად უთხრა გოლოვიჩმა.

მაურერმა გაიღიმა, მაგრამ თვალბუბო ყინულივით ცივი გამომეტყველება შეერჩა.

— სწორია ვაპირებდი, მაგრამ სეიგელმა მთელი საქმე ჩაფუშა. მე მეგონა, ამჯერად მაინც გააკეთებდა რამეს, მაგრამ ახლაც ხელი მოეცარა. რასაც კი ხელი დააკარა, ყველაფერი გააფუშა. ფერარიმ დაასწრო. აი, რა მოხდა! წაგებული დავრჩი. დიდ ჯოს ველაპარაკე. ავუხსენი, ამას არავითარი კავშირი არა აქვს ჩემთან-მეთქი. მგონი სასაცილოდაც ეჩვენა, რომ ვაღდაც სცადა ფერარისთან ანგარიშის გასწორება.

დიდი „კალიდაკი“ მაურერის ვილის ჭიშკარში შევიდა და სადარბაზოსთან მისრიალდა. გოლოვიჩმა შენიშნა, რომ გზებზე ყველგან მისთვის უცნობი ხალხი იდგა.

— ვინ არიან ეს ბიჭები? — შეეკითხა იგი. — აქ რას აკეთებენ?

— სიფრთხილეს თავი არა სტკივა, — მიუგო მაურერმა. — არ მინდა თავი ხიფათში ჩავაგლო. თუკი ფერარი შეეცდება თავისი რომელიმე ტრიუქის ობიექტი გამხადოს, ცუდად წაუფეა საქმე.

— ჯეკ, — უთხრა ჩახლეჩილი ხმით გოლოვიჩმა, — მე რა მეშველება, შენ თუ წახვალ? მაურერი ისე მიაშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— შენ? — შეკითხვაზე შეკითხვითვე მიუგო მაურერმა და მიოდუმშა. — მე მეგონა, როგორ-

მე მოეწყობი .იქნება დიდმა ჯომ შენთვისაც გამონახოს რამე.

და იგი სახლში შევიდა, ხოლო გოლოვიჩი მანქანაში მიატოვა.

## V

ხუთი შეიარაღებული ყმაწვილი იჯდა ჰოლში. მატურერის დანახვაზე ხუთივე წამოხტა და შემოსულს გამოეჭიმა.

— აქ დარჩით ბიჭებო, თვალი — ოთხი, ყუჩი — ექვსი! — დაარიგა მან და მზით განათებულ დიდ სადარბაზო ოთახში შევიდა.

დოლორესი იდგა ღია ფანჯარასთან, რომელიც ვერანდაზე გადიოდა.

— გამარჯობა, ჯექ!

— გამარჯობა, დოლი! — მიესალმა მატურერი. — ერთი კოქტეილი მომიზადე, გეთაყვა.

დოლორესმა გადახედა კიბის გრძელ მონაკვეთს, რომელიც ორ ტერასას აერთებდა. საფეხურებზე ამოდიოდა შავკოსტიუმიანი და შავქუდიანი პატარა მსმაკაცი. ეს იყო ფერარი. იგი წელა და რბილად მოაბიჯებდა. ხელები ჯიბე-

ებში ჩაეწყო. სახე აწეული ჰქონდა; სახლია ფანჯრებს მისჩერებოდა. თითქოს სულ არ შემჩნევია შეიარაღებული ყმაწვილები, რომლებიც თავის მხრივ, რატომღაც აგრეთვე არც განძრეულან. ისინი ადგილზე მილუტსმულგებოთ იდგნენ და ფერარის მისჩერებოდნენ. ის კა მოჩვენებასავით მიაბიჯებდა სახლისაკენ.

— ნახვამდის, ჯექ! — დაემშვიდობა დოლორესი, კარი გამოაღო და ჰოლში გამოვიდა.

იგი თავისი ოთახისაკენ გაემართა. კიბეებზე ასვლისას თავის თავს ეკითხებოდა, როგორ შესძლო დიდმა ჯომ ასე უტბად ორგანიზაციის ხელში ჩაგდება. ალბათ არც ერთ წუთს არ კარგავდა. დოლი იმაზეც ფიქრობდა, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება ფერარისთან.

საწოლ ოთახში შევიდა და ლოგინზე ჩამოჯდა. ოთხი წელი იცხოვრა მატურერთან, ერთნაირად იღებდა მისგან საჩუქრებსა და შეურაცყოფას. ამის მოგონებაზე გააყრდოლა.

დოლიმ თვალები დახუჭა და სმენა დაიხაზა. სროლის ხმას უნდა ემცნო რომ იგი მატურერის ქვრივი ხდებოდა და ფერარის მფლობელობაში გადადიოდა.

რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ფეხბურთსა და იურისპრუდენციას, იკითხავს მკითხველი. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საერთო მათ ბევრი რამ ჰქონიათ.

## 1. ფეხბურთი — სისხლის სამართლის დანაშაული

ფეხბურთი თავის არსებობას, იურისპრუდენციას უნდა უმადლოდეს, ასიც შედარებით ახალი საუკუნეების იურისპრუდენციას.

უიმედო საქმეა ისტორიის ანალებში იმის ძებნა, თუ პირველად როდის დაარტყეს ფეხი ბურთს. ცოტა რამ მაინც შეიძლება ითქვას დაჯერებით, კვლავ იურისპრუდენციის წყალობით. ინგლისის მრავალი მეფე უსახელოდ გამჭრალა ისტორიაში, ზოგიერთის სახელი კი „პოპულარულია“ იმით, რომ მათ აკრძალეს ფეხბურთი. ამას საფუძველი, ალბათ 1313 წელს ჩაეყარა, როცა მეფე ედუარდ II-ის ვერდიქტით პატიმრობა ელოდა ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებდა „ამ მომაკვდინებელ და სისხლისმღვრელ თამაშში“.

ეკლესიაც მხარში ამოუდგა სამეფო ხელისუფლებას და ანათემას გადასცა ფეხბურთის ყველა მონაწილე და მაცურებელი.

საუკუნეების მანძილზე ფეხბურთი ითვლებოდა დანაშაულად და მისი თამაში მართლწესრიგის დარღვევად, მაშასადამე, ფეხბურთის თამაშს მხოლოდ სისხლის სამართალი „არეგულირებდა“.

ინგლისური ჟინიანობით ასრულებდნენ მეფეთა ამ ნებას ჩინოვნიკები ბრიტანეთის კუნძულზე. მაგრამ ფეხბურთი ლამაზი და გაჟაკურია სპორტი თავის აღიარებას თხოულობდა. ფეხბურთის არც ერთ გულშემატკივარს არ უნდა დაავიწყდეს 1603 წელი (განსაკუთრებით ეს უნდა გაიხსენონ 2003 წელს), ამ წელს მოქმედება შეწყვიტა მეფე ედუარდ II-ის ახარებულმა ვერდიქტმა.

## 2. საქართველოს საფეხბურთო სამართალი

მეფე ედუარდ II-ს მაინც დარჩა მასავით კაცთმოდულე მონაცვლეები, რომლებსაც მდაბალი, ანგარიშიანი მოსაზრებით აუკრძალავთ ფეხბურთი. მათი გვარების ჩამოთვლა შეუძლებელია. ეს იურიდიული „მონოგრაფიის“ თემაა. ჩვენ ერთი უახლესი მაგალითით დავკმაყოფილდებით. სისხლიან ფრანკოს თვითნებობამ ამ შვიდი წლის წინ საშუალება არ მისცა მოსკოველ მაცურებელს, ენასა უზადო სპორტული ტალანტი და დაუდგრომელი მუყაითობა

დი სტეფანოსი, ხოლო მადრიდელებს არ მიეცათ შესაძლებლობა ენახათ „ქართველი ჰენტო“ — მე ს ს ი. საერთაშორისო საფეხბურთო სამართალი ძალზე მკაცრია. „ფიფამ“ მკაცრად დასაჯა ესპანელები, რომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა უპირობის ჯარიმის ნორმები, დელიქტური ვალდებულების თაობაზე. უმჯობესი კი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სჯიდეს სიცოცხლისა და სიხარულის ჩამშობებებს ავგუსტიან გომესის სამშობლოში.

### 3. საფეხბურთო კანონის ახსნა-განმარტება და შეფარდება

საფეხბურთო სამართალში ბევრი რამ დასესხებულია იურისპრუდენციისაგან, მაგრამ ეს მაინც არის სამართლის მეტად ორიგინალური დარგი. საფეხბურთო კანონის მსაჯები უფარდებენ, მაგრამ დამოუკიდებელი მოსამართლენი მყურებელთა შეუზღუდველი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, ისე რომ მარაკანას ორასათასიან მყურებლიდან მოსამართლეს (მსაჯს) არც ერთის გაძევება არ შეუძლია. რასაკვირველია, მართლმსაჯულების ნორმალურად განხორციელებას ეს ყოველთვის ხელს არ

უწყობს. შეიძლება მოსამართლენიც კი დაზარალდნენ.

სულ სხვაა მოსამართლე მინდორზე. იგი აქ ნამდვილად უკანასკნელი საფეხურის უმაღლესი ინსტანციაა. აქ სრულ უფლებათა მოძღვრება დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. თუმცა საფეხბურთო კანონის შეფარდებისას სიძნელე იმაშია, რომ საფეხბურთო სამართალმა იცის ბრალის ვარეშე პასუხისმგებლობა — შეცდომისათვის. ერთ შემთხვევაში არ ისჯება შეცდომა, როცა მას მეკარე უშვებს და მას შედეგად გოლი მოჰყვება.

### 4. სასჯელის უმაღლესი ზომა ფეხბურთში

სასჯელების სისტემა საკმაოდ რთულია საფეხბურთო სამართალში. მსაჯს შეუძლია მოთამაშის მოედნიდან გაძევებაც, მაგრამ სასჯელის უმაღლეს ზომად მაინც ითვლება 11 მეტრიანი საჯარიმო, რომელიც 1891

წელს იქნა შემოღებული. ამ კანონის შეფარდება პრაქტიკაში ადასტურებს იმას, რომ იგი სრულიადაც არ არის სასჯელის უმაღლესი ზომა, თუ მას შემსრულებლად მ. ბერძენიშვილი არა ჰყავს.

### 5. სასამართლო პრინციპები ფეხბურთში

ინგლისელ მოსამართლეს ბარნსლში (იორკშირის საგრაფო) ამას წინათ მოუხდა უშუალოდ შესდგომოდა თვით სიტყვა „ფეხბურთის“ განსაზღვრას. მან სპეციალისტებთან კონსულტაციასა და სქელტანიან ლექსიკონებში ძიებას მთელი კვირა მოანდომა.

სასამართლოს წინაშე წარსდგა ოთხი ჭაბუკი, რომლებიც ქალაქში ბურთს დასდევდნენ და ფიჭრადაც არ მოსდიოდათ, რომ დანაშაულს ჩადიოდნენ. მალე მათ პოლიციელი მიუახლოვდა. მან ახალგაზრდებს ბრალი დასდო იმაში, რომ ფეხბურთს თამაშობდნენ და ქუჩაში მოძრაობას ხელს უშლიდნენ. ორმა თავი დამნაშავედ იცნო, ორმა კი განაცხადა, რომ თამაშს ფეხბურთთან საერთო არაფერი ჰქონდა. იმიტომ რომ ბურთს ერთმანეთს თავით გადაეცემდით. ინგლისურად ფეხბურთში იგულისხმე-

ბა, რომ მოთამაშენი ფეხით მოქმედებენ, და კეთილსინდისიერმა მოსამართლემ გამოძიება დანიშნა. მისი ვერდიქტი ასეთი იყო: „რამდენადაც დაწერილ კანონმდებლობაში სიტყვა „ფეხბურთი“ განმარტებული არ არის და მსგავსი შემთხვევები უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს არ განუხილავს, იმ საკითხის გადაწყვეტა თუ რა არის ფეხბურთის თამაში, დამოკიდებული უნდა იყოს გარკვეულ პირობებში ფაქტიურ მდგომარეობაზე. მაშინ როცა სახელწოდებით იგულისხმება, რომ ბურთს ფეხებით გადასცემენ, მიჩნეულია, რომ სხეულის სხვადასხვა ნაწილიც და განსაკუთრებით თავიც მონაწილეობს თამაშში. ფაქტიურად ბევრა მოთამაშე ისევე ხშირად იყენებს, თავს, როგორც ფეხებს. წყეულიმც



იყოს მსაჯი, რომელიც არ ჩათვლის თავით გატანილ გოლს, იმ საფუძველზე, რომ მოთამაშე ფეხებით არ მოქმედებდაო.“

საბოლოო ანგარიშით, ოთხივე ახალგაზ-

რდას მიესაჯა მცირე ფულადი ჯარიმა, იგლისის კანონმდებლობა კი გამლიდრდა ფეხბურთის საქმეების განხილვის პრეცედენტით.

### 6. საფეხბურთო კანონმდებლობის კოლიზიასთან არ დასრულებულა

კანონმდებლობა საფეხბურთო სამართალში სტაბილურია. მეტიც, საფეხბურთო კოდექსი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. იგი 1863 წლის 21 სექტემბერს მიიღეს ლონდონის ერთ-ერთ ლუდხანაში ქალაქის საფეხბურთო კლუბის მესვეურებმა. მასში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი, მაგრამ იგი მაინც ძირითადად მოქმედი კოდექსია. უკანასკნელ ხანებში საინტერესო ცვლილებები იქნა შეტანილი საფეხბურთო კანონმდებლობაში: ობიექტური შერაცხვის ხარჯზე გაიზარდა ბრალის მნი-

შვნელობა. დიდმნიშვნელოვანი ცივილისტური ნოველაა ის, რომ ფართოდ არის გათვალისწინებული დაზარალებულის ბრალიც. მაინც საფეხბურთო კანონმდებლობას ჯერ კიდევ აქვს ხარვეზები. მისი სრულად დამუშავება არ დამთავრებულა. მაგალითად, ამჟამად მკვეთრი დავის საგანია საკითხი იმას შესახებ, უნდა ისჯებოდეს თუ არა, თამაშების მდგომარეობა, როცა მას მოწინააღმდეგე ხელოვნურად ქმნის მოედნის შუაგულში, საიდან უნდა სრულდებოდეს დარტყმა პირით ხაზიდან და სხვა.

### 7. ფეხბურთი და გართულებება

მრავალი ბურჟუაზიული ავტორი ფეხბურთს „სოციოლოგიურ ასპექტში“ განიხილავს. დავა იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ფეხბურთი მასის მართლშეგნებაზე. ფრანგი მწერალი ფრანსუა მორიაკი ყველაზე შორს მიდის და თვლის, რომ ფეხბურთი გამორიცხავს რევოლუციების შესაძლებლობას. მისი აზრით, როცა ფეხბურთია, არ არის რევოლუცია და პირიქით. „არ იქნებოდა არავითარი შტურმი ბასტილიისა, — სერიოზული ტონით ამტკიცებს ფრანსუა მორიაკი, — იმ დროს რომ მოკრივის ხელთათმანი, ველოსიპედი და ფეხბურთის მრგვალი ბურთი არსებულიყო“.

ეს შეხედულება ფეხბურთის თამაშის დამაშოშმინებელი გავლენის შესახებ არა თუ პოულობს სრულ მხარდაჭერას, არამედ მთლიანად საპირისპირო აზრებსაც იწვევს.

იტალიელი ისტორიკოსი და ჟურნალისტი პაოლო მონელი თვლის, რომ ფეხბურ-

თი არა მარტო არ აშოშმინებს, არამედ აღვივებს სოციალურ გრძობებს. მისი აზრით, „ბრბო, რომელიც ასე მსურვალედ ეხმაურება სპორტულ შეჯიბრებებს, რომელიც ჭკუას კარგავს სიხარულისაგან ანდა მიდის ინფარქტის მიღების რისკამდე, თავისი გმირების გამარჯვებისა თუ დამარცხების გაცნობით, რომელიც იმყოფება სისხლმორყურებული ინსტიქტის ტყვეობაში და მზად არის ნაკუწვებად დაგლიჯოს მსაჯი, — ამ ბრბოს ასეთივე წარმატებით შეუძლია მიუდგეს პოლიტიკურ და სოციალური საკითხების გადაწყვეტას და შეუგნებლად დაემორჩილოს რა გულცივი და ანგარიშიანი ბელადების ტაქტიკას, დაანგრიოს ბასტილიები, ცეცხლი წაუკადოს ქალაქის კვარტალებს, აწარმოოს განმათავისუფლებელი სამოქალაქო ომი...“

კატასტროფულ მდგომარეობაშია ბურჟუაზიული სოციოლოგია, თუ კი მას ფეხბურთით სურს გადაწყვიტოს გადაუჭრელი პრობლემები.

# საქართველოს მთავრობის განცხადება



**1. თუ მხარე მოითხოვს ხელშეკრულების დადებას იმ საფუძვლით, რომ საჭიროა მიწოდების დამატებითი პირობების შეთანხმება, მეორე მხარეს უფლება არა აქვს ამაზე უარი განაცხადოს.**

სამხედრო ვაჭრობამ აღძრა სარჩელი საქსილბოსტანის ჩოხატაურის დამზადების კანტორის მიმართ ვაშლის მიწოდებაზე ხელშეკრულების დადების იძულებისა და ხელშეკრულების დადებისაგან თავის არიდებისათვის 500 მან. ჯარიმის გადახდევინების თაობაზე. არბიტრმა ძიებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ვაშლის მიწოდებაზე დაშვებული იყო განრიგი, რომელიც შეიცავდა ყველა საჭირო რეკვიზიტს და ამიტომ ხელშეკრულების დადება საჭირო არ იყო.

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროს დადგინდა, რომ სამხედრო ვაჭრობამ განრიგის მიღებისთანავე მოითხოვა ხელშეკრულების დადება იმ საფუძვლით, რომ მისი მუშაობის სპეციფიკური პირობები მოითხოვს ხილის გაუმჯობესებულ ასორტიმენტს და პირველ რიგში მიწოდებას. ამ მიზართვაზე მიმწოდებელმა პასუხი არ გასცა. გარდა ამისა, განრიგი არ შეიცავდა ხელშეკრულების არსებით პირობებს, რაგორიც არის ასორტიმენტი (მომოლოგოური ჯიში), ხარისხი, ფასი და მიწოდების ვადები.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1963 წ. № 3-5 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის თანახმად, თუ ერთ-ერთი მხარე მოითხოვს ხელშეკრულების დადებას იმ საფუძვლით, რომ საჭიროა მიწოდების დამატებითი პირობების შეთანხმება, მეორე მხარეს უფლება არა აქვს ამაზე უარი განაცხადოს. ვინაიდან სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ამ მითითებას, ასეთი გაუქმდა, სარჩელი დაკმაყოფილდა ჯარიმის ნაწილში, ხოლო ვინაიდან ვაშლის მიწოდების ვადა უკვე გასული იყო, ამ ნაწილში საქმე წარმოებთ მოისპო.

**2. თუ საქონლის ხარისხის შემოწმების დროს დარღვეულია ნიმუშების შერჩევის დადგენილი წესი, ამ ნიმუშების ანალიზზე დამყარებული ექსპერტიზის დასკვნა სარჩელის დამამტკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება.**

ქ. კიროვის რაიკვებვაჭრობამ აღძრა ორი სარჩელი ბათუმის ცენტრალური ბაზრის მიმართ მისგან მიღებული საკონსერვო პროდუქციის (ტყემლის კომპოტის) არასათანადო ხარისხის, დამტკიცებისა და ჩამოფასების გამო მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. ძირითადი დავალაპარების გარდა მოთხოვნილი იყო ჯარიმა უხარისხო საქონლის მიწოდებისათვის.

დავის განხილვის დროს სახელმწიფო არბიტრაჟი დარწმუნდა, რომ სადავო პროდუქციის ხარისხის შემოწმება მოხდენილია სახელმწიფო სტანდარტის უხეში დარღვევით, რაც გამოიხატა საშუალო ნიმუშის შერჩევის წესის დაუცველობით. პროდუქცია არ იყო დახარისხებული ვაშოშვების ვადების მიხედვით; არ იყო ფიქსირებული, რა წესით შეარჩიეს საშუალო ნიმუში; აღმოჩნდა, რომ საშუალო ნიმუშის დასადგენად გაეისწავთ მხოლოდ მცირე რაოდენობის პროდუქცია, ვიდრე ამას მოითხოვს სახელმწიფო სტანდარტი და სხვ. ამის ვაწო სარჩელი საქონლის არასათანადო ხარისხის ნაწილში არ იქნა დაკმაყოფილებული.

ზედამხედველობის წესით შემოტანილ საჩივარზე გაცემულ პასუხში მოსარჩელეს მიეთითა, რომ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხობრივად მიღების შესახებ მოქმედი ინსტრუქციის 26-ე მუხლის თანახმად, ნიმუშების შერჩევა წარმოებს სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების, მიწოდების განსაკუთრებული პირობებისა და სხვა სავალდებულო წესების ან ხელშეკრულების მოთხოვნათა ზუსტად დაცვით, ვინაიდან ეს მოთხოვნა არ დაიცვეს, ძიების ამ ნაწილში უარის თქმა სავსებით სწორი იყო.

**3. დავის გარჩევის მომენტისათვის წუნდებული პროდუქციის დაუბრუნებლობა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობისაგან.**

სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკამ ცეკავშირის სამტრედიის ბაზას მიაწოდა სხვადასხვა შეკერილი მზა ნაწარმი. ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი აქტით დადგინდა, რომ პროდუქციის



ნაწილი წარმოადგენდა წუნს, ხოლო ნაწილი გადაყვანილ იქნა ზეორე ხარისხში. აღძრულ იქნა წინააღმდეგობა მყიდველი მოითხოვდა წუნდებული საქონლის ჩამოფასების ღირებულებას და ჯარიმას უხარისხო საქონლის მიწოდებისათვის. სარჩელი, დადასტურებული ორმხრივი აქტით, დაკმაყოფილებულ იქნა სრულად.

ზეწესით შემოტანილ საჩივარში მიმწოდებელი ეყრდნობოდა მხოლოდ იმას, რომ დაწუნებული საქონელი დღემდე არ არის დაბრუნებული და აზის საფუძველზე ითხოვდა ძიებაზე უარის თქმას.

საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ. მოპასუხეს მიეთითა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1963 წ. 29/III — № ი-1-9 ინსტრუქციის მე-4 მუხლის თანახმად, დავის გარჩევის მომენტისათვის წუნდებული პროდუქციის დაუბრუნებლობა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს არასათანადო-ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუ საქმის მასალებით დადასტურებულია ასეთი პროდუქციის მიწოდება.

#### 4. ტვირთის რაოდენობის განსაზღვრა გადაწონის გზით ცნობილ უნდა იქნას უფრო ზუსტ ხერხად, ვიდრე მისი აზომვა.

საერთო მშენებლობის № 5 ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორამ აღძრა სარჩელი ქსანის საშენ მასალათა კომბინატის მიმართ რკინიგზის სამი პლატფორმით მიღებული 23.472 ტონა კირის დანაკლისის ღირებულებაზე.

საქმის გარჩევის პროცესში განიორკვა, რომ კირის მიღებმა დაადგინა მისი რაოდენობა პლატფორმაზე დატვირთული კირის აზომვის გზით, მიმწოდებელმა კი დატვირთვის დროს იგი აწონა რკინიგზის სადგურის სასწორზე. ამ საფუძველზე არბიტრაჟმა დანაკლისი საკმაოდ დადასტურებულად არ ცნო, და მაძიებელს სარჩელზე უარი ეთქვა.

ზეწესით შემოტანილი საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ, ვინაიდან სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1968 წ. 29/III — № ი-1-9 ინსტრუქციის თანახმად, თუ რკინიგზით გადაზიდული ტვირთის დანაკლისთან დაკავშირებული დავის განხილვის დროს გამოირკვა, რომ გაგზავნის პუნქტში ტვირთის წონა განისაზღვრა აწონის გზით, ხოლო მიღების პუნქტში აზომვის გზით, ან პირიქით, არბიტრაჟი უნდა გამოდიოდეს იქიდან, რომ აწონა ტვირთის წონის დადგენის ყველაზე ზუსტი საშუალებაა.

#### 5. პრეტენზია ტვირთის დაკარგვის შესახებ წარედგინება რკინიგზის იმ ვადებში, რომლებიც დადგენილია რკინიგზის წესდების 174 მუხლით.

ქ. ერევნის ერთ-ერთმა წარმოებამ აღძრა სარჩელი ა.-კ. რკინიგზის მიმართ მისი, ე. ი. მაძიებლის, მისაღრთით გამოგზავნილი ტვირთის დაკარგვის შესახებ. დავის გარჩევის პროცესში გამოირკვა, რომ მაძიებელმა გაუშვა რკინიგზისადმი პრეტენზიის წარდგენის დადგენილი ექვსთვიანი ვადა, რისთვისაც საქმე, სამეურნეო დაეების განხილვის წესების 82 მუხლის შესაბამისად, წარმოებით მოიხსნა.

საპრეტენზიო ვადის საწყისი მომენტის განაგარიშების დროს სახელმწიფო არბიტრაჟი ხელმძღვანელობდა იმ წესით, რომელიც დადგენილია რკინიგზის წესდების 174 მუხლით, ე. ი. მიტანის ვადის გასვლიდან 30 დღე-ღამის ვასვლის შემდეგ. ამ განაგარიშების შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში საბოლოო მიტანის ვადა ამოიწურა 1968 წ. 20 აგვისტოს, ხოლო პრეტენზიის წარდგენის საბოლოო ვადა დამთავრდა 20 მარტს; პრეტენზია ჩაბარდა ფოსტას 22 მარტს; ე. ი. ვადის დარღვევით. მაძიებელმა შემოიტანა სამი საჩივარი, რადგან არასწორად თვლიდა არბიტრაჟის დადგენილებას საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ. საჩივარში მაძიებელი ეყრდნობოდა იმას, რომ რკინიგზის ქვითარზე, რომლითაც დასტურდებოდა ტვირთის გადასაზიდად მიღება, მიტანის თარიღად ნაჩვენები იყო 23 მარტი. საჩივრები დატოვებული იყო უშედეგოდ, ვინაიდან არბიტრაჟმა ჩათვალა, რომ რკინიგზის ქვითარზე არასწორად ნაჩვენები მიტანის ვადა ვერ შეცვლიდა რკინიგზის წესდებით დადგენილ ვადას, რადგანაც კანონის სავალდებულო წესის ან სხვა ნორმატიული აქტის საწინააღმდეგოდ ხელშეკრულება თავისთავად ბათილია. საკითხის საბოლოო გადაჭრისათვის სახელმწიფო არბიტრაჟმა გამოითხოვა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს დასკვნა, 1969 წ. 4-III — № 409 წერილით გზათა სამინისტროს კომერციული სამმართველოს უფროსის მოადგილემ აცნობა სახელმწიფო არბიტრაჟს, რომ, რკინიგზის წესდების 57-ე მუხლის თანახმად, მიტანის ვადის განაგარიშება იწყება ტვირთის გადასაზიდად მიღების დღის 24 საათიდან. სატვირთო ქვითარში მოხდენილი აღნიშვნა მიტანის ვადის შესახებ ვერ წარმოშობს

ვერავითარ ვალდებულებას რკინიგზისათვის. ამრიგად, ერთხელ კიდევ დადასტურდა მაძიებლის მიერ საპრეტენზიო ვადის გაშვება, რამაც დაუკარგა ძიების აღძვრის უფლება.

#### 6. ტარის დაბრუნების საბოლოო ვადა დამთხოვა არასამუშაო დღეს.

პურპროდუქტების სოხუმის სარეალიზაციო ბაზამ დრანდის სოფლის კოლპე-რატივს სანოტარო წარწერით ჩამოაწერა ჯარიმა 622 ცალი ტომრის დაგვიანებით დაბრუნებისათვის. ჯარიმის გადახდა დაყრდნობილი იყო ორმხრივად შედგენილ აქტზე, რომლის თანახმად ტარა-ტომრების დაბრუნების საბოლოო ვადა იყო 30 ივნისი, ხოლო მიმღებმა ასეთი დაბრუნება 1 ივლისს, აფხაზკავშირის გამგეობამ აღძრა სარჩელი სოხუმის პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზის მიმართ ჯარიმის გადახდილი თანხის დაბრუნებაზე იმ საფუძველით, რომ 29 და 30 ივნისი არასამუშაო დღეები (შაბათი და კვირა) იყო და ამიტომ 1 ივლისს ტარის ჩაბარება დაგვიანებულად ვერ ჩაითვლებოდა. სარჩელი დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1963 წ. 14/IX — № ი-1-47 ინსტრუქციის მე-3 მუხლის თანახმად, როდესაც ტარის დაბრუნების ვადები ემთხვევა ნიშნულდების ან მიმღების არასამუშაო დღეებს, მომხმარებელი ვალდებულია დააბრუნოს ტარა მომდევნო სამუშაო დღეს. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს ჯარიმა არ გადახდება.

#### 7. პრეტენზიას უნდა ერთვოდეს ყველა მისი დამამტკიცებელი საბუთი. ასეთ შემთხვევაში სარჩელის აღძვრის დროს მოპასუხეს ეგზავნება მხოლოდ სასარჩელო განცხადების ასლი.

თბილისის კერამიკულმა კომბინატმა აღძრა სარჩელი ა.-კ. რკინიგზის მიმართ ნისგან გადახდილი ჯარიმის თანხის დაბრუნებაზე. საქმის გარჩევის პროცესში სახელმწიფო არბიტრაჟმა თანამოპასუხედ ჩააბა ა.-კ. რკინიგზის თბილისის განყოფილება და მაძიებელს დაავალა მისთვის გაეგზავნა ძიებითი მასალების ასლები. მაძიებელმა გაუგზავნა მხოლოდ ძიებითი განცხადების ასლი. სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა. რკინიგზის თბილისის განყოფილებამ გაასაჩივრა არბიტრაჟის გადაწყვეტილება და სხვა მოტივებს შორის დაასახელა ის, რომ მაძიებელმა არ შეასრულა არბიტრაჟის დავალება ძიებითი მასალების ასლების მისთვის გამოგზავნის შესახებ; გაუგზავნა მხოლოდ ძიებითი განცხადების ასლი და ამის გამო არბიტრაჟს ძიება არსებითად არ უნდა განეხილა. საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ. მომჩივანს მიეთითა, რომ საქმეში დართული მასალების თანახმად მაძიებელმა თავის დროზე აღძრა პრეტენზია რკინიგზის სამმართველოს მიმართ ყველა დამამტკიცებელი საბუთის დედნების დართვით. ეს პრეტენზია გადაეგზავნა ა.-კ. რკინიგზის თბილისის განყოფილებას, რომელიც პასუხმა არ დააკმაყოფილა და ამის შესახებ ნაძიებელს აცნობა სათანადო წერილით და მასვე დაუბრუნა საპრეტენზიო მასალები. აქედან ჩანს, რომ მაძიებელმა დაიცვა სავალდებულო საპრეტენზიო წესი, რადგან ასეთ შემთხვევაში სამეურნეო დავების განხილვის წესების 53-ე მუხლის თანახმად მან მოპასუხეს გაუგზავნა მხოლოდ ძიებითი განცხადების ასლი.

# მშახის ორგანოების პროექცია

1. მშახის ბიუროები შვილად აყვანის აქტის რეგისტრაციებს აწარმოებენ მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში შემოვიდა მოქ. კ-ს საჩივარი იმის შესახებ, რომ მას აქვს განათლების განყოფილების დადგენილება შვილად აყვანის შესახებ, ხოლო მშახის ბიურო უარს ამბობს შვილად აყვანის აქტის რეგისტრაციაზე, ვიდრე განმცხადებელი არ წარადგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ.

იურიდიული კომისიის მშახის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა მოქ. კ-ს, რომ მშახის ბიუროს თანამშრომელთა მოქმედება სწორია. შესაბამისად სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის შესახებ (24-ე მუხლის მოთხოვნა) 1968 წლის 1 ოქტომბრიდან მშახის ბიუროები შვილად აყვანის აქტის რეგისტრაციას აწარმოებენ მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. შვილად აყვანისათვის საჭიროა მეუღლის თანხმობა. ასეთი თანხმობის გარეშე გავორგმებული აქტი კანონსაწინააღმდეგოა და მისი გაუქმება შეუძლია სასამართლოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მშახის ორგანოების განყოფილებაში განცხადებით შემოვიდა მოქ. ჩ-ი შვილად აყვანის აქტის გაუქმების თაობაზე. მოქ. ჩ-იმ განცხადებაში აღნიშნა, რომ მისმა მეუღლემ მოქ. კ-მ განმცხადებლის ხანგრძლივი მივლინებაში ყოფნის დროს გააფორმა შვილად აყვანის აქტი არასრულწლოვან პ-ს მიმართ, რომ ამაზე არ იყო მისი, მოქ. ჩ-ს თანხმობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მშახის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა მოქ. ჩ-ს, რომ თუ შვილად აყვანილი დაქორწინებულია, საჭიროა მისი მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე და თუ ეს თანხმობა არ წარუდგენია მოქ. კ-ს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომში შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტის დროს, ასეთი გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა. მშახის ბიურო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ვალდებული იყო გაეფორმებინა შვილად აყვანის აქტი, ვინაიდან შვილად აყვანის აქტის გაუქმება წარმოებს სასამართლოს მიერ. მოქ. ჩ-ს მიეცა რჩევა, რომ მიემართა სახალხო სასამართლოსათვის შვილად აყვანის აქტის გაუქმების თაობაზე.

3. ქორწინების აქტის რეგისტრაციას მშახის ორგანოები ახდენენ მხოლოდ განცხადების მიღების ერთი თვის შემდეგ, კანონით არავითარი გამონაკლისი დაშვებული არ არის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მშახის ორგანოების განყოფილებას მიმართა მოქ. გ-მ იმის შესახებ, რომ ორი წელია ფაქტიურ ცალ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფება მოქ. ა-თან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი. მიმართეს მშახის ბიუროს ქორწინების რეგისტრაციისათვის, მაგრამ მშახის ბიურო არ ახდენს ქორწინების აქტის რეგისტრაციას ვიდრე მშახის ბიუროში განცხადების შეტანიდან არ გავა ერთი თვე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მშახის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა მოქ. გ-ს, რომ თანახმად სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის შესახებ (მე-9 მუხლი) მშახის ბიუროს თანამშრომელთა მოქმედება სწორია, რადგან საქართველოს სსრ კანონმდებლობას ჯერ-ჯერობით ამ წესიდან რაიმე გამონაკლისი არ დაუწესებია.

4. მშრომელთა დებუტატების რაიონული საქალაქო საბჭოს აღმასკომის უფლება აქვს შეამციროს საქორწინო ასაკი მხოლოდ ქალებისათვის და ისიც არა უმეტეს ერთი წლისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებას მიმართა N სამხედრო ნაწილის მეთაურმა იმის შესახებ, რომ მათ ნაწილში წომუშავე ჭაბუკი, რომელსაც ჯერ 18 წელი არ შესრულებია ფაქტიურ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფება მოქ. ს-თან. სამხედრო ნაწილი შუამდგომლობდა, რომ როგორც გამონაკლისი მოეხდინათ მათი ქორწინების რეგისტრაცია მმაჩის ბიუროში. იურიდიული კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა სამხედრო ნაწილს, რომ ანკამად მოქმედი კანონმდებლობით, როგორც ქალისათვის ისე ვაჟისათვის საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. ცალკეული შუამდგომლობის საფუძველზე, გამონაკლისის შემთხვევაში, მშრომელთა დებუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ შეამცირონ ეს ასაკი მხოლოდ ქალებისათვის, ისიც არა უმეტეს ერთი წლისა.

5. ქორწინების გარეშე დაბადებული სრულწლოვანი შვილის ფაქტიური მამის გვარზე გადაყვანისათვის აუცილებელია ორივე მეუღლის განცხადება და თვით სრულწლოვანი შვილის თანხმობა ამის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებას საჩივრით მიმართა მოქალაქეებმა ე-მა იმის შესახებ, რომ შესაბამისად საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებზე მმაჩის ბიუროს თხოვეს მათი შვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში შესწორების შეტანა, სახელდობრ მათი სრულწლოვანი შვილის (დაბადებული 1949 წელს, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე, გატარებულია დედის გვარზე, როგორც მარტოხელა დედის შვილი) მამის გვარზე გადაყვანისა და დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის მონაცემების შეტანა. მმაჩის ბიურომ უარი უთხრა განმცხადებელს იმ მოტივით, რომ მათი შვილი უკვე სრულწლოვანია.

იურიდიული კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა, როგორც მოქალაქეებს ი-ეს, ისე მმაჩის ბიუროს, რომ განმცხადებელთა მოთხოვნა სამართლიანია და იგი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს, მხოლოდ ბავშვის დედისა და მამის ერთობლივ განცხადებას უნდა დაერთოს აგრეთვე თვით სრულწლოვანი შვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მას მიენიჭოს მისი მამის გვარი და დაბადების სააქტო ჩანაწერში იგი ჩაიწეროს მამად.

6. მამობის დადგენა, როცა მამა ცოცხალი აღარ არის ხდება სასამართლოს მეშვეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებას განცხადებით მიმართა მოქ. ს-მ იმის შესახებ, რომ მისი აწ გარდაცვლილი ძმისშვილები, როგორც არარეგისტრირებულ ქორწინების შედეგად დაბადებულნი, გატარებული იქნან დაბადების რეგისტრაციაში, როგორც მარტოხელა დედის შვილები, სინამდვილეში ბავშვები იყენენ გარდაცვალებულის მზრუნველობის ქვეშ და მის ოჯახში იზრდებოდნენ, რის გამოც ითხოვა ახალი საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად ბავშვები გადაეყვანათ მამის გვარზე და დაბადების ჩანაწერის მამის გრაფაში შეეტანათ გარდაცვალებულის მონაცემები.

იურიდიული კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა მოქ. ს-ს, რომ მამობის დადგენისათვის უნდა მიმართოს სახალხო სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე მმაჩის ორგანოებს საშუალება ექნებათ დააკმაყოფილონ განმცხადებლის თხოვნა.

7. მმაჩის ბიუროში განქორწინებისათვის არ კმარა მარტო მეუღლეთა თანხმობა, აუცილებელი პირობაა, რომ მათ არ უნდა ჰყავდეთ არასრულწლოვანი შვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებას საჩივრით მიმართეს მოქ. პ-მ და მოქ. კ-მ იმის შესახებ, რომ ქორწინების რეგისტრაციაში იმყოფებიან, 10 წლის განმავლობაში ჰყავთ 9 წლის შვილი და ფაქტიურად არ ცხოვრობენ ერთად რვა წელიწადია. ამჟამად ორივე მხარე თანახმაა განქორწინების, რისთვისაც



მიმართეს მმაჩის ბიუროს, მაგრამ მმაჩის ბიუროს თანამშრომლებმა უარი თქვეს მიღებაზე და ურჩიეს მიემართათ სახალხო სასამართლოსათვის.

იურიდიული კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა მოქ. პ-ს და მოქ. კ-ს, რომ მმაჩის ბიუროს თანამშრომელთა ჩოქმედება სწორია. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის მე-14 მუხლის თანახმად მართო მეუღლეთა თანხმობა არ არის საქმარისი მმაჩის ბიუროში განქორწინების აქტის რეგისტრაციისათვის. ამისათვის აუცილებელია მეორე პირობაც, რომ ან მეუღლეებს არ უნდა ჰყავდეთ არასრულწლოვანი შვილი; მათი შვილი კი 9 წლის ასაკისაა.

#### 8. გვარის გამოცვლის აქტის გაუქმება შედის სასამართლოს კომპეტენციაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებას საჩივრით მიმართა მოქ. კ-მ იმის შესახებ, რომ მოქ. ვ-მ, რომელიც განმცხადებელთან ყოფილა ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, გამოიცვალა გვარი თავისი ბავშვის ფაქტიური მამის გვარზე. ამის საფუძველზე გამოეცვალა გვარი ვ-ს მცირეწლოვან შვილსაც, რომელიც გატარებულია დაბადების რეგისტრაციაში როგორც მარტოხელა დედის შვილი. განმცხადებელი თხოულობდა გვარის გამოცვლის აქტის გაუქმებას, რათა ამას არ მოჰყოლოდა მისი მდგომარეობის შემდგომი გართულება მატერიალური და მორალური თვალსაზრისით.

იურიდიული კომისიის მმაჩის ორგანოების განყოფილებამ განუმარტა მოქ. კ-ს, რომ სსრ კავშირის მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი უფლება აქვს შეიცვალოს გვარი ნებისმიერი გვარით. რომ მმაჩის ორგანოებს არ ჰქონდათ საფუძველი უარი ეთქვათ ვ-სთვის გვარის გამოცვლაზე, მითუმეტეს, გვარის გამოცვლა არავითარ უფლებრივ ურთიერთობას არ წარმოქმნის განმცხადებელსა და დედა-შვილს შორის. თუ მოქ. კ-ლი დაჟინებით მოითხოვს გვარის გამოცვლის აქტის გაუქმებას უნდა მიმართოს სახალხო სასამართლოს.

3360 50 333.

ИНДЕКС 76185



# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР